# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 12 | 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

**12** | 1998

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი –
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია –
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№1
ტელ: **99-85-81** მთ. რედაქტორი
**98-36-43** მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!**

**3.** ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

**პოეზია და პროზა**

**7.** ლადო სეიდიშვილი. სონეტები
**10.** გურამ ბათიაშვილი. მეათე კაცი. რომანი. დასაწყისი
**68.** რევაზ დანელია. ლექსები
**72.** ილია ბარამიძე. ლექსები
**74.** ციალა არდაშელია. გაქცევა. მოთხრობა
**86.** მარიამ წიკლაური-ძიძიგური. ლექსები
**87.** იური კახნიაშვილი. ლექსები
**89.** გურამ ჯაფარიძე. ჩემი გერმანელი ტყვე. მოთხრობა
**98.** მაგული კვაჭაძე-ქანთარია. ლექსები
**99.** ელდარ კერძევაძე. ლექსები
**101.** ლადო ლეფსვერიძე. ლექსები
**102.** გიორგი მარცვალაშვილი. ფშავის მეტეორიტი. პოემა

**ახალი თარგმანები**

**104.** ჯ. კრიშნამურტი. თქვენ ხართ სამყარო. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მამულაშვილმა

**დიდებული იდუმალებიდან**

**109.** შეხვედრა – არა შემთხვევითი. ინტერვიუ ჯემალ ქარჩხაძესთან

**წინაპრები, წინაპრები...**

**118.** მანანა ქავთარაძე. მოგონებები

**წერილები**

**129.** ნანა რჩეულიშვილი. მთავარი გმირი – დრო
**132.** მამუკა სირაძე. იბერია – ხეობათა ქვეყანა
**135.** თამარ უზუნაშვილი. ...ვიდრე ტროას დაპყრობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





იერუსალიმი. ხედი ზეთისხილის მთიდან.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 106

1. ქებით ახსენეთ სახელი უფლის;
   უფალი ჩვენი
   შემოსილა კეთილმმლეობით,
   მარადის ჰგიეს სახელი მისი.
2. ვის შეუძლია განაცხადოს უფლის სიქველე,
   ქვეყნად განფინოს
   მისეული ქება-დიდება.
3. ნეტარ არიან სამართლის მცველნი,
   რადგან სიმართლეს ამკვიდრებენ ყოველჟამიერ
4. ო, შემიყვედრე,
   უფალო ჩემო,
   როდესაც შენს ხალხს გადმოხედავ
   კეთილწყალობით,
   და მომიხსენე შენმიერი მაცხოვარებით,
   შემეწიე და
   მეოხად მექმენ! –
5. რომ ვნახო შენი რჩეულების კეთილმმლეობა
   და შენი ხალხის სიხარულით ვიმხიარულო
   და გავიხარო
   შენეული მემკვიდრეობით.
6. შევცოდეთ ჩვენი მამების მსგავსად –
   სჯული დავთმეთ და
   უსჯულობა დავასადგურეთ.
7. იქ – ეგვიპტეში
   მამებმა ჩვენმა
   ვერ შეიმეცნეს შენეული სასწაულები,
   ვერ გაიხსენეს უნაპირო შენი წყალობა
   და მეუსეულად დაგატყდა ზღვაზე –
   მეწამულ ზღვაზე
   ამბოხი მათი.
8. მან კი თავისი სიდიადით იხსნა ყოველი
   და ძალი თვისი გააცხაურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



9. შემოუძახა წითელ ზღვას და
აქცია ხმელად,
წარუძღვა მათ და
უდაბნოს დარად
გადაატარა წიაღნი მისნი.
10. და ააცილა მოძულის ხელი,
გამოარიდა, მტერსა და
მწყევარს.
11. წყალმა დაფარა მდევარი მათი,
ბოროტეული მოისრა სრულად.
12. და მოაგონდათ ნათქვამი მისი,-
შეჰღაღადეს და
შეჰკადრეს ქება.
13. მაგრამ უმალვე დაივიწყეს მისი საქმენი
და გადაუდგნენ განგებას მისას.
14. და ნდომა რამე
მოინდომეს უდაბნოებში,
განცადეს ღმერთი ურწყულსა შინა.
15. და აღასრულა წადილი მათი
და მძიმე სენით
მოუწყლა სული.
16. შურით განწონეს ბანაკში მოსე
და აჰარონი –
წმინდანი უფლის.
17. განიპო მთა და
ჩაულაპა დათან,
თან ჩაიყოლა აბირამის სანათესაო.
18. ცეცხლი მოედო ნაშიერს მათსას,
ცოდვილთა ხროვა
დანაცრა ალმა.
19. მაშინ ხორებთნ აღმართეს ხბო და
მორთხმით ადიდეს უსულო კერპი.
20. და ანაცვალეს დიდება თვისი
თივისმჭამელი პირუტყვის ქანდაკს.
21. უარყვეს ღმერთი –
მფარველი მათი,
ვინც ეგვიპტეში სასწაულებს
აღასრულებდა:
22. საკვირველებებს – ქამის მიწაზე,
საშინელებებს –
მეწამულ ზღვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. და განაცხადა – შემუსრეთო ყოველთაგანი
და მაშინ მოსე –
რჩეული მისი
ანაზდეულად ნაპრალთან დადგა
და სასიკვდილოდ განწირულთა გამოსახსნელად
უკუაქცია სიბრაზე მისი.
24. ყოვლადსაჩინო ქვეყანა დათმეს,
აღარ ირწმუნეს სიტყვები უფლის.
25. დრტვინვით აღიძრნენ კარავთა შიგან,
არ შეისმინეს ნათქვამი მისი.
26. და მან აღმართა მარჯვენი ძლევად,
რომ უდაბნოში
მოესრა ყველა,
27. რომ წარმართებში მოებნია მათი ნაგრამი
და ქვეყნებს შორის მიმოეფანტა.
28. შეკრეს კავშირი ბაალ-ფეორთან,
მკვდარი ღმერთების შესაწირავს
შეექცეოდნენ.
29. უღვთო ქმედებით განარისხეს უზეშთაესი
და გაიმრავლეს სნება და ჭირი.
30. წამოდგა ფინხას,
მოილოცა მოსალოცავი
და განარინა მომსრველი სენი, –
31. რომ თაობიდან თაობამდე,
უკუნისამდე
გულმოწყალებად შერაცხოდა ესე ყოველი.
32. განცადეს ღმერთი საცილო წყლებზე,
შეაძრწუნეს და
შეზარეს მოსე.
33. სულს უმწარებდნენ უკვანი ქცევით,
ვიდრე სამართალს განუჩენდა
თავისი ბაგით.
34. არ ამომირკვეს ურჯუკთა მოდგმა,
რომელთა მოსრვა ეწადა უფალს.
35. და შეერივნენ წარმართთა ტომებს,
გაიცნაურეს საქმენი მათნი.
36. ემებად დაუდგნენ ცოდვილთა კერპებს,
მათი საცთური
დაიგეს მახედ.
37. და ეშმაკეულს შესწირეს მსხვერპლად
ძენი მათნი და
ასულნი მათნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38. და დაანთხიეს უმანკო სისხლი,
სისხლი ძეთა და
ასულთა მათთა, –
რაც ქანაანის კერპებისთვის გაიღეს მსხვერპლად, –
და სისხლის ღვარმა გადალეკა ქვეყნიერება.
39. და წაიბილწნენ თავიანთი ნამოქმედარით
და თავისივე საქმეებით
გაუწმინდურდნენ.
40. მან კი თავის ხალხს დაატეხა რისხვის ალმური
და მოიკვეთა საკუთარი მემკვიდრეობა.
41. ხელში ჩაუგდო წარმართთა ხროვას,
უფლად დაუსვა
მოსისხლე მტერი.
42. და მოშუღლენი ავიწროებდნენ
და ამდაბლებდნენ
კირთების ქვეშ.
43. ბევრჯერ დაიხსნა კრებული მათი,
მაგრამ ისინი აბეზრებდნენ უღვთო ზრახვებით
და კნინდებოდნენ
საკუთარი უსჯულოებით.
44. და დაინახა ვაება მათი,
როს მოისმინა მათეული მოთქმა-ღაღადი.
45. და გაიხსენა აღთქმის სიტყვები, –
თავისი მრავალმოწყალება
მოინანია, –
46. რომ აღანთებდა უნაპირო თანალმობისთვის
მაბეზღარსა და
მაწყევარს მათსას.
47. გვიხსენ, ღმერთო და
უფალო ჩვენო,
და წარმართების საკრებულოს გამოგვარიდე,
რომ განვადიდოთ უწმინდესი შენი სახელი
და მოვამაღლოთ
ღირსება შენი.
48. კურთხეულ იყოს უფალი ღმერთი ისრაელისა
ამიერიდან უკუნისამდე
და მთელმა ერმა აღავლინოს:
ამინ და
ამინ! –

ალილუია –
აქებდეთ უფალს!

ებრაულიდან თარგმნა

ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

# ლადო სეიდიშვილი

## დიდი შუადღე

დაველოდებოდი, არ შემეძლო და მოხდა ისე –
დროს გავუსწარი, რადგან იგი არ მპირდებოდა,
რაც მომავალი იმაზე მეტს... ადგილზე რბოლა
იყო დღის შვება და შორს იყო მისგან დაისი.

მივუახლოვდი დასალიერს ჯერ კიდევ დღისით, –
მზეს საგნის ჩრდილი დაჰკარგოდა (მე ვღამდებოდი)
ჩამორჩენილი და უსაზნო დღე ჰგავდა ბოდვას –
გაუმაძღრობა იყო რადგან მისი დევიზი.

იქ კენჭობანას თამაშობდნენ დიდი ბავშვები
და ვერ ამჩნევდნენ ბინდისფერის მოახლოებას,
რომელიც უკვე განვლილი მქონდა და აწ შვებით

სიბნელის მიღმა დიდ ნათელში ვიდექი მე და
კიდევ ის ვიღაც, რომლის ლანდი ჯერ კიდევ უკან
დარჩენილიყო მომავალი დღეების ლუკმად.

## თამაშის ხელოვნება

ყველანი ვირთობთ თავს თამაშით... წესს ვიცავთ მყარად.
აქ მთავარია წარმოსახვა და არა ბჭობა:
ვეთამაშები საკუთარ ჩრდილს დაჭერობანას –
ფეხდაფეხ დამდევს, მაგრამ მაინც ვერ ამიყვანა.

ვინ ღმერთს თამაშობს, ვინ სატანას; ორივე ხარობს.
დიდება დიქტატს!.. ჰამლეტი კი ყურს უგდებს ჭორებს.
აქ სკეპტიციზმი უცილობლად არ საჭიროებს,
ხოლო ვინ ხელყოფს წესს, მაშინვე ანგრევს სამყაროს.

ჩუმად ვარ, რადგან ვერ ავყევი უცხო სურვილებს,
ვერ შევეგუე იმათ წესრიგს, კანონს სრულებით.
და არა ის, რომ ვიღაც მჩაგრავს, ვიღაც მაშინებს...

მანამდე, ვიდრე სხვა გასართობს მოვიგონებდე –
გუნება რომ არ წავუხდინო მოთამაშეებს,
შორიდან ვუმზერ... და ჩემს გულში ვსეირობ, ვგონებ.

## სიტყვა

მოწყინდა ქალალდს უბიწობა, კირთად რომ აწევს –
უფლის სტყვასთან შეუღლება უნდა უბრალოდ...
ჰეი, სადა ხარ, რომ შევძახო: მაესტრო, ბრავო!
არადა, უკვე რა ხანია, ვშლი, რასაც დავწერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ძალუძს ხილვა აზრს თავისი თავის წინდაწინ...
თუმცა სიტყვა რო გამხელაა ფიქრის, ვთქვათ ბარემ,
თანაც იმდენად უმწეოა - არ დავაბრალოთ
უუნარობა - ზოგჯერ სათქმელს დუმილით დასძენს.

იქნებ ამჯერად მსურს ვიწამო სიტყვების ძალა,
შესაქმის შემდეგ ღმერთივით რომ სადღაც გამქრალა...
ო, დაფარულო, ვგრძნობ აქვე ხარ, რაც ჯერ არ ითქვა.

ფიქრი ღრღნის აზრებს... აქ იპოვის მწყურვალე სული
საჭირო ფორმას, გაცხადდება რომელშიც სიტყვა -
საფლავად ქცეულ მდუმარების ვით აღსასრული.

## სონეტი სონეტის შესახებ

აქ თამაშდება მისტერია ოთხ მოქმედებად:
პირველი სცენა ძირითადად შესავალია,
სად მოწოდების თემად ისმის მოკლე არია -
გვამცნოს, თუ როგორ უღალატეს მოკეთეებმა.

დაჰკრეს ნაღარა და მეორე აქტში ეკვეთნენ
მტრებს და აოტეს მომხდურები ისე მალიად -
სიტყვის ბანაკში ყველაფერი არივ-დარია
და ამ ქარცეცხლში განაგრძობდნენ ლექსის კეთებას.

აზრი ხელებში ეფშვნებოდათ კირითხუროებს.
- სტრიქონში გული ჩააშენეთ! - ერთმა იხუმრა...
და ამ ქარაგმას მოეკიდნენ არც უსაფუძვლოდ.

სიტყვები სიტყვებს ამოუდგნენ და ჩაკირული
თოთხმეტსვეტიან სასახლეში სონეტის ფუძედ
მზის სინათლეზე ფართხალებდა პოეტის გული.

## ბათუმი

სხვა ელფერი აქვს ეფემერულ წვიმას ბათუმის,
სულის სიბრტყეზე გამჭვირვალე ფერთა ანთებას.
ცრის მერდინივით ცის საცრიდან ფიქრები რთული...
სად გაგიტაცეს შესახვედრად უხილავ ფრთებმა,

მე ამ წვიმაში შემალული ვიღაც მეგულვის.
ჩაღრმავებული თავის თავში ზღარბივით, ბრძენი...
სული ივსება ცივი წვიმის უცხო შეგრძნებით,
ქრუანტელივით იზაფრება სხეული გლუვი.

აუწონავი სიმსუბუქე ამ სილამაზის,
პროვინციული სახეების სიმშვიდის ფასი -
აქ შეიძლება ჩაგიაროს გვერდით ჰეგელმა...

ფერხთით გართხმულა ზღვა და უკან მდუმარე მთები
მოჩანან, როგორც შეკვეცილი ოცნების ფრთები -
უკანასკნელი სიყვარულის შემოგებება.

## რეზიდენტი ადგილზეა

აუცილებლად ანტრაქტისას, უკანა კარით...
როგორც შეგპირდი – კულისებში გეგმას გაგაცნობ.
მთავარი შეფი შორიდანვე გიგზავნის კოცნას,
წერილს მოგწერდა, რომ არ ჰქონდეს ხელის კანკალი.

ივლი ბნელაში... ნუ წამოკრავ ფეხს კატის კნავილს!
ეს იმას ნიშნავს, საყვედური უკვე წამოგცდა –
თუ გაპატიეს თავხედობა მიმების ოსტატს...
მაშინ მოდი და ისევ შენი ხელით დამკალი.

მსტოვარმა კარგად შეასრულა თავისი როლი.
თანაც იცოდნენ გენერალურ შტაბში პაროლი:
რომ რეზიდენტი იჯდა სადღაც ამფითეატრში

და ვუალიდან ცალი თვალით უთვალთვალებდა –
ფინალში დანტე, მოხიბლული ბეატრიჩეთი,
შხამნარევ კოცნას ტუჩებიდან როგორ დალევდა.

## დისონანსი

ქუჩაში გვერდით ჩამიარა ყმაწვილმა სალმით
და შეუერთდა იქვე მდგომ ჯგუფს ახალგაზრდების...
ლაპარაკობდნენ რაღაცაზე ნაცნობი გზნებით –
ქართულს ჰგავდა და არც კი ჰგავდა ხმა საესავი.

განსაკუთრებით ქომაგობენ ერთ გოგოს სამნი...
ლაღობდნენ კიდეც, ერთმანეთში დადეს ნაძლევი
და გოგო ჩემკენ გამოგოგდა – საკმაოდ გრძელი
ნაწნავიანი – კარდუს ჯიშის და ნათესავი.

მკითხა: თუ რომელ საუკუნის ვიყავი მკვიდრი.
სიტყვებს თესავდა ყამირზე და მე ხარბად ვმკიდი –
არ გამეგონა ამნაირი დარბაისული...

თავისუფალი საქართველოს მოსაყდრეთ ვკადრე:
ოცდამეერთე საუკუნის მკვიდრო ასულო,
როგორ აღმოჩნდი მეოცეში დაბადებამდე.

## ავაზა

კუპრივით შავი აჩრდილი უცებ ჩემ წინ დაეცა –
მოაბიჯებდა ხეივანში ზანტად ავაზა
აქ ყველას, მისგან განსხვავებით, ხალვათად ეცვა
და ამ სიცხეში არც არავის მოსვლია აზრად

გაშიშვლებული ბარძაყები მზისგან დაეცვა,
ან – მოაშიკე თვალისაგან, თუნდაც ანაზდად...
შავ რეიტუზში გაწვართული ვიგულე მხეცად –
მოქნილი ტანით თურმე ჩემკენ ვიღოდა ნაზად.

შემომილეწა მკერდი ჯიქურ, შემომივარდა
(იქვე დაეგდო შარვალი და ასევე კვართა)
ამძუებული დაედევნა ენებათა ჩეროს.

გატენილი ვარ მისი ხორცით და ძუძუებით
და აღარ ძალმიძს გავაძევო – დავრჩი უძლური
სრულყოფილებავ, ნუთუ მხეცად უნდა მეჩვენო.

## ინტერპრეტაცია

სუფრაზე ხონჩით მოეტანათ ზამთარში ხილი...
– დილა მშვიდობის! – პაწია მატლს ამოეზნიქა
თავი ხვრელიდან და თვალებით მგონი დათხრილით,
შემომცქეროდა... ჩუმად ვკითხე: ვინა ხარ-მეთქი?

სამშობლო-ო-ო!.. მთელი სიგრძით გაიწელა და
თითქოს კიდევაც დაიმორცხვა; ნელ-ნელა, უკან
გაუჩინარდა ბნელ წიაღში, სადაც წინათაც
თავს ლაღად გრძნობდა... რას ირჩევდა უფრო
სანუკვარს!

მაგრამ თითები უეცარი ფრჩხილების გაზით
ვაშლს შემოეჭდნენ და ტუჩებით ჩაკბიჩეს ნაზად,
პირველად იგრძნო მეხთატეხის მსგავსი შერყევა.

მერე – მიწისძვრა... ძლივს დაუძვრა გულგახეთქილი
ხახაში ეშვებს (ორი კბილი ოქროს ეყენა)
და გალაეშვა... მივაძახე: სადა ხარ-მეთქი?

## დუმილი

დუმილის ზღვაში იძირები... ფსკერზე უფსკრულის
იქნებ როგორმე შეყოვნებით, თუნდ ერთი წამით
სიტყვის გაჩენის მისტერიის გახდე მოწამე –
ნიჟარას უცხო სხეულივით უსმენ მიკრული...

ისეთი ღრმაა, რომ სინათლეც ვერ აღწევს ლუსკუმს,
დაუნჯებული ფერადების ლურჯი და მწვანე
თვალით არა ჩანს, მხოლოდ სმენით უნდა იწამო
და მოლოდინის გულისცემით ხარ მონუსხული.

ღრმაა სურვილის სასაფლაო, – ამაოდ ეძებ
აუარებელ კერძთა შორის გზრიელ კენჭებს
და ნიჟარაში დაყიალობ, როგორც მოლუსკი.

გადი-გამოდის დერეფანში წყალი და ქარი...
არ ამოვარდე ზამბაკიდან, დიდია რისკი,
იქნებ როგორმე სიტყვად იქცე ლოცვად მდუმარი.

# გურამ ბათიაშვილი



## მეათე კაცი

რომანი

*ურჯულოების მრჩეველო მბრძანებელო, ჩვენდამი სიძულვილში იმაზე მეტად ნუ შეგვიბრალებ, ვიდრე ჩვენ გვებრალება ჩვენი თავი.*

„მაკაბელთა“ მეოთხე 19,13.

### დათო

უკვე პატარა ბიჭიც კი გრძნობდა, რომ ცხოვრება შეიცვალა, მაგრამ პატარა ბიჭი რა სათქმელია, - ვერც დათო ხვდებოდა, თუ როგორი გახდა ცხოვრება. დათო დიდხანს ცდილობდა სახელი მოეძებნა დროისათვის, რომელშიც ცხოვრობდა, თუ ამას მოვახერხებ, იქნებ, ჩემი ადგილიც ვიპოვო ამ დროშიო, ფიქრობდა, მაგრამ...

ხანი რომ გამოხდა, აღარც ლამობდა სახელი მოეძებნა თავისი დროისათვის - ცხოვრების შეფასებამ აზრი დაკარგა. და იყო კი ასე აუცილებელი სახელი დაერქმია დროისა და ყოფისათვის, მაშინ, როცა სხვა, უფრო მძიმე რამ, - აღარავის ვჭირდებიო, - აღმოაჩინა?!

აშკარა იყო: საქართველოში ნგრევის ჟამი დადგა და არქიტექტორი კაცი ვის რაში უნდა დასჭირვებოდა! ამიტომ შეუჩნდა ფიქრი, ფუნქცია აღარა მაქვსო. ეს ფიქრი დედის კალთას ჩაბღაუჭებული ბალღივით დასდევდა თან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცოლის ღალატი შეიტყო, ნგრევის ჟამზე, თუ ფუნქციადაკარგულობაზე ფიქრმა მეტად დარია ხელი, მეტად დათრგუნა. ცოლის ღალატის შეტყობის შემდეგ ამდენ ხალხში მარტოობის გრძნობა ისე მოერია, ღვინო რომ ერევა ადამიანს.

ერთხელ, აფორიაქებულ ქუჩაში მიმავალმა, ისეთი რამ ჰკითხა თავს, მოგვიანებით მიღებულმა პასუხმა ლამის საბოლოოდ აურია თავგზა:

- როდის კარგავს ცოლი ცოცხალი ქმრის ფიზიკური შეგრძნების უნარს?

ამ კითხვაზე პასუხი უცებ ვერ იპოვა - დადიოდა ხალხით სავსე, ახმაურებულ ქუჩებში, ვიღაცას თავაზიანად ესალმებოდა, ვიღაცას ინერციით უკრავდა თავს, ვიღაცას უღიმოდა, ნაცნობებსაც უჩერდებოდა, ებაასებოდა, მაგრამ თავში მაინც ეს პასუხგაუცემელი კითხვა უტრიალებდა: „როდის კარგავს ცოლი ცოცხალი ქმრის ფიზიკური შეგრძნების უნარს?“ ეს კითხვა ისე ჯიუტად დასტრიალებდა თავს, თითქოს კითხვა კი არა, ის დავალება იყო, რომლის შესრულებაზეც მთელი მისი მომავალი ეკიდა. ამიტომ დღესვე, დაუყოვნებლივ, უსათუოდ უნდა გაეცა პასუხი.

დრო მიიზლაზნებოდა, პასუხი ვერა და ვერ მონახა!

- რა ვიცი, ერთი მაგისიც!.. - ერთხელ ესეც კი წამოიძახა თავმობეზრებულმა /ცხადია, უხმოდ, გულში/, წამოიძახა და ეგონა, ამით ჩამოიშორებდა აბეზარ კითხვას, მაგრამ ვერაფერს გახდა - კითხვა აუზის ფსკერზე დარჩენილ სილასავით ლექად ქცეულიყო მის გონებაში: ვიდრე პასუხს არ იპოვიდა, ვერ მოისვენებდა.

პასუხი კი, მოგვიანებით, ისე მოულოდნელად დაიწერა მისი გონების დაფაზე, გაოცდა. ეს ასე მოხდა:

ქუჩაში ზაზა შემოეყარა, სახეზე აღშფოთება გამოხატვოდა:

- თუ შეგიძლია, ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი! /ამასაც პასუხი უნდა! - გაივლო გულში/. შეხედე ამ ქუჩას, შეხედე, რა ამბავია, როგორ მიდი-მოდის ხალხი - იჭაჭებიან სიცილ-კისკისით, გულ-მუცელს იყინავენ ნაყინით, ყბებს იქცევენ რეზინის ღეჭვით, ხედავ, ხომ? - დათოს პასუხი არ გაუცია, თავი კი დაუკრა, ვხედავ, როგორ არ ვხედავო, - ჰოდა, თუ ხედავ, მითხარი: რით ვგავართ ჩვენ იმ ქვეყანას,

სადაც ომი გაჩაღებულა. შეიძლება ამ ხალხის შემხედვარე კაცმა იფიქროს, რომ აქედან სულ რაღაც ორ კილომეტრზე ქვეყანა ინგრევა, იწვის სახლები, იღვრება სისხლი, უპატრონოდ დატოვებული მიცვალებულები ყროლდებიან?

დათომ აქ დაკარგა ზაზას სიტყვების აღქმის უნარი. თავს უკრავდა, ულიმოდა კიდეც, მაგრამ ვერ ხედავდა. აღარც სიტყვები ესმოდა მისი, რადგან პასუხი კითხვაზე, რომელიც ქალაქზე ჩამოწოლილი ნისლივით ჩადგომოდა თავში, მოულოდნელად დაიწერა მისი გონების დაფაზე:

- ცოლი ცოცხალი ქმრის ფიზიკური არსებობის შეგრძნებას მაშინ კარგავს, როცა ნებანება იხდის ტანთ, პაწია ტრუსს მორცხვი ღიმილით დამალავს სკამზე გადაკიდებული კაბის ქვეშ - უხერხულია, არავინ დაინახოსო და ისე შეცურდება იმ კაცის ლოგინში, როგორც დილაადრიან ზღვაში შეცურდება ზღვისპირს საბანაოდ მისული კაცი - ჟრჟოლვის აღმძვრელი სიამოვნების მოლოდინში. მოგვიანებით, ორიოდ საათის შემდეგ კი, ლოგინიდან აფორიაქებული წამოხტება - ქმარმა სახლში არ მიმასწროსო ან ბავშვი ინგლისურიდან მყავს წამოსაყვანიო. წამოხტება, მაგრამ მაინც ნებანება იცვამს ტანთ. იმ პაწია ტრუსს კმაყოფილი ირგებს ვნებადამცხრალ და მხურვალე სხეულზე, აშლილსაც ორჯერ სამჯერ გაისწორებს, სარკის წინ კარგა ხანს იტრიალებს ბედნიერი, შინაგანად სავსე, მსუბუქად გავა სიყვარულის სათამაშო, ვნების მორევად ქცეული ბინიდან.

დათომ თავისივე გონების დაფაზე ეს პასუხი რომ წაიკითხა, ზაზა თითქოს სივრცეს შეერწყა. აღარც კი ახსოვს, როდის, როგორ დაშორდა. მუხლებში ძალა ეკარგებოდა, სხეული ლამის ერთ სიფრიფანა ქსოვილად ექცა - ქსოვილად, რომელსაც ქარი კი არა, ნიავიც წაიღებდა - და აგერ-აგერ დაეფხრიწებოდა. სულ პატარა კაცად, თოჯინად იგრძნო თავი. კომერციულ აფთიაქთან ვილაცას სკამი დაედგა, თითქოს მისთვის, დათოსთვის - გამოეტანათ, სადაცაა ლალის ღალატით გულმოკლული, მუხლებში ძალაგამოლეული დათო გამოივლის და უნდა დაისვენოსო.

სკამამდე მილასლასდა, ჩამოჯდა.

მოულოდნელად მიღებულმა პასუხმა ისე დააძაბუნა, თითქოს დღეს გაიგო ცოლის ღალატი, თითქოს ეს-ესაა, ამ ხუთიოდე წუთის წინათ დაურეკა ლალიმ: „დათუნი, ნუღარ მელოდები, მე ვიცი, ახლა ნერვიულობ, ტელევიზორთან ზიხარ და ნერვიულობ, ლალის რატომ დააგვიანდა, ბავშვს ხომ არაფერი მოუვიდაო. ყველაფერი კარგად არის, ბესუკა მე წამოვიყვანე. მე იმ კაცს მივყვები, ვინც მიყვარს. შენ ხომ იცი დათუნი, სიყვარული რა არის! ნუ გაბრაზდები, რა! მიყვარს და მივყვები! გაყრის თაობაზე ამ დღეებში დაგირეკავ. ხო არ გეწყინება?" ტუ-ტუ-ტუ-ტუ! თითქოს მხოლოდ მისი ცოლი დაწოლილა უცხო კაცთან, თითქოს ლალი იყო ერთადერთი ქალი, ერთადერთი ცოლი ამქვეყნად, სხვა კაცისათვის რომ გადაეპარჭყოს ფეხები. დღეს რატომ უნდა სტკენოდა გული იმაზე, რაც ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ გაიგო და ცხოვრების ამ ორომტრიალში მისი და ლალის ნათესავ-მეგობრებისთვისაც კი მოძველებული ინფორმაცია იყო?!

ახლა, ამ წუთში გული განა ლალის ღალატზე ფიქრმა ატკინა, პასუხმა, რომელიც მის მიერვე დასმულ შეკითხვას მოჰყვა. უფრო ზუსტად კი, იმის გაფიქრებამ თუ რამდენჯერ მოხვევია, უკოცნია, დაწოლილა კიდეც ლალის გვერდით მას შემდეგ, რაც ქალი იმ „ფირმისაგან" მობრუნებულა. ყალბი, ცრუ სიყვარულის მორევიდან მობრუნებული ლალი ხომ ჯერაც მისი ცოლი იყო. ამ ფიქრმა გულისრევის შეგრძნება გაუძლიერა, თავბრუ დაეხვა და, არ გადმოვვარდეო, სკამის დაფას ორივე ხელით ჩაეჭიდა.

თვალი დახუჭა, გაირინდა.

არც კი იცის, რამდენ ხანს იყო ასე. გულისრევის შეგრძნებამ გადაუარა. ეგ არის, რომ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ არა ქალებად და კაცებად, ახალგაზრდებად და ხანდაზმულებად, დაბალ და მაღალ, მსუქან და გამხდარ ადამიანებად, - ერთ უზარმაზარ, შავ მასად აღიქვამდა. შავი მასა მოძრაობდა ქუჩაში, შავი მასა ტრიალებდა მის თვალწინ. მოგვიანებით, თანდათან, ნელ-ნელა გამოიკვეთა ადამიანების ფიგურები. ეს ქუჩა მართლა არ ჰგავდა მეომარი ქვეყნის დედაქალაქის ქუჩას - ადამიანებს სახეზე არ აღბეჭდვოდათ შეშფოთება, ჭმუნვა. არ ეტყობოდათ, რომ მათი შვილები, ძმები, მამები, ქმრები ომში იყვნენ ჩაბმულნი, იბრძოდნენ და იქნებ ამ წუთში ქვეყნიერებასაც კი ემშვიდობებოდნენ. არა, ესენი ხალისიანად მოდიოდნენ, იცინოდნენ, ნაყინს მიირთმევდნენ, ერთმანეთს უზრუნველად გადასძახოდნენ.

- მე არ მახსოვს, ეს სკამი შენთვის გამომეტანოს აქ! - ჩაესმა ვილაცის მიერ თითქმის ზიზღით ნათქვამი სიტყვები. თავი ასწია - ერთი აწოწილი, წირპლიანი კაცი წამოსდგომოდა თავს. ადგილიდან წამოიჭრა, იმ კაცს ბოდიშის ნიშნად გაუღიმა, თავი დაუკრა და, ის-ის იყო უნდა მოტრიალებულიყო, იქაურობას უნდა გასცლოდა, ბეჭებზე ქალის ხელი იგრძნო.

– როგორა ხარ, დათუნი?

და სხეულში უმალ სიმხურვალემ დაუარა, სიმხურვალე თავში ავარდა, შეუცნობ, გლუვ მასად იქცა და უცნაურად მირბოდა ძარღვებში, თითქოს თავის დაღწევას, სადღაც გაქცევას ლამობდა.

– როგორა ხარ, დათუნი?

– როგორა ხარ, დათუნი?

ეჩვენებოდა, რომ თავში რკინა რკინას ეხეთქებოდა.

– დათუნი, როგორა ხარ-მეთქი! – რამდენი სითბო იყო ლალის ამ შეკითხვაში, ალერსიც. ალერსი ბეჭებზე ხელის მოსმაშიც იგრძნობოდა.

ამან თუ მოატრიალა დათო.

ლალი! როგორ გამოცვლილა. რა ლამაზია!

ცხადია, ამ წუთში მას არ შეეძლო ეფიქრა, იმაზე თუ რაოდენ ბედნიერს ჰყოფს ქალს უზრუნველი ცხოვრება. მან არც იცოდა: ლალის დღეს ყველაფერი ჰქონდა და შემზარავ, შორეულ წარსულად მიაჩნდა ის დრო, როცა დათოსთან ცხოვრობდა – მაშინ იგი ხელფასიდან ხელფასამდე, დაკვეთიდან დაკვეთამდე ოცნებაში ატარებდა დროს, ოცნებობდა, ოცნებობდა, მაგრამ დრო გადიოდა და შეუჭირვებელი ცხოვრება მაინც მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა.

დღეს კი...

დათო მონუსხულივით შესცქეროდა ლალის. ხმა ვერ ამოეღო. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა ამ მომხიბლავი, თავის მშვენიერებაში დარწმუნებული ქალისათვის. არც ის დაუნახავს, თუ ვინ იდგა ლალის გვერდით. ეს მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, როცა იმ კაცმა, „ფირმამ“, ღიმილით თქვა:

– გამარჯობა, დათო! – თქვა და ხელი გაუწოდა.

თავში რკინის ცემაც შეწყდა, სიმხურვალეც სადღაც გაქრა. „ფირმის“ გამოწვდილ ხელს დახედა და /ხელსაც კი მიწვდის ჩამოსართმევად!/... ჯერ სახეში ჩაჰკრა მუშტი, მერე მუხლი ლაჯებში ამოარტყა. „ფირმა“ წელში მოიხარა, მერე ასფალტზე ჩაიჩოქა.

დათო აღარ განძრეულა. ძალიან მშვიდად, ეგონებ, პირზე ღიმმორეულიც კი შესცქეროდა, როგორ იგრიხებოდა დაჩოქილი „ფირმა“. მერე ფერწასულ ლალის მიუბრუნდა, ზიზღით მიაცქერდა და... არა, არაფერი უთქვამს, უხმოდ წავიდა – აუჩქარებელი, ნელი ნაბიჯებით დაუყვა დაღმართს.

საღამოვდებოდა.

პალტოს საყელო აიწია და მტკვრის სანაპიროს გაუყვა. მღვრიე შძინარის მედაპირზე ნეკერჩხლის ფოთლები ტივტივებდა, წყალში ხის ტოტი ამოშვერილიყო და ზედ წამოდებული შავი ქსოვილი წყალზე ფარფატებდა.

კარგა ხანს უყურა მოლივლივე ფოთლებს, ჯოხს გამოდებულ ქსოვილს.

მდინარე ერთი წამითაც არ ყოვნდებოდა, მიედინებოდა და მიედინებოდა.

ალბათ, ასევე მიედინებოდა იგი ვახტანგ გორგასლის დროს, თამარ მეფის დროს, ალბათ, ასევე ხტოდნენ ტალღები გიორგი საააკაძის დროს, ალბათ, ნიკოლოზ ბარათაშვილიც ასეთ ტალღებს დასჩერებოდა.

მტკვრის მარადიულმა მდინარებამ, ამ სახელების, ამ ადამიანების გახსენებამ დათოს საკუთარი უმწეობა აგრძნობინა. ათი-თხუთმეტი წუთის წინ მომხდარი ამბავი გაახსენდა, თვალწინ დაუდგა ასფალტზე ჩაჩოქილი „ფირმა“ და სახეზე ალმური მოედო.

ორიოდ ნაბიჯი გადადგა. თითქოს, თუ ამ ადგილს გაეცლებოდა, რაიმე შეიცვლებოდა. არა, ცხადია, არაფერი შეცვლილა!

გზა განაგრძო, სიონის ეკლესიასთან მარჯვნივ შეუხვია. ხმელი, სიყვითლემორეული ფოთლები კვლავ ხრაშუნებდა მის ფეხქვეშ. ქარმა წამოუბერა და ხმელი ფოთლები პალტოზე შემოეფინა.

ადრე ხშირად დადიოდა თბილისის ძველ უბანში. ქალაქის ამ ნაწილის რესტავრაციაზე მეგობარი არქიტექტორი მუშაობდა. ერთად დაეხეტებოდნენ ვიწრო და ძაღლის კუდივით მოკლე შუკებში.

სიონის ტაძარს გასცდა, პაწია, ვიწრო ქუჩაზე გავიდა და, თითქოს გაზაფხულის პირმშვენიერი მზე ამოვიდა – ეს სახლი – ქორწინების სასახლე ხომ სწორედ დათოს პროექტით აიგო. ამ მოულოდნელმა შეხვედრამ სიხარულით აავსო – თითქოს ტყეში გზააბნეული, დაკარგული შვილი იპოვაო. სამჯერ ირგვლივ შემოუარა სახლს, ისე ეცნობოდა, ისე ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავდა; როგორ იფიქრებდა, თუ მისი პროექტით აშენებული ქორწინების სახლის ნახვა ასე გაახარებდა. აი, რა ბედნიერი ყოფილა თურმე! მთავარი არ სცოდნია, არ სცოდნია, რაოდენ სავსე დღეები ჰქონდა. ის დრო, როცა ასეთ პროექტებს ქმნიდა, ისე შორეულად, იმდენად მიუწვდომლად ეჩვენა, რომ კვლავ სევდა დაეუფლა.

– ახლა? დღეს? ახლა რას ვაკეთებ? დღეს რიღასთვის ვარსებობ? მაშინ ქვეყანას ვჭიროდი, დღეს?

– რა მოხდა? რა ხანია, აქეთ არ მინახიხარ! – ვიღაცამ მხარზე დაჰკრა ხელი, – ბეით-ქნესეთში* მოდიხარ? – მიიხედა. სოსო იყო. არაფ-

- - - - -

* ბეით-ქნესეთი (ებრ) – სინაგოგა, სამლოცველო.

ერი უპასუხა, გაუღიმა და მიხვდა, რომ სინაგოგასთან მოსულიყო - რა ნელა მოდიხარ, დაგვიანდა, სადაცაა ლოცვა დაიწყება! - და სოსომ ნაბიჯს აუჩქარა.

- ახლავე, მოვდივარ, კი... - დაბნეულად დააწია სიტყვა დათომ.

სინაგოგა, ანუ ბეით-ქნესეთი, როგორც ებრაელები ეძახიან - სახლი შეკრებისა. რა ხანია აქ არ ყოფილა!

რატომ? - ჰკითხა უხილავმა ხმამ. გული იმანაც დასწყვიტა, კითხვას პასუხი რომ ვერ გასცა.

ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით უახლოვდებოდა ბეით-ქნესეთს. კიბეს რომ აუყვა, გარემო ისევ გააყრუა აფეთქების ხმამ. პირველ აფეთქებას მეორე მოჰყვა, მეორეს კი ავტომატის ჯერი. დათოს სმენას ქალების წივილი მისწვდა. შეჩერდა. იქით შეტრიალდა, საიდანაც აფეთქების ხმა მოდიოდა. ერთხანს აყურადებდა, მერე მობრუნდა და ბეით-ქნესეთში შევიდა.

იქ შესვლისთანავე მიხვდა, რომ სხვა სამყაროში შედგა ფეხი. სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ შემოვიდა ბეით-ქნესეთში და ეჩვენება, რომ წუთები კი არა, საუკუნე აშორებს იქ, გარეთ, ქალაქში ნანახსა და გაგონილს. ადამიანებს სახეზე სიმშვიდე აღბეჭდვოდათ, ესენი, თითქოს ჩვენი, ადამიანის მტანჯავი, დროის შვილები არ იყვნენ და აქ, ამ შენობაში ადრეული საუკუნეებიდან შემთხვევით მოხვედრილიყვნენ. დათო ერთმანეთს ვერაფრით უკავშირებდა იმას, რაც ქალაქში ხდებოდა, და რასაც აქ, სალოცავში ხედავდა. აქ წლებს არაფერი შეეცვალა. კვლავ მშვიდად, უხმაუროდ ინავლებოდა სანთლები, კედლებზე ძველებურად ეკიდა ვიღაცის ალერსიანი ხელით გადმოწერილი ლოცვანთა სტრიქონები, ციტატები ბიბლიიდან, ცენტრალურ ადგილას კი - მოსეს ათი მცნება. ხახამი ისე ლოცულობდა, როგორც ბავშვობაში მოუსმენია, მლოცველნიც კვლავ ადრინდელივით შეჰღაღადებდნენ ღმერთს - ინტონაციაშიც არაფერი შეცვლილა. რაოდენ ნაცნობი იყო ყველაფერი: ნაცნობი და შორეულად ძვეული!

- ესენი ისევ იმ ჭკუაზე არიან! - გაიფიქრა და უმალ მიხვდა - ახლა მასში ლევანდელობის ათეიზმით დაავადებული შვილი ლაპარაკობდა, თორემ როდის იყო, ებრაელების რწმენა დროს მორჩილებდა. დათომ იცოდა: ებრაელებს რწმენას წლები კი არა, საუკუნეები ვერ უცვლიან. ისინი ამ ათი თხუთმეტი წლის წინათაც იმავე რწმენით ცხოვრობდნენ, რომლითაც ათითხუთმეტი საუკუნის წინათ და, თუ რამ იცვლება მათში, ეს მხოლოდ გარეგნულად, დროისა და გარემოს შესაბამისად, არსი კი უცვლელია - დაბეჯითებით, მუყაითად მიჰყვებიან წინაპართა გზას, ემსახურებიან სამყაროს შემოქმედს.

დათომ კარგად იცოდა ყველაფერი ეს, მაგრამ დღეს მაინც სულ სხვა სურათს მოელოდა - მის მშობლიურ ქალაქში ისე შეიცვალა ყოფა, ისე შეიცვალნენ ადამიანები, ძნელად წარმოედგინა, რომ ამავე ქალაქში, თუნდაც ბეით-ქნესეთში, ყველაფერი ისევე იქნებოდა, როგორც ადრე - აქ, დრო შეჩერებულიყო. დროს ჯიუტად არ მოუცვლია ფეხი ადგილიდან, თითქოს კედელზე ჩამოკიდებული ბიბლიის ციტატები, ლოცვანთა ტექსტები დღეს, მეოცე საუკუნის დასასრულს კი არ გადმოეწერა ვიღაცის მზრუნველ ხელს, უხსოვარი დროიდან ეკიდა აქ.

მლოცველებს გადახედა. ეს ადამიანები, ღვთისადმი ლოცვას რომ აღავლენდნენ, სწორედ ღვთის მცნებათა აღსრულებით იყვნენ ბედნიერნი. ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ ესენი მარადიულობას მსახურებენ, ამდენად მარადიულობის შვილები არიან, - გაივლო გულში. - აი, ის გაუპარსავი, წელში მოხრილი კაცი, ისიც - ლაბადაჩახსნილი რომ დგას, ისეთივე ებრაელია, როგორიც ისინი, სინაის მთის ძირას რომ იდგნენ და მოსეს ხელით ღვთისეულ მცნებებს ღებულობდნენ.

დათომ გონება დაძაბა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა თუ სად წაუკითხავს: ღვთისეული ათი მცნება მხოლოდ იმ ებრაელებს კი არ მიუღიათ, რომლებიც სინაის მთის ძირში შეიკრიბნენ, არამედ იმათაც, ვინც მანამდე გაჩნდა ცისქვეშეთში და იმათაც ისევე ეკუთვნით, ვინც საუკუნეების შემდეგ მოევლინება ქვეყნიერებასაო.

- გამოდის, რომ ჩვენი დროით კი არ უნდა ვიცხოვროთ, ყოველ დროში ერთი და იგივე საქმე უნდა ვაკეთოთ - ღმერთს უნდა ვემსახუროთ, - ამ აზრმა ლამის გააოგნა. - კი, მაგრამ ეს როგორ... მე... - ისე მიმოიხედა, თითქოს მშველელს, შემწეს, გამამხნევებელს ეძებდა. ირგვლივ მდგომი ადამიანები კი ლოცვით იყვნენ გართულნი. დათოს არსებობა არავის აინტერესებდა.

ამბიონზე მდგარი მლოცველი ხახამის მყიფე ხმა ყურს ჭრიდა. ეს კაცი - ხახამი - სულაც არ ჰგავდა სასულიერო პირს. ქუჩაში რომ შეგხვედროდათ, ათასი გამვლელისაგან ვერ გამოარჩევდით - ვერც იერით მიამსგავსებდით ღვთის მსახურს, ვერც ჩაცმულობით. აი, ყასაბს კი წააგავდა. ბაზარში უნახავს მსგავსი ყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხები. მისი მჟიფე ხმა დარბაზს უსიამოდ ედებოდა. დათოს ხახამ აბრამი მოაგონდა – სწორედ ის ასწავლიდა ებრაულს, იმ წლებში სწორედ ის იდგა ამბიონზე – ის ლოცულობდა.

– აი, ვინ იყო ნამდვილი მგალობელი! – გაიფიქრა დათომ, – ნეტავ, სად არის? – მიმოიხედა, ხახამ აბრამს ვერავინ მიამსგავსა, – რამდენი წელია, არ მინახავს – იქნებ, ისრაელს გადავიდა?

დათომ მზერა კედელზე ჩამოკიდებულ ლოცვანთა ტექსტზე გადაიტანა. ათი მცნება აუჩქარებლად ჩაიკითხა. ახლაღა აღმოაჩინა, რომ ეს მცნებანი ერთობ ლაკონიური იყო – თითო-ოროლა სიტყვისაგან შედგებოდა.

– არა კაც ჰკლა! – ებრაულად წაიკითხა და პირზე მწარე ღიმილმა გადაუარა. – დღეს მის ქალაქში რა უაზრო იყო ეს აკრძალვა.

– ახლა რომ კაცი პროსპექტზე გავიდეს და ორივე მხარეს მებრძოლებს ჰკითხოს, კაენზე რას იტყვი, როგორი ადამიანი იყოო, დაუბლვერენ: ეს რა საკითხავია, კაენმა ხომ ძმა მოკლაო. თავად რომ ერთმანეთს ხოცავენ... ცალი ხელით პირჯვარს იწერენ, ცალი ხელი კი ავტომატზე უდევთ. არიქა, წამით არ დამიგვიანდეს გასროლა და იმ დემოკრატის ან პრეზიდენტის მომხრის მოკვლაო, – ამ ფიქრმა დათოს გუნება გაუფუჭა.

– თუ ებრაელისათვის ღვთისმსახურებაა მთავარი და ღმერთმა ამისთვის ამოგვირჩია, მე... მე რომ... მე რას ვაკეთებ? რისთვის ვარსებობ? და, საერთოდ, რისთვის ჩნდება ადამიანი ქვეყნად?

ახლა, ამ წუთში დათომ არ იცოდა, რომ ეს ფიქრი, რომელიც ასე მოულოდნელად ეწვია, სხვათა შორის მოსული სტუმარი არ იყო. ამდენი არც დასცალდა, რადგან ვიღაცამ მხარზე გადახვია ხელი და სიხარულით უთხრა:

– ღმერთმა ბედნიერი ქნას ლოცვაზე შენი გამოჩენა! – დათო მობრუნდა.

ის კაცი ღიმილით მისჩერებოდა – ვერ მიცანი, ხომ?

– ხახამ აბრამ! – სახე გაუცისკროვნდა დათოს და მოხუცს ხელი მოჰხვია. – როგორა ხართ, რას შვრებით?!

– გამჩენის ნება-სურვილით კიდევ მიდგას სული, მაგრამ... – მოხუცმა შუბლი შეიკრა, დათოს ჯიქურ შეხედა. – ასე როგორ იქნება! ლოცვაზე აღარ დადიხარ, ჩვენ გამჩენმა იმიტომ კი არ ამოგვირჩია, რომ ყველაზე ლამაზები ვიყავით, უნდა ვემსახუროთ, ყოველდღე უნდა ვემსახუროთ...

– რა ვქნა, ხახამ აბრამ.. ხომ იცი...

– ვიცი, ვიცი, ბევრი კარგი რამ მსმენია შენზე, – შეყოვნდა, თვალებში სიხარულის შუქი ჩაუდგა. – წამოდი, ერთი, შენ ჩემთან... ისეთი რამ გაჩვენო... – სიტყვა აღარ დაამთავრა, გასასვლელისაკენ გაემართა.

აბრამი ბეით-ქნესეთის ეზოში გავიდა, მარჯვენივ მოუხვია და ხის განიერი კარი შეაღო. ოთახი ნახატებით იყო მოფენილი. ცენტრში ერთი დიდი ნახატი ეკიდა: „ებრაელთა განდევნა ესპანეთიდან“. დათოს არაერთხელ ენახა ეს ტილო, მაგრამ დღემდე ვერ გაეცნობიერებინა – არ უყვარდა იგი თუ არ მოსწონდა? ახლა, როგორც კი დაინახა, მიხვდა – აღიზიანებდა. აღიზიანებდა იმის გამო, რომ დამცირებულ, პატივაყრილ ებრაელებს ხედავდა.

– აბა, თუ იცი, ეს კაცი ვინ არის? – აბრამმა მომცრო ნახატზე მიუთითა.

კედელზე უბრალო ჩარჩოში ჩასმული ნახატი ეკიდა. დათოს ძლიერი ნებისყოფის კაცი შემოსცქეროდა. ამ კაცის მზერაში ბრძოლის ჟინი და შეუპოვრობა იკითხებოდა. შავ წვერში აქა-იქ ჭაღარა ერია. ეს კიდევ უფრო ძლიერი ადამიანის იერს აძლევდა.

– შენ უნდა იცნო ეს კაცი. მართალია, არასოდეს გინახავს, მაგრამ უნდა იცნო.

დათო ისევ ნახატს მიუტრიალდა და თითქმის თავისთვის, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– რაბი აბესალომი?.. – აბრამმა რომ არაფერი მიუგო, პაუზის შემდეგ დასძინა, – მე კი სულ სხვაგვარი წარმომედგინა.

აბრამი – ერთ დროს რაბი აბესალომის მოწაფე – იმდენს უამბობდა ხოლმე თავის მასწავლებელზე, დათოს ეგონა, ქუჩაში რომ შემხვდეს, ვიცნობო.

– ასეთი იყო თუ... – აბრამს მიუბრუნდა დათო.

– როგორ გითხრა. ჰგავს კიდეც, მაგრამ... აქ ძალიან ინტელიგენტი კაცია, სინამდვილეში მებრძოლი იყო...

ოთახში აფეთქების ხმამ შემოაღწია. კედლებზე ჩამოკიდებული ნახატები შეირხა, ის დიდი, მძიმე ჩარჩოში ჩასმული „ებრაელთა განდევნა ესპანეთიდან“ გვერდით ნახატს მიეხალა.

– ხახამ აბრამ, მითხარი – რატომ, რისთვის არ უყვარდათ ეს კაცი?

– შენ ეს საიდან იცი?! მე ეს შენთვის არ მითქვამს! – წამოიძახა შეშფოთებულმა აბრამმა, მაგრამ დათომ იგრძნო, რომ მის ხმას ძალა აკლდა.

# აბესალომი

დარწმუნებული იყო – მტკიცედ სჯეროდა: ადამიანმა ყოველი უსიამოვნების თუ უბედურების მიზეზი თავის თავში უნდა ეძიოს, ამიტომ რაც უნდა მომხდარიყო, რა ხიფათიც უნდა გარდახდენოდა თავს, რაოდენ მზაკვრულადაც უნდა მოქცეოდნენ ადამიანები, მიზეზს საკუთარ თავში ეძებდა.

ერთ კვირაზე მეტია სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. სამი დღე ფიქრის თავი არ ჰქონდა. გახევებული, საკუთარ სხეულსაც ვერ გრძნობდა. მეოთხე დღეს მიხვდა, ღმერთმა ფიქრის უნარი განმიახლაო. მას შემდეგ საკუთარ თავში დაეძებს იმის მიზეზს, რაც მოხდა.

გამორჩეული, სხვა დილათაგან განსხვავებული არც ეს დილა ყოფილა. დერეფანში ვედრო გაბრახუნდა /დერეფანში ატეხილი ჩოჩქოლით ხვდებოდა, რომ გათენდა, თორემ სიკვდილმისჯილთა საკანში ვერაფრით გაიგებდი, დღე იყო თუ ღამე/ და ძილ-ღვიძილიდან გამოერკვა. ნარზე წამოჯდა და საკანს აუჩქარებლად მოავლო თვალი. კითხვა, რომელიც ამ დღეებში თავს დასტრიალებდა, კვლავ პასუხს მოითხოვდა.

– რატომ, რისთვის უნდა დაესაჯე მე ღმერთს ასე?!

კაცი რომ ამ შეკითხვას თავს დაუსვამს, წარსულსაც გადაავლებს თვალს, ცდილობს, თავისი ცხოვრებით გასცეს პასუხი შეკითხვას. აბესალომიც ასე ირჯებოდა. ცდილობდა, წარსულისათვის გადაევლო თვალი, მაგრამ წარსულის სურათები იმდენად ფრაგმენტული და აბურდული იყო, საკუთარ თავს ვერა და ვერ ხედავდა იქ.

– რას იტყვით, ბატონო აბესალომ, როგორ გითქვამთ გული – დიმიტრი უკვე ფეხზე იდგა. – აი, წუხანდელი ღამეც ჩვენს სიცოცხლეს მიემატა. დადგა ახალი დღე – 1937 წლის აპრილის... ნეტავი, რომელია დღეს? რვა? ცხრა? იქნება ათი? გაგვიყვანენ დღეს?

აბესალომმა ამოიოხრა. ეს იყო მისი პასუხი.

სასამართლომ ხომ დახვრეტა გადაუწყვიტა, დიმიტრიც ყოველ დილას ჯალათებს დასცინოდა: ბუასილი თუ აწუხებთ, ექიმებთან დარბიან, მოირჩენენ და თითო ტყვიას არ დაგვამადლიან, ბოლშევიკური სინდისი არ მისცემთ ამის უფლებასო, მაგრამ აბესალომს მტკიცედ სჯეროდა, რომ არ დახვრეტდნენ – სიცოცხლისა სწამდა. განსჯის უნარი რომ დაუბრუნდა, იქვე უთხრა თავს: დახვრეტა მომისაჯეს, არ დამხვრეტენ, ცოცხალი დავრჩები, შეუძლებელია, დამხვრიტონ, მაგრამ რატომ, რისთვის მოვედი ამ დღემდეო.

ამიტომ იმაზე სულაც აღარ ფიქრობდა, დამხვრეტენ თუ არაო, ეწადა, იმას ჩამხვდარიყო თუ რამ მოახვედრა სიკვდილმისჯილთა საკანში. თუმცა, ვერ იქნა და ფიქრი ბოლომდე ვერ მიიყვანა.

– აბა, ერთი შევხედოთ, ვინ არის ამ საკანში, ვინ ელოდება დახვრეტას, რომელია ამათგან რაშაყი?*

ირაკლი – ერთ დროს ბრგე, ახოვანი, დღეს კი წელში მოხრილი, ჭაღარა კომპოზიტორი. სამი კვირაა ამ საკანშია. ჯერ ის მოიყვანეს, მერე დიმიტრი, სულ ბოლოს – აბესალომი. ეს უსიტყვო, უხმო კაცი ისე ხვრინავს, ქვეყნის დამაქცევარი ეგონება ადამიანს, მაგრამ ხვრინვისთვის დახვრეტას ვინ მიუსჯიდა! აბესალომი კარგა ხანია ირაკლის იცნობს და ისიც იცის, ხალხის რა მტერიც არის. გუშინწინ კი გოგია „ნადზირატელმა“ ისეთი პანღური ამოარტყა კომპოზიტორს, აბესალომს ლამის ცრემლი მოერია.

ირაკლის ხმა არ ამოუღია. თავჩაქინდრული დაჯდა ნარზე.

– აჰა, აბა, ადამიანი საცოდავი არ არისო?! თუ კაცი ძლიერია, გამჩენით არი თუ არადა... ამ კაცის სიმღერებს საქართველო მღერის. გოგია „ნადზირატელი“ კი პანღურს ურტყამს.

მეორე სიკვდილმისჯილი ბატონი დიმიტრი ასლანიშვილია – ძველი რომის ისტორიის საუკეთესო მცოდნე, პროფესორი. რომის ისტორიაში შეეშალა რამე და ამისთვის დააპატიმრეს? ეს ორი კაცი. მესამეც – მე. ჩვენ, სამივე ქვეყნიერებას უნდა გავეცალოთ, რომ სახელმწიფოს საქმე წინ წავიდეს. რატომ? რა დავაშავე იმით, რომ ებრაელობას ჩავეძახოდი, შენს ენაზე უნდა ისწავლო, შენი სამშობლოს ისტორია, გეოგრაფია, თორა უნდა იცოდე-მეთქი, მინდოდა, ხალხს თავისი თავი ეცნო; ვასწავლიდი, ხომ არაფერს ვართმევდი! ეს არ მოსწონდა მთავრობას? ვერ მოვზომე? უნდა მცოდნოდა, ვისთან მქონდა საქმე? – გაირინდა. თავისსავე შეკითხვას ვერარა პასუხი ვერ გასცა, – ჰო, იქნებ ასეც იყო, მაგრამ... არა... არა... სწავლაში მეტისმეტი არსებობს? შეიძლება, ადამიანს უთხრა სწავლა არ იქნებაო? დაჩაჩანაკდა ჩვენი ხალხი... მხოლოდ ლუკმაპურზე ფიქრობს, სხვა აღარაფერი უნდა. აღარც კი იცის, ლუკმაპურის, გაძღომის გარდა, კიდევ თუ არის რამე ამქვეყნად... უსწავლელობის

-----

*ცოდვილი, ბოროტმოქმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო ზერელედ კითხულობენ თორას, გამჩენის სამსახურიც ზერელეა... აღარც კი იციან, რას კითხულობენ, რისთვის. მე კი ჩავძახოდი: ისწავლე, ისწავლე, შენი თავი შეიცანი-მეთქი. რატომ უშლიდა ეს ხელს ბოლშევიკურ ხელისუფლებას... რა დავაშავე ასეთი, მეტისმეტი მომივიდა? მთავრობას არ გავუწიე ანგარიში?

კარგა ხანს უტრიალებდა ამ ფიქრს. პასუხი ვერა და ვერ იპოვა. ამიტომ გადაწყვიტა, პასუხის ძებნა ცოტა ხნით გადაედო - თითქოს დოქი გზისპირა მოლზე დადგა, ამოვიდეს და მერე გავაყოლებო ხელს. ფიქრს ვერ მოერია და მიტოვება განიზრახა, მაგრამ ფიქრი რითა ჰგავს მოლზე დადგმულ დოქს? - ცოტა ხანში კვლავ დაუკითხავად შემოუღო სულის კარი ფიქრმა. ხელების ცეცებით განაგრძო გზა.

- არა... არა... მე აქ არაფერ შუაში ვარ, არც ის, ებრაელი რომ ვარ... ასეთი აზრი იმას მოუვა თავში, ვინც არაფერი იცის. მე კი არ მსჯის გამჩენი, ამ დღეში იმიტომ კი არ ჩამაგდო ღმერთმა, რომ მე დავისაჯო, იმათ, იმათ აკეთებინებს ისეთ საქმეს, რომ... ხალხის ასეთ დღეში ჩამგდებს დასჯის ღმერთი. ცოდვილნი ციხეში კი არ არიან, ციხის გარეთ. ცოდვილთ ცოდვის გზით ატარებს ღმერთი.

აბესალომი ამ აზრმა გაახალისა კიდეც. ისე მხნედ იგრძნო თავი, ტანსაცმელი შეისწორა, თითქოს ჭაბუკი იყო და პაემანზე აგვიანდებოდა. ხელი გადაიბანა და ცისკრის ლოცვას შეუდგა.

- მადლობელი ვარ შენს წინაშე, მეუფევ უკვდავო და არსებულო, რამეთუ დააბრუნე ჩემს სხეულში ჩემი სული, - ხმადაბლა, თითქმის ბუტბუტით ლოცულობდა.

- კურთხეული ხარ, უფალო, ჩვენო ღმერთო, სამყაროს მეუფევ, პყრობილთა განმათავისუფლებელო.

ის-ის იყო, მომდევნო სტროფი უნდა დაეწყო, შედგა, შეყოვნდა: იმ დღიდან, რაც ცამეტი წლისა გახდა, ყოველ ცისმარე დღე ამ ლოცვანს კითხულობს; ეს სტროფი ასე არასოდეს მოხვედრია გულს. ამიტომ ხელახლა, მეტი სიდინჯითა და დაკვირვებით, თითქოს ყოველ სიტყვას მისხალ-მისხალ წონისო, წარმოთქვა:

- კურთხეული ხარ, უფალო, ჩვენო ღმერთო, სამყაროს მეუფევ, პყრობილთა განმათავისუფლებელო!

ეს სტროფი რომ გაიცნობიერა, ლოცვა მეტი ხალისით განაგრძო. ერთხელ კიდევ ირწმუნა, რომ მისი ბედი მოსამართლეთა და პროკურორთა ხელთ კი არ იყო, კვლავ ღვთის მხედველობის არეში რჩებოდა, ღმერთი კი არ მიატოვებსო მლოცველ კაცს.

აბესალომს ძალუძდა, არაფერი უშლიდა ხელს, მინდობოდა ღმერთს - პყრობილთა განმათავისუფლებელს და ეს ხვედრს უმსუბუქებდა.

გამხნევებულმა გადახედა დიმიტრის, გაუღიმა და ლოცვა განაგრძო. დიმიტრიმ კი ამოიოხრა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ილოცეთ, ბატონო აბესალომ, ილოცეთ! უბედურება ის არის, როცა კაცი ღვთის სახელს არ ახსენებს, თორემ...

აბესალომი არ გაეპასუხა, მშვიდად განაგრძობდა ლოცვას, მაგრამ შესაძლოა კი, მშვიდი იყოს სიკვდილმისჯილი კაცის ლოცვა? ფიქრს ვერ ერევა, ფიქრი სიმშვიდეზე უფრო ღონიერია, ფიქრი ჯაბნის სიმშვიდეს და ხმელ ფოთლებში მიმალული ნაპერწკალივით აალდება, მერე მოღონიერდება, ცეცხლად იქცევა. ახლაც ასე მოხდა - ფიქრმა ლოცვა შეაწყვეტინა. ფიქრი იმ ქვას დაემსგავსა, მეყსეულად ფეხს რომ წამოჰკრავენ ხოლმე.

- და მაინც... რაშაყნი მაგდებენ ასეთ დღეში თუ არა... ყველაფერი ხომ გამჩენის ხელთ არის... ესე იგი, რა გამოდის აქედან?

შეჩერდა, ლოცვა ვეღარ განაგრძო. უაზროდ ჩასჩერებოდა გადაშლილ ლოცვანს. ილაჯწართმეულმა კარგა ხნის შემდეგ მოიკრიბა ძალა.

- დაე, იყოს ნება შენი, უფალო, ჩვენო ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთო, რომ გვიხსნა დღეს და მარად კადნიერთა და კადნიერებისგან, ბოროტი კაცის, ავზნე ქალის, ბოროტი წადილის, ავგული მეზობლის, ბედითი ხიფათის, ავთვალის, ენაბოროტის, ცრუმოწმეობის, ხალხთა სიძულვილის, ცილისწამების, უცნაური სიკვდილის, ბოროტეული სნეულების, ცუდი შემთხვევის, მძიმე მსჯავრის, მძიმე მოქიშპისგან... ლოცვა კვლავ შეწყვიტა. სიტყვამ შეაწყვეტინა ლოცვა.

- მძიმე მსჯავრი უკვე მაქვს. ახლა ის არის საკითხავი, რატომ, რისთვის მარგუნა ღმერთმა წილად ასეთი განსაცდელი. განა ღვთისმსახურება დამკლებია, ან ჩემი ხალხის სიკეთისათვის არ მიბრძოლია, ან...

ერის სამსახურზე არც უფიქრია. მოგვიანებით დრომ მოსთხოვა ეს მსხვერპლი. ისე დაუძახა, როგორც შვილს ეძახის ძალაგამოცლილი, დავაგლახებული მშობელი დედა. მაშინ თავადაც ვერ გაეცნობიერებინა, რას აკეთებდა, საით მიაბიჯებდა. - მერე, რამდენიმე წელი რომ გამოხდა, მიხვდა: სხვები თავიანთ ოჯახებს დასტრიალებდნენ თავს, თავად კი იმათ ღირსებაზე ზრუნავდა.

მაგრამ უკვე გვიან იყო. ვეღარაფერს შეც-

ვლიდა. არც უცდია. იმ ხნისანი კი, როდესაც სასწავლებლად გაემგზავრა, ერის სამსახურზე არ ფიქრობენ. არც იცოდა, ერს რომ შველა სჭიროდა. ან როგორღა ეცოდინებოდა - ერი კვნესოდა, სიღარიბის, უწიგნურობის მარწუხებში ოხრავდა, მაგრამ მშველელს მიწაზე არ ეძებდა - ღმერთმა ასეთი ყოფა გადაგვიწყვიტა, ასეთია ჩვენი სვე და, მიწიერი რას გააწყობსო.

მაშინ, იმ წლებში, საქართველოს ერთი პატარა დაბიდან რუსეთს სასწავლებლად რომ მიეშურებოდა, ცხადია, არც ის იცოდა თუ რისთვის ჩნდება ადამიანი ქვეყნად. სამაგიეროდ, ის იცოდა, რატომ, რისთვის მიდიოდა ასეთ შორეულ მხარეს - ღვთისმსახურება უნდა შეესწავლა. ჯერ კიდევ ბავშვი ეთქმოდა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, თავის თავში ღვთისმსახური დაენახა. ეს იმიტომ, რომ თხემით-ტერფამდე ებრაელი იყო. ღვთისმსახურად არა ერთხელ წარმოედგინა თავი და ისე მოსწონდა ის, რასაც წარმოსახვაში ხედავდა, ამ მიზანზე ვერც უცნობი, შორეული გზა ათქმევინებდა უარს და ვერც მშობლებთან, ნათესავებთან განშორება. მოწოდებაზე ფიქრი სულიერ შვებას, სიხარულსაც კი ჰგვრიდა, იმ წუთებში ასე ეჩვენებოდა, სულში ღვთის შუქი ჩამიდგაო და უბედნიერეს კაცად იგულვებდა თავს. ვერც თვითონ და ვერც, ცხადია, სხვა ვერ გეტყოდა რატომ იყო ასე. იქნებ იმიტომ, რომ იოსები - მოალერსე მამა სამი-ოთხი წლიდან ამ სულისკვეთებით ზრდიდა? ან იქნებ თანახმა* ჩააგონა? იქნებ ეს მოწოდება მის სულში სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა კავკასიონის მისადგომებთან გაფენილ სოფელში, თბილი მზის ქვეშ ან საღამოობით - მოლაპლაპე კვარის შუქზე თანახის ცალკეულ თავებს კითხულობდა? ძველ გამოცემებს ისე ათვალიერებდა, როგორც მწყურვალი ეწაფება წყალს. ადრეულ ასაკში ნება-ნება ათვალიერებდა, მერე კითხულობდა, მოგვიანებით, რვა-ათი წლისა, სწავლობდა. ამ წიგნების დორესეულ ილუსტრაციებში ღვთიური სხივით გაბრწყინებულ ადამიანებს ხედავდა - ადამიანებსა და პეიზაჟებს. არც მისი მშობლიური კუთხის - მთის ფერდობზე შეფენილი სოფლის პეიზაჟი იყო უსახური, მისი შემხედვარე ირწმუნებდი, ყველაფერში, რაც ცისქვეშეთშია, ღვთის ხელი ურევია, ყველაფერს ღვთის თვალი დასტრიალებსო, მაგრამ იქ, იმ წიგნებში სულ სხვა იყო - იმ წიგნებში ნანახი ადამიანები და პეიზაჟები წარუშლელად აღიბეჭდა ყმაწვილის გონებაში. მანამ, სანამ მაქაბელების ცხოვრებას გაეცნობოდა, ეს სურათები უსხივოსნებდა სულს. მოგვიანებით მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა მაქაბელების გმირული ბრძოლა ასიმილატორთა წინააღმდეგ. მაქაბელების ცხოვრებამ, ბრძოლამ ასწავლა: ძლიერი მხოლოდ ის არის, ვისაც ღვთისმსახურება გაუხდია ცხოვრების მიზნად, ღვთისმსახურება კი მოძალადისაგან დაცვასაც დაისაჭიროებს ხოლმე. რამდენჯერ ყოფილა ასეთი სურათის შემყურე: თეთრწვერა მათათიაჰუ კი არ უყრიდა გულში ხანჯალს მტერს, თვითონ მიეჭრებოდა ღვთისმგმობელსა და ებრაელთა რჯულის აბუჩად ამგდებს. მათათიაჰუს ადგილზე ათასგზის წარმოუდგენია თავი და ყოველთვის დაუზოგავად გმირავდა რწმენა-განძარცულთ. ზოგჯერ კი იეჰუდა მაქაბელად გარდაისახებოდა, იუდეის კლდოვან მთებში მასავით დასდევდა ბერძენთა და სირიელთა რაზმებს, მოულოდნელად ესხმოდა თავს, სპობდა, დაუნდობლად ანადგურებდა ებრაელთა რჯულზე გამწყრალ მოძალადე ბერძნებსა და ელინიზაციის მოტრფიალე ებრაელებსაც. მერე რა, რომ ისინი ბევრნი იყვნენ - სამშობლოსა და რჯულის დამცველი ბევრი როდის ყოფილა! მომხდურია რიცხვმრავალი. ან იმ წვერცანცარა შაჰ-აბასის ჯარი იყო ცოტა? ბერძნებისა არ იყოს, მათი შუბები მზეს აბნელებდა, არა იუდეის - საქართველოს მზეს. რამდენჯერ დასდევნებია შაჰ-აბასის ჯარს, რამდენჯერ ჩაუცია ხანჯალი ჩალმიანი თათრისათვის!

ფეხშიშველა ბერძენიცა და ჩალმიანი თათარიც ნამდვილად იყვნენ ლახვრის ჩაცემის ღირსნი. ბერძნებმა ის არ იკმარეს, რომ იუდეა დაიპყრეს და მათი ჯარისკაცები უმოწყალოდ ჯიჯგნიდნენ ღვთის მიერ ებრაელთათვის ნაბოძებ მიწას, მოსეს მცნებების წაბილწვაც მოინდომეს - წინადაცვეთაზეც უნდა თქვათ უარი, შაბათზეც და ახალი მთვარის კურთხევაზეცო. არადა, სამივე ღვთის მიერ ბოძებული მცნება გახლდათ: წინადაცვეთა - ებრაელობის ღმერთთან კავშირის მარადიული ნიშანი. შაბათი კი... „გახსოვდეს შაბათი დღე, რათა წმინდაჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე მთელი შენი საქმენი. და მეშვიდე დღე უფლის, შენი ღვთის შაბათია“. და ამ ფეხშიშველა ბერძნებს ეწადათ, ებრაელებს უარი ეთქვათ ღვთის ნების აღსრულებაზე.

ახალი მთვარის კურთხევაზეც თქვით უარიო. ეს ხომ იმას ნიშნავდა, ებრაული კალენდარი, დროის ებრაული აღრიცხვა - კვირების, თვეების თანმიმდევრობა თვალსა და ხელს შუა შემოცლოდათ. ცხოვრების ებრაული წესი

- - - - -

*ებრაელები ბიბლიას, ძველ აღთქმას თანახს უწოდებენ.

გაქრებოდა. ეს თავიანთ კუნთებზე მომმირალი ბერძნები ერის სულიერად დაცარიელებასაც ლამობდნენ. ამიტომაც დასდევდა მათ აბესალომი იუდეის კლდე-ღრეში.

– შეიძლება გამჩენის ბოძებული ადამიანმა წაგართვას? – იტყოდა ხოლმე მამა, როცა მაქაბელებზე უამბობდა აბესალომს – არა, არ შეიძლება. კიდევ რა უნდა ითქვას ბერძნებზე? თავს გავიდნენ და უნდა დასჯილიყვნენ. იეჰუდა მაქაბელისა და მისი რაზმის ხელით ღმერთი სჯიდა იმათ, ვინც ამქვეყნიური სიამოვნება მთავარ საქმედ მიიჩნია.

გამგზავრების წინა ღამე მთვარიანი იყო. მამა-შვილი აივანზე იჯდა. მთვარე ისეთი სხივით მოსავდა მათ აივანს, მიდამოს ისე აბრწყინებდა, სხვა რომ არაფერი დანიშნულება ჰქონოდა, მაინც დალოცავდით მის არსებობას.

– უკვე მეთხუთმეტე წელში გადადექი. დაგვიანდა კიდეც საკუთარი ცხოვრების დაწყება. მანამ, სანამ ცამეტი წელი შეგისრულდებოდა, შენს ყოველ საქციელზე მე ვაგებდი პასუხს. აწი თვითონა ხარ საკუთარი თავის პატრონი, მამა აუჩქარებლად ლაპარაკობდა. – მე ორ რამეს გეტყვი და, თუ დაიმახსოვრებ, მადლობელი ვიქნები. ეს სამყარო და თორა გამჩენმა ჩვენთვის, ადამიანებისთვის შექმნა. სულის ყველაზე დიდი სალბუნია ღვთის სამსახური. არც ქონება, არც ამქვეყნიური დიდება – ღვთის სამსახური! ეს ერთი. მეორე: გამჩენს სხვა ერებიც ადიდებენ. შენ კი არასოდეს დაგავიწყდეს, რომ ისრაელი ხარ. ვინ არის ისრაელი? ღვთისგან რჩეული ერი. მაგრამ რას ნიშნავს ეს რჩეულობა? ყველაზე უკეთესნი ვართ? არა. ჩვენ მოგვეცა თორა. უნდა ვემსახუროთ, უნდა ვადიდოთ მისი სახელი. სხვათაგან გამორჩეული კი არა, სხვებზე მეტად ვართ მოხვედრილი გამჩენის თვალში – ხედავს ჩვენს ნამოქმედარს. ეს კი...

მამა გაჩუმდა, ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა. აბესალომმა ვერ გაიგო, როგორ აფასებდა მამა იმას, რომ ღმერთი ებრაელთა ნამოქმედარს თვალს ადევნებდა. ეს მძიმე ტვირთი იყო? იოსები ტვირთის სიმძიმემ გააჩუმა?

– ერთი რამ კი სამუდამოდ დაიწერე, შვილო, გულის ფიცარზე – ხმადაბლა, კვლავ აუჩქარებლად ალაპარაკდა იოსები. – ისრაელები ლოცვას ვერ დაიწყებენ თუ ათი კაცი არ შეიკრიბა. ცხრა კაცი მეათეს ელოდება. ყოველთვის იგულისხმე, რომ მეათე კაცი სწორედ შენა ხარ და ცხრა კაცი გელოდება, ესე იგი, ყოველთვის სჭირდები ხალხს და იჩქარე მასთან მისვლა, – იოსები შეჩერდა. კარგა ხანს უხმოდ იჯდა. – შეგეკითხებიან, ალბათ, ვინა ხართ ეს ქართველი ებრაელები, რა ხალხი ხართო. ბევრს ნურაფერს იტყვი. არ არის საჭირო. ის თქვი მხოლოდ, რომ 25 საუკუნის წინათ მოვედით აქ ებრაელები. ხვალ-ზეგ მეოცე საუკუნე დაიწყება და ისევ ებრაელები ვართ. ეს არის და ეს! მეტი ლაპარაკი არ არის საჭირო. მიმხვედრი ისედაც მიხვდება.

მომდევნო დილას გაემგზავრა კიდეც- გამთენიის ხანს დატოვა სოფელი. ერთ მოგზაურ რაბის გააყოლეს. თავის დროზე ამასაც იმავე ქალაქის რელიგიური სასწავლებელი – იეშიბა დაუმთავრებია, რომელშიც აბესალომს უნდა ესწავლა. ეს რაბინი თურმე ერთხანს რუსეთის ქალაქებში ეწეოდა სასულიერო მოღვაწეობას და მრევლიც კმაყოფილი ჰყოლია, მაგრამ ოთხი-ხუთი წლის მერე სულ სხვა მიზანი გაჩენია – რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება უნდა შეესწავლოო. აგერ უკვე მეექვსე წელია, კავკასიის ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ებრაელთა შორის ცხოვრობდა, ნანახს დაწვრილებით აღწერდა – ეს ყველაფერი მომავალ თაობებს გამოადგებაო. საქართველოში თითქმის ორი წელი იცხოვრა. აქედან, აბესალომის სოფლიდან, ვლადიკავკაზის გავლით, კვლავ რუსეთს მიემგზავრებოდა, იმ ქალაქში აპირებდა შესვლას, სადაც აბესალომს უნდა ესწავლა. ვიდრე უკრაინაში წავალ, ჩემს რაბის უნდა შევხვდე, ყველაფერი უნდა ვუამბო. ორიოდ თვეს მასთან გავატარებ და ისევ გზას დავადგებიო, ამბობდა. გზის ამაზე უკეთეს მასწავლებელსა და პატრონს ვის იპოვნიდნენ! ის რაბინიც გახარებული იყო – ჩემს იეშიბაში ასეთი გონიერი ბიჭი მიმყავს სასწავლებლად, ქართველ ებრაელთაგან რუსეთის იეშიბაში ჯერ არავის უსწავლია, აბესალომის კვალს სხვებიც უნდა გამოჰყვნენო.

ორი თვე გზაზე იყვნენ. ორი თვე მიდიოდნენ რუსეთის იმ ქალაქისაკენ. რამდენი რამ ნახა აბესალომმა ამ ორი თვის განმავლობაში, რამდენნაირ ადამიანს გაეცნო. გაოცებას ვერ ფარავდა – რა სხვადასხვანაირი ვყოფილვართო. ადრე ყოველი ებრაელი ისეთი ეგონა, როგორსაც თავის დაბაში ხვდებოდა. ესენი კი...

იეშიბაში ისეთ დროს ჩავიდნენ, რომ ჰაშანა* კარს იყო მომდგარი. არა მხოლოდ იეშიბა, მთელი ქალაქი ამ ებრაული ახალი წლისთვის – სულიერი განწმენდის, ცოდვათა მონანიებისათვის ემზადებოდა.

-----

*როშ ჰა-შანა (ებრ.) – ახალი წელი. სექტემბრის დამლევს, ზოგჯერ ოქტომბრის დამდეგს ემთხვევა.

დგებოდა ებრაული წელთაღრიცხვის 5657-ე წელიწადი.

იეშიბას მალე მიეჩვია. დღედაღამ თორა ეჭირა ხელში. ჯერ წინასწარმეტყველთა წიგნები იშიდავდა, მერე მსაჯულთა წიგნებს ჩაუჯდა.

რა ბედნიერი იყო, როგორი სავსე ცხოვრება ჰქონია!

ისიც კი არ უგრძვნია, უცხო ქალაქში, უცხო ადამიანებს შორის რომ იმყოფებოდა, რადგან ადამიანები კი არა, წიგნები გამხდარიყო მთავარი.

ქალაქის ებრაელთა ცხოვრებას მოგვიანებით გაეცნო. ნახა, როგორ უჭირდა ხალხს - ერთ ოთახში შვიდ-რვა, ზოგჯერ ათ კაცსაც ეძინა. რას არ აკეთებდნენ ებრაელები, რომ შიშველი, მშიერი შვილები შეემოსათ, მათთვის ლუკმა ეშოვათ. მთელ ქალაქში ერთი ისეთი ოჯახი არ იყო, ლაღი ცხოვრება ჰქონოდა. წელებზე ფეხს იდგამდნენ საბრალონი, შაბათს კი... შაბათს, მართალია, დაკერებულ-დაკემსილი, მაგრამ მაინც სუფთა ტანსაცმლით მიდიოდნენ სალოცავში.

ახალი მთვარე თორმეტჯერ გამოჩნდა ღრუბლებს შორის. ვერც კი გაიგო, სწავლა-ლოცვაში როგორ გაილია დრო.

შემოდგომის ერთ დღეს კი...

შემოდგომის ერთ დღეს სულ რაღაც რამდენიმე საათში მიხვდა იმას, რასაც, ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, ათი წელიწადიც ვერ ჩახვედროდა. ამ დღეს დარწმუნდა: ზოგიერთ ხალხში, ზოგ ქვეყანაში ებრაელობა მამაცობაა.

შაბათი დღე იდგა. სალოცავი ხალხით გავსებულიყო. სახეგაბრწყინებული ადამიანები ღმერთს ადიდებდნენ და ამით იყვნენ ბედნიერნი. რაბი ისაია მამა აბრაამის ცხოვრების იმ მონაკვეთს კითხულობდა, შვილის - ისააკის სიცოცხლე ღვთის ნებით, საკუთარი ხელით რომ უნდა მოესწრაფებინა. მორიას მთაზე მამა-შვილის მისვლას უცრემლოდ ვერც ერთი რაბინი ვერ კითხულობს. რაბი ისაია დღეს ლამის მოთქვამდა. მლოცველნი იმდენად გაეტაცნა აბრაამისა და ისააკის მოსალოდნელ ტრაგედიას, სინაგოგის გარშემო ატეხილი ხმაური ვერც გაიგონეს. მათ სმენას გვიან ჩასწვდა ქალების კივილი. რაბიმ თორის კითხვა შეწყვიტა, თვალებში შიშჩამდგარმა მიმოიხედა, რა ხდებაო. სალოცავში სწორედ ამ დროს შემოვარდა ვიღაც და იყვირა:

- თავს უშველეთ, დარბევა დაიწყო!

რაბი მყისვე ჩამოვიდა ამბიონიდან - ციციოთს* გზადაგზა იხსნიდა, რომელიღაც სკამზე დააგდო. თორებით გამოტენილ დიდ კარადას მიადგა. ამოდენა კარადა ერთობ იოლად ასწია, ლამის ხელში აიტაცა. შეტრიალდა და თავის მოწაფეებს მიაძახა:

- აბა, ჩემო მაქაბელებო!

ყმაწვილებმა რაბისთან მიირბინეს. რაბიმ ყოველ მათგანს კარადის უკან გადამალული მოზრდილი კეტები მიაწოდა - ბზისა იყო ეს კეტები, ბოლოში კომბალივით მომრგვალებული თავი ჰქონდა.

- გადით და დასცხეთ იმათ, ვისაც ჩვენი სისხლი სწყურია! - ეუბნებოდა რაბი ყველას, ვისაც კეტს აძლევდა.

კეტები რომ ჩამოარიგა, თავის აღსაზრდელებს წამოეწია და ამაყი, ჩქარი ნაბიჯებით გაუძღვა წინ. ქარი თეთრ წვერს უფრიალებდა და შავ, საშაბათო კოსტიუმზე ბამბასავით ჰფენდა.

იქ, ბეით-ქნესეთის წინა მოედანზე, ხელჩართული ბრძოლა იყო გაჩაღებული. დამარბეველთაგან ზოგს ქვა ეჭირა ხელში, ზოგს - კეტი. ორ-სამ კაცს ნაჯახიც კი მოემარჯვებინა. ებრაელები ამაოდ ლამობდნენ დამარბეველთა გუნდების შეკავებას - ისინი სალოცავისაკენ მოიწევდნენ და ამ საბრალო, სალოცავიდან გამოცვენილ ხალხს ისე დაუნდობლად ურტყამდნენ, რომ კვნესა, კივილი თანდათან მატულობდა. ებრაელთ მხოლოდ მას შემდეგ მოეცათ ძალა, რაბი და მისი თალმიდები** რომ დაინახეს. რაბიმ ისე მხნედ შესძახა: „სისხლი ვადინოთ ჩვენი სისხლის მოსურნეს!", რომ უიმედოს იმედს ჩაუსახავდა გულში, თავად კი დამარბეველთა რიგებში შეიჭრა, იმ კომბალსაც ისე დაუნდობლად იქნევდა, ვაი იმას, ვისაც მოხვდებოდა. აბესალომი გაოცებული შესცქეროდა რაბის - ახლა იგი სულაც არ ჰგავდა ადამიანს, რომელსაც დღეცა და ღამეც თორა ეჭირა ხელში; არ ჰგავდა კაცს, რომელიც ყოველ წუთს ღვთის მიერ ებრაელობისადმი ბოძებული მცნებების შესრულებაზე ზრუნავდა. ახლა იგი ბრძოლაში ჩაბმული მეომარი იყო.

- ძალის მოიმედე ხალხი, თუ სხვა საშუალება ვერ ნახე, ძალით უნდა დათრგუნო! - გაახსენდა აბესალომს მაქაბელების აჯანყებაზე საუბრისას რაბის ნათქვამი, - ბერძნები და მათი მიმდევარი ებრაელი ელინისტები ებრაულ სულიერ ცხოვრებას ებრძოდნენ, ამიტომ არ მოსწონდათ თორა, ადამიანი ფიზიკურ ძა-

- - - - -

* ციციოთი - ლოცვისას მოისხამენ ხოლმე, თეთრი ქსოვილი, ცისფერი ზოლებით.

** თალმიდები - მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას, ტანჯვას, სხეულის წვრთნას უნდა მისდევდეს. ღმერთს კი არა, საკუთარ თავს უნდა ემსახუროსო, ჩაგვძახოდნენ. ამიტომ ამხედრდა ხალხი - ძალით დაანგრია ის, რაც ძალით ინერგებოდა.

აბესალომმა ახლა მეტად ირწმუნა რაბის ნათქვამი, მაგრამ თვითონ რომ ასე უქმად იდგა? სალოცავიდან გამოსულსა და იმ სურათის დამნახავს მუხლებიც რომ აუკანკალდა? შიშმა დააძაბუნა, მაგრამ დაძაბუნება რა მოსატანია უმწეობის იმ გრძნობასთან შედარებით, მაძაბელების გახსენების შემდეგ რომ დაეუფლა. ყველაფერი ეს ერთობ სწრაფად მოხდა - წამების განმავლობაში და ეს წამები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სიძაბუნეს სულ დაერია ხელი. უკვე დაძაბუნებულს, მუხლაკანკალებულს ლამის თვალზე ცრემლიც კი მოადგა - უმწეობის ცრემლი. ვერ იქნა და ვერაფრით აღმართა ეს კომბალივით კეტი, ვერავის მოუქნია. რა იქნებოდა, თუნდაც ერთი დამარბეველი დაეგდო მიწაზე, თუნდაც ერთი მუშტი აერიდებინა საბრალო მოძმეებისათვის. ამ ყოფაში იყო, მოშეს - ბესარაბიელი, მასავით თალმიდი, ერთ ოთახში ეძინათ, საუზმესადილისას ერთ სუფრას უსხდნენ - განწირული ხმა რომ მოესმა:

- ავშალომ, ავშალომ!

მოშეს ორი დამარბეველი ურტყამდა. ერთი წელში სწვდა, მიწას დაანარცხა, შედ შედგა და თავისი მურდალი ფეხებით ისე უტკეპნიდა მკერდ-მუცელს, როგორც ყურძნის წურვისას იცოდნენ აბესალომის დაბაში.

ეს იყო და ეს.

ამ სურათის დანახვამ გაამაქაბელა აბესალომი. დამარბეველებისკენ გაქანდა, მოშეს მცემლები მოცელა. ორივემ მიწაზე მოადინა ზღართანი. ერთს, უცებ რომ წამოიჭრა ფეხზე, ისე ძლიერ ჩასცხო თავში კეტი, დარტყმის ხმა ყურში სწვდა - სულაც ცარიელი თუ ჰქონდა, ალბათ, თავი საბრალოს.

- სიძულვილი და სიბრაზე მონათა თვისებაა, ერთსაც მორიდე და მეორესაც, შვილო, კეთილ სამსახურს არც ერთი არ გაგიწევს, - ეუბნებოდა ხოლმე მამა და ახსოვდა კიდეც აბესალომს ეს სიტყვები, მაგრამ მაინც ვერ დაიოკა თავი. მით უმეტეს, რომ ძლიერ უნდოდა თავის სულიერ მოძღვარს - რაბის გვერდში ამოსდგომოდა. მოშესაც აღარ მოხედა - რაკი მისი მცემელები დარეტიანებულნი ეყარნენ მიწაზე, აწი თავად მიხედავსო თავს და რაბისკენ უტია. სწორედ იქით მიიკვლევდა გზას. ორსა თუ სამ დამარბეველს კიდევ დასცხო კეტი და მოძღვარს მიუახლოვდა.

აბესალომს რაბიმდე ვინ მიუშვებდა! მგლები მის გარშემო კბილების ღრჭიალით კრავდნენ წრეს. სწორედ მათ გადასწვდა, მათ დასცხო კეტი, მაგრამ ბევრი ვერაფერი მოასწრო, ორიოდ მგელს თუ ჩაულეწა კბილები. ეს იყო და ეს - თავში ისე ძლიერ ჩასცხეს, რაც მიწაზე დაცემის შემდეგ ურტყეს, არც გაუგია.

გონს რომ მოვიდა, მიხვდა, თავის ოთახში არ იწვა. ვიღაც დედაბერი სანთელს ანთებდა და „შავუა ტოვ", „შავუა ტოვ"* - ბუტბუტებდა, მერე აბესალომს მოუბრუნდა, შუბლზე სველი ტილო გადაუსვა და კვლავ ბუტბუტით თქვა:

- არ შეიძლება, არ იქნება, ღმერთმა არ დასაჯოს ესენი, - ისეთ უბედურებას მოუვლენს ამ ხალხსა და მეფეს, სულ ჩვენი სახელის ხსენებაში იქნებიან. ისრაელის მტერს სად გაუხარნია, რომ აქ გაიხაროს? მობრუნდი, კავკასიელო? აღარ წახვედი იმ ქვეყნად? არც გაგიშვებდი. იმ ქვეყნად ისინი წავიდნენ, ჩვენ ჯერ აქ უნდა ვიყოთ და ღმერთს უნდა ვემსახუროთ, დედაბერს უცებ სახე დაემანჭა, თვალზე ცრემლი მოადგა - იცი, ვინ გადასახლდა სამოთხეში, იცი ვინ მოგვიკლეს? მენახიკ ეფიმიჩი, ხომ იცნობდი მენახიკს? - აბესალომმა თავი გაიქნია, ტკივილი იგრძნო. „ესე იგი, კისერშიც ვარ დაჭრილი", - გაიფიქრა.

- აბა, მენახიკს არ იცნობდი? - არ ცხრებოდა დედაბერი, - მერძევე იყო. ყველი სულ მაგას დაჰქონდა, რა ბიჭი იყო, რა ცეკვა იცოდა, დაბერდა, მაგრამ მაინც ყოჩობდა!

აბესალომმა თვალები დახუჭა.

„ვინ არის ეს დედაბერი, სად მინახავს?" - ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით იგონებდა.

- დიდი ხნის ამბავს გიყვები. ესთერი [illegible]წია მყავდა და ავად გამიხდა. მენახიკისაგან რძე ვიყიდე. ბავშვს სჭიროდა, თორემ რომელი როტშილდი მე ვარ, რძე ვსვა. დღლილისას რძე აიჭრა, ცეცხლი წამეკიდა, მენახიკს ვეცი და ვეკითხები: „ხარ თუ არა შენ ისრაელი?" - ის კი უხმოდ მიღიმის და უბეში ჩამჩერებია, სულ ასე იცოდა, სულ ჩემს უბეზე ჰქონდა თვალი. მოსწონდა ალბათ. მე კი გაცეცხლებული ვუყვირი: „გამაგებინე, ხარ თუ არა შენ ებრაელი, ის წაჭრილი გაქვს თუ არა?" - მენახიკი მოიღუშა, თითქოს დანაღვლიანდა და, იცი, რას მეუბნება? არა, საიდან გეცოდინება, მენახიკმა რა მითხრა, შენ ამას ვერც მოიფიქრებ: „აბა, რა გიპასუხო, ჩემო რიბკა, როგორ გითხრა, მაქვს თუ არა წაჭრილი ის, რაც ყოველ ებრაელს უნდა ჰქონდეს წაჭრილი.

- - - - -

*შავუა ტოვ - ბედნიერი კვირა

იმდენი ხანია, ქალის ხელში არ დამინახავს, აღარც კი მახსოვს, არის წაჭრილი თუ არა, ერთად ხომ არ გვენახა?" - რა ენა ჰქონდა, რა ცეკვა იცოდა, რა სიმღერა!

დღეს კი ნაჯახით გაუპეს თავი.

აბესალომს კვლავ დაებინდა გონება.

ბარე ათი დღე იწვა. ამ ხნის განმავლობაში რა არ უამბო დედაბერმა. ლამის მთელი თავისი ცხოვრება დაუდო ხელისგულზე: ვინ უყვარდა და ვისზე გაათხოვეს. როგორ გამოეპარა ქმარს და მაინც იმისგან გაიჩინა ბავშვი, ვინც უყვარდა, მერე იმან, ვისგანაც ესთერი ჰყავდა, როგორ და რისთვის შეირთო თერძი იეხიელის ქალიშვილი - ერთი დაფეხვილი გოგო; ისე დადიოდა, გეგონებოდათ, სიარულს ახლა სწავლობსო, მაგრამ იეხიელს საკერავი მანქანა ედგა. „მე უბედურს თავის მოკვლა მინდოდა, გადამარჩინეს და კარგიც ქნეს - გრიშამ უჩემოდ მაინც ვერ გაძლო, ხუთ თვეში ისევ მე ჩამეხუტა".

მეათე დღეს დედაბერმა ჰკითხა:

- ახლა საით აპირებ წასვლას?

იეშიბაში, სხვაგან სად უნდა წავიდეო, მიუგო აბესალომმა.

დედაბერმა ზურგი აქცია და ყრუდ მიუგო:

- იეშიბა აღარ არსებობს. სულ დაიწვა.

* * *

იეშიბა აღარ იყო - მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩენილიყო. რაბიც, როგორც ჩანს, კარგა ხნით მიეჯაჭვა საწოლს. ამ ქალაქში ებრაული ცხოვრების აღორძინებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო იქ, სადაც ებრაული ცხოვრება შეუძლებელია, ებრაელები არ ჩერდებიან. ბევრი ამერიკისაკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგა, ზოგსაც ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რადგან ოკეანის გაღმა გასვლის ძალა არ ჰქონდა.

აბესალომი შინ, საქართველოში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ ერთ დღეს რაბიმ ხუთი მოწაფე იხმო თავისთან, სარეცელთან. დიდძალი სისხლის დაკარგვის გამო, საბრალოს სულ გამოლეოდა ძალა - თვალების გახელაც კი უჭირდა, უღონოდ ლაპარაკობდა.

- მაგათი მიზანიც ეგ იყო, რომ ჩვენ თორის შესწავლაზე უარი გვეთქვა... რა ვქნათ... ყველანი სახლებს მიუბრუნდებიან, თქვენ კი... - რაბიმ შეისვენა, სული მოითქვა, - თქვენ, ხუთივენი ძალიან ნიჭიერები ხართ... მე ამ ცოდვას ვერ ვიზამ... აი, აგერ თქვენი სამგზავრო ფული, აქვე წერილი ჩემს მეგობართან, ვარშავაში, - რაბის, როგორც ჩანს, კვლავ აუჩქარდა გულისცემა, კვლავ შეისვენა - თქვენ, ხუთივენი ვარშავაში უნდა წახვიდეთ, იქ ისწავლით.

## დათო

კომერციულ აფთიაქთან ლალისა და „ფირმასთან" შეხვედრის შემდეგ სიმშვიდე იგრძნო. ლალიზე ფიქრი სულს აღარ უშფოთებდა. თითქოს ხელის ორიოდე მოქნევამ და წიხლის ამორტყმამ ყველა იარა დააშუშა: ლალი ის წარსულია, რომელსაც არასოდეს მივუბრუნდებიო, ფიქრობდა. ამგვარი სიმშვიდე რამდენიმე დღე გაგრძელდა - ფიქრებში ლალი არსად ჩანდა, ლალი თითქოს აღარსად იყო, ახლა სულ სხვა რამ აწუხებდა, სულ სხვა ფიქრი გაუძლიერდა - ის, რომელიც ქალაქის ძველ უბანში სიარულისას ნანახმა ქორწინების სახლმა აღუძრა - რატომ, რისთვის ვარსებობ ქვეყნად, რას ვაკეთებ, რა დანიშნულება მაქვს ამ ცისქვეშეთში, მაგრამ იმასაც ხედებოდა რომ ამგვარი ფიქრის მიზეზიც ლალი იყო - ლალი და საქართველოში დაწყებული ნგრევა. იმასაც ხედებოდა: სწორედ ის სჭირდა, რაც ხშირად უსაქმოდ დარჩენილ ადამიანებს დამართნიათ. მით უმეტეს, თუ მეგობრის, მეუღლის ღალატი წაუჭერთ ყელში, მაგრამ ამის გაცნობიერება არაფერს აძლევდა; მისთვის ვერაფერი ნუგეში იყო ის, რომ სხვებსაც მოსვლიათ ასეთი რამ. ქუჩებში დადიოდა და ფიქრობდა: - რატომ, რისთვის ვარ, ნუთუ, ისღა დამრჩა ქვეყნად გასაკეთებელი, რომ „ფირმას" დამპალ ყვერებში წიხლები ვურტყა და ლალის გამო ვიტანჯო? ნუთუ, ეს არის ჩემი არსებობის გამართლება?!

ეს „ფირმა" ერთ დროს მისი ამხანაგი იყო - ზურიკო, ზურა. ამ ათი წლის წინათ წავიდა ისრაელში, იქიდან ვენაში გადასახლებულა, მერე თბილისში გამოჩნდა და ერთობლივი საწარმო შექმნა, ისე დადიოდა, თითქოს მთელი საქართველოს ბედი მასზე ეკიდა. გერმანიიდან „მერსედესი" ჩამოაყვანინა და ამის გამო „ფირმას" ეძახდნენ. უცხოეთის საელჩოების მოწყობილ დღესასწაულებზე უცილობლად გამოჩნდებოდა, მინისტრებსა თუ დეპარტამენტების ხელმძღვანელებს ხმადაბლა, საქმიანი ტონით, პაუზებით ელაპარაკებოდა იმაზე, თუ რა იხსნიდა დღევანდელ საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან. ისინიც ისეთი ყურადღებით უსმენდნენ, ისეთი მადლიერებით შესცქეროდნენ, თითქოს ეს ქვეყანა - საქართველო - დღეს გაჩნდა ქვეყანაზე, დღეს დაიწყო

არსებობა და, თუ „ფირმას“ რჩევა-დარიგებას არ გაიზიარებდნენ, არარა ეშველებოდა. ახლად მოვლენილ ჩინოსანთა უვიცობამ თუ უხერხემლობამ ეგ ჩვენი „ფირმა“ გვერდაუვლელ კაცად აქცია.

სახელოსნოს სადარბაზოსთან ნანას მოჰკრა თვალი. შედგა. მოიღუშა /თუმცა, მწარე ფიქრებში ჩაძირულს, რაღა მოღუშვა აკლდა/ იანვრის ცივ, ნაღვლისმომრევ მზეს მიაჩერდა.

– ვერ დამინახა. იქნებ წავიდე? ცოტა ხანს გავივლი, ნაომარ პროსპექტს კიდევ ერთხელ გადავხედავ და ესეც წავა, დაღამებამდე ხომ არ იქნება აქ, – გაიფიქრა, მაგრამ ნანას თეძოებს, სავსე მკერდს რომ შეავლო თვალი, სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა, უკან დაბრუნება გადაიფიქრა და გამართული, მხნე ნაბიჯებით გაემართა ქალისკენ. ისე მიდიოდა, თითქოს არანაირი დარდი არ დასტრიალებდა თავს.

ნანა მაღალი იყო, ისეთი უმეტყველო თვალები, სახის ისეთი მკვრივი ნაკვთები ჰქონდა, მამაკაცს სურვილს არ აღუძრავდა, მაგრამ ასეთი შეცდომა მხოლოდ იმ მამაკაცს მოუვიდოდა, რომელიც ერთხელაც არ წოლილა მასთან... ეს ყველაფერი ქალს ხომ ისედაც ეტყობა!

ნანა ორჯერ თუ სამჯერ ეწვია დათოს სახელოსნოში, ამიტომ კარგად იცნობდა მის სხეულს, მაგრამ ამ ბოლო დროს არა მხოლოდ ნანაზე, საერთოდ, ქალებზე ფიქრის თავიც არ ჰქონდა. რა ხანია, ქალი არც გახსენებია.

ნანა საყვედურით შეეგება: არ გახსოვარ, ერთხელაც არ დამირეკე, იქნებ, ამ ომში რა მომივიდაო. შენ რა უნდა მოგსვლოდა. შენთან ვის რა ხელი ჰქონდაო, – გაეღიმა დათოს და ლიფტისკენ გაუძღვა ქალს. დათო წინ მიდიოდა, ნანა კი შეუსვენებლად ლაპარაკობდა, ბოლო სართულზე ლიფტიდან გადმოვიდნენ და სახელოსნოსკენ გაემართნენ /სახელოსნო ჭერქვეშ იყო, ნანა კი ლაპარაკობდა: და ლაპარაკობდა: „ომის დღეებში, ჩვენს ქუჩაზე სამი სახლი დაიწვა, ამავე დღეებში ათამდე ლექსი დავწერე, ახლავე წაგიკითხავო.

დათო ფიქრობდა, ხომ არ შევცდი, რომ მოვბრუნდი, იქნებ მართლა წასვლა სჯობდაო. ამ ფიქრით შეაღო სახელოსნოს კარი. აქ დაგუბებული სითბო სახეში ეცა.

– თუ ფანჯარა არ გამოვაღეთ, დავიხუთებით –თქვა ნანამ და თავად მივიდა ფანჯარასთან, თავადვე გამოაღო. ნანა ორჯერ-სამჯერ იყო ნამყოფი ამ სახელოსნოში და თავი შინაურულად ეჭირა. ახლაც ფანჯარა გამოაღო თუ არა, სამზარეულო კუთხისაკენ გაეშურა და ყავადანი შეაერთა, მყისვე ყავის ჭურჭლის რეცხვას მიჰყო ხელი, თან ომის ამბებს ყვებოდა.

– ორჯერ ნაღდ სიკვდილს გადავრჩი, ორჯერ კიდევ – დამიჭირეს: მთავრობის სახლის სიახლოვეს რა გინდა, ალბათ, ტერორისტი ხარო. ერთმა ჯარისკაცმა მიცნო. თქვენ ხომ პოეტი ხართო. აზრზე ხარ? ტელევიზორში ვუნახივარ. ამაზე უფრო გაგიჟდნენ, პოეტები სანდონი არ არიან, ჩვენ გვებრძვიანო. მე კი ვუთხარი, თქვენც იდიოტები ხართ და ისინიც-მეთქი.

– „პოეტი! – გაიფიქრა დათომ. – როგორ გაიოლდა ყველაფერი“. უკვე ლოგინში შეწოლილიყო. ნანას ელოდა.

– ეს ქალი ან ლოგინში უნდა გყავდეს ოთხში მოქცეული, ან პირაკრული – გაიფიქრა და ნანას გასძახა, – მოდი ჩემთან!

ნანა, ცხადია, ტანის რხევით, მოალერსე მზერით მოუახლოვდა.

– რა გინდა?

„თუ არ ავდექი და გავხადე, შუაღამემდე არ გაიხდის“, – გაიფიქრა დათომ და საწოლიდან წამოიწია. ნანას კაბის გულისპირი გაუხსნა.

– რა გინდა, ბიჭო, რატომ ცელქობ? – ჩასჩურჩულა ნანამ და დათოს ყურის ბიბილო ტუჩებში მოიქცია.

– გაიხადე რა! – ჩურჩულითვე მიუგო დათომ და კაბის კალთა წამოუწია.

– მოიცა, მე თვითონ, – ნანამ კაბა გაიხადა, აზღუდიც ერთობ მოხერხებულად მოიხსნა და ორივე საწოლის თავზე გადადო.

„მართლა რა ლამაზი სხეული აქვს!“ – გაიფიქრა დათომ და ქალი თავისკენ მიიზიდა.

ნანა ლოგინში შეცურდა, დათოს ხელი მოხვია, მიეკრა და თქვა:

– არ არის ეს სირცხვილი?

– რა არის სირცხვილი?

– ებრაელი ქალი ასე რომ იხდის და სხვასთან რომ წვება, არ არის სირცხვილი?

დათოს ძლიერ მოუნდა ერთი ხმამაღლა, გულიანად გადაეხარხარა, თავი ქალის მკერდში ჩამალა, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად ვერ დაფარა სურვილი.

– რატომ იცინი?

– ახლა?

– რა ახლა!

– ადრე არც გვახსოვდა ჩვენი ებრაელობა, ახლა გავხდით მაგარი ებრაელები, ისრაელი ასე ძლიერი ქვეყანა რომ აღმოჩნდა?!

– მამაჩემი ყოველთვის მაგარი ებრაელი იყო! – თქვა ნანამ.

– მამაჩემიც, ჩვენ?

– ნუ იცი უცნაური ლაპარაკი! – ნანა დათოს მიეკრა.

დათო ვერ გრძნობდა, სექსუალური აქტი ნანას რაიმე სიამოვნებას თუ ანიჭებდა. ისევ ისეთი უმეტყველო მზერა, როგორც ქუჩაში, ავტობუსში, უმოძრაო სხეული, „მაშ, რატომ, რისთვის?" – ფიქრობდა.

ლექსების კითხვის ჯერიც დადგა!

– აი, ამ წუთებს კი უნდა გავუძლო, – გაიფიქრა დათომ. მაგრამ რამდენიმე წუთში ვერც გრძნობდა ქალს – ლექსებში იმოდენა სევდა იყო, ნანას ისე ძლიერ განეცადა ომი, დათოს გული დაუმძიმდა. კიდევ ერთხელ მოეძალა ფიქრი, რომელსაც ასე გაურბოდა – რისთვის ვარსებობ, რისთვის დავიარები დედამიწაზეო. ალბათ, ამის გამო, ნანასთან მეტი სიახლოვე იგრძნო, თმაზე ხელი გადაუსვა. ნანამ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, გემრიელად გააბოლა და ლექსების კითხვა განაგრძო.

ეს ლექსები მას ძალიან ბევრს ეუბნებოდა: თვითონაც ხომ იმ ყოფის, იმ დროის შვილი იყო, რომელიც ამ ქალში ამდენ ტკივილს ბადებდა.

– რა ბედნიერი ხარ, ნანა!

– ბედნიერი? – ნანამ საფერფლიდან სიგარეტი ამოიღო, კიდევ ერთხელ გააბოლა და თითქმის თავისთვის თქვა: – შეიძლება ბედნიერი იყოს ის, ვინც ამას განიცდის?

დათო ლოგინში წამოჯდა, სიგარეტს დასწვდა:

– ხომ დაწერე, ხომ ამოთქვი ის, რაც გაწუხებდა! – სიგარეტს მოუკიდა, გააბოლა.

„ყველაზე მთავარი ის არის, რომ შეგიძლია თქვა ის, რაც გაწუხებს. ესე იგი, ისიც იცი, რატომ ხარ ამქვეყნად, რისთვის არსებობ", – ეს ფიქრში თქვა დათომ, ხმა კი არ ამოუღია.

– მერე მაგით რა შეიცვალა? მხოლოდ ის, რომ მე მეტი სიცარიელე ვიგრძენი, – ჩაილაპარაკა ნანამ, სიგარეტი საფერფლეს დააჭყლიტა და თავი ბალიშზე დადო. ერთხანს გარინდებული იყო – ჭერს მისჩერებოდა.

– იმათ უდაბნოს თაობა დაარქვეს, მაგრამ ის მაინც იცოდნენ, უდაბნოდან საით მიდიოდნენ. ჩვენ? – კარგა ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, თქვა ქალმა.

– მთავარი ის კი არ არის, რომ უდაბნოში იყვნენ, – იცოდნენ, – იცოდნენ, სად მიდიოდნენ. აი, ეს არის მთავარი. ჩვენ? ჩვენთვის ყველაფერი პირუკუა. ჩვენ არ ვიცით, სად მივდივართ. – დათო გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: – იქნებ საერთოდ არსად არ მივდივართ? იქნებ არც არსებობს ჩვენი ქანაანი?! უდაბნოში ვართ, მაგრამ იქნებ არსაითაც არ მივდივართ?

ნანა გადაბრუნდა. ბალიშში ჩაემხო.

ოთახში გამეფებულ სიჩუმეს დროდადრო სროლის ხმა ჰკვეთდა.

პროსპექტზე ომი დამთავრდა, მაგრამ როდის ყოფილა ომი ერთ დღეს, გამოცხადებულ საათზე დამთავრებულიყოს. დროდადრო სროლა კვლავ ისმოდა.

დათომ იგრძნო: ნანა ტიროდა. იმასაც მიხვდა, თუ რატომ უნდა სდენოდა ახლა ცრემლები ქალს. ამიტომაც ერთხანს იყუჩა, აღროვა. მერე დაიხარა, ბეჭებშუა აკოცა. ერთხელ, მეორედ, მერე გადმოაბრუნა /ქალი მის ყოველ სურვილს არა მხოლოდ ნებდებოდა, დათომ პირველად იგრძნო, რომ ნანას ყველაფერი ეს ნეტარებას ჰგვრიდა/, სახეზე ჩამოშლილი თმა გადაუწია და ვნებით აკოცა. ნანამ ყელზე ძლიერად მოხვია ხელები და თავადაც ვნებით დაუწყო კოცნა.

დათოს ყოველთვის აღელვებდა ნანას სხეული. აღელვებდა და სიამოვნებასაც ანიჭებდა, მაგრამ ისეთი მღელვარე წუთები, როგორიც ახლა დაუდგა, არასოდეს, არც ერთ ქალთან არ ჰქონია – დასცქეროდა ნანას, სევდა-ნაღვლით გაცისკროვნებულ სახეს და გრძნობდა: ახლა, ამ წუთებში ნანაც ბედნიერი იყო.

ეს ორი ადამიანი, ნანა და დათო, ვნებამ კი არა, ტკივილისა და სიამის ერთნაირმა შეგრძნებამ და გაუცნობიერებელმა მომავალმა აქცია ერთ სულ და ერთ ხორცად.

ნანას ტანსაცმელი ჩაეცვა, სარკესთან იდგა, დროდადრო თმას ისწორებდა. იქვე ყავა ედგა და იმასაც დროდადრო სვამდა.

– შენ არ მკითხე, რისთვის ვტიროდი.

– დღეს საქართველოში არ ეკითხებიან, რატომ ტირიო.

– არა, შენ არ იცი...

დათო ლოგინში გადმობრუნდა.

– კიდევ მოხდა რაიმე?

ნანამ ჭიქა აიღო, ყავა მოსვა და თქვა:

– ეს ჩვენი ბოლო შეხვედრაა.

– ბოლო? რატომ? – დათო ლოგინზე წამოჯდა.

– ჩვენ წასვლა გადავწყვიტეთ, მივდივართ!

– მიდიხართ? სად? სად მიდიხართ, ნანა! – დათო მიხვდა, სად შეიძლებოდა წასულიყო ნანას ოჯახი და ხმაში ბზარი შეეპარა.

– ვერ ხვდები? – ნერვულად თქვა ნანამ, ყავის ჭიქა ლამბაქზე ლამის დაახეთქა და ოთახიდან გავიდა.

დათო დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა ლოგინში. მერე ბალიშზე უღონოდ მიდო თავი.

## ბეით-ქნესეთი

დიმიტრიმ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს გამთენიის ხანს სიკვდილმისჯილის საკნიდან გაყვანა.

ცხადია, ეს აბესალომმაც იცის. მაგრამ გამთენიიდან მოყოლებული აჰა, აქამომდე, უკვე საღამო ხანი უნდა იყოს, მოუთმენლად ელიან ირაკლის მობრუნებას - იქნებ, დასახვრეტად კი არა, დაკითხვაზე გაიყვანესო. ორივემ იცოდა, რომ სასაცილო იმედი იყო, - სიკვდილმისჯილის დაკითხვაზე გაყვანა, - მაგრამ მაინც ჯიუტად ელოდნენ ირაკლის.

გარეთ, ალბათ, უკვე ღამე იყო, დიმიტრიმ რომ თქვა:

- შეხედე, აბესალომ ბატონო, დააკვირდი, ხომ ჰგავს ეს საკანი კუბოს!

აბესალომმა საკანი კუბოს ვერაფრით ვერ მიამსგავსა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის იყო, თუ რატომ, რისთვის თქვა დიმიტრიმ ეს სიტყვები. აბესალომი ყველაფერს მიხვდა - დიმიტრიმ დაკარგა ირაკლის საკანში მობრუნების იმედი. აბესალომმა ამოიოხრა და ხისგან გამოჩორკნილ საწოლებს, საკნის კედლებს, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი. გაოცდა. მეჩვენებაო, გაიფიქრა. საკანი სარკოფაგის მოყვანილობისა იყო. კი, კი, სარკოფაგს ჰგავდა ეს საკანი.

- ამათ ჰგონიათ, სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაზე ამ საკანში მოხვედრის მერე უნდა იფიქროს ადამიანმა, - თქვა დიმიტრიმ და ნარიდან წამოდგა, მუხლი გამართა, გაიარგამოიარა. - არა, არა ვარ მართალი, - ესენი იმქვეყნიურ ცხოვრებაზე საერთოდ არ ფიქრობენ, თორემ ჩვენ აქ არ ვიქნებოდით. ასე არ არის, ბატონო აბესალომ?

აბესალომმა პასუხი არ გასცა, ფიქრებში ჩაძირული იყო.

- მე რომ ხშირად მიფიქრია იმაზე, როგორ ვიცოცხლო სიკვდილის შემდგომ და სწორედ ამ ფიქრით გამიზომია ჩემი წუთისოფელი, რატომ მოვხვედი აქ? რატომ, რისთვის, ღმერთო მაღალო, დაილოცოს შენი სამართალი, რატომ, რისთვის უნდა მოგეყვანე ჩეკაში?

ვერ იქნა და აზრი ვერ მოიგდო ხელთ აბესალომმა, ვერ ჩასწვდა მიზეზს ღვთის ასეთი მსჯავრისა. ხომ გადაწყვიტა, დინჯად, აუჩქარებლად გადავავლებ თვალს მთელს ჩემს სიცოცხლესო, ცხოვრების სურათები, დღეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, აუჩქარებლად იხსენებდა ადამიანებს, ყოველ ეპიზოდს /ღვთის შეწევნით, ჩინებული მეხსიერება ჰქონდა/: რა მოხდა, როგორ მოხდა, ყველაფერს აღადგენდა, მაგრამ ვერა, ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა ღმერთს ასე დაესაჯა.

ბეით-ქნესეთი? ბეით-ქნესეთის გამო? ჰო, მაგრამ...

სამი წელიწადი იყო ვარშავაში, სამი წელიწადი სწავლობდა იქ, მაგრამ რომ გეკითხათ, როგორი ქალაქია ვარშავაო, ვერ გიპასუხებდათ - არც გრძნობდა და არც განიცდიდა მას. იგი იეშიბაში იყო - რელიგიურ სასწავლებელში და მხოლოდ ის იზიდავდა, აინტერესებდა, რასაც სწავლობდა.

სამი წელი რომ გაილია, - კვლავ ბევრი რამ აკლია ჩემს ცოდნას, ასე მეჩვენება, კვლავაც ნაპირზე ვდგავარ, კვლავაც ვერ შევედი ზღვაშიო და ითხოვა, კიდევ ერთი წელი მაინც დავრჩები თქვენთანო.

ცხადია, დღეს ბევრი რამ იცოდა - სულაც არ ჰგავდა იმ ყმაწვილს, დაბიდან რომ წამოვიდა, მაგრამ... მაინც უკმაყოფილო იყო და ეს უკმაყოფილება დღითიდღე უძლიერდებოდა, რადგან დღითიდღე რწმუნდებოდა, რამდენი რამ არ იცოდა.

ამიტომ მის ოთახში ლამპა გვიან ქრებოდა, თვალებში, გამოხედვაში კი მატულობდა შუქი - ცოდნას რომ მოაქვს თან. ოც წელს სულ ახლახანს გადასცილდა, მაგრამ ორმოც წელს მიღწეული კაცის დინჯი მოძრაობა ჰქონდა, მზერაში კი გონიერება დაუნჯებული იყო.

ერთ დღეს იეშიბის ხელმძღვანელთა კრებაზე უხმეს. მაგიდას სამნი უსხდნენ - სამი დიდი რაბი. დიდ, სქელტანიან თორებსა და მის კომენტარებს შორის სამივენი ძლივს მოჩანდნენ. შუათანამ, რაბი ყიმანუელმა თქვა:

- ავშალომ, შენ კარგი თალმიდი ხარ; რომ წახვალ, გული დაგვწყდება, მაგრამ თემს უნდა მიხედო. ვფიქრობ, აღარ გინდა იმის გახსენება თუ ვინ არის რაბი თემისათვის - ხიდი ადამიანსა და სულიერებას, ადამიანსა და ადამიანებს შორის. ის ცოდნა, რასაც ჩვენ თემთან გაგატანთ, - შენი სიმდიდრეა. გვსურს ისეთი რამეც გაგატანოთ, რაც თემის სიმდიდრედ იქცევა. ერთი კვირა იფიქრე, რა სჭირდება თქვენს თემს.

აბესალომს დაფიქრება არ სჭირდებოდა - ისედაც კარგად იცოდა, თემს რა შემატებდა სიხარულს - მრავალგზის უოცნებია ამაზე. ვიდრე იქ, დაბაში იყო, ამას ვერ გრძნობდა. დაბაში ყოფნისას როგორ ეცოდინებოდა, თუ ქვეყნად ასეთი ბეით-ქნესეთებიც არსებობდა, ვარშავაში რომ ნახა. ყველა ბეით-ქნესეთი

ისეთივე ეგონა, როგორიც მის დაბაში მოეხერხებინათ - რიყის, მუცლიანი ქვით ნაგები, გრძელი უღიმღამო შენობა. ამიტომ რაბი ყიმანუელს მიუგო:

- ახლავე მოგახსენებთ, რაბი.

რაბი ყიმანუელი ყურადღებით მიაჩერდა.

- ჩვენი ჯამაათი ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ ასეთ, აი, ამნაირ ბეით-ქნესეთში ადიდებს ღმერთს.

რაბი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგო, - ჯერ რაბი იცხაკს გადახედა, მერე რაბი ელიაუს. დარწმუნდა, რომ ვერც იმათ აუღეს ალღო აბესალომის ნათქვამს.

- ავშალომ, იქნებ, გაიმეორო?

- ჩვენს დაბაში უკადრის შენობაში ვადიდებთ გამჩენს. ღმერთი რომ შეგვეწეოდეს და აი, ასეთ ბეით-ქნესეთს ავაშენებდეთ. როგორიც თქვენ გაქვთ, ვარშავაში...

- მერედა, რატომ არ აშენებთ, თქვენი ჯამაათი რატომ არ აშენებს?

- ჩენს ჯამაათს რისი საშუალებაც ჰქონდა, ის ააშენა. ჩვენ არა გვყავს მდიდარი ხალხი.

ახლა კი მიხვდნენ რაბები, თუ რა ეწადა ამ ახალგაზრდას.

- თუ თქვენი ხალხი ასეთი ღარიბია, დაბაც - პატარა, ასეთი ბეით-ქნესეთი რად უნდა? - ღიმილით თქვა რაბი იცხაკმა.

აბესალომმა თავი დახარა. ოთახში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. რაბი ყიმანუელმა საყვედურით გადახედა რაბი იცხაკს, მერე აბესალომს მოუბრუნდა და უთხრა, კარგი, მოვიფიქრებთო.

საქართველოში დაბრუნებამდე ხუთი თვე იყო დარჩენილი. ეს დრო თითქმის შეუმჩნევლად მიილია. აბესალომს ისევ უხმეს იეშიბის ხელმძღვანელებთან, ისევ რაბი ყიმანუელმა დაიწყო:

- ნაფესახევს გზას დაადგები. შენ ახლა უნდა მოგვცე პირობა, რომ შვიდი წელი დაბას არ მიატოვებ; რაც უნდა მოხდეს, შენი ჯამაათის გვერდით იქნები, რადგან შენ უნდა იყო ხიდი ჯამაათისა სულიერებასთან, ადამიანსა და ადამიანებს შორის მშვიდობის დამამკვიდრებელი.

- მე გაძლევთ მაგ პირობას, - მყისვე შეეპასუხა აბესალომი.

რაბი ყიმანუელმა თავი კმაყოფილებით დაუქნია და მაგიდიდან ქაღალდების დასტა აიღო.

- ეს არის ამ ბეით-ქნესეთის პროექტი. ამის მიხედვით ააშენეთ ჩვენ, გაძლევთ, ააშენეთ ჩვენნაირი ბეით-ქნესეთი, - აბესალომმა პროექტი ჩამოართვა. - აი, აქ, ამ ყუთში კი ფულია, ოქრო-ვერცხლი; ვარშავის ებრაელობამ თქვენთვის შეაგროვა. აქვეა იმ მიცვალებულების სია, რომელთა პატრონებმაც ეს ფული მოგვცეს. წელიწადში ერთხელ, ყოველი მათგანის სულის ხსენების დღეს, უნდა მოიხსენიოთ მათი სახელები. ჯამაათმა შეაგროვა საჭირო თანხის სამი მეოთხედი. ერთი მეოთხედი არ შეგიგროვეთ, რადგან ყოველმა თემმა თავად უნდა იზრუნოთ საკუთარ სულზე.

აბესალომი დაბას დაუბრუნდა. ბეით-ქნესეთის მშენებლობა დიდი სიხარულით დაიწყეს, საძირკველი ჩაყარეს, კედლები ამოიყვანეს, იატაკი დააგეს და... ვარშაველთა მოცემული ფული გამოილია.

ამ დაბის ებრაელობას კი ფული არ ჰქონდა. თავს იმით ირჩენდნენ, რასაც მიწაში ჩაღვრილი ოფლი მისცემდათ - რასაც დათესდნენ, მოიმკიდნენ, იმით იყვნენ კმაყოფილნი, ამ ბარაქიან მიწაზე კი მოსავალი მუდამ კარგი მოსდიოდათ; ეს კია - ჭირნახულს ვერსად ჰ ყიდდნენ, ქალაქი ერთობ შორს იყო. ამიტომ არ ჰქონდათ ფული, უფულოდ კი არც ერთი კირითხურო თუ დურგალი არ გაეკარა მშენებლობას, - ჭირნახული კი მათაც დიდძალი ჰქონდათ. ამიტომ დაბის ებრაელები, მეტწილად კი ახალგაზრდები, თავად იქცნენ ბეით-ქნესეთის მშენებლებად, ვისაც ეხერხებოდა, რასაკვირველია, - უფულობას შრომით ანაზღაურებდნენ. ეს დასაწყისში იყო. მერე ენთუზიაზმმა რომ გაუარათ, ეს სასიხარულო ამბავი რომ მობეზრდა, ხან ნათანი აქაქანდა ვითომ რა არის, გერშონი რატომ არ მოდის მშენებლობაზე, მე რითი მჯობიაო; ხან ნამთალიას ასტკივდა კუჭი; ხანაც იოსებს გაუჩნდა გადაუდებელი საქმეები და... ლამის შეჩერდა მშენებლობა; უნდილად ირჯებოდნენ, შენება შარშან, ფესახისათვის უნდა მოემთავრებინათ, მაგრამ აგერ წელიწადი მოტრიალდა, ისევ ფესახი მოდიოდა და ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი - განსაკუთრებით სადურგლო საქმეს არ დაადგა საშველი. დურგლებს კი მოიყვანდნენ და ბოლომდეც გავიდოდნენ, მაგრამ მთავარი ეს არ იყო - ხის მასალა ძლიერ გაძვირდა. თუ აქამდე საფანჯრე კაკალს სამი მანეთი ჰყოფნიდა, დღეს ვერც ხუთად იშოვიდი. თბილისის ებრაელობის მიერ შეგროვილი ათასი ოქროს მანეთი უკვე გამოლევაზე იყო. ქუთაისელები თუ რამეს მოაწვდიდნენ, თორემ...

თორემ სულ გაჩერდებოდა ბეით-ქნესეთის მშენებლობა.

დაბაში ნისლი ჩამოწოლილიყო. სქელ ნისლში ბეით-ქნესეთის მაღალი კედლები მკრთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მოჩანდა. კირითხურონიც ლანდებივით გაკრთებოდნენ ხოლმე. შეძახილებით თუ პოულობდნენ ერთმანეთს, შეძახილებით თუ გაიგებდნენ ვინ სად იყო, თორემ ამ სქელ ნისლში არაფერი ჩანდა.

ბეით-ქნესეთის სახურავზე ასულმა აბესალომმა ქვემოთ, გზაზე მოძრავი საგანი შენიშნა. საგანი იყო თუ?.. ვერა, ვერაფერი გაარჩია. ბეით-ქნესეთისაკენ რაღაც კი მოიწევდა, მაგრამ რა? ცხენები? ადამიანები? ურმები? რჯულის ორი დაფის გამოსაყვანად ქვა გასულ კვირაში ამოიტანეს. ჭაღარა და გრძელცხვირა ბერძენი თომა ქვაზე უკვე კვეთდა მოსეს ათ მცნებას. „სასაცილო კი არის, - ფიქრობდა აბესალომი. - ამ მცნებებს სწორედ ბერძენნი ებრძოდნენ გააფთრებით, დღეს კი ბერძენ კაცს საგულდაგულოდ გამოჰყავს მეხუთე მცნება და ისიც ებრაულ ენაზე. აგერ ლამის ერთი კვირაა მეხუთე მცნებას დასტრიალებს თავს".

აბესალომი ყინულის ლოლუებიან ხარაჩოზე ფრთხილად დაეშვა, - უნდა აჩქარდეს, წასვლის დროა.

თხილიანის ებრაელობამ ორჯერ გამოუგზავნა კაცი: „შენი სახელი დღითი დღე იზრდება, შენს მსმენელ ებრაელობას რწმენა კიდევ უფრო უმტკიცდება, ისიც კი მობრუნდა ღმერთისაკენ, ვისაც ლოცვა არ სწამდა, იქნებ ერთი შაბათი მაინც გვესტუმრო, ჩვენს დაბაში ილოცო, ხალხს დაელაპარაკო და გაამხნევო".

ორჯერვე დაჰპირდა, მაგრამ პირობა ვერ შეასრულა - ვერ იქნა და ვერ წავიდა თხილიანში - ვერ მოახერხა. დღეს უნდა წავიდეს. ჯამაათს უკვე გამოუცხადა - ამ შაბათს თხილიანში ვილოცებ, იქაურ ჯამაათსაც უნდა ყურადღება და პატივისცემაო. ვერ არის სამგზავრო ამინდი, ძლიერ ცივა, ყინავს კიდეც, მაგრამ, დღეს თუ ვერ წავა, მომავალ კვირაში უფრო გაუჭირდება. არა, არა! გაუჭირდება კი არა, ვერ წავა - მომავალ კვირაში, აგერ სულ რაღაც ხუთ დღეში, ფესახია - ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა განთავისუფლების დღესასწაული იწყება - ამ დღეებში თავის ჯამაათს ვერ მიატოვებს.

ეზოში ფრთხილად დაეშვა და ჭიშკრისაკენ გაეშურა - ცხენი ჭიშკართან ჰყავდა მიბმული. ჭიშკართან რომ მივიდა, კარგად დაინახა: ბეით-ქნესეთისაკენ მომავალ აღმართზე ურმებში შებმული კამეჩები მოიზლაზნებოდნენ. მოყინულ ორღობეში ამოსვლა ძლიერ უჭირდათ, ამიტომ მოღოღავდნენ ასე.

- ნეტავ ვინ არიან? - გაიფიქრა აბესალომმა და ელიაუს დაუძახა. ელიაუმაც გაიკვირვა - ვინ უნდა იყოს ამ ყინვაში, რა უნდა მოჰქონდეთო.

მალე ადამიანებიც გამოჩნდნენ.

- მიხრა-მოხრაზე ვატყობ, ისრაელიშვილები არ უნდა იყვნენ, - თქვა აბესალომმა.

- არა, ესენი არც ჩვენი დაბის ქართველები არიან, - შეესიტყვა ელიაუ, ცოტა ხნის შემდეგ დასძინა, - მეზობელი სოფლის ჯაფარიძეები უნდა იყვნენ.

სტუმრები ბეით-ქნესეთის ჭიშკართან შედგნენ. ანგიამ აბესალომს ხელი სხვათა შორის ჩამოართვა და ეზოში შევიდა. იქვე შედგა. ბეით-ქნესეთს ახედა, მოწონების ნიშნად თავი დაიქნია.

აბესალომი ანგიას პირველად ხედავდა, ვერც იმას ხვდებოდა, რაზე უნდა ყოფილიყო მოსული.

აბესალომი დაბის ქართველობას იცნობდა და არაფერ ცუდს გული არ უთქვამდა, მაგრამ მაინც დაძაბული ადევნებდა თვალს სტუმრის ყოველ მოძრაობას. მეურმეებისკენაც გააპარებდა ხოლმე თვალს. ეს ელიაუც რომ აღარ მოდის, რას ელაპარაკება ამ მეურმეებს!

- იცი, რას გეტყვი შენ?! ჩემი მხარეა ეს, ჩემი ქვეყანა და უჩემოდ აქ არაფერი არ უნდა გაკეთდეს, - თქვა ანგიამ და კვლავ ბეით ქნესეთს ახედა.

აბესალომს ელდა ეცა. რაღაცის თქმა ეწადა. სიტყვა ყელში გაეჩხირა.

ანგია კვლავ ბეით-ქნესეთს შესცქეროდა, რაღაცას ბუტბუტებდა, მერე აბესალომს მიუბრუნდა:

- ეგერ, ურმებით წაბლის მასალა მოვზიდეთ, ხუთი ოსტატიც მომიყვანია. ეგენი ყველაფერს გააკეთებენ. ეს იქნება ჩვენი საჩუქარი, ჩვენს კუთხეში რომ რამე კეთდება, ჩვენც გვეხება.

აბესალომი სახტად დარჩა, ხმა ველარ ამოიღო, არც იცოდა, რა ეთქვა ამ ღვთისნიერი კაცისთვის. - მონუსხულივით შესცქეროდა ანგიას. მერე მივიდა, მოეხვია და ბეჭზე ემთხვია.

- შენი მარჯვენა და გული დალოცოს გამჩენმა!

- ამინ! - ეშმაკურად გაიღიმა ანგიამ და მეურმეებს გასძახა, - რას უყურებთ, რას დაყუდებულხართ მანდ, არ შეგცივდათ მაინც?

შემოდით ეზოში!

ბეით-ქნესეთის ეზოში ურმები შემოჭრიალდა.

## სისხლის შარი

ცხენი აუჩქარებლად მიიკვლევდა გზას. აქ ვერც აჩქარდებოდა - ბილიკი ხშირ ტყეში გადიოდა. აბესალომი ისე ღელავდა, არ შე-

მომაღამდესო, სიცივესაც ვერ გრძნობდა. შაბათის დადგომამდე უნდა ჩასულიყო თხილიანში, იქაური რაბის ოჯახში მოემზადებოდა - საშაბათო სამოსი აგერ, ცხენზე გადაკიდებულ ჩანთაში აქვს მოქცეული.

მღელვარებისათვის რომ თავი დაეღწია, იმაზე ფიქრს მიეცა, თუ რაზე ესაუბრა ხვალ, შაბათს ჯამაათთან, რა საკითხს შეხებოდა? ღვთის მიერ სამყაროს შექმნაზე ელაპარაკა? კარგია, მაგრამ ახლა სამყაროს შექმნა რა შუაშია? ახლა ხომ სამყაროს გაჩენის დღესასწაული - როშ ჰა-შანა არ ახლოვდება? იქნებ, ის სჯობდეს, ადამიანების ღვთისადმი ერთგულებაზე ილაპარაკოს? დღეს ეს არის მთავარი - საამისოდ, აბრაამის მსხვერპლზე საუბარი იქნება შესაფერისი, იმის გახსენება, როგორ ასრულებს ჩვენი პატრიარქი - მამა აბრაამი ღვთის ნებას - როგორ მიჰყავს საკუთარი შვილი - იცხაკი - სამსხვერპლოზე, მაგრამ არიან კი ამ დაბაში ღვთისგან განმდგარნი? ამაზე თხილიანის რაბის უნდა გაესაუბროს. კი, ეს არ არის ცუდი, მაგრამ... ხვალ-ზეგ ფესახია, ახლა, ალბათ, ყველაზე სწორი ფესახზე საუბარი იქნება, საუბარი იმაზე, თუ როგორ ამოირჩია ღმერთმა ებრაელობა, როგორ ზრუნავს მასზე, როგორ ანთავისუფლებს ეგვიპტელთა მონობიდან, მიუძღვება უდაბნოში, სამარადისოდ აძლევს ქანაანის მიწას. აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება! - ცხადია, ახლა ფესახზე უნდა ისაუბროს. არა, მაინც რა მწარე სიცივეა! როდის იყო, ყინვა ფესახამდე აღწევდა! ფესახში ბალახი ბიბინებდა. ზოგჯერ ტყემალი ყვავილსაც კი ისხამდა. წელს არ იქნა და არ დაცხრა ყინვა. ძვალში ატანს და ეგაა... საუბარი, ალბათ, მაინც იმით უნდა დაიწყოს, როგორ გაიმეტეს ძმებმა იოსები. მოშე რაბინუს* სიკვდილით დაამთავრებს. მაინც რა საშინელი სასჯელი ხვდა წილად - არ აპატია გამჩენმა ხალხის მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე, არ შეადგმევინა ფეხი ქანაანში. ზედ მის ზღურბლთან აღასრულა.

ცხენმა დაიფრუტუნა და შეჩერდა.

არა და, არ გათავდა ეს ტყე! რა ხანია ტყეში შემოვიდა, გასვლით კი ვერ გააღწია, ვერ გალია გზა.

- აჩუ, აჩუ! - შესძახა აბესალომმა და ცას ახედა. გვიანდებოდა, ნამდვილად აგვიანდებოდა.

ცხენი კვლავ უძრავად იდგა.

- აჩუ-მეთქი, ცხენო! - აბესალომმა გავაზე დაუტყაპუნა ხელი.

- - - - -

*ბიბლიური მოსე

ცხენმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შედგა.

- ნეტავ, რა მოუვიდა? - გაიფიქრა აბესალომმა და მიმოიხედა, - იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა, ხის ტოტებზე შემორჩენილი თოვლი, ჩამოკიდებული ყინულის ლოლუები ცხენს რატომ დააფრთხობდა? საეჭვო ვერაფერი დაინახა აბესალომმა, მაგრამ..

- ღმერთო, კურთხეულო, ამას აქ რა უნდა?

აბესალომი ცხენიდან ჩამოხტა, ბავშთან მიირბინა. წელში გადამტვრეულ ხეზე ბავშვს ეძინა.

- ბიჭო, ბიჭო! - ხელით შეეხო, შეანჯღრია თუ არა, ბავშვი ხიდან გადავარდა. - აუჰ, იკურთხოს, ღმერთო, სახელი შენი. ეს რა ხდება?!

ბავშვს ჯუბა ბეჯითად შეუკრავს, ადამიანის ფერი კი არ ადევს. ეს რა დღეში ჩავარდა აბესალომი! შაბათის შემობრძანების წინ ასეთი ხიფათი? სადაცაა შაბათიც შემობრძანდება - „წმინდა ჰყავ დღე იგი - „შაბათი“ - ავალებს ღმერთი, რა ჰქნას აბესალომმა? ამ ბავშვს საამქვეყნო ფერი არ ადევს. ალვირს ხელი უშვა და ბავშვი აიტაცა, მკერდში ჩაიკრა, „არა, ეს ბავშვი ამ ქვეყნისა აღარ არის, მაგრამ... ცხენით ზოზინი ხელს არ მომცემს, უნდა ვირბინო“. და გაიქცა აბესალომი. არა, მას ეგონა გავრბივარო, სინამდვილეში მიძუნძულებდა - აბა ამ უსიერ ტყეში სირბილს როგორ შეძლებდა! დროდადრო ნაბიჯს ვერ ზომავდა, სველ მიწაზე მიმოყრილ ფოთლებზე ფეხი უსხლტებოდა, ხეს ეხლებოდა, ორჯერ წაიქცა კიდეც. წაიქცა, მაგრამ ბავშვს ხელი არ უშვა - ისე ძლიერ ჩაეკრა გულში, ისე მტკიცედ მოეხვია ხელები, რომ ბავშვი ხელიდან არც დაუვარდებოდა.

- ღმერთო, მაღალო, გამჩენო, შენ მოხედე ამ საცოდავს. ვაი, ამის დედას! სად გამოუშვა ბავშვი ასეთ ყინვაში. ბავშვს კი არა, ლამის მე ამომხდეს სული! ათიოდე წლისა იქნება საბრალო; ღმერთო, შენ მოხედე ამ საცოდავს.

ცხენი უკან მოსდევს. მოსდევს და ჭიხვინებს. ეს კიდევ უფრო აღიზიანებს აბესალომს. არა, არა, კი არ აღიზიანებს, აქეზებს, უკვე ველარც არჩევს რა აღიზიანებს და რა აქეზებს. ის აღიზიანებს, რომ სველ მიწაზე მიმოყრილ ფოთლებზე ფეხი უსხლტება და ხეს ეხეთქება. რომ გაოფლიანდა, ეს არაფერი, სხეული რომ უხურს, ამასაც არაფრად დაგიდევს - ხელის სტკივა. ფეხი რომ დაუსხლტა მკლავი ხეს მიარტყა. სტკივა. ყინვაც როგორ უჭერს! ხელში ძალა დააკლდა. ვეღარც გრძნობს ძალას. გაეყინა? ათი წელი! ათი წლისა გაეცალა ეს საბრალო წუთისოფელს?.. რატომ, რისთვის...

ვისმა ცოდვამ უწია ბავშვს? დედის, მამის? თემის? ვაი, ამის პატრონებს!

სადაცაა, შაბათი შემობრძანდება. ამ ბავშვს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ შერჩენია. არ იქნება, არ შეიძლება შაბათს მიცვალებულთან სიახლოვე, თანაც ასე ხელში ატატებული, გულში ჩაკრული? არ იქნება! შვილი რომ მოგიკვდეს, შაბათი დააფასე და არ იგლოვოო, აქ კი...

მიდის, მიძუნძულებს აბესალომი. ფეხებში ათასი რამ ებლანდება, ათასი ჩირგვი და ოხრობა, მაინც მიდის, მიძუნძულებს.

ტყეში ბინდი რომ შემოიპარა, შორს ნათელი სივრცე დალანდა. ესე იგი, საშველიც დაადგა? ტყე მთავრდება? იქ, იმ სიცივეში ადამიანები ყვირიან „მიხოო, მიხოო!" ალბათ, ამას თუ დაეძებენ. მიხო თუ ჰქვია. არა, ახლა გაჩერება არ იქნება, უნდა ირბინოს, უნდა გავიდეს ტყიდან, იქნებ კიდევ არ არის გვიან! როგორ სტკივა ხელი! ძალაც რომ გამოელია?! არ დაუვარდეს ეს საბრალო! რამენაირად მხარზე უნდა გადაიკიდოს.

ასწია. ე, მიხო, ე, ბიჭო, შენც მომეშველე! ჰე, ჰე... აჰა! გადაიკიდა.

– მიხოო, მიხოო! – ესმის ადამიანების მღელვარე, შეშფოთებული ხმები.

„რა შორიდან იძახით, მამაცხონებულებო, შემოდით ტყეში, შემოდით, იქნებ, ჩამომართვათ ეს ბავშვი, იქნებ თქვენ უკეთ ირბინოთ, იქნებ, თქვენ უფრო..."

არა, არ ილევა ეს ტყე... კი, გამეჩხერდა, ხეებს აღარ ეხლება, თავისუფლად გარბის ხეებს შორის, მაგრამ ძალა?

კიდევ, კიდევ აბესალომ, იქნებ ცოტაც აუჩქარო ფეხს... განა ისინი არ დაიქანცნენ, მიცრაიმიდან* რომ გამორბოდნენ?! იმათ სული უმწარდათ, ფარაონის ლაშქარი ალესილი მახვილებით მოსდევდა, შენ რა... იჩქარე, იჩქარე, აბესალომ!..

– განა მეც სიკვდილი არ მომდევს? სიკვდილი მხარზე მაქვს შეკიდებული, სიკვ...

აჰა, მინდორიც! ხალხიც იქა დგას, ერთ ადგილას შეკრებილან და ვიშვიშებენ. კიდევ შეძლო, მოახერხა: ნაბიჯი ააჩქარა, ლამის საგულედან ამოვარდეს გული. ის კი მიდის, მიდის... კიდევ, კიდევ, აბესალომ, ცოტაც და... რა იცი, იქნებ სიკვდილი კი არა, სიცოცხლე გაგიდევია მხარზე, მინავლებული სიცოცხლე!

– ეჰეი, ხალხნო! – დაიძახა.

ადამიანები მისკენ გამოიქცნენ აჰა, მოვიდნენ კიდევ, ბავშვს შესწვდნენ /ე, კაცო, ცოტა დაიხარე, დეიწიე დაბლა!/ მხრიდან ჩამოხსნეს. აბესალომმა შვება იგრძნო, შვება არა იმის გამო, რომ ტვირთი ჩამოხსნეს, აბა, რა სიმძიმე უნდა ჰქონოდა იმ საბრალოს. არა, ცხადია, არა! – მიცვალებული აღარ ეჭირა ხელში, მიცვალებული არ ჰყავდა გულში ჩაკრული. მიწაზე დაეშვა, მიწაზე დაჯდა, რომ გული საგულეში ჩამდგარიყო. ბავშვი იქით გააქანეს, სადაც ხალხი იყო შეკრებილი. იქ კი ისეთი წივილ-კივილი ატყდა, აბესალომს კიდევ ერთხელ შეუგუბდა სული, ყელშიც რაღაც გაეჩხირა. თავი დახარა, არ ეწადა იმ ხმების მოსმენა, არც ბიჭის მშობლების დანახვა უნდოდა.

ღმერთო, შენ უშველე, ღმერთო! – სული მოითქვა, ხელი დაიშილა და წამოდგა.

ბინდიც ჩამოწვა. თხილიანის რაბისთან პირის დაბანას და ტანსაცმლის გამოცვლას ველარ მოასწრებს. ცხენს დააბამს, ჩანთას დატოვებს და ბეით-ქნესეთში წავა. იქნებ, ყარბითს* მაინც მიასწროს. გვიანდება, ძალიან გვიანდება!

ტანსაცმელი კიდევ ერთხელ დაიფერთხა, მკლავი დაიშილა და, ის-ის იყო ცხენზე უნდა შემჯდარიყო, ორი კაცი დაადგა თავს. სწორედ ის ორი კაცი, ვინც ბავშვი ჩამოართვა და მშობლებისაკენ გააქანა.

– ვინ ხარ შენ! – კითხვა ხანჯალივით აძგერა ერთ-ერთმა, – წვერი მოკლედ რომ შეეკრიჭა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო, დავიწვი მაგის საცოდაობით.

– ურია ხარ, ხომ? – იმ კაცის ხმაში დაუფარავი მუქარა იგრძნობოდა.

აბესალომი შეკრთა. ასეთი ტონით, არც ამ სიტყვით მისთვის არასოდეს მოუმართავთ.

– ისრაელი ვარ, კი..

– შენ მგონი, რაღაც ის უნდა იყო... სხვანაირი ურია ჩანხარ.

– მე რაბი ვარ.

– რაბი?! – კაცს თვალები გაუფართოვდა – მაგათი მღვდელი ხარ? – პასუხს არ დაელოდა, ხალხს გასძახა – აქეთ, აქეთ, ხალხნო, აქეთ, ქრისტიანებო!

– ჩქარა, აქეთ, მალე! – იყვირა მეორემ.

რამდენიმე კაცი ისე გამოიქცა, გეგონებოდათ, ცხენის რემა გადმორბისო მინდორზე.

აბესალომი გახევებული იდგა.

– ვინ გეუბნებოდათ, ხალხნო, ურიების ნაქნარი იქნება ეს ამბავიო! მე გითხარით. ისიც გითხარით, ჩვენი აღდგომის წინ ამათი

- - - - -

*ეგვიპტიდან

- - - - -

*საღამოს ლოცვა

აღდგომაა, ესენი ამ აღდგომაში რაღაცას აცხობენ, მაცას თუ რაღაც ოხრობას, თუ იმაში ქრისტიანი ბავშვის სისხლი არ ჩაურიეს, არაფერი გამოვა, არც ჩაეთვლებათ.

– ურიებს, ურიებს მოუკლავთ ჩვენი მიხო!

– ეს მაგათი მღვდელია, მთავარი ურია!

– ახლა იქ მიარბენინებდა მიხოს, სალოცავში, რომ სისხლი ამოეღო.

-ელი, ელი, ლამა ყაზავთანი!* – გაუელვა აბესალომს.

კაცებმა აბესალომი წრეში მოიქციეს.

მკვდარი ბავშვის დედა გულსაკლავად მოთქვამდა.

– ღმერთო, გამჩენო ჩემო, რისთვის მომივლინე ეს განსაცდელი?! – კვლავ გაიფიქრა აბესალომმა.

ელდა იმდენად მოულოდნელი იყო, ხმა ვერ ამოიღო. არა, ენა არ ემორჩილება! ვერ იქნა და ვერაფრით მოიბრუნა ენა! თითქოს ძალაც ელევა, მთელი სხეული ეცლება. ღონე-გამოლეული ცხენს მიეყრდნო.

– ახლავე აქ მოყარეთ სოფლის ურიები, მაგათი ხახამიც აქ მოიყვანეთ! – გასცა განკარგულება წვერშეკრეჭილმა.

– ჩვენს მიწაზეც არ გვაყენებენ! შეხეთ, როგორ გვწოვენ სისხლს ურჯულონი!

– ჯერ ეგ ბავშვი ექიმთან გაარბენინეთ, საბრალონო, თქვენი სოფლის მწყემსი კი აქ მოიყვანეთ! – უღიმღამოდ, უღონოდ თქვა აბესალომმა.

– ის ბავშვი ექიმთან უკვე გაარბენინეს, მაგრამ როდის იყო კაცის მოკლულს კაცი აცოცხლებდა? – მერე ხალხს მიუბრუნდა ის კაცი, – იცით, ესენი ქრისტიან ბავშვებს რას უშვრებიან? ნემსებს ჩხვლეტენ, სისხლს უღებენ, აი, ის სისხლი უნდა შეურიონ მაცას.

– თქვენი სოფლის მწყემსთან მალაპარაკეთ-მეთქი! – ახლა კი იყვირა აბესალომმა.

– მღვდელიც აქ არის, ის აგიგებს წესს.

– დაკარგული თხის საძებნელად ვერ უნდა გავუშვათ შვილები? – ხანჯალგაშიშვლებული კაცი წრეში შემოვარდა და აბესალომისაკენ გამოქანდა.

– ელი, ელი ლამა ყაზავთანი!

მისკენ გამოქანებული კაცის არეულ ნაბიჯებს დააკვირდა და მიხვდა: ის კაცი აბესალომს ვერაფერს დააკლებდა. მართლაც, ნაბდიანი რომ მიუახლოვდა, აბესალომი შეტრიალდა, ჯერ ხანჯალი აიცდინა, მერე მაჯაში წაავლო იმ კაცს ხელი, გადაუგრიხა და ხანჯალი გამოგლიჯა.

– რას შობი, ძაღლიშვილო! – იყვირა ვიღაცამ და რამდენიმე კაცი აბესალომისაკენ გამოექანა.

აბესალომმა ნაბდიანს ხანჯალი ყელზე მიადო:

– არ მომეკაროთ!

მომხვდურნი შედგნენ. აბესალომს ირგვლივ უვლიდნენ.

– მე უბრალო ვარ, ეგ ბავშვი მე არ მომიკლავს, თუ ვინმე მომეკარება... – ვერა, ვერ თქვა, ამ კაცს მოვკლავო, გაჩუმდა. ხალხს გადახედა. ადამიანები შედგნენ, კუშტად შესცქეროდნენ. აბესალომმა კი აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, იმ კაცის ხელი სანამ უნდა სჭეროდა ხელში. სწორედ ამ დროს გაიხსნა ხალხის წრე და მღვდელი – საშუალო სიმაღლის, სქელ-სქელი, ხანდაზმული კაცი – აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდა აბესალომს.

– გაუშვი ხელი ღვთის შვილს! – თქვა მღვდელმა.

აბესალომმა ნაბდიან კაცს ხელი გაუშვა.

– წადი! – უთხრა მღვდელმა იმ კაცს. ნაბდიანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. – რისთვის მიხმობდი? – აბესალომს მოუბრუნდა მღვდელი.

აბესალომმა მღვდელი დაკვირვებით შეათვალიერა და თქვა:

– იმისთვის, რომ შენს სამწყსოზე გესაუბრო.

– ჩემი სამწყსო მხოლოდ ეს არ არის, ჩემი სამწყემსო დიდია.

– შენ ყველას სული გაბარია – იმათიც, ვინც იმისთვის ჭამს, რომ ცოცხლობს, და იმათიც, ვინც იმად ცოცხლობს, რომ ჭამოს, – არ იყო გასაკვირი აბესალომის მღელვარება ხმაშიც იგრძნობოდა, მღვდელს ეს არ გამოჰპარვია.

– იუდეველო, შენ ვინ მოგცა უფლება, ჩემს სამწყსოზე ისაუბრო!

– ადამიანის სული ყველას საფიქრალია! მე აქ იმის გამო ვარ, რომ შენი სამწყსო ჭეშმარიტების გზაზე არ დგას. სიავე უმძიმებს სულს.

– ჭეშმარიტება ის არის, რომ იუდეველთ ჩვენი უფალი ჯვარს აცვეს, – მშვიდად, აუღელვებლად თქვა მღვდელმა. მის სიმშვიდესა და აუღელვებლობას მრისხანების იერი დაჰკრავდა. ამიტომ ხალხი ერთბაშად ახმაურდა

– ეგეც ჯვარს ვაცვათ!

– ხმას როგორ იღებს!

– ჩავქოლოთ!

ის კაცი, წვერი რომ მოკლედ შეეკრიჭა, დაიხარა – ქვას თუ ეძებდა, ხელში რაც მოჰ-

- - - - -

*ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?! (ფსალმუნნი დავითისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა, ის ესროლა აბესალომს - ტალახი შუბლში მოხვდა. თოვლში არეული, ტალახადქცეული მიწა-ლაფი მკერდზე ჩამოეწუწა. ხელი ასწია, რომ შუბლი მოეწმინდა. მეორედ სამჯერ უფრო ძლიერად ნასროლი ტალახი მკლავზე მოხვდა. სწორედ იმ მკლავზე, ბავშვის ტარებისას ხეს რომ მიახალა. აღარ ჩამოიწმინდა ტალახი.

– ბრიყვნო! - იყვირა მღვდელმა.

აბესალომმა ხალხს თვალი მოავლო, მერე იმ კაცს მიაჩერდა, ტალახი რომ ესროლა. ის იყო, შეკითხვა ხანჯალივით მან აძგერა - აღგზნებული შესცქეროდა აბესალომს, იგრძნო რაბიმ: ის კაცი არ დაინდობდა, მზად იყო, ახლავე მოეღო ბოლო მისი სიცოცხლისათვის.

– შენ ვერ უარყოფ, რომ უფალს იუდეველთ მოუსწრაფეს სიცოცხლე, - მღვდელი მკაფიოდ წარმოსთქვამდა სიტყვებს.

აბესალომმა თავი ასწია, მღვდელს მზერა გაუსწორა და ასევე მკაფიოდ, ხმამაღლაც კი თქვა.

– ამათ იქნებ არც იცოდნენ, უცხოთა და ურჯულოთა კანონებმა როგორ შეიწირეს კიდევ ერთი იუდეველის სიცოცხლე, მაგრამ შენ... შენ ხომ უბირი არა ხარ, შენ ხომ იცი, რომ ყოველ დილა-საღამოს ისე წარმოსთქვამდა „შემაყ, ისრაელ!" როგორც ჭეშმარიტი იუდეველი და პირველ მცნებად მიიჩნევდა. და თუ ამას ხალხს არ ეუბნები, ხალხში შენ აბუდებ, აი, იმ კაცის მზერას, ტალახსაც შენ მესვრი და არა ეს ხალხი... ამაზე კი... - ღმერთი პასუხს მოგთხოვსო, უნდოდა ეთქვა აბესალომს, მაგრამ არ თქვა, თავი შეიკავა, ან შეიძლება კი აბესალომი დარწმუნებული იყოს თუ ვის რისთვის მოსთხოვს ღმერთი პასუხს? არა, არა თქვა ღმერთი პასუხს მოგთხოვსო, ის კი გულიდან ამოიძახა: - ნუთუ, შენ, სულიერ წინამძღვარს გჯერა, რომ მე იმ ბავშვს სისხლს ავუღებდი, რათა მაცაში გამერია?

მღვდელი კვლავ დაჟინებით შესცქეროდა აბესალომს.

– უთხარი, მამაო!

– მიაგე თავისი, მამაო!

– ნუთუ, მართლა გჯერა, რომ ჩვენ იუდეველნი, წარმომშობელნი თქვენივ რჯულისა, ბავშვის სისხლით ვაპოხიერებთ მაცას?

მღვდელი უხმოდ იდგა, თითქოს ფიქრს შთაენთქა. აბესალომმა იგრძნო, რაოდენ დაძაბული ელოდა ხალხი მღვდლის პასუხს. ხვდებოდა, ამ პასუხზე მისი ყოფნა-არყოფნა იყო დამოკიდებული.

– არც თქვენს წიგნსა და მოციქულებად მიჩნეულთ ენდობით? ისინიც ხომ ისეთივე ებრაელნი იყვნენ, როგორც მე, ისევე მიირთმევდნენ მაცას, როგორც მე, სისხლგარეულს?

მღვდელი კვლავ დუმდა.

მოულოდნელად ხალხი ახმაურდა. წრე გაიპო და შიგ ქალი შემოვარდა. ქალი ისე უცებ მივარდა აბესალომს, ისე უცებ მოეხვია, რომ თვალიც ვერავინ მოატანა.

– ძმა ხარ ჩემი. მამაც ხარ ჩემი, შვილი სიკვდილს გადამირჩინე, ღმერთმა, ღმერთმა მოგცეს ძალა და მხნეობა, - ქალი აბესალომს ეხვეოდა, კოცნიდა, მერე ხალხს მოუბრუნდა, შესძახა - მიხომ მოიხედა, ხალხნო, გაყინულმა ბავშვმა მოიხედა, ამ კაცს დროზე რომ არ მოერბენინებინა, მიხო აღარ მეყოლებოდა.

წრეში ნაბდიანი კაცი შემოვიდა. დარცხვენილი მოაბიჯებდა. აბესალომის წინ შეჩერდა:

– უნდა გამიგო, ძმაო, მიხო ჩვენი ერთადერთაა, - თქვა და მოეხვია.

მაგრამ აბესალომს უკვე აღარც რამ ესმოდა, აღარც ხვევნა-კოცნას გრძნობდა. ისეთი მოთენთილობა იგრძნო, ისე დაუმძიმდა სხეული, ქუთუთოებიც კი, რომ თავს ვერ სძლია. ნაბდიან კაცს თითებსშუა მოქცეული ფოთოლივით გამოეცალა - ნელ-ნელა ჩაიკეცა, ცხენის ფეხებისათვის რომ არ ჩაევლო ხელი, მიწაზე მოადენდა ზღართანს.

მღვდელი მიუახლოვდა, იღლიაში სწვდა და ხმამაღლა თქვა:

– ადექი, შვილო, გაცივდები!..

აბესალომმა ნარზე გვერდი იცვალა.

იმ დღიდან ბარე ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ აბესალომს ყველაფერი მკაფიოდ ახსოვს. განსაკუთრებით ღვთის სასწაული დაამახსოვრდა - ბავშვის გადარჩენა. მას შემდეგ მეტი მადლიერებით აღივსო ღვთისადმი და განსაცდელში არშეპუება, დაუმორჩილებლობა ჩვევად გაიხადა.

დერეფანში რაღაც გაბრახუნდა. ბრახუნს გოგია „ნადზირატელის" შეძახილი მოჰყვა:

– აქეთ, აქეთ, შე შობელძაღლო!

ამ დროს, გამთენიის ჟამს, დასახვრეტი ადამიანები მიჰყავთ ხოლმე. აბესალომი ფეხზე წამოიჭრა. დიმიტრი უკვე გასასვლელთან იდგა. ყური ლითონის ცივი კარისთვის მიედო.

– კიდევ მიჰყავთ, - თქვა - ყოველ დილას?

– თუ მიხვდი, რამდენი წაიყვანეს? - ჩურჩულით ჰკითხა აბესალომმა.

დასახვრეტად სამ კაცზე ნაკლები არასოდეს გაჰყავდათ. ეს კარგად იცოდა დიმიტრიმ, ამიტომ თავი გაიქნია - აბესალომს არაფერი უპასუხა. თავისი ნარისაკენ უღონო ნაბიჯებით წავიდა.

– რამდენი გაიყვანეს? - უკვე ნერვიულად

იკითხა აბესალომმა.

დიმიტრიმ არც ამჯერად გასცა პასუხი. ხელი ასწია და ორი თითი გაშალა. მოგვიანებით კი ყრუდ იკითხა:

– შემოვლენ?

– რა იცი, იქნებ სამიც გაიყვანეს? – თქვა აბესალომმა. ამას თავს ჩააგონებდა, რადგან მტკიცედ სჯეროდა, სწამდა, რომ არ დახვრეტდნენ, იმდენად სჯეროდა, გადავრჩებით, საკუთარ გამონაგონსაც კი რეალობად აღიქვამდა. მიუხედავად ამისა, გამთენიის ხანს პატიმრები დასახვრეტად რომ გაჰყავდათ, მაინც უსუსური, უღონო ხდებოდა. ახლაც ასე მოხდა: თითქოს მთელი სხეული სულს დაეკიდა – უღონოდ გაწვა ნარზე.

ორი ელდანაცემი, ხანმორეული, ღონეგამოცლილი ადამიანი მწარე ფიქრს მისცემოდა. ორივემ იცოდა, რომ ახლა მშველელი ფიქრი კი არა, ლაპარაკი იყო, ლაპარაკი, ლაპარაკი, მაგრამ ორივემ ისიც იცოდა, რომ ლაპარაკსაც ღონე სჭიროდა. საუბრის ღონე კი არც ერთს აღარ ჰქონდა, მაგრამ აბესალომს შვება იმან მოჰგვარა, რომ ბერძნებთან არშემპუებელ მაქაბელებზე ფიქრი კვლავ ნანატრი სტუმარივით მოადგა. ნარზე გაწოლილი აბესალომი საკნის შავ ჭერს მისჩერებოდა და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ რწმუნდებოდა, რაოდენ ბედნიერი იყო მათათიაჰუ – იცოდა, ვის ებრძოდა, რისთვის ებრძოდა: იუდეველთ მტრობდნენ ბერძნები, მათი რწმენის მოსპობა ეწადათ, სხვა რაღა დარჩენოდა მათათიაჰუს – უნდა დაპირისპირებოდა მტერს. თვითონ? თვითონ კი იყო კომუნისტების მტერი? სძულდა ბოლშევიკები? გული ბევრ რამეზე ტკიოდა, ბევრი რამ არ მოსწონდა მათი, მაგრამ მტრობა, სიძულვილი გულში არ ჩაუდვია.

„კი, მაგრამ, ეგენი რითი სჯობიან ბერძნებს, ამათაც ისევე არ შეგილანძღეს რჯული, როგორც ბერძნებმა?" – მშვიდად, ყოველი სიტყვის დამარცვლით ჩაჰკითხა ვიღაცამ. კითხვა იმდენად ცხადად ჩაესმა აბესალომს, რომ თავი წამოსწია, მიმოიხედა; საკანში სხვა არავინ იყო, გარინდებულდ დიმიტრი კვლავ ნარზე იჯდა.

„ბოლშევიკებმა იმით მოგხიბლეს, რომ შენს შვილს დროის გმირად აცხადებდნენ, აქებდნენ, და ადიდებდნენ, სხვა ებრაელებს სანიმუშო ადამიანად უსახავდნენ". – ეს ხომ აბესალომის ხმა იყო. კი, კი, თავად აბესალომის ხმა იყო. მაგრამ აბესალომი რომ არაფერს ამბობდა, აბესალომი რომ ნარზე უხმოდ იწვა?!

გარეთ,. დერეფანში კვლავ გახმაურდა რაღაც.

დიმიტრის თავიც არ აუწევია – კვლავ უხმოდ იჯდა. აბესალომს აჩქარებული გულისცემა დაუცხრა, მიმოიხედა; ცხადია, საკანში დიმიტრის გარდა, არავინ იყო.

ახლაღა მიხვდა: გოგია „ნადზირატელი", როცა ვინმე დასახვრეტად მიჰყავდა, საგანგებოდ წაართყამდა ფეხს რაიმეს. ეს იმისთვის, რომ საკნებში ნარებზე ჩამომჯდარი სიკვდილმისჯილნი კიდევ უფრო მიეახლოებინა სიკვდილთან.

გოგია „ნადზირატელმა" კვლავ შეიგინა.

აბესალომს კი ჩაესმა:

„იმით მოგხიბლეს, რომ შენს შვილს დროის გმირად აცხადებდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ, სხვა ებრაელებს იმას უსახავდნენ სანიმუშო ებრაელად, ვინც ხახმებს ამასხარავებდა".

აბესალომს წამოდგომა და რაღაცის თქმა ეწადა. იმ ხმისთვის უნდა შეეძახნა რაღაც. ვერ წამოდგა, თავი ვერ ასწია. სივრცეში იოხანან ბენ ზაქაიას ჰკიდა თვალი – იოხანან ბენ ზაქაია სავარძელში იჯდა და აბესალომს გადმოსცქეროდა. უხმოდ, დაჟინებით გადმოსცქეროდა აბესალომს. მერე თორა გადაშალა და კითხვა განაგრძო.

– იოხანან ბენ ზაქაია, დიდი იოხანან ბენ ზაქაია! – ჩურჩულით თქვა აბესალომმა.

– შენ ამბობდი ამ სიტყვებს, იოხანან ბენ ზაქაია?! – გულისცემა აუჩქარდა აბესალომს და ნარზე უღონოდ მისდო თავი.

## იოხანანი

დღეს იერუსალიმში ატეხილ ხმაურში არავის ახსოვს იოხანან ბენ ზაქაია – დღეს ხომ აქ სხვათა ყიჟინა ისმის, მაგრამ მაინც სჯერა, რომ ხალხი დაიმახსოვრებს მის სახელს, თუმცა, ამის ცოდნა ისე აღელვებს, როგორც აქლემს იმ ქვიშის ბედი, რომელზეც დააბიჯებს. იოხანან ბენ ზაქაიას სულ სხვა რამ აშფოთებს:

ძლიერ ილვაწა მოძღვარმა, რწმენის, ღვთის მიერ მოსესათვის ნაკარნახევ მცნებათა მრავალ საიდუმლოს ჩასწვდა, ბევრი რამ მისცა ებრაელობას, მაგრამ მისი ცოდნა დღეს არარა სამსახურს არ უწევს ხალხს.

იუდეა უფსკრულის პირას დგას.

მოძღვარი – იოხანან ბენ ზაქაია – თითქმის ხედავს, როგორ მოიქცევიან ხვალ რომაელნი, რა დღეს დააწევენ იერუსალიმსა და მის ურჩ მოქალაქეთ. იცის მოძღვარმა: ებრაელები მოძალადეს ღონით ვერ დასჯაბნიან, ძალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობას მხოლოდ გონიერება ძლევს. ზელოტები კი მახვილს იქნევენ, მახვილით ცდილობენ რომაელთა დაჯაბნას, იმ ხალხის ძლევას, ვინაც ამოდენა იმპერია მახვილით შექმნა.

სად არის თავიდათავი? თავიდათავი ერის და რწმენის შენარჩუნებაა. იცის იოხანანმა: ერი ბრბოდ იქცევა, თუ რწმენა დაკარგა. თუ ებრაელი რწმენას შეინახავს, სამშობლოს დაკარგვაც კი არ ნიშნავს მის ძლევას – რწმენაა მთავარი და არა მიწა. მიწა, სამშობლო არსად გაიქცევა. შენია – სამშობლოსაც რწმენა ქმნის. რწმენა სამშობლოსაც დაგაბრუნებინებს.

ამიტომ ეძებს ხსნის გზას. დღეც ეძებს და ღამეც, ძილშიც და მოსიარულეც.

იპოვა, რა ხანია იპოვა, მაგრამ...

ახლა სხვა ფიქრი არ ასვენებს: შეძლებს კი?

იმის ასრულებას, რაც იოხანანს მიზნად დაუსახავს, სამი რამ სჭირდება: ღვთის შეწევნა, სიბრძნე და ჭაბუკის ძალა. ამის გარდა, ათი წლის სიცოცხლე მაინც უნდა გედოს წინ და შეიძლება ოთხმოც წელს გადაცილებულ ადამიანს კიდევ ათი წლის იმედი ჰქონდეს?

იოხანან ბენ ზაქაიასაც არ ძალუძს, ამდენი რამ შეავედროს ღმერთს!

არა, არა, უნდა შეძლოს, უსათუოდ უნდა შეძლოს, თორემ სულ რაღაც ორმოცდაათ წელიწადში ყველაფერი დამთავრდება – აღარ იქნება იუდეველთა სარწმუნოება. და თუ ასე მოხდა, აღარ იქნება ებრაელობა.

იქნებ ტყუილად ეწამება ასე, იქნებ ღმერთი, ვინაც თორა მოგვცა, თავად არ დაუშვებს იმას, რომ გაქრეს სარწმუნოება, მოისპოს მის მიერ ამორჩეული ერი?! შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ... რამდენს იტევს ეს ერთი სიტყვა. მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...

ზელოტებმა მთელი იუდეა აიყოლიეს. ყველას, ლამის დიდებულსაც და უპოვარსაც, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლა აკერია პირს. მშვიდობაზე არავინ ფიქრობს – დავიხოცოთ და რომაელნი იერუსალიმში არ შემოვუშვათო, გაიძახიან.

იმას კი არავინ ამბობს, მოვილაპარაკოთ და ვიცოცხლოთო, ისინიც ღვთის შვილები არიან, იმათაც იცოცხლონ და ჩვენც ვიცოცხლოთ. რა წააგეს, რა დაჰკარგეს იუდეველებმა, ალექსანდრე მაკედონელს იერუსალიმის კარი რომ გაუღეს? მეტიც, ქალაქგარეთ, შორს, მთაზე მიეგებნენ, მობრძანდითო. ჩვენ, იუდეველებს, ერთი ღმერთი გვყავს, ერთი და მარადიული მეუფე. ძალუძს კი მოკვდავს მისი შეცვლა? ეგონოთ თავი ჩვენს მეუფეებად, ჩვენი ქვეყანა – თავიანთ სამფლობელოდ, ოღონდ კი ჩვენი სისხლი არ დაიღვაროს, ოღონდ კი ღვთის სამსახურის უფლება არ წაგვართვან, კვლავ თორა გვეჭიროს ხელში, კვლავ თავისას მივაგებდეთო ღმერთს. მეგობრულად შევხვდით იმ მაკედონელ ყმაწვილს. თან წაიღო გამჩენის მიერ ჩვენთვის ბოძებული ქვეყანა? აჰა, ის უკვე რა ხანია მიწამ შეჭამა, ჩვენ კი აქა ვართ, ქანაანი კვლავ ჩვენია, იუდეველნი კვლავ ქანაანის მიწაზე დააბიჯებენ.

ზელოტები კი... არა და არ ცხრება ზელოტთა ყიჟინა.

რომში რომ იუდეველთა აჯანყების ამბავი გაიგეს, სიცილით ჩაბჟირდნენ თურმე: იუდეველთ თვითმკვლელობა განუზრახავთო. მოგვიანებით, რომაელნი იერუსალიმიდან ფართხაფურთხით რომ გამოჰყარეს და ცესტიუსის არმია ბეთ ხორონთან ლამის სულ ამოჟლიტეს, ვილაცას მაშინღა მოჰგონებია მაქაბელთა ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელის უგუნურ მემკვიდრეებთან. მერე ნერონს ბრძანება გაუცია, – სამი ლეგიონი გაგზავნეთ და მეტად აღარ გამაგონოთ, იუდეაში გასაჭირი გვადგასო. გაგზავნეს სამი ლეგიონი. იერუსალიმამდე ვერც ერთმა ვერ ააღწია.

იუდეველნი ვიწრო ხეობაში უხვდებოდნენ მტერს, ხეებზე და ხეთა შორის ისე დახტოდნენ თურმე, ციყვებიც ვერ აჯობებდნენო. სამი რჩეული ლეგიონი განახევრებული ჩამოყარეს კეისარიისკენ: ე მანდ, ხომალდებზე დასხედით, და სახლებისკენ გაუდექითო გზას.

აგერ ლამის წელიწადზე მეტი იყო იერუსალიმელები თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდნენ, ქალაქი თავისი, ებრაული კანონებით ცხოვრობდა. კვლავ ბრწყინავდა ტაძარი, მოქმედება იწყო ბეით-დინმა* – ადამიანებს არა რომაული კანონებით, ებრაული წესით ასამართლებდნენ, დღესასწაულებში, ან შაბათობით თეთრად მორთული გოგონები ისე ლაღად ცეკვავდნენ, ყმაწვილებს ისე უჩქროლებდნენ სისხლს, რომ წელს სამჯერ მეტი ქორწილი გადაიხადეს, ვიდრე შარშან, როცა თაკარა მზეზე მოელვარე მუზარადიანი რომაელები გაფხორილი ინდაურებივით დააბიჯებდნენ ტაძრის სიახლოვესა თუ დავით წინასწარმეტყველის საფლავთან. თავისუფლებამოპოვებული, გამარჯვებით მთვრალი ხალხი სიხარულს მიეცა და თავადაც ვერ იგრძნო როგორ მოინაცვლა ფეხი სიხარულიდან თავაშვებულობისაკენ. აღარაფერს დაგიდევდნენ, აღარც ის აინტერესებდათ, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა.

- - - - -

* ბეითდინი (ებრ) – რელიგიური სასამართლო, სამსჯავრო.

ამიტომ არც გალილეიდან მოსული ამბებისთვის მიუქცევიათ განსაკუთრებული ყურადღება: იქ თურმე მეთევზე სავლე კიდევ უფრო აქეზებდა ხალხს: ეგ რომალები რომ არა, რომ არა მა-გათი კანონები, იქნებ ჩვენი მოძღვარი დღესაც ჩვენს შორის ყოფილიყო და ეგრე ნაადრევად არ ამაღლებულიყოო ზეცას. თან მასწავლებ-ლის მოძღვრებას ქადაგებდა და მის მიმდევარ იუდეველთა, მერე რომ იუდეო-ქრისტიანები დაარქვეს, რიცხვს დღითი დღე ზრდიდა.

ამ ამბისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ან რა იყო დასაფეთებელი: იუდეველნი კიდევ ერთ ახალ მიმდინარეობას ქმნიდნენ და ვინ უწყოდა, შეიქმნებოდა კი ეს ახალი მიმდინარეობა? და თუ შეიქმნებოდა, იცოცხლებდა? კიდეც შექმნილიყო, რა? იუდაიზმში აზრთა განსხვავებულობა, გნებავთ, ახალი მიმდინარეობის შექმნა, რა ასეთი უცხო ხილი იყო? განა ისეთი რა უნდა მოხდეს, ის სავლეც ხომ ისეთივე ებრაელია, როგორიც მე, და თავის ხალხს ვნებას რატომ, რისთვის მიაყენებსო, - გაივლებდა გულში, ვინც ამ ამბავს ყურს მოჰკრავდა. უფრო კი იმის გამო არ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ იცოდნენ: რომაელნი სჯიდნენ სავლეს მეგობრებსა და მიმდევრებს, რომაელთ არ უყვარდათ ისინი. რახან რომაელთ არ უყვართ, ესე იგი, კარგია და ჩვენც რისთვის უნდა შევუშალოთ ხელი, ჩვენი რწმენა ხომ ადამიანს არჩევანის უფლებას აძლევსო.

ერთ დილას კი იერუსალიმს შემაზრზენი ამბავი მოედო: წუხელ დავითის ქალაქს რომაელთა სამოცათასიანი ლაშქარი მოადგა, იმ ლაშქარს მრავალ ბრძოლაში ნაცადი სარდალი ვესპასიანე უდგასო სათავეში. რომაელებს ქალაქის მისადგომებთან მდგარი იუდეველთა რაზმები ისე გაუნადგურებიათ, ამ საბრალო, მცირერიცხოვან ზელოტთაგან ათი კაციც არ დარჩენილა ცოცხალი.

მერე... დაიწყო იერუსალიმის დიდი ალყა. დრო გადიოდა, ვესპასიანე კი არ ჩქარობდა ქალაქზე შეტევას - სარდალი იერუსალიმელთა ნებისყოფას და სიბრძნეს ცდიდა. იერუსალიმის მოქალაქეებს ნებისყოფა, მართლაც, დიდი აღმოაჩნდათ, მაგრამ, თუ ნებისყოფას სიბრძნე არ უდგას სათავეში და სიჯიუტის დასტურია, ვერა-რა სიკეთეს ვერ მოიტანს. იოხანანს სწორედ ის უშფოთებდა სულს, ბრძნულად გადადგმულ ნაბიჯებს რომ ვერ ხედავდა. იერუსალიმში აზრის სიყრუის ხანა დადგა; ვინც კი ხმა ამოიღო და თქვა, - იქნებ, მოველაპარაკოთ ვესპასიანეს, იქნებ, უარი გვეთქვა აჯანყების გაგრძელებაზე, ამით ადამიანებს სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ და ქალაქსაც არას ვავნებთო, - ზელოტებმა მოღალატედ შერაცხეს: რომაელთა ადათს, კულტურას ეთაყვანება და ამიტომ ჩაგვძახისო ღალატს. იოხანანი კარგად გრძნობდა თუ რა მოჰყვებოდა უაზრო ბრძოლას. ეს ურჩობა კი არა, წინდაუხედაობა იყო. იოახანამა უწყოდა: რომაელებთან ბრძოლას დიდძალი იუდეველი შეეწირებოდა, დაინგრეოდა იერუსალიმი, ცოცხლად დარჩენილ იუდეველთ კი წამებით დაავიწყებდნენ რჯულს, ღვთისმსახურებას. „მაგრამ თუ ვესპასიანეს მაკედონელივით ჩვენის ნებით შემოვუშვებთ იერუსალიმში, არც ხალხი დაიხოცება, არც ქალაქი დაინგრევა, ჩვენს რწმენასაც მტრულად არ მოეკიდებიან რომაელნი“, - ფიქრობდა იოხანანი. ერთხელ თქვა კიდეც, მაგრამ... ზელოტების შეძახილებში იერუსალიმში აღარაფერი ისმოდა.

ამას წინათ თურმე იოსებს, ძეს მათათიაჰუსას, გალილეაში რომ მეთაურობდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, უთქვამს: თუ დაგვამარცხეს, სრულიად უუფლებონი ვიქნებით: თუ მოველაპარაკებით, ხმის ამოღების უფლება მაინც გვექნება. იქნებ, იმის შიშიც გაჰყვეთ კვლავ არ აგვიჯანყდნენ ებრაელნიო. ხალხს რომ ერთი სტვენა და ყიჟინა აუტეხნია, იოსები, ძე მათათიაჰუსი, გაცხარებულა და ერთი ზელოტისათვის შეუძახნია: შენი სისხლის დაღვრაც მწყინს და არ მინდა, მაგრამ, იმას რა ვუყო, ეგ შენი გახურებული თავი ათასი ებრაელი ყმაწვილის თავს შორის რომ ჩაიკარგება?! ამიტომ ვამჯობინებ ვესპასიანეს მშვიდობიანად მივეგებოთო. ამ სიტყვებმა ლამის გააცოფა მებრძოლები. იოსები, ძე მათათიაჰუსი, მხოლოდ ღვთის ნებით გადაურჩა განრისხებულ ხალხს, თორემ ნაკუწ-ნაკუწ აჭრას უპირებდნენო.

იმ ღამეს იოსები, ძე მათათიაჰუსი, თვალსა და ხელს შუა გაქრა. ეს რომ ზელოტებმა გაიგეს, გაშმაგდნენ. იერუსალიმის ჭიშკრებთან დაცვა გააძლიერეს, გარეთ აღარავის უშვებდნენ.

იოხანანს სწორედ ის აფრთხობდა, რაც ზელოტებს სიხარულს ჰგვრიდა - ლამის მთელმა ქალაქმა იარაღი აიღო ხელში. დილა-საღამოს მოედნებზე იკრიბებოდნენ და გაჰყვიროდნენ, - მტერს შევაკვდეთ და იერუსალიმი არ დავთმოთო, ქალაქიდან არავინ გავიდეს, ყველა აქ უნდა დავხვდეთ მტერსაო.

- ამათ სიკვდილი ჰგონიათ გმირობა, გმირობა კი მტრის მოყვრად ქცევა და გონივრული სიცოცხლეა.

მერე კიდევ უფრო ჩამობნელდა იერუსალი-

მში - ზელოტთა მეთაურები ერთმანეთს წაეკიდნენ. დილა-საღამოს ერთიმეორეს ათრევდნენ. ცოტა ხანში ზელოტთა რაზმებს შორის დაუნდობელი ბრძოლები გაიმართა. კვირა ისე არ გავიდოდა, ზელოტები ერთმანეთს არ დარეოდნენ. ამან ბევრს გამარჯვების იმედი გადაუწურა და ქალაქიდან გარბოდნენ - უხმაუროდ, ფარულად ტოვებდნენ იერუსალიმს ისინი, ვინც ზელოტების გეზს სწორად არ მიიჩნევდა. იუდეის ბნელ, მრუმე ღამის საფარველში რაღაცნაირად ახერხებდნენ იერუსალიმიდან გასვლას. იუდეის ველს მანამ გადაირბენდნენ, სანამ ზეცას სილურჯე შეეპარებოდა და უკვე სამშვიდობოს იყვნენ.

იერუსალიმში უცნაური ამბავიც გავრცელდა: იოსები, ძე მათათიაჰუსი, ვესპასიანეს ბანაკშია, რომაელი სარდლის ისეთი მეგობარი გახდა, რომ იმან, ვესპასიანემ თავისი გვარი - ფლავიუსი უბოძაო. ამ ცნობამ ლამის გააცოფა ზელოტები - ქალაქიდან მიცვალებულის გაყვანაც კი აკრძალეს. სასაფლაო კი იერუსალიმის კედლის მიღმა იყო. არაო, ისინი, ვინც მიცვალებულს საფლავამდე მიაცილებენ, უკან აღარ ბრუნდებიანო. ყველასათვის ჩაიკეტა ქალაქის ჭიშკარი. იმ დღიდან არა მხოლოდ მტერთაგან, შინაურთაგანაც იცავდნენ ქალაქის ჭიშკრებს. ამით დიდ ცოდვას ჩადიოდნენ ზელოტები - მიცვალებულს ქალაქის გალავნიდან მოისვრიდნენ /მიცვალებული კი ძლიერ მომრავლდა იერუსალიმში -ზელოტთა ყოველი შეტაკების შემდეგ ოცი-ოცდაათი მოკლული მაინც რჩებოდა ქუჩებში/ და მერე იქ თაკარა მზის ქვეშ ეყარნენ.

იოხანან ბენ ზაქაია საბოლოოდ დარწმუნდა: დასასრული უკვე დაიწყო. ახლა სიბრძნე ის იყო, დასასრულში დასაწყისი მოენახა. თუმცა, ალბათ, კარგა ხნის მონახულიც ჰქონდა. მონაფიქრის განხორციელების გზა ვერ ეპოვა და ეს აყოვნებდა.

ვესპასიანე არ ჩქარობდა.

რაც უფრო ხმამაღლა გაჰკიოდნენ იერუსალიმის მოედნებზე, რომის სარდალი მით უფრო რწმუნდებოდა თავის გამარჯვებაში. ზელოტთა შორის გამართულმა ბრძოლებმა ხომ დიდი სიხარული მოჰგვარა.

ვესპასიანე ნასადილევს ბექობზე გადმოდგებოდა და პირზე ღიმილმომდგარი მისჩერებოდა იერუსალიმს.

იოხანანი ტუჩმოკუმული, სახემოღრუბლული შესცქეროდა მოედანზე შეკრებილ ხალხს. ფიქრობდა.

საღამო ხანი მოახლოვდა. ჩამავალმა მზემ ოქროსფრად გააბრწყინა მზის, თაფლისა და ოქროს ქალაქი. იოხანანი ზეცას მიაჩერდა. „როგორ შეიძლება სიკეთემ დაისადგუროს ქალაქში, სადაც ადამიანებს ერთმანეთი არ უყვართ", - გაივლო გულში, მაგრამ ზეცა იმდენად ნათელი და მეტყველი იყო, ჩამავალი მზე ისეთი ცხოველი ფერით მოსავდა ქალაქს, რომ იოხანანს გულში იმედი ჩაესახა.

- არ იქნება, შეუძლებელია, ღმერთმა არ მომასწროს იმას, რაც ასე მწადია.

მოწაფე და მიმდევარი მრავალი ჰყავდა იოხანან ბენ ზაქაიას. ბოლო დღეები სულ იმაზე ფიქრობდა, რომელი მათგანისთვის გაენდო თავისი გადაწყვეტილება, რომელი გაეხადა თანამოაზრედ. ორზე შეაჩერა არჩევანი - რაბი ელიყეზერსა და რაბი იეჰოშუაყზე, მაგრამ... მაგრამ...

არა, ისევ იეჰუდა სჯობს. დისწულია; ზელოტთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური-მებრძოლი.

როცა ქვეყანაში აზრი ჩლუნგდება, მეცნიერთ არ უსმენენ, ამ დროს პირველნი იარაღასხმული ადამიანები არიან.

რაბი ელიყეზირი და რაბი იეჰოშუაყი მეცნიერნი იყვნენ. იეჰუდა კი მებრძოლი - იარაღასხმული კაცი.

მორჩა, გათავდა! მსახური იეჰუდასთან გაგზავნა.

თუ იეჰუდას ვერ დაარწმუნებს თავისი არჩევნის სისწორეში, რომის სარდალთან რას გახდება!

შაბუყოთის* დღესასწაულის წინ მთელს იერუსალიმს მოედო დიდი მოძღვრის, ბრძენი იოხანან ბენ ზაქაიას მძიმე ავადმყოფობის ამბავი. იოხანანის სახლთან თანდათან მატულობდა დამწუხრებულ ადამიანთა რიცხვი. მოძღვრის ჯანმრთელობას კითხულობდნენ, სასიკეთოს რომ ვერაფერს გებულობდნენ, გულმოკლულნი იზიარებდნენ ერთმანეთის მწუხარებას ასეთი დიდი ადამიანის მოსალოდნელი აღსრულების გამო, მერე კი მოედანზე შეკრებილთ უერთდებოდნენ და რომაელებს კვლავ მუშტებს უღერებდნენ. ასე გაგრძელდა სამი დღე. მეოთხე დღეს, შაბუყოთის მომდევნო დილას, იერუსალიმს გამოუცხადეს იოხანან ბენ ზაქაიას სული ზეცას აბრძანდაო. იოხანანის სახლთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. იოხანან ბენ ზაქაიას აწ უკვე დამთავრებული ცხოვრების გზას სიამაყით იგონებდნენ. ნაშუადღევს

*შაბუყოთი - სინაის მთაზე ღვთის მცნებათა მიღების დღესასწაული.

იერუსალიმი კვლავ ოქროსფერ სხივებში რომ აკიაფდა, ზეწარში გახვეული, ოთხ ფიცარზე დასვენებული მოძღვრის გვამი სახლიდან გამოიტანეს და სასაფლაოსკენ გაუდგნენ გზას. სასაფლაო კი როგორც უკვე მოგახსენეთ, ქალაქის კედლის მიღმა იყო. პროცესია ქალაქის ერთ-ერთ, შხემის ჭიშკართან შეაჩერეს: თქვენ აქ, მიწაზე დაასვენეთ, გალავანს იქით ჩვენ გადავისვრითო, ბრძანეს ქალაქის დამცველებმა. ამ სიტყვებს ხალხის მღელვარება მოჰყვა – ერთხმად და ძლიერ აყვირდნენ იერუსალიმის მოქალაქენი: რას კადრულობთ, ისრაელნო, ეს ხომ ჩვენი დიდი მოძღვრის იოხანან ბენ ზაქაიას ცხედარია, ღმერთმა გაანათლოსო მისი სული! გუშაგნი მოქალაქეთა შეძახილებს არად დაგიდევდნენ, არც მიცვალებულის ვინაობას. ისინი გუშაგნი იყვნენ და მეტი არაფერი. ამიტომ წარბიც არ შეუხრიათ, მაგრამ ერთ-ერთმა გუშაგმა ხალხში მდგარი, კუშტად მომზირალი იეჰუდა იცნო. თვალი ხომ არ მატყუებს, ნუთუ ეს ზელოტთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური, სახელოვანი იეჰუდა არისო. – მივიდა და ჰკითხა კიდეც – ნუთუ ის ხარ, ვისი ბრძოლების ამბავიც მთელ იერუსალიმს პირზე აკერიაო. იეჰუდამ კვლავ არაფერი თქვა: თანხმობის ნიშნად კუშტად მომზირალმა დაიქნია თავი. გუშაგებმა მიცვალებულს ზეწარიც კი არ გადახადეს, იმის შესამოწმებლად თუ რა ან ვინ იყო ზეწრის ქვეშ, გვერდზე გადგნენ, ითათბირეს და ორიოდ წუთში თავიანთი გადაწყვეტილება გამოაცხადეს: რახან ამ ნეშტს ასეთი სახელოვანი მებრძოლი მოჰყვება, ქალაქის ჭიშკარს გავაღებთ, მიცვალებულს სასაფლაომდე გავატარებთ, ოღონდ ნეშტი მხოლოდ ერთმა კაცმა – იეჰუდამ უნდა გაიტანოსო. რახან ჩვენს მოძღვარს ასეთი ბედი ხვდა წილად, სხვა რა გზა გვაქვსო, დაიჩივლეს ღირსეული ნეშტის გამცილებლებმა, იქვე ილოცეს, მასწავლებლის სულს სასუფეველში დამკვიდრება უსურვეს და დამწუხრებულნი შებრუნდნენ ქალაქში.

გუშაგებმა შხემის მძიმე კარი ხრჭიალით გამოაღეს და მიცვალებული გაატარეს. იეჰუდას კი უთხრეს, უკან რომ მობრუნდები, სამჯერ დაიძახე „მომაქვს მშვიდობა“ და კარს ისევ გაგიღებთო.

იოხანანის სხეული იეჰუდას ვერ მოქანცავდა, მაგრამ მაინც ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიდიოდა ზეთისხილის მთისკენ. მთელი დღე დუმდა იეჰუდა. მთელი დღის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს – არ მოსწონდა იოხანან ბენ ზაქაიას გადაწყვეტილება, კიდევ უფრო ის არ მოსწონდა, რასაც თვად აკეთებდა, მაგრამ რა ექნა, სახელოვან ბიძას ვერაფერი შეჰკადრა.

იეჰუდა ზეთისხილის მთას რომ მიადგა, შეჩერდა. უკან, იერუსალიმისაკენ მოიხედა. არავინ ჩანდა. თვალს არავინ ადევნებდა მის მოძრაობას. კვლავ აუჩქარებლად განაგრძო გზა. ზეთისხილის მთას მძიმე ნაბიჯით აუყვა. აკი გითხარით, არ მოსწონდა ის, რასაც აკეთებდა და, ალბათ, ამიტომაც მიდიოდა მძიმედ, ხვნეშით, თორემ იოხანანი როგორ დაამძიმებდა მის ნაბიჯს. სასაფლაო სწორედ ჰარ ჰა ზეთიმზე – ზეთისხილის მთაზე იყო. სასაფლაოს რომ გასცდა, ასიოდ ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომაელებმა ისრები დაუშინეს. მიხვდნენ – ან რა ასეთი მისახვედრი იყო – ის კაცი მიცვალებულის დასასაფლავებლად არ იყო გამოსული ქალაქიდან, სულ სხვა რამ ედო გულში. იეჰუდამ მოძღვარი მიწაზე დაუშვა და ზეწარი შემოხსნა. იოხანან ბენ ზაქაია ცქვიტად წამოხტა და აჩქარებული ნაბიჯებით ხევს მიაშურა. ხევში ჩახტნენ და გაირინდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იეჰუდა წამოდგა, რომაელთა ისრის ხელში აღება და დათვალიერება ეწადა მებრძოლ კაცს, მაგრამ ბიძა მკლავში სწვდა, ქვემოთ დაქაჩა, ნუ ადგებიო. იეჰუდა უხმოდ დაყაბულდა. იოხანანს რომ ორიოდ წამიც დაეგვიანებინა, მიცვალებული ეყოლებოდა დასამარხავი – რომაელებმა კვლავ დაუშინეს ისრები. სილაში ჩარჭობილი ისრები ერთხანს ღვინომორეული კაცებივით ქანაობდნენ.

რომაელთა ნაბიჯების ხმა შორიდანვე მოისმა. იოხანან ბენ ზაქაიამ თვალები გაახილა, ნაბიჯებს მიაყურადა და კვლავ ფიქრს მიეცა. რომაელნი ხევში მარდად ჩამოხტნენ – შვიდკაციანი რაზმი იოხანანისა და იეჰუდასკენ გამოემართა. არც აჩქარებულან და არც ნაბიჯი შეუნელებიათ. მწყობრი ნაბიჯით მოვიდნენ, გარს შემოერტყნენ და მიწაზე მსხდომთ მახვილები მოუღერეს. მერე ერთმა ლეგიონერმა – მუზარადში სახეც არ უჩანდა – რაღაც ამოიძახა და შვიდივემ მახვილები წამახული პირით ბეჭებშუა დაადო იოხანანსა და იეჰუდას. ესენი კი არც შერხეულან – ხმაგაკმედილნი ისხდნენ სილურჯეშეპარულ, ყავისფერ, მზისგან ღონეგამოცლილ მიწაზე და ისე დაჟინებით ჩასცქეროდნენ, თითქოს მიწამ უნდა უკარნახოსო სათქმელი. იეჰუდამ თავი ასწია, შეეცადა რომაელთაგან მეთაურად მიჩნეული გამოერჩია /როგორ ეშმლებოდა ყოველი მათგანი, რა სიამოვნებით აჰკუწავდა შვიდივეს!"/ და მას მიმართა:

– თქვენს წინაშეა ჩვენი დიდი მოძღვარი,

განმანათლებელი იოხანან ბენ ზაქაია. დავითისა და სოლომონის ქალაქი იმისთვის დატოვა, რომ სარდალ ვესპასიანესთან შეხვედრა სწადია, - თავს იკავებდა, რომ არ ეყვირა ამ მუზარადებში ჩამალული მოძალადეებისათვის. ამიტომ ეს სიტყვები ჩქარა, სხაპასხუპით თქვა, შეტრიალდა და ისე წავიდა იერუსალიმისაკენ, ბიძასაც არ დამშვიდობებია.

მას შემდეგ, რაც ვესპასიანე აქ დგას - იერუსალიმის ჭიშკრებთან - თხუთმეტჯერ ამოვიდა ახალი მთვარე და ამ ხნის განმავლობაში ასეთი სასიამოვნო ცნობა არ მიუღია - იოხანან ბენ ზაქაიას მასთან შეხვედრა სურს.

- ვინ არის იოხანან ბენ ზაქაია? - იცოდა, ვინც იყო, მაგრამ მაინც ჰკითხა იოსებს, ძეს მათათიაჰუსას, მის მიერვე ფლავიუსად წოდებულს.

- ერთი იმათგანი, ვის სახელსაც იუდეველები დაიმახსოვრებენ.

„მაინც რისთვის უნდა მოდიოდეს იოხანან ბენ ზაქაია რომის სარდალთან, რა მიზანი აქვს? ჩვენი შეჩვენება სურს? ან იქნებ იერუსალიმი გვნებდება და პირობებს წამომიყენებს?“ დაფიქრების შემდეგ ეს აზრიც უარყო ვესპასიანემ. - ისეთი ჯიუტი ერი, როგორიც იუდეველნი აღმოჩნდნენ, არ ნებდება. ეგ ალყა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. მაშ, რაღა დარჩა? ჩვენი შეჩვენება სურს?! მთელი იერუსალიმი დაინახავს, როგორ გავაკრავ ჯვარზე... იქნებ რაიმე სათხოვარი აქვს? სათხოვარი... სათხოვარი... - ვესპასიანე ჩაფიქრდა. იოხანან ბენ ზაქაიამ ვესპასიანეს რა უნდა სთხოვოს? იქნებ რომელიმე დიდებულის სიცოცხლეს ავედრებს? - ვესპასიანე შეეცადა, გაეხსენებინა, ამ ბოლო დღეებში რომელი იუდეველი დაატყვევეს მისმა გუშაგებმა. არა, არც ერთი დიდგვაროვანი ტყვე არ მოუყვანიათ - ვერ იქნა და ვერ მიხვდა სარდალი, რისთვის უნდა მოდიოდეს მასთან იოხანან ბენ ზაქაია.

გუნება გაუფუჭდა ვესპასიანეს - ახლაღა იაზრა: - თუ იუდეველი რომაელთა შესაჩვენებლად მოდის, ვესპასიანე სხვებივით ვერ დასჯის - ეს მაინც იოხანან ბენ ზაქაიაა. მისი დასჯა რომის იმპერიის სხვა ქვეყნებში მცხოვრებ იუდეველთა უკმაყოფილებას გამოიწვევს. ეს ერთი. მეორე: ამნაირი ადამიანის ჯვარზე გაკვრას ურჩთა და შეთქმულთა ჯვარზე გაკვრაში ესოდენ გაჩვეული რომიც არ მოუწონებს. იმპერატორ ნერონისას რას გაიგებ: სწორედ ჯვარზე გაკვრა მიაჩნია რომაელთა სანაქებო საქმედ, მაგრამ, შესაძლოა, ვესპასიანე სწორედ იმის გამო დატუქსოს, რასაც თავად ასე გატაცებით ემხრობა.

ლეგიონერი უხმოდ ჩადგა კარვის კარში. ეს იმას ნიშნავს, იუდეველი უკვე ახლოს არის. შეეგებოს თუ აქ მიიღოს? „შევეგებები; თუ შესაჩვენებლად მოდის, იქიდანვე გავუყენებ თავის გზას“, გაიფიქრა გუნებაწამხდარმა ვესპასიანემ და წამოდგა. კარვიდან გავიდა თუ არა, დაინახა, რა ენერგიულად მოაბიჯებდა იოხანან ბენ ზაქაია, ქარი წვერს უფრიალებდა. რომის სარდალმა იუდეველი ულაყს შეადარა: ულაყივით ძლიერად მოაბიჯებს, წვერიც ფაფარს მიუგავსო.

- სილასაც ისევე მოფანტავს, როგორც გრძელფეხება ულაყი, - გაიფიქრა სარდალმა და თვალით ყურადღებით გაზომა იოხანან ბენ ზაქაია. უნდოდა, მიახლოებით მაინც წარმოედგინა, რა სიმაღლის ძელი იქნებოდა საჭირო ამ კაცის ჯვარზე გასაკვრელად.

იოხანანი შედგა. ფიქრიანი მზერა ვესპასიანეს მიაპყრო, თითქოს ახლავე, სიტყვის უთქმელად ეწადა იმის გაგება თუ რა პასუხი შეიძლებოდა მიეღო სარდლისაგან.

და თქვა იოხანან ბენ ზაქაიამ:

- შენ აქ მოხვედი იმისათვის, რომ იუდეა და იუდეველები ხელახლა დაიმორჩილო. მე კი იმისთვის, რომ იუდეველთა სული გთხოვო. შენ ამ ხალხის დაცემა გინდა, მე კი - სულიერი ცხოვრების შენარჩუნება. სხვადასხვა გზით მიმავალნი ვართ, მაგრამ ენა იმისთვის გვაქვს, ვისაუბროთ, გონება კი იმისთვის, რომ ნათქვამი ავწონ-დავწონოთ.

ამ სიტყვების მიხედვით ძნელია იმის გაგება თუ რისთვის მოვიდა იოხანან ბენ ზაქაია, მაგრამ, რახან გადარჩენაზე ლაპარაკობს, ეს იმას ნიშნავს, დამარცხებას შერიგებია. არც შეჩვენებისათვის უნდა იყოს მოსული, - გაიფიქრა ვესპასიანემ. ხმამაღლა კი თქვა: - მე მზად ვარ, ვუსმინო იოხანან ბენ ზაქაიას, - მშრალად, ყრუდ თქვა და ამით უნებურად გაამხილა, რომ ღელავდა.

სარდლის მღელვარება იოხანანს არ გამოჰპარვია.

და კვლავ თქვა იოხანან ბენ ზაქაიამ:

- დღეს იუდეას სადი აზრი არ ესმის. რაც უფრო ფიცხობს ხალხი, მით უფრო მწარედ მარცხდება იგი. თქვენ მალე მიხვალთ დავითის ქალაქში. დამორჩილებული ხალხი ჭრილობებს რომ მოიშუშებს, ისე იწყებს ცხოვრებას, თითქოს გუშინდელი ცხოვრება არ ჰქონია. ჩვენთვის კი წარსული და მომავალი ერთიანია: იერუსალიმიდან იმიტომ გამოვიპარე, რომ გთხოვო, მჭირდება შენი ნებართვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეწყობა, - იოხანანი შეყოვნდა, მცირე ხნის დუმილით აწ სათქმელს გაუსვა ხაზი, - არა მხოლოდ ნებართვას, ხელშეწყობასაც გთხოვ... - კვლავ გაჩუმდა იოხანანი, ვესპასიანეს დააკვირდა. რომის სარდალი ყურადღებით უსმენდა. მის მზერაში ნდობა და პატივისცემა იკითხებოდა. ამიტომ მტკიცედ განაგრძო იოხანან ბენ ზაქაიამ: - როცა მშვიდობა დამყარდება, მინდა, ჩვენს ერს ვესაუბრებოდე ღმერთზე, ვახსენებდე წარსულს ებრაელი ხალხისა, ვსწავლობდეთ წინასწარმეტყველთა წიგნებს. ამით გადავარჩენ ერის სულს.

რომის სარდალი კი აღარც უსმენდა იოხანანს.

„ნებართვას მთხოვს, ნებართვას და დახმარებას. ეს კი იმას ნიშნავს, კვლავ რომი მიაჩნია იუდეის პატრონად და გამგებლად. ომის შემდგომ მშვიდობაზე ფიქრობს. რაოდენ სასაცილონიც უნდა იყვნენ ეს იუდეველნი თავიანთი წინასწარმეტყველებითა და ღმერთით, ამ კაცს ხელი არ უნდა ვკრათ".

- კარავში შემობრძანდით! - უთხრა ვესპასიანემ და მოხუცს წინ გაუძღვა.

ვესპასიანე ჩინებულ გუნებაზე დადგა: „იოხანან ბენ ზაქაია ჭაბუკი იოსებ ფლავიუსი არ არის. მისი აქ ყოფნა აჯანყებულ ზელოტებს ფრთებს შეაჭრის. ამ მოხუცის მოსვლა დიდი საჩუქარია ვესპასიანესათვის. დაეხმარება, ცხადია, დაეხმარება! ამით რომის იმპერიაში მცხოვრებ ებრაელთა გულს მოიგებს. მთელ იმპერიას იმასაც დაანახვებს, რაოდენ ლმობიერია რომი სხვათა ღმერთების მიმართ. რომი ყოველთვის მზად არის შერიგებისათვის, ოღონდ კი სიმშვიდე იყოს, ოღონდ კი დამარცხებული უაზრო ყიჟინით გარემოს არ აყრუებდეს. რატომ უნდა ფიცხობდნენ, რისთვის უნდა ყაყანებდნენ. ემსახურონ თავიანთ ღმერთს.

- მაგრამ ჯერ იერუსალიმის მოქალაქეები უნდა გავახაროთ - უნდა ვაცნობოთ, რომ იოხანან ბენ ზაქაია ცოცხალია და რომის სარდალთან ტკბილად საუბრობს, - თქვა ვესპასიანემ.

და გაიფიქრა იოხანან ბენ ზაქაიამ:

„რა დიდი ჯარიც არ უნდა ჰყავდეთ, რაოდენ ძლიერნიც უნდა იყვნენ, მაინც სუსტნი არიან - ამწუთიერი გამარჯვება უხარებთ გულს", - ხმამაღლა კი თქვა: - ეგ თქვენი ნებაა.

ვესპასიანემ გუშაგს ნიშანი მისცა და ისიც მყის გავიდა კარვიდან. ვესპასიანე იოხანან ბენ ზაქაიას მიუბრუნდა:

- მაინც როგორ გინდათ ეგ საქმე ქმნათ?

და თქვა იოხანან ბენ ზაქაიამ:

- ქალაქ იამნიაში, თქვენ რომ იავნეს უწოდებთ, რელიგიური აკადემია უნდა დავაარსოთ. იუდეველნი იქ უნდა სწავლობდნენ თავიანთ ენას, რელიგიას, ღვთის მცნებებს, წინასწარმეტყველთა წიგნებს.

- რომისადმი მორჩილებას თუ ჩააგონებენ მაგ სასწავლებლის მსმენელებს?

- არა, სარდალო, ჩვენ არც სიძულვილს ვასწავლით ადამიანებს, არც მორჩილებას. ჩვენ ღვთის მცნებებს ვასწავლით და ვსწავლობთ, ადამიანის სულს ღვთის მცნებათა აღსრულება ჰგვრის სიმშვიდეს, ბედნიერებასაც კი.

„სწორია, რა სულელური რამ ვკითხე, - გაიფიქრა სარდალმა - რა უცნაური მზერა აქვს ამ კაცს - ასე მგონია, ჩემს სულში იმზირება". ხმამაღლა კი თქვა:

- კარგი, მე გაძლევთ ნებართვას, მაგ სასწავლებლის იავნეში შექმნისა. ხელსაც შეგიწყობთ. შეეცადეთ მეტი და მეტი იუდეველი მიიზიდოთ იქ.

და გაიფიქრა იოხანან ბენ ზაქაიამ:

„ამ გადამთიელმა რა დღეც უნდა გვაწიოს, ველარაფერს დაგვაკლებს. მე რწმენასა და ენას, ებრაულ სულიერებას გადავარჩენ, დანარჩენს კი დრო და მარჯვენა აღადგენს. მადლობელი ვარ, უფალო ჩემო, რომ ისმინე ჩემი ვედრება".

იდგა წელი სამოცდამერვე ახალი წელთაღრიცხვისა.

კიდევ ორი წელი იცავდა თავს იერუსალიმი.

ორი წლის შემდეგ სარდალმა ტიტოსმა, ძემ ვესპასიანესი, იერუსალიმი დაამხო, დაცალეწა მეორე ტაძარი - იუდეველთა სულიერების სათავე.

ზელოტთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, რომ განრისხებულმა ტიტოსმა გადახნა დანგრეული იერუსალიმი. სულ ცოტახნის წინათ აყვავებულ ქალაქში მელიები დარბოდნენ.

ამასობაში იოხანან ბენ ზაქაიას რელიგიური აკადემია იავნეში ებრაელთა სულიერი ცხოვრების ცენტრად იქცა. მან გაუღო კარი იერუსალიმითგან ოტებულ სწავლასა და სწავლებას მოწყურებულ ადამიანებს.

იერუსალიმის დაქცევით აღარ დაიქცა ერი.

იოხანან ბენ ზაქაიას რელიგიურმა აკადემიამ შეცვალა ტაძარი იერუსალიმისა. იუდეველთა სულიერი ცხოვრება გადარჩა.

ახლა კი იგი აბესალომის საკანში მოსულიყო. საკნის სივრცეში სავარძელში ჩამჯდარს ხელში გაშლილი თორა ეჭირა და უხმოდ კითხულობდა. იოხანან ბენ ზაქაიას სახეს ღვთი-

ური სხივი აბრწყინებდა, იოხანან ბენ ზაქაიამ აბესალომს კუშტად გადმოხედა და თქვა:

- ეძებე, ეძებე, ეძებე! - და კითხვა განაგრძო.

- რა? სად ვეძებო, იოხანან ბენ ზაქაია? - აბესალომი ფეხზე წამოდგა.

იოხანან ბენ ზაქაიამ თორა დაკეცა. აბესალომს გადმოხედა.

ერთხანს უხმოდ უცქირა, მერეღა თქვა:

- ეძებე ის, რისი უფლებაც ებრაელს არა აქვს.

დიმიტრი აბესალომს მიუახლოვდა.

- ხომ კარგად ბრძანდებით, აბესალომ ბატონო.

აბესალომმა პასუხი არ გასცა. იგი სივრცეს შესცქეროდა - საკნის შემოზღუდულ, პაწია სივრცეს.

- აბესალომ ბატონო, ხომ კარგად ბრძანდებით? აბესალომმა ახლაღა მოხედა დიმიტრის.

- ჰა, რა მითხარი?

- რა მოგდით, ბატონო აბესალომ.

- არა, არა, არაფერი, - აბესალომი ულონოდ დაეშვა ნარზე.

## დრო

*და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი დედამიწაზე და გული დაუდარდიანდა.*

„დაბადება“ 6:6

გუშინ აბრამს ჰკითხა:

- იქნებ ამიხსნა, ბატონო აბრამ, იქნებ, გამაგებინო - რისთვის ჩნდება ადამიანი, რისთვის არსებობს ქვეყნად; კიდეც არ ვიყო, წუთისოფელს რა. დააკლდება, ჩემი არყოფნით რა შეიცვლება?

აბრამი საკმაო ხანს ყურადღებით შესცქეროდა დათოს. შესცქეროდა და ფიქრობდა. მერე თქვა:

- ხვალ ბიჭებს მუზეუმში კრება აქვთ, მოდი იქ, მოვუსმინოთ, მერე ვისაუბროთ.

რისთვისაა ეს კრება, რას აპირებენო, იკითხა დათომ არა იმისთვის, რომ წაუსვლელობის მიზეზი ჰქონოდა, მისვლა უნდოდა და მიზეზს ეძებდა. ებრაელების გამაერთიანებელი კავშირის შექმნა სწადიათ, კარგა ხანია იკრიბებიან, მივიდეთ, გავუგონოთ, იქნებ, სასიკეთო რამე გამოვიდესო. დათოს გაეღიმა.

ბოლო წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც სკოლის მეგობრები ისრაელსა, თუ სხვა ქვეყნებში მიმოეფანტნენ, ებრაელობასთან თითქმის აღარ ჰქონდა ურთიერთობა. დროდადრო ქუჩაში თუ წააწყდებოდა შორიახლო ნაცნობ ებრაელს, უბრალო, საყველპურო საუბარს თუ გაუბამდა, თორემ ადრინდელი ურთიერთობა დროს თან გაჰყვა.

ამანაც მოიყვანა კრებაზე - ეწადა სცოდნოდა თუ რით ცხოვრობდა დღეს თბილისის ებრაელობა.

დარბაზში რამდენიმე ნაცნობ სახეს მოკრა თვალი. სიმონი ლაპარაკობდა. ადრე სიმონს - ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარს - ხშირად ხვდებოდა. ერთობ მოკრძალებული კაცი იყო. იმდენად მოკრძალებული, რომ ქუჩაშიც კი არავის გადაუჭრიდა გზას - ჯერ სხვას, თუნდაც ბავშვი ყოფილიყო, გაატარებდა, თავად მერე გაივლიდა. საუბრისას პირზე ღიმილი ეკერა, აუგს არავის ეტყოდა, არც არავის დასძრახავდა. გაზეთში ან ჟურნალში თუ რაიმეს დაბეჭდავდა, მუდამ თან დაჰქონდა, ლამის ყოველ შემხვედრ ნაცნობს აჩვენებდა, აი, ნახეთ, როგორი სტატია დავბეჭდეო, თუმცა, იმას არაფრად დაგიდევდათ, იმ კაცს აინტერესებდა თუ არა ძველი ქართული ლიტერატურა. სტატიები, მართლაც, რიგიანი იყო, თუმცა ამ საკითხებზე არანაკლებ საინტერესონი წაეკითხათ დათოსაც და სხვებსაც. სიმონი კი ისე წარმოაჩენდა საქმეს, თითქოს მხოლოდ ეგ იყო ძველი მწერლობის შემსწავლელი, მხოლოდ თვითონ წერდა ძველ ქართულ ლიტერატურაზე.

ერთხელ, მას შემდეგ, რაც საბჭოეთის მმართველებმა ამ უზარმაზარ ქვეყანაზე გადაჭერილი არტახები აუშვეს, თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ათიოდე წლის წინათ უცხოეთში დარჩენილი დისიდენტი პუბლიცისტი. მას შემდეგ, რაც უცხოეთში ტურისტად გამგზავრებულს შინ, სამშობლოში დაბრუნება დააეიწყდა, ბატონი დემეტრე ბრიუსელს დასახლებულიყო, ახლა კი ძლიერ ეწადა სამშობლოდან გაქცევა რაიმეთი გაემართლებინა და საქართველოში კარგი სახელი დაეგდო. გამოაცხადა იქ, ბრიუსელში ევროპული მასშტაბის პრემია დავაწესე ქართული ლიტერატურის განვითარებას რომ წაადგებაო და გაიკითხ-გამოიკითხა, ვის შეიძლება ეს პრემია მიენიჭოსო. რამდენი კანდიდატურაც შესთავაზეს, ყველაზე უარი თქვა: ეგ ხომ მართლა ცნობილი მკვლევარია, ვიცი, მშვენიერი ნაშრომები აქვსო. მე ისეთ კაცს დავეძებ, რომელსაც არავინ იცნობსო. უჩინარ კაცს რისთვის ეძებდა არ უთქვამს; იქ, ბრიუსელში, ფულის მომცემი პატრონებისათვის უნდა ეთქვა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაჩაგრულ მეცნიერებს დავუჭირე მხარი,

ისინი ხომ ყოველ ჭეშმარიტ მეცნიერს სდევნიდნენო. ბატონმა დემეტრემ თბილისში ვერა და ვერ იპოვა პრემიის ამგვარად შესაფერი მეცნიერი. სიმონი ყურადღებით ადევნებდა თვალს დემეტრეს წვალებას /ინფორმაციის მიღების ოსტატი იყო/. ერთ დღეს ყოფილი დისიდენტის თანაკლასელს ბატონ ვახტანგს, ვის ოჯახშიც ბატონი დემეტრე ჩამომხდარიყო, უთხრა: საქართველოში ჩემზე უფრო უხმო და უჩინარი ვინ არის, შრომებსაც ვგონებ, არა უშავთ რა, მაგრამ ყველაფერ ამას ვინ ეტყვის ბატონ დემეტრეს? ვეტყვი, რატომაც არ ვეტყვიო, ქართული გულღიაობით მიუგო ვახტანგმა და სტუმარს ურჩია: რახან სხვა ვერავინ ნახე, იქნებ, აგერ ამას მისცე, ერთი უთქმელი კაცია, თანაც რიგიანად წერსო. ვიცი, წამიკითხავს, მაგრამ საპრემიო შიგ არაფერი ყრიაო, მიუგო საგონებელში ჩავარდნილმა ბატონმა დემეტრემ. დილას ყავას რომ სვამდნენ, ისევ დაუბრუნდა წინა საღამოს დაწყებულ საუბარს. მაგ, კატასავით ფრთხილად მოსიარულე სიმონის კანდიდატურა რატომ შემომთავაზეო.

– მთხოვა და მეც უარი ვერ ვუთხარი. ერთი უხმაურო, ჩუმი ებრაელი კაცია, ძალიან...

– ებრაელიო?! – ამის გამგონე ყოფილი დისიდენტი სიხარულით ლამის ცას ეწია, აქამდე ამას რატომ მიმალავდითო, საყვედურით უთხრა მასპინძელს. ბატონი დემეტრე ერთ კვირაში ბრიუსელს გაბრუნდა და ორ კვირაში თბილისს ფაქსით აცნობა უცხოეთის ლიტერატურული პრემია ამასა და ამას მიენიჭაო. იცოდა: თუ პრემიის მინიჭების ცნობას აქ გამოაქვეყნებდა, რეზონანსი არც ისე დიდი იქნებოდა, თუ ცნობა უცხოეთიდან, ევროპიდან მოვიდოდა, უცხოურზე დაფეთებულ ჩვენს თანამემამულეებს სიამაყის სასაცილო ბანგი მოედებოდათ: აი, როგორ გვადევნებს თვალს ევროპა, როგორ ზრუნავს ჩვენზეო. ორიოდ დღეში, პრესაში, მართლაც, დაიბეჭდა ცნობები, რომლებსაც ასეთი სათაურები ამშვენებდა: „ფაქსი ევროპიდან“, „საერთაშორისო აღიარება“, „ქართული მწერლობის გამარჯვება ევროპაში“.

როგორც თავად დაინახეთ, ბატონ დემეტრეს სიმონის კანდიდატურის შეთავაზების შემდეგ სხვა სახელი არ უძებნია. მეტიც – შვებით ამოისუნთქა და აი, რატომ: ბრიუსელში იმ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომელიც დემეტრეს ფინანსურ დახმარებას უწევდა, ბეილისონი გახლდათ. ამ ბეილისონს არა და არ მოსწონდა საბჭოეთიდან უცხოეთში გადახვეწილი დისიდენტები. დისიდენტებს საბჭოეთის დანგრევა სწადიათ. საბჭოეთი კი არ უნდა დაინგრეს, უნდა დაიხვეწოსო. დისიდენტების მეტი წილი სამართლიანობისათვის კი არ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას, კარიერისტული ამბიციები ვერ დაიკმაყოფილეს, უცხოეთშიც იმისთვის გამოიქცნენ, რომ ჰგონიათ აქ სახელსა და დიდებას იოლად მოიპოვებენო. ამ ბეილისონს განსაკუთრებით ბატონი დემეტრე არ მოსდიოდა თვალში: საქართველოს კარგად ვიცნობ, დიდი კულტურის ქვეყანაა, ადამიანები ერთობ რბილნი, მოყვარულნი არიან და ძალიან ბრაზიანი კაცი უნდა იყო, იქიდან რომ გამოიქცეო.

როცა დემეტრეს საქმიანობის დაფინანსების საკითხს განიხილავდნენ, ეგ კაცი მუდამ თავს იკავებდა. ბატონ დემეტრეს ეგ ბეილისონი ებრაელად მიაჩნდა, რადგან 70-იან წლებში თურმე აქტიურად ეხმარებოდა ებრაელთა მოძრაობას: „გამოუშვი ჩემი ხალხი“. სიმონის ებრაელობა რომ შეიტყო, ბატონმა დემეტრემ შვება იგრძნო: ახლა კი მოვტეხ რქებს მაგ ბეილისონსაო, მაგრამ კაცს რომ ბედი ერთხელ შეაქცევს ზურგს, მერე იშვიათად აჩვენებს ღიმილმორეულ სახეს: ეგ ბეილისონი თურმე ებრაელი კი არა, ერთობ ძლიერი კათოლიკე, და როგორც ყოველი ჭეშმარიტი ღვთისმოსავი კაცი, ებრაელობის დამფასებელი ყოფილა, სინანულის გრძნობაც სდევდა თურმე – ებრაელთა გაფანტულობა ჩვენი, ევროპიელების, ანტისემიტიზმიც კათოლიციზმის ბრალიაო და ყოველმხრივ უჭერდა მხარს ებრაელობის ბრძოლას ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციისათვის. მტკიცედ სწამდა: ყოველმა კაცმა იქ უნდა იცხოვროს, სადაც სწადია, ებრაელობამ კი – ისრაელშიო. ამიტომ საქართველოში მცხოვრები ებრაელი კაცის – სიმონის ამ პრემიით დაჯილდოებამ მასზე ვერარა შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ვერც ბატონი დემეტრესადმი დამოკიდებულება შეუცვალა. გაალიზიანა კიდეც: თუ ეგ სიმონი ჭეშმარიტი ებრაელია, რატომ ისრაელს არ წავიდა, იქ რა უნდაო, უთქვამს. ბეილისონის რეაქცია სავსებით გასაგები გახლდათ: 70-იან წლებში, როცა საბჭოთა ხელისუფლება ებრაელობის რეპატრიაციას აბრკოლებდა, მან იმდენი ენერგია და ფული შეაძლია მოძრაობას – „გამოუშვი ჩემი ხალხი“, დღეს ყოფილ საბჭოეთში დარჩენილი ყოველი ებრაელი აღიზიანებდა.

ასე რომ, ამ პრემიის დაწესებამ ბატონ დემეტრეს ბელგიაში, თავის პატრონებთან ურთიერთობისას ვერა-რა სიხარული ვერ მიანიჭა. საქართველოში კი სხვაგვარად იყო – ქველმოქმედისა და ეროვნული მოღვაწის სახელი დაუგდო. მას სხვა არც არაფერი ეწადა. ამის შემდეგ აღარც პრემია გაუცია და არც

არავის გახსენებია ეს პრემია. სიმონს კი კარგად ახსოვდა - ავტობიოგრაფიისა, თუ სხვა დოკუმენტების შევსებისას წერდა, ან თავისი კანდიდატურის აქა თუ იქ წამოყენებისას აცხადებდა, უცხოეთის პრესტიჟული ლიტერატურული პრემიების ლაურეატი გახლავართო. ნაცნობ-მეგობრებში კი ამბობდა": „აი, ხომ ხედავთ, როგორი პროვინციელები ვართ, ჩვენში ყველაფერი ბიძაშვილ-მამიდაშვილობით როგორ არი: ჩემი სახელი უცხოეთში იციან, ჩემს შრომებს პატივს სცემენ, უცხოელები მანიჭებენ პრესტიჟულ პრემიებს, საქართველოში ერთი უბრალო პრემიაც კი არ გაიმეტესო". თუ ვინმე ჰკითხავდა, რა პრემია მოგანიჭესო, ბრაზობდა: მთელს ევროპაში ძალიან პრესტიჟული ლიტერატურული პრემია როგორ არ იციო. ბატონ დემეტრესა და მის საქმიანობას, ცხადია, არც ახსენებდა, რადგან ყველა მიხვდებოდა, ეს დემეტრეს ქესტი იყო და არა ევროპის პრესტიჟული პრემია. ამას გარდა, ბატონი დემეტრეს სახელმა უკვე ის ხიბლი დაჰკარგა - აღარც უცხოეთში მცხოვრები ქართველი იყო და აღარც დისიდენტი - დემეტრე საქართველოში დაბრუნდა, მთავრობაში კარგი თანამდებობა მიიღო /„უცხოეთის უზარმაზარი გამოცდილებითა და საინტერესო იდეებით დაგვიბრუნდა, პატარა საქმეს ხომ არ ვაკადრებთ"/, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ბატონ დემეტრეს მხოლოდ ლამაზი ლაპარაკი სცოდნია, საქმის კეთება კი...

ამიტომ ორიოდ წელიწადში უცხოური გაზეთებითა და წიგნებით ხელში რუსთაველის პროსპექტზე უსაქმოდ დადიოდა. მალე გარდაიცვალა კიდეც და თანაკლასელებმა კუკიის სასაფლაოზე მიუჩინეს სამუდამო ბინა. სიმონი გასვენებაზე ვერ წავიდა - ერთი კვირის შემდეგ ტელევიზიაში ექვსწუთიანი გამოსვლა მაქვს, პრემიის მიღების მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით და უნდა მოვემზადოო.

როგორც გითხარით, ამ პრემიის მიღება სიმონს არ დავიწყნია - ერთ დროს ეს უხმო და მოკრძალებული კაცი სწორედ ისე იქცეოდა, რისთვისაც ეს პრემია სჭიროდა თურმე, ანუ რის გამოც ესოდენ მოკრძალებული და უხმო გახლდათ: თუ ვინმე აწ მის აზრს არ გაიზიარებდა, ბრაზობდა. თუ ადრე ნაბიჯსაც კი შეუმჩნევლად ადგამდა /აკი ამბობდა დემეტრე, კატასავით უხმოდ დადისო/ ახლა მძიმედ დააბიჯებდა, აუჩქარებლად, მრავალმნიშვნელოვნად, დროდადრო ირონიული ღიმილის მოშველიებით ლაპარაკობდა თავის უპირატესობაში ურყევად დარწმუნებული კაცი. თუმცა, გამოქვეყნებული სტატიების /ამას უკვე მოგონებები, ამა თუ იმ საკითხზე მისი კომენტარები დაემატა/ ჩანთით ტარება და ნაცნობთათვის ჩვენება არ მოიშალა - ახლა ის გაზეთიც დაჭქონდა, რომელშიც მისი პრემიით დაჯილდოება იყო გამოცხადებული. მართალია, გაზეთი გაიცრიცა, სიყვითლეც შეეპარა, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევდა.

დათოს გაუჭირდა სიმონთან ურთიერთობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიმონმა ხელისუფლებაშიც დაიდო ბინა. როცა მარტონი რჩებოდნენ, სიმონი ადრინდელი, მეგობრული ტონით ელაპარაკებოდა. საკმარისი იყო მესამე ადამიანიც შემოერთებოდათ, სიმონი თავის უპირატესობას უსვამდა ხაზს - სამთავრობო, სახელისუფლებო ინტონაციით ელაპარაკებოდა. ამასთან, ურთიერთობისას დათო უკვე ადრინდელ ხალვათობას ვერ გრძნობდა. ამიტომ განერიდა.

სიმონი ახლაც სახელისუფლებო ინტონაციით - ხმადაბლა, ხაზგასმულად ლაპარაკობდა - მისი ნათქვამის გასაგონად სმენა უნდა დაგეძაბა

- ხო იცი, ტელევიზიაში გამოდის ხოლმე, მთავრობაშიც მიღებული კაცია - გადაუჩურჩულა აბრამმა დათოს. დათომ თავი დაუქნია. ამ ბოლო ხანს სიმონი, მართლაც ხშირად გამოდიოდა ტელევიზიით. ხან ხანუქის დღესასწაულს მიულოცავდა ებრაელობას, ხან როშ ჰა შანას, ხანაც ისრაელში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებდა მაყურებელს.

- ბატონებო, მე ყურადღებით მოვუსმინე ბატონ ზურაბს. მიამბეს თქვენი წინა სხდომების თაობაზე და ვხედავ, როგორ ცდილობენ, დღევანდელი საქართველოს ებრაელობას თავს მოახვიონ რაღაც სტრუქტურები. ამიტომ დღეს განსაკუთრებული ყურადღებით გისმენდით: თუ გაინტერესებთ, მე შემიძლია ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ, - სიმონი შეჩერდა, დარბაზს გადახედა.

- ცხადია, გვაინტერესებს, ყველას ძალიან გვაინტერესებს, - თქვა ვილაცამ.

- მაშინ გულახდილად და პრინციპულად გეტყვით: ბატონ ზურაბის დღევანდელი გამოსვლა იყო სრული პოპულიზმი. ებრაელთა არავითარი ორგანიზაცია ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენი ხალხი ოცდაექვსი საუკუნეა ცხოვრობს ამ მიწაზე და არარა ორგანიზაცია არ შეუქმნია. დამოუკიდებელი, გათავისუფლებული საქართველოს ხელისუფლება ჩვენ ძალიან კარგად, ძა-ლი-ან კა-რ-გად გვიყურებს. თუ ჩვენს ებრაელობას რაიმე გასაჭირი დაატყდა თავს, ყოველ ებრაელს შეუძლია მომმართოს მე.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვარ, აუცილებლად მივაქცევ ყურადღებას თქვენს ყოველ თხოვნას. თქვენ, ცხადია, იცით, რომ დღეს მე წარმოვადგენ ებრაელობას საქართველოს ხელისუფლებაში, მე მაქვს დავალებული საქართველოს ებრაელობის კურატორობა. მე პირნათლად ვასრულებდი და კვლავაც შევასრულებ ამ მისიას.

– რას ნიშნავს ებრაელობის კურატორობა? – ხმადაბლა, ხაზგასმული სიმშვიდით იკითხა მიშამ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ შუამავალი თქვენსა და ხელისუფლებას შორის.

– კი მაგრამ, ვინ ითხოვა შუამავალი, ჩვენ რა შუამავალი გვჭირდება, ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვენივ გაიხედა მიშამ.

– აი, მაგას კი თქვენ არავინ გეკითხებათ, – მღელვარედ შესძახა სიმონმა და მყისვე მიხვდა, რომ აჩქარდა – საქართველოს მთავარ ებრაელად მიიჩნევდა თავს, მაგრამ სახელი კი სხვა ეწადა – დიდი ინტელექტის, მეცნიერული ღირსებების გამო დაწინაურებული მოღვაწის სახელი უნდოდა და არა მოძალადე ფუნქციონერისა. ის შეძახილი კი მოძალადისა გახლდათ. ამიტომ უცებ გაიღიმა და მიშას მეგობრულად, გულთბილად მიმართა, – მაცალეთ ბატონო მიშა, ერთხელ მაინც ხომ უნდა იხუმროს კაცმა.

დათო გააოცა სიმონის მყისიერმა გარდასახვამ, როგორი მოქნილი გამხდარაო, გაიფიქრა.

– ჯერ ის გავარკვიოთ, გვჭირდება თუ არა ჩვენ ხელისუფლებასთან შუამავალი, – არ ცხრებოდა მიშა.

– რას ჰგავს ეს ბოლოს და ბოლოს! – მაგიდას ხელი დაჰკრა წვეროსანმა. ამ კაცს თეთრი, სპორტული ბოტასები ეცვა, თავზე სატინის პაწია ქუდი ეხურა – ისეთი, როგორსაც მორწმუნე ებრაელები ატარებენ ისრაელსა თუ სხვა ქვეყნებში. ამით თავის რელიგიურობასაც უსვამდა ხაზს. დათომ მოსვლისთანავე შეამჩნია – უხმოდ, უსიტყვოდ მეტყველებდა, არც ერთ რეპლიკას რეაგირების გარეშე არ ტოვებდა, სკამზე ცქმუტავდა, თვალებს ავადმყოფურად აბრიალებდა, – თქვენ გინდა Представителю правительства აზრის გამოთქმა შეუშალოტ და ამიტ ხელი შეუშალოტ ებრაელობას. Получается, что мы Еврей ненавидим демократию, მტავრობას ობსტრუქციას ვუწყობთ? ეს გინდათ, Еврей?! ხელისუპლების გადაკიდება გინდათ? იმ ხელისუპლებისა, დემოკრატიისათვის ამდენი სისხლი რომ დაღვარა? Море крови!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. დათომ კრებაზე მოსულთ გადახედა. ზოგიერთის თვალებში შიში ჩამდგარიყო; ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

– ეს რა დემაგოგიაა!.. – ქალის ხმა იყო.

დათომ ვერ დაინახა, ვინ თქვა სიტყვები, რაზედაც წვეროსანმა ხმამაღლა, გამომწვევად გადაიხარხარა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

– ბატონებო! ადგილიდან წამოდგა მაღალ-მაღალი, ჭაღარაგარეული მელოტი კაცი, – მე არა ვგონებ, საქართველოს ებრაელობა დღესაც ისევე უნდა უფრთხოდეს ხელისუფლებაზე საუბარს, როგორც ოცი წლის წინათ. თუ ჩვენ ხელისუფლების ესა თუ ის გადაწყვეტილება არ მოგვეწონება, უნდა ვთქვათ.

– ხალხო, ხალხო, ამას ამბობს, მე... – წამოხტა წვეროსანი – მტავრობასთან ბრძოლას მოგიწოდებს.

– მაგრამ დღეს ეს არ არის მთავარი. წვეროსანს ყურადღება არ მიაქცია მოსაუბრემ. – ჩვენ დღეს ხელისუფლებასთან არაფერი გვაქვს საკამათო. თუ ვინმე თავს თვითონ დაინიშნავს ხელისუფლებასა და ჩვენს შორის შუამავლად, ეს ხელისუფლებას ნაკლებად ეხება. ასეთ საკითხებს ჩვენ უნდა მოვუაროთ. ახლა კი მინდა, მოგცეთ ორიოდ განმარტება – როცა ჩვენ ვსვამთ საქართველოს ებრაელთა კავშირის შექმნის საკითხს, გვაქვს შემდეგი მიზანი: საქართველოს ებრაელობას ჰყავს ბევრი ღირსეული შვილი, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრება. ეს ერთი. მეორე: დღევანდელი მსოფლიოს ებრაელობა, მას შემდეგ, რაც დაინგრა უზარმაზარი იმპერია, სულ სხვაგვარად ცხოვრობს. ჩვენ აღმოვჩნდით ახალი რეალობის წინაშე. ამ რეალობის შესაბამისად ჩვენ უნდა შევქმნათ კავშირი-ორგანიზაცია, რომლითაც წარვდგებით ჩვენი ხელისუფლების, საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების წინაშე.

– იმისთვის, რომ Завтра нам сказали вы - Евреи все международные агенты! – ისევ იყვირა წვეროსანმა და დარბაზს მიუბრუნდა – Послушайте, смотрите, куда он нас тащит! რა ვიცის, ხვალ იცვლება პოლიტიკური კლიმატი, რა ვიცის, ხვალ ვინ მოდის სატავეში! ხახაში ჩავვარდეთ?

სიმონი მაგიდასთან მივიდა, წვეროსანს მხარზე ალერსით დაადო ხელი და უთხრა:

– უკაცრავად, ბატონო იაშა, ორიოდ სიტყვას მეც მოგახსენებთ, – სიმონი დარბაზს მოუბრუნდა.– ბატონო ზურაბ, თუ შეიძლება უპასუხეთ ჩემს რამდენიმე შეკითხვას: რატომ, რისთვის გინდათ თქვენ ებრაული ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნა მაშინ, როცა საქართველო ორად არის გაყოფილი და ეს ორი ნაწილი ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს? საქართველოში ბრძოლა დამთავრდა, თორემ ომი კვლავაც გრძელდება. არავინ იცის, როდის დაიწყება სროლა; რატომ, რისთვის გინდათ თქვენ ებრაული ორგანიზაცია შექმნათ მაშინ, როცა ასე დაიძაბა სიტუაცია რუსეთში იმის გამო, რომ ნატო – ჩრდილოეთის ატლანტიკური ბლოკი – აღმოსავლეთისაკენ მოიწევს, ვის და რისთვის სჭირდება ებრაელთა კავშირი მაშინ, როცა ჩეჩნეთში ასეთი მდგომარეობაა – ომი დაიწყო. თქვენ იცით, ასეთ პირობებში რას ნიშნავს ებრაული ორგანიზაციის შექმნა? შეიძლება ებრაელობა ისეთ ცეცხლში ჩაჰყარო... – სიმონი ზურაბს მიუბრუნდა, – დაანებეთ თავი ასეთ პოპულიზმს, ზურაბ ბატონო, ჩემი თხოვნაა დაანებოთ თავი საქართველოს ებრაელობას!

აქამდე არ მინდოდა მეთქვა, იძულებული ვარ ვიკითხო – ვის წინააღმდეგ იქმნება ეს კავშირი? ქართველი ხალხის წინააღმდეგ? ქართველ ხალხს უპირისპირდებით?

დარბაზში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ეს რა დემაგოგიაა!

ადამიანები დაზაფრული შესცქეროდნენ სიმონს. ვიღაცამ უძალოდ, უღონოდ სთქვა:

– კი მაგრამ, ეს რა შუაშია?

– სწორედ რომ ასეა და მე ვალდებული ვარ, აღვკვეთო ასეთი მცდელობა! – ხაზგასმულად, მთავრობის წარმომადგენლის ტონით თქვა სიმონმა.

ამ დროს ერთი ძვალმსხვილი ქალი ხმაურით წამოდგა. გასასვლელისაკენ გაემართა. კართან რომ მივიდა, მობრუნდა, სიმონს ეკვეთა.

– ესენი რომ კაცები იყვნენ, გასალახი ხარ, მაგრამ აქ ყველა თავის თამაშს თამაშობს, ამიტომ საერთო საქმე არ გამოვა, ამით იგებ შენ – გასალახი კაცი! – ქუსლების ბაკუნით კარს მიაშურა, გამოაღო და გასვლისას გაიჯახუნა.

დარბაზში შეკრებილნი მონუსხულებივით ისხდნენ. ყველა გრძნობდა, ხვდებოდა: სიმონი დაემუქრა მათ, მაგრამ არავინ მოისურვა, იმ ძვალმსხვილი ქალის საქციელისთვის მიებაძა.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საქმე ძალიან ცუდადაა", – გაიფიქრა დათომ, თუმცა არც მას გასჩენია სურვილი, წამომდგარიყო, რაიმე ეღონა.

–შეიძლება?! – ხმადაბლა იკითხა აბრამმა, მაგრამ გამეფებულ სიჩუმეში მისი ხმა მკაფიოდ გაისმა.

– გისმენთ, რა გნებავთ? – სიმონი ცივად მოუბრუნდა, აბრამს. მან იცოდა, რომ აბრამისნაირ ადამიანებს იგი არ უყვარდათ.

– ორ სიტყვას ვიტყვი, თუ შეიძლება...

სიმონი შეყოყმანდა, ვერ გადაეწყვიტა, მიეცა თუ არა სიტყვა აბრამისათვის.

– კი მაგრამ, თქვენ მაინც სასულიერო პირი ბრძანდებით და...

– თქვას, მიეცით სიტყვა! – წამოიძახა ვიღაცამ.

აბრამი მაგიდასთან მივიდა.

– აი, რას გეტყვით მე, პატივცემულნო! მტერი ბევრი ჰყავდა ისრაელთა ქვეყანას და გვიმტრეს კიდეც, მაგრამ ერთმანეთის სიძულვილმაც დაგვაკარგვინა სამშობლო, ერთმანეთის უსიყვარულობამ. გაუფრთხილდით და დააფასეთ ერთმანეთი. ეს ერთი. ახლა მეორე, – ვიფიქროთ იმაზე, რასაც ბატონი სიმონი ამბობს, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ. მე მგონი, დღეს ასეა საჭირო. კარგად ბრძანდებოდეთ! – აჩქარებული ნაბიჯით გაემართა კარისკენ. გაბადრული სიმონი უკან მიჰყვა.

– მე ყოველთვის ძალიან გაფასებდით თქვენ, ბატონო აბრამ!

აბრამმა არაფერი უპასუხა. კარი მიიხურა და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. დათო ეზოში წამოეწია აბრამს.

– გამაგებინეთ, ბატონო აბრამ, რა ხდება!

– სახლში, სახლში ვილაპარაკოთ! – მიუგო აბრამმა და უკანმოუხედავად, აჩქარებით განაგრძო გზა, უცებ ქვას წამოჰკრა ფეხი. ლამის წაიქცა – მოგიკვდეს პატრონი! ჩაბნელებულ ქუჩაში გამოვიდნენ, გზა ფრთხილად განაგრძეს. დათომ პალტოს საყელო აიწია, ვერ გათბა.

საიდანღაც გასროლის ხმა მოვარდა. გასროლას რამდენიმე წამში ავტომატის ჯერი მოჰყვა აბრამი შედგა. დათოს ხელი წაავლო, კედელს აეკვრნენ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ სადარბაზოსკენ. ზურგსუკან რომ კედელი ველარ იგრძნეს, მიხვდნენ, სადარბაზოსთან იყვნენ.

– შევიდეთ! – თქვა აბრამმა. სადარბაზოს შეეფარნენ. სროლა შეწყდა და ახლა ქალის კივილის ხმა მიეხალა კედლებს. ავტომატის ჯერი ისევ განახლდა. ქალის ხმა აღარ გაუგიათ. მალე ავტომატის სროლაც შეწყდა და ქუჩაში საშინელი სისწრაფით ჩაიარა ავტომანქანამ. ძრავის ხმა იქაურობას აყრუებდა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე რომ მომაბეზრებელი გახდა, აბრამმა თქვა:

– მივენდოთ გამჩენს! – და სადარბაზოდან გავიდა. მიმოიხედა – როგორა აქვს ირმიაჰუს?

რა უთვისტომოდ ზის ქალაქი,
ოდესღაც ასე ხალხმრავალი,

ახლა ქვრივ-ოხრად გადაქცეული,
ხალხში ასე სახელგანთქმული,
ქალაქთა ქალაქი ხარკს იხდის ახლა.

აბრამი ხმადაბლა, თითქმის ბუტბუტით წარმოსთქვამდა იერემიას გოდების ტაეპს. შეიძლებოდა, გამვლელს მოსჩვენებოდა ლოცულობსო, მაგრამ სად იყო გამვლელი!

აბრამმა დათოს მკლავში წაავლო ხელი და თქვა:

– ჰა, არ იყო თბილისი ქალაქთა ქალაქი? ახლა კი:

დამღამობით ჩუმად მოთქვამს
გულამომჯდარი,
ცრემლს დაუფარავს მისი ლოყები.
ნუგეშისმცემი აღარა ჰყავს მოყვარეთ
შორის,
მეგობრებმაც კი უღალატეს, მტრად გადაექცნენ.

აბრამის სახლი შორს არ იყო, მაგრამ სიბნელეში გზის გაკვლევა ისე უჭირდათ, თითქმის ნახევარი საათი იარეს. კიბის სამიოდ საფეხური აიარეს და გრძელ დერეფანში შევიდნენ, აქედან კი ვიწრო ოთახში, თუმცა არც ისე ვიწრო იყო – სამი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული წიგნის კარადები ავიწროებდა. დათო კარგად იცნობდა ამ ოთახს. აბრამი ბავშვობაში სწორედ აქ, ამ ოთახში ასწავლიდა ებრაულ წერა-კითხვას. დედა გარეთ, ეზოში ელოდა ხოლმე. ლეღვის ხის ძირში იჯდა და კითხულობდა, მეტწილად – დეტექტივებს. აბრამმა სანთელი აანთო, ჭიქაში ჩადგა და პალტოს გაუხდელად ჩაეშვა სავარძელში. ნურც შენ გაიხდი, შეგცივდებაო, უთხრა დათოს. მერე ჩაილაპარაკა:

– ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, სახლში მშვიდობით რომ მოვედით.

დათომ ოთახს მოავლო თვალი: სანთლის შუქზე იერუსალიმში, ვილნოსა თუ ბუდაპეშტში გამოცემული ებრაული სასულიერო წიგნები ფოთლებშემოძარცვულ მუხებს ჰგავდნენ. დათოს კიდევ უფრო შესცივდა. პალტოს ზედა ღილიც შეიკრა.

– ესე იგი, ნაწყენი დამირჩი. ამ საღამოს უსამართლოდ მოვიქეცი? – ჰკითხა აბრამმა.

– კი, ბატონო აბრამ... უკაცრავად ვარ, მაგრამ... ასე მომეჩვენა, სამართლიანად არ მოიქეცით – სიმონსა და იმ მყვირალა კაცს დაუჭირეთ მხარი.

– რასაც შენ ამბობ, ეგ მორალის ერთი მხარეა და ქრისტიანები მიიჩნევენ მთავარ...

– კი მაგრამ, – დათოს ხმაში დაბნეულობა შეეტყო, სიმართლე ყველასთვის ერთი არ არის? სიმართლეს ყველა ერთნაირად არ უნდა მივდევდეთ?

აბრამმა გაიღიმა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი თქვა:

– სიმართლე... მთავარი სიმართლის პატივი-სცემა არ არის... მთავარია ის თუ რა მოაქვს სიმართლეს... გარბის ადამიანი, შურისმაძ-იებელს ან ყაჩაღს ემალება. შენ დაინახე, სად და როგორ დაიმალა ის კაცი. მოდის მდევარი და გეკითხება: აქეთ რომ კაცი მორბოდა, სად დაიმალაო. უთხარი სიმართლე! რას მოიტანს ეგ სიმართლე? – აბრამი გაჩუმდა. სანთლის მოლაპლაპე ალს შეაჩერდა. მერე თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა – არა, სიმართლე არ არის ჭეშმარიტება!

დათო კარგა ხანს უხმოდ იჯდა. ფიქრობდა.

– გამოდის, რომ სიმართლეს რაღაც ცვლის.

– არა, სიმართლეს ვერაფერი შეცვლის, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში სიმართლე მთავარ ადგილს ვერ დაიჭერს. არ იქნება სწორი.

– აბა? – ხმადაბლა იკითხა დათომ.

– ის, რაც საჭიროა. ის, რაც ამ წუთში ან ამ საქმეში ადამიანს სიკეთეს მოუტანს.

– სიკეთე და სიმართლე... ვერ გავიგე, აბრამ ბატონო, რაღაც...

– თორის სწავლისთვის რომ თავი არ დაგენებებინა, ყველაფერს გაიგებდი. დავიწყოთ იმით, რაც მაგ ზურაბს სწადია. კარგი გზა აურჩევია, მომწონს მაგისი აზრი, მაგრამ ვინ არის ზურაბი? ერთი პატიოსანი კაცი. თუ დღეს პატიოსან კაცს გვერდში არ დაუდექი, შეჭამენ, ძვლებიანად შეახრამუნებენ, – ერთ ხანს იყუჩა აბრამმა, მერე განაგრძო, – თუმცა, რატომ დღეს – ყოველთვის ასე არ იყო?

– ისე, როგორც დღეს თქვენ დაეხმარეთ? – დათოს ირონიის დამალვა არც უცდია, აბრამმა ისევ გაიღიმა და თქვა:

– კი, ამ საღამოს მე ზურაბს ძალიან დავეხმარე, მაგრამ ამას ვერც შენ მიხვდები და ვერც ზურაბი. სხვანაირად ხართ გაზრდილები, თქვენ მიშველი სიმართლე გინდათ...

– დაეხმარეთ? როგორ!

– ახლა მოდი, ვნახოთ, ვინ არის სიმონი, მთავრობაში გასული კაცი. იქ კი პატივს იმას სცემენ, ვისაც ყოველდღე თავის წრეში ხედავენ. იქ ყველა თავისას მღერის. ასეა სიმონიც – თავს ისე აჩვენებს, თითქოს საქართველოს ებრაელებში ეგ ერთი კაცია გამოსარჩევი, ისეთი, ჭკუა რომ ეკითხება, მეტი არავინ. თუ ეგ ორგანიზაცია შეიქმნება, სიმონს ბევრი აუვლის გვერდს. ყველა არჩევს ორგანიზაციასთან ჰქონდეს საქმე და არა ერთ კაცთან. ორგანიზაცია მართლა მოინდომებს საქმის

გაკეთებას, ჯამაათის ტკივილს იმიტომაც გაიზიარებს, რომ თავისი არსებობა გაამართლოს. სიმონმა იცის ეს ყველაფერი, ამიტომ თავს მოიკლავს და ამ საქმეს არ იზამს.

– თქვენც ამიტომ ამოუდექით გვერდში?!

აბრამი ერთხანს უხმოდ იჯდა. დათოს ფიქრის საშუალებას არ აძლევდა. მერე თქვა:

– ახლა ის ვნახოთ, რა მოხდებოდა სიმართლეს თუ ვიტყოდი: ეგ სიმონი და წვერებიანი კიდევ უფრო გახელდებოდნენ და მურაბს შეუტევდნენ. ამით ჩვენი საცოდავი, შეშინებული ხალხი მურაბს სულ შემოეცლებოდა. სიმონი იმ წვერებიანისნაირ ადამიანებს კიდევ ამოიყენებდა გვერდში და... ძვლებიანად შეჭამდნენ მურაბს. მიხვდი, რისი თქმა მინდა? – დათომ არაფერი თქვა, აბრამმა განაგრძო, – სიმონი უფრო სერიოზულად იბრძოლებდა ამ საქმის ჩასაშლელად.

– მურაბის დასაკლავი დანა მაინც შენ გალესე.

აბრამმა თავი გაიქნია. მცირე ხნის შემდეგ თქვა:

– ღმერთს მსხვერპლი უყვარს. ხომ გახსოვს მამა აბრაამის და იცხაკის ამბავი? – დათომ არაფერი უპასუხა. – აბა, ახლა მისმინე: ჩემი მხარდაჭერა სიმონს გაამხნევებს. გამხნევებული მონა კი მოწინააღმდეგეს ვნებას აყენებს. ცოტა დაიტანჯება კიდეც მურაბი და ეს იქნება სანაცვლო მსხვერპლი – კრავი იცხაკის მაგიერ. სწორედ აქედან დაიწყება მურაბის გამარჯვება – სიმონი და წვერებიანი მთავრობით აშინებენ საბრალო ებრაელობას, ხალხს კი არასოდეს არ უყვარდა ის, ვინც მთავრობას იშველიებდა. ამიტომ, როცა მურაბი სანაცვლო მსხვერპლს გაიღებს, სიმონს კი გამარჯვებული ეგონება თავი, მაშინ დამარცხდება – ხალხი ზურგს აქცევს სიმონს, შეიძულებს კიდეც. ხალხს კრავი უყვარს. ხალხის უთქმელი, გამოუცხადებელი განაჩენი ყველა სასამართლოს განაჩენზე ღონიერია, დროსაც არ ემორჩილება.

– კი, მაგრამ... – დათოს სიბრაზე მოერია, – ესე იგი, სიმონი გასწირე? რატომ, ისიც ხომ...

– სიმონს ამათ უფროსად მიაჩნია თავი. ღმერთს კი დიდგულა ხალხი არ უყვარს, – მშვიდად თქვა აბრამმა.

– კი, მაგრამ... შენ რატომ, აბრამ ბატონო, შენ...

– მე დღეს ის გავაკეთე, რაც საჭირო იყო, საბოლოო პასუხს გამჩენი იტყვის. ისე კი... – აბრამი გაჩუმდა, სანთლის მოლაპლაპე ალს თვალი გაუსწორა, მერე მოჭუტა და ხმადაბლა, ფიქრიანად თქვა, – ისე კი... ეგ სიმონი... – აბრამმა წინადადება აღარ დაამთავრა.

– რატომ, როგორ გაიმეტე ადამიანი ამისთვის! – შესძახა დათომ.

აბრამი უხმოდ იჯდა. დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მერე დათოს მოეჩვენა, რომ აბრამი უმწეოდ გრძნობდა თავს და უხერხულობა იგრძნო.

– უკაცრავად ვარ, ბატონო აბრამ... მაპატიეთ!

დათო წამოდგა. მას ახლა ჯდომა არ შეეძლო. უნდა წავიდეო, გაიფიქრა, ის იყო დამშვიდობებას აპირებდა, აბრამის ხმა მოესმა. აბრამი აუჩქარებლად, ფიქრიანად ლაპარაკობდა.

– ეგვიპტელთა მონობიდან თავდახსნილ ებრაელობას სამი-ოთხი დღე უნდა ევლო უდაბნოში, ვიდრე ქანაანს, ღვთის მიერ ებრაელობისათვის ბოძებულ მიწას – ერეც ისრაელს მიადგებოდა, მაგრამ ის კი იცი შენ, რამდენ ხანს ატარა მოშე რაბინუმ ისრაელობა უდაბნოში, – აბრამს აშკარად ეტყობოდა, რომ არ სიამოვნებდა ის, რასაც ამბობდა – სიტყვებს მძიმედ წარმოთქვამდა, – რატომ, რისთვის არ მოინდომა ერეც ისრაელში მონების მიყვანა? დაიმახსოვრე: გათავისუფლებული მონა ძალიან საშიშია. უფრთხილდი, გათავისუფლებულ მონას. რასაც აქამდე თავის თავში თრგუნავდა, დღეს მღვრიე მდინარედ მოდის მის სულში, მისი სული ნიაღვარია – ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი. გუშინ გამდიდრებულ, ყელამდე ოქროებში გუშინ ჩამჯდარ ბოგანოსთან ძმობას დღეს ლუკმაპურის მძებნელი, მაგრამ გუშინდელი დალხინებული, ღირსეული ოჯახის შვილი გერჩის. სიმონი გათავისუფლებული მონაცაა და გამდიდრებული ბოგანოც. მაგნაირ ხალხს ერთი ფიქრი დასტრიალებს თავს – როგორ სძლიოს სხვას, როგორ ამაღლდეს. ამიტომ... – აბრამი გაჩუმდა. ერთხანს უხმოდ იჯდა. იატაკს ჩასცქეროდა, – მე ღმერთმა მაპატიოს ასეთი ფიქრი, მაგრამ ეგ კაცი უნდა დაისაჯოს. ამით იქნებ ისწავლოს ჭკუა. მონობიდან გათავისუფლებულ კაცს ხშირად უნდა გაახსენო, რომ მონის ნაშიერია. ამით, თუ ჭკუა აქვს, ბევრ საძაგლობას მოერევა. თვითონ მოერევა თავის თავში ამხედრებულ ყოყოჩობას და... და იქნებ უფრო გამოადგეს ხალხს, ქვეყანას.

აბრამი მძიმედ წამოდგა, სანთელი აიღო და ოთახიდან გავიდა. სიბნელეში დარჩენილმა დათომ მეტი სიცივე იგრძნო, პალტოს საყელო ამოიწია და ფიქრს მიჰყვა. აბრამის სიტყვების შემდეგ ფიქრები ჭიანჭველებივით ირეოდნენ თავში.

აბრამი კვლავ შემოფრატუნდა ოთახში. ცალ ხელში სანთელი ეჭირა, მეორე ხელით კი ლანგრით ორი ჭიქა ჩაი მოჰქონდა.

– იმ სოციალიზმის დროს ხო გვქონდა კაი ცხოვრება, ჩემო დავით, ჰა?! ხო უყურებ, შუქი არა გვაქვს, გაზი არა გვაქვს. დავუბრუნდით ისევ ჭრაქის დროს, – დათოს ჩაი მიაწოდა, კვლავ გაცრეცილ შალითაგადაკრულ სავარძელში ჩაეშვა. – ეეჰ, დავბერდი, დავბერდი ჩემო დავით... მიაყოლებ რაიმეს? პური მაქვს და ახალციხური ძეხვი.

– არა, არ მინდა.

დათო უხმოდ სვამდა ჩაის, კვლავ ფიქრები დასტრიალებდა თავს. აბრამი კი ხმაურით ხვრეპდა. სანთლის მოლაპლაპე ალი კედელზე დათოსა და აბრამის ჩრდილებს აქანავებდა.

ფიქრი აბრამმა გააწყვეტინა:

– ახლა იმაზე ვთქვათ ორი სიტყვა, შენ რომ გუშინ მეკითხებოდი, – აბრამმა ჩაის ჭიქა სკამზე დადგა. – ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ჰკითხოს თავს თუ რისთვის გაჩნდა ქვეყნად, რა უნდა აკეთოს. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, ნუ ხარ ასე დაბნეული.

– შარშან, შარშანწინ ვიცოდი...

– არა, არც მაშინ იცოდი, შვილო, მაშინ ჩვევა გამოქმედებდა. გაუაზრებლად იყავი ჩართული დროის მდინარებაში, თორემ მიზანი არც მაშინ იყო შენთვის ცნობილი. ამიტომაც არ იცი, დღეს რა უნდა აკეთო, მოდი, ჯერ ის ვიკითხოთ, რისთვის გააჩინა ღმერთმა ადამიანი? ჰა, მიპასუხებ? – დათო უხმოდ იჯდა, აბრამმა ერთხანს იყუჩა, მერე ჩაი მოსვა და განაგრძო, – შექმნა ღმერთმა სამყარო – ზეცა, დედამიწა, ცხოველები, ზღვები, ხომ? გადახედა მერე ყველაფერ ამას და შექმნა ადამიანი. ვითომ რატომ, რისთვის დასჭირდა ადამიანი? მე ასე გეტყვი: ღმერთმა ადამიანი იმისთვის შექმნა, რომ ეს სამყარო უკეთესი გახადოს. თავისი ნახელავის გასაუმჯობესებლად თავისივე სახიერების არსება შექმნა. შენ, მე, ის... ყველანი ვართ ღმერთის თანაშემწეები – ყოველი ადამიანი, ვინც გამჩენის გზით ივლის, იმისთვის ვართ ქვეყნიერებაზე, რომ სამყარო უკეთესი გავხადოთ – ესე იგი, გამჩენს სამყაროს შექმნა არ დაუსრულებია. ჩვენ, ადამიანებს დაგვაკისრა ეს საქმე. ახლა უყურე შენ: გამჩენმა ჩვენ, ისრაელის შვილებს დაგვავალა ახლადდაბადებული ვაჟის მონათვლა. ამისთვის დაბადების მერვე დღეს ვაჟს ჭუჭუზე წავაჭრით იმას, რისი წაჭრაც გამჩენს საჭიროდ მიაჩნია. რატომ? თუ გამჩენი ასე თვლის, რატომ ჭუჭუწაჭრილს არ აჩენს ბავშვს? ჩვენ რატომ გვავალებს? ორი აზრია ამაში ჩადებული: პირველი – გამჩენი გვეუბნება მონათვლა არისო ნიშანი ჩემსა და ებრაელობას შორის კავშირისაო. მეორე – ღმერთი ამითაც გვავალებს მის მიერ შექმნილი სამყაროს სრულყოფას. ახლა ის ვიკითხოთ – რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას შენთან? შენ არქიტექტორი კაცი ხარ. შენ უნდა აშენო. ამით ასრულებ ღვთის მცნებას – სრულყოფ მის გაჩენილ ქვეყნიერებას, მაგრამ გაქვს დღევანდელ საქართველოში საამისო საშუალება?

– არა, – ყრუდ თქვა დათომ.

აბრამმა ჭიქა ისევ აიღო, ჩაი არ მოუსვამს, ჭიქა ხელში ეჭირა და დათოს ჯიუტად შესცქეროდა.

– ამიტომ რა უნდა ჰქნა? უნდა წახვიდე დღევანდელი საქართველოდან, უნდა ეძებო ის კუთხე, ის ქვეყანა, სადაც გექნება ღვთის მცნების შესრულების საშუალება. რას ნიშნავს ეს? შეძლებ ქვეყნიერების სრულყოფას? რომელია ასეთი ქვეყანა? – ჩვენთვის – ამერიკა და ისრაელი! იქ მიდის დღეს საქართველოს ებრაელობა! – აბრამმა ჩაი დალია, იყუჩა, – მაგრამ ამერიკაში წასვლა მე არ მიმაჩნია სწორად. თუ ჩვენ საქართველოდან სადმე წავალთ, ისრაელში უნდა წავიდეთ. თუ ადამიანს სამშობლოდან სამშობლოში წასვლის საშუალება აქვს, უცხოეთში რა უნდა?

აბრამი გაჩუმდა. დათომ კარგა ხნის შემდეგ თქვა:

– ჰო, ბატონო, აბრამ, მაგრამ... მაგრამ...

– თქვი, ნუ გერიდება.

– მე საქართველოდან ვერსად ვერ წავალ, არ შემიძლია.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის მცნებას ვერ შეასრულებ. ეს კი ცოდვაა.

დათო უხმოდ იჯდა. აბრამის ნათქვამმა გუნება გაუფუჭა. უმწეოდ იგრძნო თავი. ეს სახეზეც დაეტყო:

– არ ვიცი... ვითომ... ასე რომ არ არის სულ...

– გამაგებინე, დავით, რას ამბობ! – ღიმილით შეუძახა აბრამმა.

– ვართ ჩვენ მაგ მცნებების შემსრულებელი?

– ვინ – ჩვენ? – ცოტა ხნის შემდეგ იკითხა, აბრამმა.

– ჩვენ, ადამიანები, ერები.

– ასე რომ არ იყოს, ჩემო დავით, ადამიანი ისევ ლეღვის ფოთლით ივლიდა. ქვეყანაზე ჯერ არ გაჩენილა ერი, ღმერთის ეს მცნება არ შეესრულებინოს ან დღეს არ ასრულებდეს, ყოველი ერი აუმჯობესებს მზისქვეშეთს, მაგრამ... – აბრამი შეჩერდა, სანთლის მოლაპლაპე

ალს მიაჩერდა, კარგა ხანს დუმდა.

– მაგრამ? – იკითხა დათომ.

– რით განვსხვავდებით ჩვენ, ებრაელები სხვა ერებისაგან? – აბა, დააკვირდი. ერთ დროს, სამი,. ხუთი თუ ოცი საკუნის წინათ ყოველ ერს დაუნგრევია თავისი თუ სხვისი შექმნილი, ის, რაც მოუპოვებია. ჩვენ კი... დარში თუ ავდარში, დღისით თუ ღამით თავჩაქინდრული ვშრომობთ, რომ ცოტათი, იქნებ სულ ცოტათი მაინც უკეთესი გავხადოთ ქვეყნიერება.

– სისხლი ჩვენც გვიღვრია!

– სხვისი არა, ისევ ჩვენი! არც სხვათა აშენებული ქვეყანა დაგვინგრევია!

დათო კარგა ხანს იჯდა თავჩაქინდრული. ფიქრმა გაიტაცა. ფიქრში აბრამის ხმა ჩაესმა.

– ეს ყველაფერი მძიმე ტვირთია, ჩემო დავით, ძალიან მძიმე! მტერს არ უხარია ჩვენი ეს ღირსება, ათას ფათერაკს გვიმზადებს. ებრაელობა კი... მაინც თავჩაქინდრული, დღე და ღამე თავჩახრილი...

– არა, ბატონო აბრამ, მე არ შემიძლია სხვა ქვეყანაში წასვლა... მე სხვაგან ვერ ვიცხოვრებ...

– მესმის... არ არის ადვილი ებრაელობა. ბევრი ვერ ახერხებს ღვთის მცნებების შესრულებას და გაურბის... საკუთარ თავს გაურბის... მოახერხებს კი საკუთარ თავსაც გაექცეს და ადამიანადაც დარჩეს?

სანთელი თითქმის ჩანავლულიყო, ფანჯარას ზამთრის დილის უძლური სინათლე მოსდგომოდა.

## დასაბამიდან დღემდე

*წყვდიადის ველზეც რომ ვიარო,*
*ბოროტისა არ მეშინია, რამეთუ შენ ხარ ჩემთან;*
*მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.*

ფსალმუნი დავითისა, 23.

ეს ამბავი ამ სამი საათის წინ მოხდა:

გოგია „ნადზირატელმა" რომ კარის საკლიტურში გასაღები გაუყარა, დიმიტრი ფრთხილად წამოდგა, ჯერ კარისაკენ გაიხედა, მერე აბესალომს მიაჩერდა.

– მოვიდნენ? – იკითხა ხმადაბლა, ჩურჩულით.

– დავიჯერო, გავყავართ?

ორივეს – აბესალომსაც და დიმიტრისაც თვალებში სასოწარკვეთა ჩასდგომოდა.

გოგიამ საკლიტულში ლამის მაჯის სიმსხო გასაღები გადაატრიალა, მაგრამ კარი არ გააღო. შეყოვნდა. დიმიტრი და აბესალომი კი სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ კარის გაღებას. ვის გვარს დაიძახებს გოგია – დიმიტრისას თუ აბესალომისას?

– ჩემი გვარი რომ დაიძახოს რა ვქნა? როგორ მოვიქცე? – გაუელვა დიმიტრის. – რა უნდა ვქნა, რა შემიძლია? – მაგრამ, სანამ პასუხს იპოვიდა, საკნის მძიმე კარიც გაიღო – გოგიამ არც დიმიტრის გვარი დაიძახა, არც აბესალომისა. საკანში სერგო შემოაგდო – ხელი ჰკრა და შემოაგდო.

დიმიტრი ნარზე მიწვა. აბესალომიც. ვერც ერთმა ვერ ჰპოვა იმის ძალა, ახლადმოსულ კაცს მისალმებოდნენ მაინც.

როგორც უკვე ითქვა, ეს ამბავი სამიოდე საათის წინ მოხდა. ახლა კი საკანში ერთი სიცილ-ხარხარი იდგა. დიმიტრი ისე იცინოდა, მუცელი ბურთივით უხტოდა. აბესალომს კი ცრემლიც მოადგა თვალზე – სიცილისგან მოადგა ცრემლი.

– მაშ, პროკლამაციასავით ამიტომ შემოგაგდეს ამ საკანში?

– შენ გაგახაროს ღმერთმა, სერგოჯან, ეს რამდენი გვაცინე, კაცო! – აბესალომი ცრემლებს იწმენდდა.

სერგოს კი ვერაფერი გაეგო. დამფრთხალი კურდღელივით აფახულებდა თვალებს, ის აკვირვებდა ამ ორ დროულ კაცს ასე უაზროდ რა აცინებსო.

– კაცო, ვერ გაიგეთ, რა გითხარით? – არც ის ტროცკი და არც რაიკომის მდივანი არასოდეს მინახავს, თვალიც კი არ მომიკრავს-მეთქი, კაცო!

ამ სიტყვებზე დიმიტრის და აბესალომს ისევ სიცილი აუტყდათ, სიცილმა ორივეს კვლავ დაუღრიჯა სახეები.

– მაშ თვალიც არ მოგიკრავს? – ძლივს ამოთქვა დიმიტრიმ.

– ვითომ რომ გენახა, ეგრე იზამდი? მოკლავდი?

– მე ეგ რისთვის უნდა მომეკლა, კაცო, სად პეჩატნი ცეხის უფროსი სერგო ოქრუაშვილი და სად – რაიკომის მდივანი! რა საქმე მაქვს იმასთან, რა ხელი მქონდა! ეგ ვირიშვილი კიდევ მიმტკიცებს, ტროცკისტული დივერსიული ჯგუფი შეჰქმენი და რაიკომის მდივნის განადგურება გინდოდაო, გაგიგიათ?

– კომუნისტი იყავი? – იკითხა დიმიტრიმ.

– ვიყავი? რას ჰქვია, ვიყავი – ვარ და ვიქნები!

– რომელ გაზეთს ბეჭდავდი?

– „კომუნისტი", კაცო, „კომუნისტი"! ჩემზე

დიდი კომუნისტი ვინ არი!

– მოადგილე ვინა გყავდა? - ცრემლი კვლავ მოიწმინდა აბესალომმა.

– ოო, ერთი სინდისგარეცხილი კაცი.

– აწყენინე?

– სამსახურიდან დავითხოვე. იმდენი სალებავი დაადო მანქანას, ორასი ცალი „კომუნისტი" ნეგრივით შავი დაიბადა.

– ჰოდა, მომილოცავს, ახლა ის არის საამქროს უფროსი, შენ კიდევ, შენ, თუ გინდა, ჩვენს უფროსად აგირჩევთ... ჰა, აბესალომ, ავირჩიოთ საკნის უფროსად?! მოდი, პარტუჯრედის მდივნად ავირჩიოთ, პარტუჯრედის მდივნად! მაგრამ ჩვენ რომ ბოლშევიკები არა ვართ!

აბესალომს სევდა მოეძალა - ყველას ეპოვა მიზეზი თავისი ამ ყოფაში ჩავარდნისა, თავად კი ვერა და ვერ მიეგნო...

და სევდამორეული აბესალომი კვლავ ფიქრს გაჰყვა.

აბა, რა ხანმორეული ის იყო, რა ასეთი ასაკი მოსძალებოდა, იმაზე ეფიქრა თუ რას მიაღწია ცხოვრებაში, მაგრამ დროდადრო მაინც გაივლებდა ხოლმე გულში, - რაოდენ მადლობელი ვარ ღმერთის, რამდენი რამ შემაძლებინა, ეს კი იმას ნიშნავს, გამომარჩია, ჩემს ყოველ ნაბიჯს შესცქერის და წარმართავსო.

ცხადია, აბესალომი ჯერ ვერ ხვდებოდა, თუ რად იქცეოდა ასეთი ფიქრი, ხვალ როგორ დაანახებდა საკუთარ თავს, მის ადგილს ჯამაათში.

მაგრამ ამაზე სხვა დროს, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით, მის სულში ღვთისადმი მადლიერება უფრო მეტი იყო, ვიდრე ჯამაათში საკუთარი ადგილის გამორჩევა და შეფასებაა.

ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო და უკვე სამჯერ დარწმუნდა, ღმერთი კეთილი თვალით მიმზერსო - ღმერთი საშუალებას აძლევდა, ვალი მოეხადა ღვთისა და ჯამაათის წინაშე. ასეთი ჯილდოსთვის დიდად მადლიერი უნდა იყო ღვთისა.

აბესალომის პირველი ბედნიერება ბეით-ქნესეთის მშენებლობის გასრულება იყო.

მეორედ მაშინ იგრძნო თავი ბედნიერ კაცად, როცა პირველი პირმშო გაუჩნდა. თუმცა, აი, ამ დღეებშიც ბედნიერი კაცი იყო - ოთხშაბათს გაასრულა ძველი აღთქმის კითხვა. ყოველ ცისმარე დღეს დავითის ფსალმუნი და ძველი აღთქმა ეჭირა ხელში.

ფსალმუნიდან ხუთ-ექვს თავს კითხულობდა, სწორედ იმ თავებს, რომლებიც ახალი მთავრობიდან მოყოლებული დღევანდელ დღეს მიესადაგებოდა. ძველი აღთქმიდან თითო თავს კითხულობდა. და აი, ოთხშაბათს მეთექვსმეტედ გაასრულა ამ საუნჯის კითხვა.

ახალ ბეით-ქნესეთში პირველი ლოცვა პარასკევ საღამოს ჩაატარეს. მთელი დაბის ებრაელობა მოვიდა. ისინიც კი, ვისაც სალოცავი არაფრად მიაჩნდა. თუმცა, დაბაში ასეთი ადამიანი ცოტა იყო. სახეგაცისკროვნებულები ისხდნენ ყავისფრად შეღებილ გრძელ სკამებზე. თვალის ერთი შევლებაც კი საკმარისი იყო, დარწმუნებულიყავით: ნეტარებას განიცდიდნენ. მეორე დღეს - შაბათს, დილის ლოცვის გასრულების შემდეგ, ბეით-ქნესეთის დიდ ეზოში სუფრა გაიშალა. მაგიდები ჯერ კიდევ წინა დღეს ჩაედგათ, სკამებიც გუშინვე, პარასკევს მოეტანათ. დღეს, შაბათს, ვის რა მოჰქონდა სუფრის დასამშვენებლად, ვის რა. ცხადია, დაბის ყველა ებრაელი სწორედ იმ უბანში ცხოვრობდა, რომელშიც ბეით-ქნესეთი აშენდა. აი, ამ ქუჩა-შუკებში კერძებს ქვაბებით მოარბენინებდნენ. ქართველმა კაცმა, ვანიკომ მაყალიც დადგა, შამფურზე ხორცი წამოაცვეს და მწვადიც აშიშხინდა.

თითო-ოროლა ჭიქა ღვინო რომ დალიეს, მოდით, მართლა ვიქეიფოთო, დაიძახა ყეზრამ. უნდა ვიქეიფოთ. მაშ, როგორაო, მიუგეს აქეთ-იქიდან. მაგრამ იცოდნენ, მეზობლების გარეშე ნამდვილი ლხინი არ იქნებოდა, ამიტომ წამოიშალნენ - ყველამ თავის მეგობარ ქართველს შესძახა: სახლში რა გინდა, გამოდი, ჩვენს ქეიფს შემოუერთდიო. იმათაც არ დააყოვნეს, თუ თქვენ მანდ ხელი არ გეშლებათ და თქვენს ღმერთთანაც მართალი იქნებით, რატომ არ მოვალთო. ან რატომ არ უნდა გადმოსულიყვნენ - ზამთრის პირი იდგა, მოსავალი აღებული ჰქონდათ.

რამდენიმე ხანში ყველა - ქართველიც და ებრაელიც - ხელიხელ გადახვეული ილხენდა - ზოგი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც სადღეგრძელოთი იმშვენებდა ენა-პირს. შალომიამ რომ მესამედ შესვა ახლად აგებული ბეით-ქნესეთის საუკუნოვანი არსებობის სადღეგრძელო, მისმა ქართველმა მეზობელმა მამუკამ დაიფიცა, ჩვენი სამების ეკლესიის სადღეგრძელო ერთხელაც არ შემისვამსო და ფეხზე წამოდგა, ეგ ეკლესია დიდხანს არ მოგვიშალოს ღმერთმა, სული მაგით გვიდგას, ჩემი შვილები სწორედ მანდ, სამების ეკლესიაში მოინათლენო.

შეზარხოშებულნი დიდად მოწადინებულნი ცეკვავდნენ, ისე მოწადინებულნი, გეგონებოდათ, ცეკვის ავ-კარგზეა დამოკიდებული მთე-

ლი მათი ცხოვრება - რომ რაიმე შეეშალოთ, ცხოვრებაც ცუდად წაუვათო.

ბეით-ქნესეთი კი ამაყად გადმოსცქეროდა არამარტო დაბას, მთელ კუთხეს. მასში იმდენი სიამაყე იკითხებოდა, თითქოს გასრულების პირველი დღიდანვე გრძნობდა საქართველოს ამ კუთხის დამამშვენებელი რომ იყო.

აბესალომი შესცქეროდა ბეით-ქნესეთს და ღმერთს ალბათ, მეასედ უხდიდა მადლობას იმის გამო, რომ ასე გამოარჩია, ამდენი შეაძლებინა. დაბის ებრაულ მოსახლეობას კი ღირსების გრძნობა აუმაღლა.

ერთხელ, საღამო ხანს, შინ რომ მობრუნდნენ, მამამ - იოსებმა უთხრა:

- მამის ვალია, შვილი ცხოვრების გზაზე დააყენოს. გასწავლე, თემის წინამძღოლადაც გამოდექი - ღმერთმა იმის ღირსიც გაგხადა, რომ შენი კუთხის ისრაელობას ასეთი ბეით-ქნესეთი შესძინე, მაგრამ მაინც მოვალე ვარ შენი და გამჩენის წინაშე - ქალი უნდა შეგრთო, შვილო, უნდა დაგაქორწინო.

იყოს ნება შენი, მამაჩემოო, მიუგო მამას. სხვა ვერაფერი შეჰკადრა. არადა, უნდოდა ეთქვა, ამა და ამ გოგოს შევირთავდი, მისკენ გული მიმიწევსო. რჯულის კანონიც აძლევდა ამის უფლებას. რჯულის კანონი იმასაც ეუბნება, თუ შენი გულით სასურველს არ მიიღებს, შეგიძლია მამასაც დაეუბროო.

მაგრამ მამას ვერაფერი შეჰბედა, გარდა ორიოდ სიტყვისა: „იყოს ნება შენი მამაჩემო“. იცოდა, იოსები ისეთს არაფერს მოიმოქმედებდა, რაც გულს ატკენდა. ასეც მოხდა. რამდენიმე დღეში ვახშამს რომ მორჩნენ, იოსებმა ღმერთს მადლობა შესწირა, ლოცვანი მაგიდაზე დადო და შვილს მიუბრუნდა:

- კი იცნობ შენ ოჯახებს, გასათხოვარი გოგოებიც იცი, ალბათ. ისეთი ვინ გეგულება, კაცმა რომ... - იოსებმა წინადადება არ დაამთავრა, ისედაც გასაგები იყო, რისი თქმაც ეწადა. აბესალომს ბევრი არ უფიქრია, მყისვე მიუგო მამას:

- მენახემის გოგოს ვისურვებდი, მგონი ესთერი უნდა ერქვას.

ეს იყო და ეს! ერთ კვირაში მამამ უთხრა, შაბათ საღამოს მენახემის ოჯახში უნდა მივიდეთ, ქალი გვყავს დასანიშნიო.

მივიდნენ და ნიშნობაც გადაიხადეს.

აბესალომმა ესთერს იმავე კვირაში დააწყებინა ებრაული წერა-კითხვის სწავლა. ესთერმა სწავლის ისეთი უნარი გამოავლინა, თავად აბესალომსაც უკვირდა. მაშინ თქვა: ისრაელისშვილი ებრაულ ენას კი არ სწავლობს, იხსენებს, ებრაული ენა ყოველი ჩვენგანის სულში თვლემსო.

ესთერი არა მხოლოდ ჯან-ღონით იყო სავსე, გონიერებითაც გამოირჩეოდა. ჩვიდმეტი წლისა იმდენად ტანსრული, დინჯი, აუჩქარებელი გახლდათ, მეტსაც მისცემდით. ქორწინებიდან ცხრა თვის თავზე კი აბესალომს ისეთი პირბადრი ბიჭი გაუჩინა, ერთი წლისა გეგონებოდათ. ვარსკვლავებს ეთამაშებაო, თქვა იოსებმა და ვიდრე მოსანათლად კალთაში ჩაისვამდა, შვილს გაანდო:

- შენი ბიჭი იოსებ აცადიკის* სილამაზისა და გონიერების გაზარდოს ღმერთმა. ამ კვირაში თანახში იოსებ აცადიკის თავს ვკითხულობთ, ჩვენც იოსები დავარქვათ. სწორედ იმ კვირაში დაიბადა, რომელშიც მე.

დაარქვეს კიდეც.

აბესალომმა ნათლობაზე მოწვეულნი რომ გაისტუმრა და არტახებგადაჭერილ იოსებს აკვანში ჩახედა, კიდევ ერთხელ იგრძნო თავი ბედნიერ კაცად. ღმერთს კიდევ ერთხელ შესწირა მადლობა და იმ ღამეს ტკბილად იძინა.

მერე მეორე შვილიც გაუჩნდა - რიბკა, მესამეც - დანიელი, მაგრამ, ცხადია, ისეთი სიხარული არ განუცდია, როგორიც იოსების დაბადებამ არგუნა წილად.

ამ დღეებში ძველი აღთქმის კითხვის ახალი ციკლის დამთავრებით იგრძნო დიდი ბედნიერება. ვინძლო, ღმერთმა სამოცდაათჯერ მარგუნოს თანახის წაკითხვაო.

დროდადრო ასეთი ბედნიერება აფრთხობდა კიდეც. მღელვარებაც ეუფლებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაბაში გაშლილი დროშებითა და რუსული მარშით მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება, მართალია, ამ ფაქტს აბესალომის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეუცვლია, ჩვეულებრივ განაგრძობდა ღვთის სამსახურს, ებრაელნი კვლავ ადრინდებურად მოდიოდნენ ბეით-ქნესეთში, დღეში სამჯერ აღავლენდნენ ღვთის მადიდებელ ლოცვას, მაგრამ...

ამ ბოლო დროს ქუჩებში წითელყელსახვევიანი ბავშვები დარბოდნენ და გაიძახოდნენ „ძირს რელიგია“, „არ გვინდა მღვდელი და ეკლესია!“ „მოგვაშორეთ ბნელეთის მოციქულები“! ერთხელ სამების ეკლესიის თავზე წითელი ფერის ქსოვილი დაინახა: „რელიგია გონების ოპიუმია“, - ეწერა ზედ. მერე და მერე იმ ბავშვებს შორის, ქუჩებში რომ დარბოდნენ, ებრაელი ბიჭუნები და გოგონებიც გაერივნენ, დროშებს დააფრიალებდნენ, რაღაც ახლებურ სიმღერებს მღეროდნენ და გაიძახოდნენ -

- - - - -

* ბიბლიური იოსებწინასწარმეტყველი

„ძირს ეკლესია, ძირს მღვდელი, ძირს რელიგია!“ ისხაკიამ თავის ბიჭს იმდენი ურტყა, ლოყები დაუწითლა: რას დარბიხარ ქუჩა-ქუჩა, რა გინდა ამ ეკლესიისაგან, ეკლესიის გაუქმება რა შენი საქმეაო. ბიჭი კი ცხარე ცრემლებით ტიროდა: მე რა ვქნა, მასწავლებელმა წაგვიყვანა, რასაც ის გვეუბნებოდა, იმას ვიძახდითო. ისხაკიას მთელი დაბა იცნობდა, არავის შეეპუებოდა: ბიჭს ხელი წაავლო და მასწავლებელს მიადგა: ჩემს ბიჭს ეკლესიასთან რა ხელი აქვს, ქუჩა-ქუჩა ნუ დაარბენინებთო, მაგრამ მასწავლებელმა ისხაკიას ისეთი პასუხი გასცა, კაცი კიდევ უფრო გაცოფდა: მაგ ამბავს მე ნუ მეკითხები, თუ ასეთი მაგარი ბიჭი ხარ, ნესტორ თალაკვაძესთან მიდიო. აბა, ისხაკია რისი ისხაკია იქნებოდა, თუ მარგარიტა მასწავლებელს თავს ლაჩრად მოაჩვენებდა. წამოდი და შენს თვალწინ გავცემ საკადრის პასუხს მაგ ნესტორსაო. მივიდა კიდეც ნესტორ თალაკვაძესთან და შესძახა: ჩემი შვილი რატომ გაგყავთ ქუჩაში, ეკლესიასთან ჩვენ რა ხელი გვაქვსო. ნესტორმა, დაბრძანდი, ამხანაგოო, უთხრა. მე აქ დასაჯდომად არ მოვსულვარ, თუ ჩემი შვილი კიდევ ერთხელ გაგიყვანიათ მაგ დემონსტრაციაზე, მერე მე ვიციო. ისე უთხრა ისხაკია „ბრექამ“, როგორც მას „ბრექას“ უნდა ეთქვა – ამიტომ შეარქვეს ეს მეტსახელი. მთელმა დაბამ იცოდა, რომ ნესტორი დაფეხვილი მარგარიტა მასწავლებელი არ იყო. ამაში ისხაკიაც დარწმუნდა: ნესტორმა ორ ოყროყს უხმო: ეს კაცი აქედან გაიყვანეთ და, მანამ ურტყით, სანამ კარგად არ დაიღლებითო.

ეს ამბავი სიმონმა რომ გაიგო, უთქვამს, აწი იქნება გვეშველოს. იქნება ბრექი მოიშალოს ისხაკიამო.

ამ ორიოდე კვირის წინათ, ერთი ცუდი ამბავი გაიგო აბესალომმა და ამან კიდევ უფრო ააფორიაქა. სამების ეკლესიის მღვდელი სოსიკო გავაშელი ბოლშევიკებს თავის კომიტეტში დაუბარებიათ და შინ გაკრეჭილი გამოუშვიათ. სამი დღის მერე კი ჯარისკაცები ეკლესიას მიადგნენ, ლამის მთელი დღე დიდ ზარს ეჯაჯგურებოდნენ, – უნდა ჩამოვაგდოთ, ახალი ცხოვრების მშენებელ სოციალისტურ საზოგადოებას ეკლესია არაფრად სჭირდებაო.

იმ დღიდან აბესალომს პატრონის ერთგული ძაღლივით აედევნა ფიქრი: „ბოლშევიკები ერთ დროს ხომ ქრისტიანები იყვნენ, ეგენი თავიანთსას არ ინდობენ, ჩვენ რა სიკეთეს გვწევენ?“

დიდხანს ლოდინი არც დასჭირვებია – ორიოდ კვირაში ყმაწვილი კაცი ეწვია, კომიტეტში გეძახიანო. კი ბატონო, დილას გეახლებითო, მიუგო აბესალომმა. არა, ახლავე უნდა წამოხვიდე, საჩქარო საქმე აქვთო. რაღას გააწყობდა: გაჰყვა იმ ყმაწვილს. იმანაც, სამაზრო თუ რაღაც საოხრო კომიტეტში რომ მიიყვანა, დერეფანში უთხრა: აქ დაიცადეთ, დაგიძახებთო. რომელიღაც ოთახში შევიდა და ნაშუაღამემდე იმ ოთახის კარი არ გაღებულა. დერეფანში სკამიც არ იდგა, რომ ჩამომჯდარიყო და ისე დალოდებოდა იმათგან გამოძახებას, ვისაც ამ ქვეყნის პატრონად, აბესალომის ბედის გამგებლად მიაჩნდა თავი. ნაშუაღამევს გაიღო ის კარი და აბესალომი ოთახში შეიყვანეს. მაგიდასთან ერთი მაღალი კაცი იჯდა. ღონიერ სხეულზე ბლუზა შემოტკეცოდა, სახე-პირი ულაქლაქებდა, ვიწრო წელზე ქამარი შემოეჭირა, ულვაშები ისე კოხტად აეწკიპა, ცხადი იყო, ზრუნვას არ აკლებდა. უხდებოდა კიდეც. ამ კაცის დანახვაზე აბესალომს მათათიაჰუ გაახსენდა. უფრო სწორად, ის კაცი, იმ სკამზე მჯდომი ულვაშიანი იმ ბერძენთა შთამომავლად დაესახა. რომლებიც თორის სწავლას უშლიდნენ დაპყრობილი იუდეის მოსახლეობას. თუ ეს კაცი ბერძენი დამპყრობელი იყო, თავად მათათიაჰუდ უნდა წარმოედგინა თავი, ისე როგორც ბავშვობის წლებში, მაგრამ ამდენი აღარ დასცალდა – იმ ბეჭებგანიერმა, ბლუზაზე ქამარშემოვლებულმა და ულვაშაპრეხილმა კაცმა აბესალომს ახედა და იკითხა:

– მაშ, ეს არის ხახამი, რომელიც მშრომელ ებრაელობას გონებას უბნელებს და მყრალ მორევში მიათრევს?

– დიახ, ეს გახლავთ, ამხანაგო ნესტორ, – დაუდასტურა იმ ყმაწვილმა, რომელმაც აბესალომი მოიყვანა.

ნესტორმა მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს შორის ერთი ფურცელი ამოარჩია და აბესალომს მიმართა:

– ამხანაგო ხახამო, თქვენ ალბათ, არ იცით, რომ რელიგია გონების ოპიუმია. ბოლშევიკურ სახელმწიფოს რელიგიასთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ჩვენ გულგრილი ვერ ვიქნებით მშრომელთა ნების მიმართ. ებრაელთა შორის აღმოჩნდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და მოითხოვენ თქვენი სალოცავის ლიკვიდაციას.

ეს ელდა იმდენად მოულოდნელი იყო, აბესალომმა ენა ვერ მოიბრუნა, ვერაფერი თქვა. ნესტორს ჯიუტად მისჩერებოდა. ნესტორმა ფურცელი წინ დაუდო.

აბესალომმა ბატიფეხურად ნაწერ განცხადებას გადაავლო თვალი. განცხადება მშრომელ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებრაელთა სახელით გახლდათ დაწერილი. ჩვენ სოციალიზმის მშენებელი ადამიანები ვართ და სინაგოგა ფეხებში გვებლანდება, ჩვენს შვილებს კი გზიდან აცდენს, გვიშველეთ, მოგვაშორეთ თავიდანო. კიდევ ეწერა რაღაც, ამდენს ვერ გასწვდა არეული გონება.

– წაიკითხე, ხომ? აბა, ახლა იმას დააკვირდი, ვინ აწერს ხელს. დაიმახსოვრე ყოველი მათგანის გვარი და დამიდასტურე, იცნობ თუ არა ამ ხალხს.

აბესალომმა ხელისმომწერთა გვარები ჩაიკითხა. ბეით-ქნესეთის ახლო მცხოვრები ებრაელები იყვნენ. ცხადია, ყველას იცნობდა. დავით და იაკობ ცხვირიაშვილები, ისხაკ, დანიელ ჯანაშვილები, მიხაკო, აბრაშკა, ბორია ელიშაყაშვილები, მაყვალა, ეთერ, გერშონ მოძღვრიშვილები, ფაშიკო, შალომ და ისინკა წიწუაშვილები. დავითი, აბრამი, ნუცო, მარგო...

– გააფრთხილეთ მთელი დაბის ებრაელობა: ხვალ, ზუსტად 17 საათზე და ნოლ-ნოლ წუთზე ყველამ სინაგოგასთან მოიყაროს თავი. სინაგოგას რომ ავაფეთქებთ, მაგათ ნანგრევებისგან უნდა გაათავისუფლონ არემარე. მანამდე კი გამოიტანეთ რაც ხარახურა გაქვთ შიგ. ამით დამთავრდება ეს საკითხი. ასე!

– არა! – თქვა აბესალომმა. მერე კიდევ უფრო ხმამაღლა და მტკიცედ გაიმეორა – არა!

ნესტორმა მაგიდას დაჰკრა მუშტი.

ნესტორი ისევ ლაპარაკობდა, აბესალომს კი უკვე აღარაფერი ესმოდა. ამ კაცმა იმდენად თავზარდამცემი რამ თქვა, აღარაფერი ესმოდა. თვალებსაც აბრიალებდა ნესტორი, ზოგჯერ იღიმოდა კიდეც, მაგრამ აბესალომს ვერაფერი გაეგო. ეწადა კი?! მხოლოდ ერთი რამ სწვდებოდა მის სმენას, მხოლოდ ერთი ფრაზა – „სინაგოგას რომ ავაფეთქებთ", „სინაგოგას რომ ავაფეთქებთ", „სინაგოგას რომ ავაფეთქებთ".

აბესალომს არც ის ახსოვს, იმ კაცმა ლაპარაკი როდის დაამთავრა, არც ის, გარეთ, ქუჩაში როგორ გამოვიდა.

თავი რომ იცნო, ტყისპირას, კუნძზე იჯდა. გაკვირვებით მიმოიხედა. სადა ვარ, აქ რამ მომიყვანაო. ცას უკვე მტრედისფერი მოსდებოდა, გზა კარგად მოჩანდა. წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაუყვა სახლისკენ მიმავალ ბილიკს.

ესთერი აივანზე იდგა. ორიოდ სიტყვა შეაგება ქმარს: „ხომ მშვიდობაა?!" და პასუხი რომ ვერ მიიღო, მიხვდა. მათ თავს სასიკეთო არაფერი ტრიალებდა. ამიტომ გარინდებული, დაძაბული ელოდა თუ რას იტყოდა ქმარი, როდის აუწყებდა, რა უბედურება დაატყდა მათ ოჯახს. საუზმეს ამზადებდა. პაწიას ძუძუს აწოვებდა თუ ჭურჭელს რეცხავდა, სუნთქვაშეკრული ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას აბესალომი.

აბესალომი კი იჯდა და ფიქრობდა. უფრო სწორად, უნდოდა ეფიქრა, უნდოდა, ძლიერ ეწადა, გონივრული აზრისთვის მიეგნო, მაგრამ...

დაბის თავზე მზის სხივი რომ აელვარდა, ბეით-ქნესეთში წავიდა – დილის ლოცვა უნდა ჩაეტარებინა. ესთერმა შეშფოთებული მზერა გააყოლა, ნეტავ, რა ხიფათია ჩვენს თავს, რა გველისო.

პირველად მაშინ ამოიღო ხმა, დილის ლოცვას რომ შეუდგა. ასე ულიმღამოდ, ასე უსახურად აბესალომს არასოდეს ულოცია. ხმა ქიფურში* უთრთოდა ხოლმე, ღონეც აკლდებოდა ქიფურში, დღეს კი იმდენად დაბნეული იყო, ლოცვანს აბურდულად კითხულობდა, სიტყვებიც ეშლებოდა, არც მისი ხმა აღწევდა ჯამაათის ყურამდე.

როგორც იქნა, ჩაათავა ეს გაჯახირებული ლოცვა, ჩაიკითხა „ყალენ ჰუ ლეშაბეახ". ჯამაათის წევრები ისე მშვიდად ლოცულობდნენ, ისე ჩვეულებრივ დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ისე გაიკრიფნენ ბეით ქნესეთიდან, წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რაც უნდა მომხდარიყო.

ეთქვა? მართლა გამოეცხადებინა საღამოს ბეით-ქნესეთის ნანგრევების გასაწმენდად უნდა მოხვიდეთო? არა, არა, არა, თავად ააგო ეს ბეით-ქნესეთი და თავადვე უნდა მოერიოს მოვარდნილ ჭირს. მაგრამ როგორ? რა გზა აირჩიოს, რა ღონეს მიმართოს?

ბეით-ქნესეთის ერთ კუთხეში მწვანეხავერდგადაფარებულ მაგიდას მიუჯდა და ფსალმუნი იკითხა. ფსალმუნის ორიოდ თავი რომ ჩაიკითხა, კარგა ხანს უხმოდ იჯდა. ერთ წერტილს მისჩერებოდა. ყველაზე საშინელი, ყველაზე ძნელად ასატანი ის იყო, რომ ვერ ფიქრობდა, თავში არარა აზრი არ ბჟუტავდა. ისევ ძველი აღთქმა აიღო ხელთ. ანგარიშმიუცემლად ფურცლავდა. ისიც ვერ მოეგონებინა, დღეს რომელი თავი უნდა წაეკითხა, გვერდზე გადადო, ლურჯყდიან, ოქროსფერი ასოებით მოკაზმულ წიგნს რომ ჰკიდა თვალი, მისკენ გაშვერილი ხელი ლამის გაუშეშდა. უხმოდ შესცქეროდა წიგნს. ხელიც ვერ გაენძრია, ხელიც ვერ მოეკიდა წიგნისათვის. არა, არა, ახლა ხელი კი არ იყო მთავარი, იდეა, აზრი, რომელიც გონებაში გაკრთა. იმ აზრს ფეხდაფეხ მიჰყვა ფიქრი, სდია და აი, „მაცადა", –

– – – – –

* ქიფური –განკითხვის დღე

უმარმაზარი, გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრე. „მაცადა“ და შიგ ჩაკეტილი, სიკვდილისთვის თავგამეტებული ებრაელნი. „მაცადა“ მშვიდად და ამაყად გადმოსცქერის მკვდარ ზღვას.

მკვდარი ზღვის მდორე, მარილით სქლად გაჯერებულ ზედაპირზე აირეკლება „მაცადას“ კონტურები - მკვდარი ზღვის ზედაპირი არ იძვრის, არ ირხევა და მასში „მაცადა“ აირეკლება ისე, როგორც უნდა იდგეს მტრის რისხვად ქცეული ციხე - მუხლგამართული, მკლავებგაშლილნი, შემართული. არც „მაცადაში“ გამომწყვდეული იუდეველნი ღელავენ. მშვიდად, აუჩქარებლად დააბიჯებენ მზით დამწვარ მიწაზე. დროდადრო ბიბლიური ლოტის მარილად ქცეულ ცოლს გადმოხედავენ და ამით კიდევ ერთხელ შთააგონებენ თავს: ყოველ ადამიანს თავისი მისია აქვს ამ ცისქვეშეთში, და ეს მისია შთამომავლობის, თანამემამულეთა ბედის განმსაზღვრელი უფროა, ვიდრე იმ ერთი კაცისა: ზოგნი მარილის ქანდაკად უნდა იქცნენ, ზოგნი ვეშაპის მუცელში უნდა მოხვდნენ, ზოგიც ციხეში უნდა ჩაიკეტონ და...

ციხეში, ციხე-სიმაგრე „მაცადაში“ ჩაკეტილი იუდეველნი მტერს სტუმარივით ელიან - ბჭობენ როგორ შეხვდნენ, როგორ გაუმკლავდნენ. დღეს, რომაელთა ლეგიონების მომლოდინე იუდეველთა მღელვარებაც ხმაურიანია და ბჭობაც. ყველა თავისი აზრის დამკვიდრებას ცდილობს, ყოველი თავის აზრს მიიჩნევს ჭეშმარიტად, მაგრამ მახვილი რომ მცირეა, რომაელნი კი ლეგიონები?..

ოთხი დღეა ბჭობენ, ხმაური, ყვირილი მკვდარი ზღვის სანაპიროზე დაბანაკებულ რომაელთაც კი სჭრით ყურს: ხვალ-ზეგ რომაელნი შემოგვიტევენ, როგორ ვებრძოლოთ, ეგრე მცირეოდენნი დავრჩითო.

- დავნებდეთო, ამბობენ ერთნი, ერთეულები.

- ვიბრძოლოთო, - ამბობენ მეორენი.

- დავმარცხდებითო, - ამბობენ მესამენი.

სწორედ ეგ არის გზა - შეუპოვარი ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა.

და ჰა, მიიღეს კიდეც გადაწყვეტილება ცოცხალნი არ დანებდნენ რომაელებს, თუ რომაელნი დაჯაბნიან, თუ რომაელნი ციხეში შემოაღწევენ, ერთმანეთი დახოცონ, ერთმანეთს თავად მოუღონ ბოლო, ის ერთი ბოლო კაცი, ცოცხლად დარჩენილი ერთი კაცი, კი... იმ კაცის ბედია გაურკვეველი, რადგან თავის მოკვდინებას კრძალავს ღმერთი...

ის ერთი კაცი მტერს უნდა შეაკვდეს.

რამენაირად მოახერხებს.

აბესალომის ბეით-ქნესეთიც მშვიდად და ამაყად გადმოსცქერის ხეობას.

აბესალომი წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯებით გაეშურა შინისაკენ. სახლში მხნედ შევიდა, ესთერს ლამის ღიმილით ესროლა, იქნება მასაუზმოო, თავად მაგიდას მიუჯდა, სამზარეულოში გასულ ესთერს კი გასძახა: „ესთერის წიგნი ხომ გახსოვს?“ რატომ უნდა დამეიწყნოდაო, სამზარეულოდანვე მიუგო ესთერმა. მას უკვე გუნება გამოუკეთდა: რახან აბესალომმა საუზმე მოითხოვა, გამოელაპარაკა კიდეც, არც ისე ცუდი ამბავი უნდა იყოს ჩვენს თავსაო.

- თუ ასე კარგად გახსოვს, ისიც გეხსომება რა ელოდა ესთერს, მეფე ახაშვეროშის ნების გარეშე, ეზოში რომ გამოვიდა. თუ ახაშვეროში არ მიიწვევდა, რა ელოდებოდა?

- მაგას რა მიხვედრა უნდა, შე კაცო, შიგ არა წერია სიკვდილიო?!

- სიკვდილი! - ეს სიტყვა გრიგალივით დატრიალდა აბესალომის ირგვლივ.

- სიკვდილი! - ეს სიტყვა ელდად ეცა გულს და გაახევა.

- სიკვდილი! - ამ სიტყვამ კვლავ წაართვა ფიქრის უნარი.

- მაგას რტომ მეკითხები? - კვლავ სამზარეულოდან მოესმა აბესალომს ესთერის ხმა.

პასუხი ვერ გასცა. არ იცოდა, რა ეპასუხა.

ესთერმა მაგიდაზე კერძი, მარილი, პური დაუდგა და ჰკითხა:

- რატომ მკითხე ეს ამბავი, აბესალომ? - ესთერი ღიმილით ელოდა პასუხს, მაგრამ აბესალომს პასუხი არ ჰქონდა. ესთერი კვლავ სამზარეულოში გავიდა. აბესალომს კი ერთი სიტყვა დასტრიალებდა თავს:

- სიკვდილი!

- სიკვდილი!

- სიკვდილი!

- მაგრამ ღმერთს არ ეწადა ესთერის სიკვდილი და ახაშვეროშმა კი არ დასაჯა, მიიხმო და დააფასა, - თქვა ესთერმა და სამზარეულოდან ქმარს გამოხედა. - რატო არ ჭამ, აბესალომ?

- სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი! - აბესალომის ირგვლივ ბუმბულივით მიმოფანტული ეს სიტყვა უცებ ერთ ადგილას მიეყინა.

- რასაკვირველია, რასაკვირველია, რად უნდა ლაპარაკი! ერთია ის, რა უნდა ნესტორს და მეორე, როგორია გამჩენის ნება. შენ შენი საქმე უნდა აკეთო. მთავარი არის ის, რაც გევალება, დანარჩენს ღმერთი განაგებს.

აბესალომმა პური აიღო, გატეხა, მარილს

დაადო და აკურთხა.

უგემურად ილუკმებოდა.

- ერთი ეს მითხარი, ესთერ, რომელი უფრო ახლობელია შენი - თამარი, რახელი თუ მირიამი?

ესთერი დაფიქრდა.

- სამივე ერთნაირად ახლობელია. რატომ მეკითხები?

აბესალომმა პირში ლუკმა ჩაიდო, დაღეჭა და თქვა:

- როგორ ერთნაირი. სამივეს ერთნაირად ენდობი? ამაღამ რომ გაქცევას აპირებდე, რომელს გაუმხელ და რომელს დაუმალავ?

ესთერი კვლავ დაფიქრდა:

- არც ერთს არ დავუმალავდი, აბესალომ, სამივეს ვეტყოდი და სამივე სამარესავით უტყვია. შენ მაინც არ მითხარი, რატომ მეკითხები ამას.

აბესალომმა ლაღადაც კი იგრძნო თავი. ლუკმა გადაყლაპა და თქვა: - ჯერ ეს მითხარი, - ამათგან ყველაზე მეტად რომელს ენდობი? რომ დაგჭირდეს, რომელს შეაფარებ თავს?

ესთერმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

-მე ვერც ერთს ვერ დავუმალავ... არა, ვერც ერთს ვერ დავუმალავ.

- დაჯექი, ესთერ, სალაპარაკო მაქვს, - უთხრა აბესალომმა და თეფში გვერდზე გადადო.

ესთერი სკამზე ჩამოჯდა.

კარგა ხანს საუბრობდნენ ცოლი და ქმარი, კარგა ხანს ბჭობდნენ აბესალომი და ესთერი. თუმცა, ბევრი სიტყვა არ თქმულა. ორიოდ წინადადებას იტყოდნენ და დუმდნენ. ფიქრობდნენ.

შუადღის პირი იყო, ესთერი სახლიდან გავიდა და მეზობლებს გასძახა:

- რახელ, რახელ! - რახელი რომ გამოეპასუხა, უთხრა, გადმოდი ჩემთან, ჩქარა!

ასევე უხმო თამარსა და მირიამს.

ათიოდ წუთში ოთხი ახალგაზრდა ქალი იმავე მაგიდას მიჯდომოდა, ცოტა ხნის წინათ აბესალომი და ესთერი რომ ბჭობდნენ. ხმადაბლა საუბრობდნენ. ოცი-ოცდაერთი წლისანი იყვნენ, ჯანსაღნი და თავ-თავიანთი ოჯახური ყოფით ბედნიერნი. ასეთი საუბარი პირველად ჰქონდათ, ალბათ, ამიტომაც ლაპარაკობდნენ ჩურჩულით, ამიტომაც დაჰკარგვოდათ ფერი, მაგრამ თვითონ ამას ვერ ამჩნევდნენ.

მათ დღეს სხვა საზრუნავი გასჩენოდათ.

სულ რაღაც ორიოდე საათის შემდეგ, დღეს რომ ასაკი მოეძალა და მზეც გადაიხარა, რაიონის მცხოვრებნი უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ: ესთერი, მირიამი, რახელი და თამარი სასტუმროდ მორთულიყვნენ. ოთხივეს ხელში ბოღჩები ეჭირათ, მარჯვენათი კი თავ-თავიანთი ძუძუმწოვარა ბავშვები აეტაცებინათ და ცენტრალური ქუჩისკენ მიაბიჯებდნენ. სწორედ იქ, ცენტრალურ, ლენინის სახელობის ქუჩაზე, დემონსტრაციულად მიმავალ /არც თითო-ოროლა ავტოს დაგიდევდნენ, არც ფაეტონებს და არც ურმებს/ ქალებს ისხაკია გადაუდგა წინ:

- რა ამბავია, გოგოებო, ჯარში ხო არ მიდიხართ, ასე რომ ჩამწკრივებულხართ?

ქალებმა პასუხი რომ არ გასცეს, ისხაკია რომ არაფრად ჩააგდეს, ნაბიჯიც კი რომ არ შეანელეს, ისხაკიამ შალიკო მექუდეს მიაძახა: გარეთ გამოდი. რაღაცა ამბავიაო. და ქალებს აედევნა. შალიკო კაჭიას ახლად შეკერილ ქუდს აზომებდა /დიდი მაქვსო, ჭირვეულობდა კაჭია/ ის ქუდი კაჭიას თავზე შეატოვა და დუქნიდან გამოვარდა, კაჭიას კი მიაძახა: ხომ ხედავ, ფარსაგი ამბავია ჩვენს თავს, ქალები ჯარში მიდიანო, შალიკოც ქალებს აედევნა. ცხადია, აღარც კაჭია გაჩერდა დუქანში, მანაც ქალებისკენ აიღო გეზი, მაგრამ ვიდრე ქალებს წამოეწეოდა, თავის დუქანთან შეჩერდა, იქ, რომ გამყიდველი ბიჭი ედგა - ისაკო „ლამაზო", - გამოდიო, უთხრა. „უნდა დავკეტო რაღაცა ამბავი ხდება, როდის იყო ჩვენი ქალები სალდათებივით შუა ქუჩაში მიაბიჯებდნენო. ისხაკიას, შალიკოს და კაჭიას ისაკო „ლამაზოც" მიჰყვა. ქალებმა რომ ცენტრალური - ლენინის ქუჩა გაიარეს და ბეით-ქნესეთისაკენ გაემართნენ, უკვე კარგა ძალი ხალხი მისდევდათ. ესთერმა ბეით-ქნესეთის დიდი, მძიმე კარი შეაღო, მირიამი, რახელი და თამარი თავ-თავიანთი ბალღებით შიგ შეუშვა, თავად კარებში ჩადგა და ბეით-ქნესეთის ეზოში შეკრებილ ხალხს მიმართა:

- გლახა ამბავია ჩვენს თავს, ჯამაათო პატიოსანო! რამდენიმე ისრაელისშვილს ამ ბეით-ქნესეთის დანგრევა-გადაშენება უთხოვია მთავრობისათვის. იმათ, ვინც ყოველ დილა-საღამოს გამჩენის სადიდებლად აქ მოდის, არაფერს ეკითხებიან. ერთ საათში მთავრობამ ეს ბეით-ქნესეთი უნდა ააფეთქოს. ბეით-ქნესეთის დასაცავად შიგ შევდივართ ქალები ჩვენ-ჩვენი შვილებით. ჩვენ გვჭირდება ეს ბეით-ქნესეთი. ან ამ ნანგრევებში ჩავიხოცებით, ან ერთად გადავრჩებით ჩვენც და ჩვენი თორაც, - ეს სიტყვები თქვა და ესთერი მყისვე ბეით-ქნესეთში შევიდა. ეზოში შეკრებილმა ადამიანებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ კარი მძიმედ დაიხურა. ჯაჭვების

ხრჭიალი მოესმათ.

ბეით-ქნესეთის კარი შიგნიდან ჩარაზეს.

ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა. ადამიანები გაოგნებულნი იდგნენ. ვერც ის გაეცნობიერებინათ, რა ხდებოდა - ბეით-ქნესეთს ვინ ან რატომ აფეთქებდა და ვერც ის - ეს ქალები თავს რას სწირავდნენ. მათ გუნდს ერთი კაცი გამოეყო - დათია ისე სულმოუთქმელად გარბოდა, რამდენიმე კაცმა უაზროდ გააყოლა მზერა.

- ეს რა გამოდის ხალხნო, გამაგებინეთ, რა ხდება, - რას ჰქვია ბეით-ქნესეთს გვინგრევენ! - ხმამაღლა იკითხა ისხაკიამ.

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. მამაკაცები კვლავ გარინდებულნი შესცქეროდნენ მძიმე კარს. რომლის მიღმაც ქალები გაუჩინარდნენ. თითქოს მისგან ელოდნენ პასუხს. აბა, იმ კარს რა პასუხი უნდა გაეცა, რა უნდა ეთქვა ლითონის უტყვ კარს?!

როგორც კი ესთერმა კარი ჩარაზა, ისეთი მოქანცულობა იგრძნო, იატაკზე დაეშვა. კარს ზურგით მიეყრდნო და თვალები დახუჭა. არც მისი მეგობრები იყვნენ უკეთეს დღეში - ვიდრე ლენინის ქუჩაზე პირველი მაისისა თუ შვიდი ნოემბრის პარადზე გამოსული ბოლშევიკებივით მოაბიჯებდნენ, კიდევ არა უჭირდათ. კი, სული კბილით ეჭირათ, მაგრამ თავს მაინც ყოჩაღად გრძნობდნენ. ბეით-ქნესეთამდე ისე მოაღწიეს, ნაბიჯი არ შეშლიათ. ბეით-ქნესეთის კარი მძიმედ რომ მიიხურა - პირველ წუთებში გასაკეთებელი საქმე რომ მოილიეს, მაშინღა მიხვდნენ, რაოდენ დაძაბული ყოფილან თურმე. შიშიც ახლა იგრძნეს - ბეით-ქნესეთის კედლებში მოქცეულებმა. ის-ის იყო, რახელს უნდა ეკითხა, რომ არ დაგვინდონ ბოლშევიკებმა, მაინც რომ ააფეთქონ ბეით-ქნესეთი, რა ვქნათო, რომელიღაც ბავშვი ატირდა. /არადა, უკვე მესამედ დასვა ეს შეკითხვა. პასუხი კი ერთი იყო: „აქედან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ"/. ოთხივე ქალმა იმ სკამისაკენ გაიხედა, რომელზეც საფენებში გახვეული ბავშვები დაეწვინათ. ბავშვის ხმა ბეით- ქნესეთის განიერ კედლებს კენჭებივით ეცა.

- ჩემია, - თქვა მირიამმა და ბავშვისკენ გაემართა, მაგრამ ვიდრე - თავის პაწიას აიყვანდა ხელში, დანარჩენებიც ატირდნენ. თითქოს ერთმანეთს ტირილით ამხნევებენო, თითქოს ერთმანეთს ეხმიანებიანო, ყველა ერთხმად ტიროდა. დედებმა შვილები აიყვანეს, მკერდი მოიღეღეს, ბავშვებს პირში ძუძუ ჩაუდეს და კვლავ სიჩუმე გამეფდა დარბაზში. ამ სიჩუმეს ერთ-ერთი პაწიას პირის წკლაპუნი არღვევდა. როგორც ჩანს, მას ძლიერ მოსწონდა დედის რძე და სიამოვნებით გააწკლაპუნებდა ხოლმე პირს.

- აჰ! - წამოიძახა რახელმა. მის ბიჭუნას უკვე კბილები ამოსდიოდა და დროდადრო დედის ძუძუს ისე მოუჭერდა, რომ რახელი ტკივილს ვერ ითმენდა. - ბავშვი კი არა, ყაჩაღი ხარ, ყაჩაღი!

ეს იყო და ეს! მეტი არაფერი უთქვამთ!

ბავშვებმა რომ ძუძუთი გული იჯერეს და თვალები მილულეს, დედებმა კვლავ სალოცავის სკამებზე დააწვინეს და ერთხანს უხმოდ დასცქეროდნენ შვილებს. მერე რახელი კედელში დატანებულ დიდ კარადას მიადგა. აქ, ამ კარადაში ასვენია თორის დიდი გრაგნილები.

- ღმერთო ისრაელისაო, გამჩენო ამ ქვეყნიერებისა, ამ ცისა და მიწისა, შემქმნელო და განმსახავო, გადმოგვხედე დღეს. დაგვიცავი - ჩურჩულით ამბობდა რახელი და მან იგრძნო, გვერდით როგორ დაუდგნენ ესთერი, მირიამი, თამარი - შეგვიბრალე და გვიშველე, უფალო, ღმერთო ჩვენო, შენდამია მოპყრობილი მზერა ჩვენი. რამეთუ შენ ხარ ღმერთი მეუფე შემწყალებელი და შემბრალებელი. ჩვენი ბურჯი ხარ შენ, ჩვენი სიცოცხლის ბურჯი და ფარი ჩვენი შველისა, - მირიამს ცრემლი ჩასდგომოდა თვალში. ცხადია, ისიც გადარჩენას შესთხოვდა ღმერთს, მაგრამ არა იმდენად თავისას - პაწია ნათელასი.

ყოველმა მათგანმა - ესთერმა, მირიამმა, რახელმა, თამარმა - კარგად იცოდა, რომ ებრაელები იყვნენ. ებრაულ ოჯახებში დაიბადნენ, ებრაულად აღიზარდნენ, მაგრამ ის ყველაფერი ჩვევა უფრო იყო, ვიდრე გააზრებული შეცნობა იმისა, თუ რაოდენი მძიმე ტვირთია ებრაელობა. დღეს, აი ამ წუთებში, ამ დარბაზში გამეფებულ დუმილში იგრძნეს, თუ რას ნიშნავს იყო ებრაელი და ვერ გეტყვით, რომ სიამაყე, ან შიში დაეუფლათ.

არა. მათ სინამდვილეს გაუსწორეს თვალი.

## ნონიკო

ერთი მწიგნობართაგანი, რომელსაც ესმოდა მათი კამათი და იცოდა რა, რომ კარგად უპასუხა მათ, მიუახლოვდა და ჰკითხა მას: რომელია მცნება პირველი ყველასაგან? იესომ უპასუხა მას: პირველი არს: ისმინე ისრაელ, უფალი ღმერთი ჩვენი, უფალი ერთი არს.

*ახალი აღთქმა, მარკოზი 28,29*

სამების ეკლესიის მღვდელი ნონიკო გავა-

შელი ერთ დროს ბედის ნებიერად მიაჩნდათ. დიდებული მრევლი ჰყავდა – ღვთისმოსავი და უპოვართა გამკითხავი. მღვდელსაც ისეთი პატივს მიაგებდნენ, ბარე ორ მრევლს შეშურდებოდა.

ნონიკო მორჩილი ტანის, პირთეთრი კაცი იყო. მისი სიმშვიდისმომგვრელი მზერა ადამიანებში სათნოებას, სიკეთეს აღძრავდა. სამოცდაათი წელი უკან მოიტოვა, მაგრამ წვერში ერთი ღერი თეთრი თმა არ გამორეოდა. მოკლედ იკრეჭდა, არ უყვარდა, მღვდლებს გრძელ წვერს ქარი რომ უფრიალებდა. მრევლის სამსახურში ორმოცდაათი წელი ისე გალია, მისი სახელი აუგად არავის უხსენებია – მის ირგვლივ მუდამ მასავით სათნო, კეთილშობილი ადამიანები ტრიალებდნენ. მშვიდად, აუმღვრევლად მიედინებოდა მისი ცხოვრება. დღემუდამ ფსალმუნი და სახარება ეჭირა ხელში, წინასწარმეტყველთა წიგნების კითხვა კი განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა. დროდადრო ძველსა და ახალ აღთქმას ერთმანეთს აჯერებდა.

ასე ღამდებოდა და ასე თენდებოდა.

ნონიკოს მშვიდი ცხოვრება არც მაშინ აშლილა, ბოლშევიკები გაშლილი დროშით და რუსული მარშით რომ შემოვიდნენ ამ კუთხეში. მთვარია, ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ, ღმერთს ღმერთისა მიაგონ და ეშმაკს არ დაეწინდონო, ამბობდა.

მოგვიანებით შეფიქრიანდა – მაშინ, როცა ეკლესიაში მომსვლელთა რიცხვი შემცირდა, ქუჩებში კი წითელყელსახვევიანმა ბავშვებმა იწყეს სირბილი და ღმერთს სცოდავდნენ, არ გვინდა ეკლესია, არ გვინდა მღვდელიო.

დაფიქრდა ნონიკო, რა ხდება, ვინ იდებს ასეთ ცოდვას, ბავშვებს ულვთობას ვინ ჩააგონებსო, მაგრამ ვიდრე გონს მოვიდოდა, ვიდრე მიხვდებოდა, თუ რაგვარი დრო დადგა, მოსახდენიც მოხდა. ერთ წვიმიან დღეს, სწორედ აღდგომის წინ გამოუცხადეს, არც ეკლესია სჭირდება სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას, არც მღვდელიო.

– თქვენი სულები ისე აოხრებულან, სწორედ ახლა გჭირდებათ ღვთის შველა, – მიუგო ნონიკომ, მაგრამ ისეთ ძაღლთაპირ კაცს ელაპარაკებოდა – ნესტორს – მღლევარე ზღვა უფრო გაგიგონებდა, ვიდრე ნესტორი. ამის დასტური ისიც იყო, რომ ნონიკოს წვერი შეაკრიჭეს, ანაფორა გახადეს და ისე გამოუშვეს შინ.

უცებ დაბერდა ნონიკო მღვდელი – რამდენიმე დღეში მოერია ჭაღარა, წვერიც მოუშვა, ლამის მკერდამდე სწვდებოდა. ახლაღა მიხვდა, რომ ცხოვრება შეცვლილიყო. მისი სამწყსო ის აღარ იყო, რაც შვიდი-ათი წლის წინათ. ლოცვას უმატა, დღისით თუ ღამით მრევლის მშვიდობას ავედრებდა ღმერთს.

ერთ დილას კი, მნათე დათიამ ისეთი ამბავი მოურბენინა, ლამის ცულს წაავლო ხელი – ეკლესიას ჯარისკაცები მიესივნენ, ჯერ დიდი ზარის ჩამოგდებას აპირებენ, მერე კი ეკლესიის აფეთქებას და ნანგრევებად ქცევასო. ხალხიც მორეკეს, რომ იქაურობა ნანგრევებისაგან გაასუფთაონო.

მნათეყოფილმა რომ ეს ამბავი ამცნო, ლეღვის ძირში, ახალუხის ამარა ჭილოფზე მჯდარი ნონიკო დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნს კითხულობდა. უკანაც არ მოუხედავს, ისე გავარდა ეკლესიისაკენ და ნესტორს, დღეს მთელი რაიონი ამხანაგ ნესტორს რომ ეძახდა, ეძგერა: რას შვრებით, თქვე ოხრებო, ასე როგორ გაგიწყრათ ღმერთიო, – შესძახა, ეძგერა და წააქცია კიდეც. მეტი ვერაფერი უყო. ამხელა კაცი ტალახში მოგორიალე რომ დაინახა, შეცბა. სხვას ვერც ვერაფერს იზამდა ნონიკო. მღვდელი, ღვთისმსახური მოწოდებით იყო, სულსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ღმერთისა და ადამიანის პატივისცემა – რაოდენ უწმინდური, ღვთისმგმობელიც უნდა ყოფილიყო, ადამიანს ხელს ვერ შემოჰკრავდა, მაგრამ ნესტორის ტალახში გორიალი რა ბედენა იყო – იქ, სამრეკლოზე ზარს ხსნიდნენ. სწორედ იქ უნდა ასულიყო, ის ულვთო ჯარისკაცები უნდა მოეცილებინა იქაურობისაგან, ავარდა კიდეც მაღლა, მაგრამ ზედ სამრეკლოსთან გადაუღობეს გზა. ისე გაბაწრეს ნონიკო მღვდელი, როგორც ბაზრის ვიგინდარა ჯიბგირს გაკოჭავდნენ. ხმასაც რო არ იღებდნენ ეს ოხრები!

ამასობაში ამხანაგი ნესტორიც მოვარდა, ნონიკოს ქეჩოში სწვდა, სამრეკლოს მოაჯირთან მიიყვანა და ეკლესიის წინ შეკრებილ ხალხს გადმოსძახა:

– აი, ამხანაგებო, თვითონ დაინახეთ განწირული კლასი როგორ იბრძვის თავისი ბნელეთის მოციქულების ხელით. სამღვდელოებას სურს თავისი დამპალი კბილები ჩაავლოს ჩვენს საზოგადოებას. რევოლუციამ, ხალხმა რა ხანია გაიმარჯვა, მაგრამ ესენი პოზიციას არ იცვლიან. რა ეკუთვნის მღვდელს?

ხალხს ხმა არ ამოუღია. სახლებიდან ვინც გამოვიდა, უხმოდ შესცქეროდა ჯიბგირივით ხელებგაკრულ მღვდელს. ნონიკოს ამანაც მოუკლა გული. ნესტორს ღმერთი გასცემდა პასუხს, ღმერთი მიუზღავდა სამაგიეროს. ხალხი? მისი გუშინდელი მრევლი? ეწადა კი

ნონიკო მღვდელს დუმილისათვის, უმოქმედობისათვის ღმერთს დაესაჯა ისინი? ამისთვის ემეტებოდა?

სამრეკლოდან დიდი ზარი საღამომდე ვერ მოხსნეს. რამდენი ეჯაჯგურნენ, ვერაფერი დააკლეს. მზის ჩასვლისას თუჯის უზარმაზარი ზარი ბათქით რომ დაახეთქეს მიწას, სახლებში შემალულნიც კი გამოცვენილან, - არიქა, მიწისძვრაა, თავს ვუშველოთო. ამაზე უთქვამს მნათეყოფილს, თქვენ მიწისძვრა აწი ნახეთ, ვითომ ვერ გაიგეთ, ეკლესიას რომ გვინგრევდნენო.

ასე ამოჰყო თავი სამების ეკლესიის მღვდელმა ნონიკომ ციხეში.

ერთ საათში ეკლესიაც ააფეთქეს. ნონიკოს აფეთქების ხმა საკანში რომ გაუგონია, მუხლებზე დაცემულა და ცრემლმორეულს ღმერთისთვის საყვედური უკადრებია:

- მთელი სიცოცხლე შენს სახელს ვადიდებდი, ვცდილობდი ქრისტიანული წესით მეცხოვრა, ასეთი რა შეგცოდე, ჩემდა უნებლიეთ, ასეთი რა ცოდვა ჩავიდინე, რომ ამ დღეს მომასწარი, უფალო!

სამების ეკლესია კი მუხლებში მოკვეთილი ბერიკაცივით ჩაიკეცა. ათიოდ წუთში ეს გუმბათოვანი, საუკუნოვანი შენობა ნანგრევებად იქცა.

მნათეყოფილი დათია სამი დღე და ღამე ელოდა ამხანაგ ნესტორის მოწყალებას - ბერიკაცს ციხიდან გაათავისუფლებსო. იმედი რომ გადაეწურა, მეოთხე დღეს ვიქტორ ხერხეულიძის სანახავად თბილისს გაემგზავრა. ვიქტორი ნონიკო მღვდლის აღზრდილი გახლდათ - სასულიერო სემინარიაში უნდა გაეგზავნა, მაგრამ ფილოსოფიამ გაიტაცა, გერმანიაში გაემგზავრა, იქ უმაღლესი განათლება მიიღო, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაშიც იქვე ჩაება და ბოლშევიკური იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. ყმაწვილკაცობისას ნონიკოს მიერ შთაგონებული ზნეობრიობა კი მთელი ცხოვრება თან გაჰყვა. მისთვის რევოლუციური მოძრაობა სახარების მცნებათა განხორციელება იყო და არა ხელისუფლებისათვის ბრძოლა. გლახაკთა, უპოვართა, ჩაგრულთა ქომაგმა სულმა ჩააყენა რევოლუციონერთა რიგებში. დარწმუნებული იყო, დაბეჯითებით სჯეროდა, ისინი - ჩაგრულნი, მალე ჰპოვებენ შვებას, ხოლო ცოდვით აღვსილნი - მდიდარნი, მჩაგვრელნი გონს მოეგებიან და სიკეთის სამსახურში ჩადგებიანო.

ამიტომ ვიქტორი ზომიერებითა და არაბოლშევიკური სათნოებით გამოირჩეოდა.

მნათეყოფილმა, ერთი კვირის თავზე, ვიქტორის ნახვა მოახერხა და დახმარება სთხოვა. ვიქტორმა რაიონში ისეთი დეპეშა გაგზავნა, რომ ნონიკო მღვდელმა იმ საღამოს ოჯახში ივახშმა.

ნონიკო მღვდელი საპყრობილედან კი გამოუშვეს, მაგრამ შვება მაინც ვერ იგრძნო. ღვთისმსახურება მისი სულიერი მოწოდება იყო. ამის უფლებას კი არ აძლევდნენ. იმ ქალაქში, იმ ადამიანებს შორის, სადაც დაიბადა, გაიზარდა, ხალხი ყურს უგდებდა, დღეს მარტოკაცად გრძნობდა თავს. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხში მოხვდა - ის საქართველო, სადაც ცხოვრობდა, ის ხალხი, რომელთა შორისაც იღვწოდა, სადღაც შთანთქმულიყო, ან ნოეს კიდობნის მაგვარი ხომალდით სულ სხვა სამყაროში გადასულიყო. აქ, საქართველოში, კი ყოველი ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვის სანაცვლოდ, ეგ ერთი კაცი - ნონიკო დარჩენილიყო. ამიტომ უხმოდ იტანდა ამ სასჯელს.

მაგრამ ვაი რომ, ასე არ იყო! ფიქრებიდან რომ გამოერკვეოდა, თავის ირგვლივ ნაცნობ სახეებს ხედავდა, სახეები ადრინდელი იყო, გუნება და ცხოვრების გზა კი - გადასხვაფერებული, შეცვლილი. ერთადერთ შვებას ისევ წმინდა წიგნების კითხვა-ღა გვრიდა. იმ დღესაც, მნათეყოფილი დათია რომ მოვარდა, ფსალმუნს კითხულობდა.

- მამაო, მამაო, უცნაური ამბავი ხდება!

ნონიკომ მნათეყოფილს დაღლილი, ილაჯგაწყვეტილი კაცის მზერა მიაპყრო.

მნათეყოფილმა დათიამ დაწვრილებით უამბო, როგორც გამოვიდნენ „ურიათა ქალები“ ძუძუმწოვარა ბავშვებითა და ბოღჩებით რაიონის ცენტრალურ ქუჩაზე, როგორ გაემართნენ ურიათა სინაგოგისაკენ და როდესაც დათიამ ისიც უამბო ნონიკოს, ქალები თავ-თავიანთი ძუძუმწოვარა შვილებით როგორ ჩაიკეტნენ სინაგოგაში, ჩვენც ამ შენობასთან ერთად აგვაფეთქონო, ნონიკო ფეხზე წამოიჭრა.

- რას მეუბნები, დათია, მაგას რას ამბობ!..

ახლა დათიამ ესთერის ნათქვამი სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა. თუმცა, ნონიკო აღარც უმენდა. გაოგნებული დაეშვა ჭილოფზე. ეგონებ, მღელვარებისგან მუხლებში სისუსტეც იგრძნო და, არ ჩავიკეცოო, იძულებული გახდა, კვლავ დამჯდარიყო.

ნონიკო კარგა ხანს გარინდებული იჯდა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. ჯერ უმწეობა იგრძნო - მნათეყოფილის ნათქვამმა კიდევ ერთხელ გაახსენა, რა დღეში ჩავარდნილიყო, მაგრამ უმწეობის გრძნობამ მალე გაუარა. ცოტა ხანში გულში იმედი ჩაესახა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალაც მოეცა. მეც უნდა შევყარო ქალები, თავთავიანთი ბავშვებით, მეც იქ უნდა მივიყვანოო, გაიფიქრა, მაგრამ ეს აზრი უმალ უარყო, ვაითუ...

– წამოხვალ ჩემთან? – მოულოდნელად ჰკითხა მნათეყოფილ დათიას.

– სადა, მამაო?! – კითხვას დაუხანებლად კითხვითვე უპასუხა დათიამ და იქვე დასძინა – წამოვალ, როგორ არ წამოვალ, სადაც გენებოს.

მაგრამ ნონიკოს გონებას შეკითხვა – სადა, მამაო? უფრო მისწვდა. ის უფრო ცხადად ჩაესმა, ვიდრე დანარჩენი სიტყვები.

– იქ, იმ ქალებთან, – მიუგო მღვდელმა ისე რომ ფიქრი არ გაუწყვეტია. ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ, რისთვის უნდა მისულიყო იქ, იმ ქალებთან. რა უნდა გაეკეთებინა.

– იმ ქალებთან? ურიების სინაგოგაში?! – ლამის შეძრწუნდა დათია, – იქ რა გვინდა, მამაო?

ახლა კი გაუწყდა ფიქრი ნონიკო მღვდელს, ახლა კი დაკარგა ფიქრის გორგალი – სადღაც თვალსა და ხელს შუა გაუქრა.

მერე აუჩქარებლად მოუბრუნდა დათიას, მშვიდად, აუღელვებლად უთხრა:

– ჩვენში, საქართველოში პირველი ეკლესიები სწორედ მაგათ სინაგოგებში გაიმართა, დათია.

– რაო?! – მნათეყოფილს გაოცებისაგან თვალებიც კი გაუფართოვდა.

– ქრისტეს რწმენაც მაგათ მოგვიტანეს, ებრაელებმა, – ყველაფერი მაგათგან იწყება, მნათევ, და იქნებ, ხსნაც მაგათგან დაიწყოს? – უცებ წამოდგა ნონიკო. – დღეს ჩვენ ერთნი ვართ – იუდეველნიც და ქრისტიანნიც. ისე როგორც ლამის ათას ცხრაასი წლის წინათ.

რა ხანია ნონიკო მღვდელს ასე მხნედ არ უგრძვნია თავი. რა ხანია მისი არსებობა, სიცოცხლე ასე აუცილებელი, ასე საჭირო არ ყოფილა! ამიტომ გამართული ნაბიჯებით შევიდა სახლში. ანაფორა ჩაიცვა და სულ სხვა, ძლიერი, თავის თავში დარწმუნებული კაცის ნაბიჯებით გამოვიდა.

ბედნიერი იყო – იგი დღეს ქვეყანას სჭიროდა.

რომელიღაც პაწიამ კვლავ ტირილი მორთო, ქალებმა მიაყურადეს.

– ე, გოგო, შენია! – უთხრა რახელმა მირიამს. მირიამმა ბავშვი ხელში აიყვანა, პირში მუძუ ჩაუდო. ბავშვი გაჩუმდა.

ესთერი წიგნის კარადასთან იდგა. ამ კარადაში თორები იყო ჩალაგებული. ესთერმა ერთერთი აიღო, გადაფურცლა.

– კარი რომ შემოგლიჯონ? – იკითხა რახელმა.

– რა? – თამარის ხმაში შიში იგრძნობოდა.

– ბოლშევიკებს ჩვენი ფიქრი არ მოეწონებათ. ამ ამბავს რომ გაიგებს, რას იზამს მთავრობა? კარი რომ შემოგლიჯონ? – რახელის ხმაშიც შიში კრთოდა.

– იცით, აქ რა წერია? – იკითხა ესთერმა.

– მოიცა, გოგო, ნუ ჩაიფსი! – რახელს მიუბრუნდა თამარი, მერე ესთერს ჰკითხა – რაო, რა წერია?

– ციხის დამცველებმა გადაწყვიტეს, რომაელებს არც ერთი ებრაელი არ დავნებდეთო. მერე მტერი რომ მაინც შემოესიათ, ბრძოლით რომ მოიქანცნენ და დარწმუნდნენ ციხეს ვერ გადაარჩენდნენ, ერთ დარბაზში ჩაიკეტნენ და ერთმანეთი აკუწეს. მტრის მორჩილებას ეს არჩიეს.

– დაკეცე ეგ წიგნი! – ლამის იყვირა თამარმა.

– კარი მართლა რომ შემოამტვრიონ? – ისევ შიშით იკითხა რახელმა.

– შეიძლება ასეც მოიქცნენ, ამიტომ ეს კარადა კარს მივადგათ, თქვა მირიამმა.

– ამ კარადას ადგილიდან რა დაძრავს?

– დავცალოთ, კარადა კარს მივადგათ და თორები მერე შევალაგოთ შიგ, – ესთერმა პასუხს არც დაუცადა, კარადიდან თორების გამოლაგება დაიწყო. ყოველ თორას სათუთად იღებდა ხელში, სკამზე დებდა. – მოდით, გოგოებო, თქვენც, დროზე ვქნათ, თორემ სადაცაა მთავრობაც მოვა!

ბეით-ქნესეთის ეზოში ხალხის ხმაური ძლიერდებოდა. მათი შეძახილი აქაც შემოდიოდა.

მძიმე კარადა, როგორც იქნა, მიადგეს და შიგ წიგნების ჩალაგებაც რომ დაიწყეს, კარზე ვიღაცამ დააბრახუნა. ქალებს წიგნები ხელში შერჩათ. გაირინდნენ.

– მოვიდნენ?! – შიშნარევი ხმით იკითხა თამარმა.

კარზე ისევ დააბრახუნეს.

– მოვიდნენ, მერე რა! – მხნედ თქვა ესთერმა. თუმცა, პირველსავე დაბრახუნებაზე გული ისე აუფრიალდა, ხელი მკერდზე დაიდო, თითქოს ასე უფრო ჩქარა დამშვიდდებოდა.

– აბა, გოგოებო, ახლა გვინდა გამაგრება! – თქვა მირიამმა. – ვუყვიროთ, მაგრად ვუყვიროთ! – კარს მიღმა, მობრახუნეს კი მიაძახა: – ჩვენ აქა ვართ, კარში არ გამოვალთ, ჩვენს სალოცავს ვიცავთ. ებრაელობა სალოცავის გარეშე ებრაელობა არ არის!

– არ გამოვალთ, არ გამოვალთ! – თამარის ნერვიულმა შეძახილმა მირიამის ხმაც გადაფარა.

– დაგვანებეთ თავი, დაგვანებეთ ჩვენი სალოცავი! – ეს ესთერი იყო.

– დაგლოცოთ ღმერთმა, ღმერთმა გაკურთხოთ, ქალებო! – მე ნონიკო ვარ, მღვდელი ნონიკო. გამიღეთ კარი, მე და მნათე დათია თქვენთან ერთად უნდა ვიყოთ, ერთად დავიცვათ თქვენი სალოცავი.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

– რაო?

– ვინა ვარო?

– სს... მოიცათ!

– რა მოგივიდათ – ნონიკო მღვდელი ვარო!

ქალებმაც კი იგრძნეს, რაოდენი სიჩუმე ჩამოვარდა ბეით-ქნესეთის ეზოში – მთელი ეზო გაირინდა.

– გააღეთ კარი, ქალებო, შემოგვიშვით, ჩვენც თქვენთანა ვართ, – თქვა ნონიკო მღვდელმა.

ქალები ერთმანეთს შესცქეროდნენ.

– მღვდელს ჩვენთან რა უნდა, გოგოებო! – იკითხა რახელმა.

– რაღაცას ეშმაკობენ!

ბეით-ქნესეთის ღონიერ კედლებს ხალხის შეძახილი ეძგერა.

– შემოგვიშვი, ყველა შემოგვიშვით!..

დაბნეული ქალები ერთმანეთს შესცქეროდნენ.

– შემოუშვათ, ყველა შემოვუშვათ, ერთად ვიქნებით, – სიხარულით წამოიძახა თამარმა.

– ხედავ?! ყველა ჩვენთანაა, შენ კი შიშით ჩაიფსი, – მიუბრუნდა თამარს რახელი.

ბეით-ქნესეთის ეზოში სწორედ ამ დროს გაისმა ამხანაგ ნესტორის მჭექარე ხმა:

– დაიშალეთ, ახლავე დასტოვეთ ეზო, სწრაფად!..

– მოვიდნენ, სიკვდილის ანგელოსები მოვიდნენ! – წამოიძახა თამარმა და სკამზე დაეშვა.

ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა. დროდადრო ბრძანება მოისმოდა:

– ჩქარა, ჩქარა!

– აბა, უცებ!

– ნუ აყოვნებთ, სწრაფად!

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ბრძანებებიც აღარ ისმოდა.

– რა ხდება? – იკითხა ესთერმა.

–რა ამბავია? – ჩაილაპარაკა მირიამმა.

– ახლავე აგვაფეთქებენ? – თამარს ხმა კვლავ უთრთოდა. ესთერი სწორედ მას მიუბრუნდა.

– ყოველ წუთს ელოდე შველას გამჩენისაგან, ყოველ წუთს!

ჰაერი კვლავ ნესტორის ბრძანებამ გაჰკვეთა:

– გამოუთხარეთ ძირი ბნელეთის მოციქულთა საყდარს, ჩაალაგეთ შიგ ასაფეთქებელი მასალა, სწრაფად!

– ვაიმე, შვილო! – ადგილიდან წამოხტა და შვილი ხელში აიტაცა თამარმა.

ესთერმა იგრძნო როგორ დაასხდა შუბლზე ოფლის წვეთები.

მირიამს თითქოს ერთბაშად გამოეცალა ძალა. განძრევის ღონეც კი არა ჰქონდა.

რახელს უნდოდა ეყვირა, ჩქარა გავეცალოთ აქაურობასო, მაგრამ ენა სასას მიკვროდა, გახევებოდა.

– მოიცათ, გოგოებო, ნუ გეშინიათ, გამჩენი არ გაგვწირავს, – ესთერი კედლის გასწვრივ ჩადგმულ გრძელ სკამზე, ვენურ სკამს დგამდა და ბუტბუტებდა, – არ იქნება, არ გაგვწირავს ის კურთხეული – სკამზე მყის შეხტა, ბეით-ქნესეთის განიერ კედელში დატანებული სარკმელი გამოაღო და ეზოში გადაიხედა. ეზოში აღარავინ იყო. ეზოში დუმილი გამეფებულიყო. მხოლოდ ალვის ხეების ფოთლების ჩურჩულიღა ისმოდა, ეზო მწვანედ ბიბინებდა. ადამიანები კი... ადამიანები აღარსად ჩანდნენ. ესთერმა მიმოიხედა, ხალხს ეძებდა. ხალხს რკინიგზასთან ჰკიდა თვალი. იქ, ბექობზე ასულიყვნენ. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. კიდევ ერთხელ გადაიხედა ეზოში, არა, აქ აღარავინ იყო. ერთი ჯარისკაციღა შენიშნა: ხელში ყუთი ეჭირა, იმ ყუთიდან მავთული გამოდიოდა.

– გამოუშვი, გამოუშვი, ნუ იჭერ, – მიაძახეს ამ ჯარისკაცს იმ მხრიდან, რომელსაც ესთერი ვერ ხედავდა.

– გამოვუშვი, – უპასუხა ჯარისკაცმა.

– გაქაჩე!

–კარგია! – გაისმა ცოტა ხნის შემდეგ.

ესთერმა ახლაღა შენიშნა მეორე ჯარისკაცი.

– ვინ არი ეზოში? – რახელი ეკითხება ესთერს.

– აღარავინ, აღარავინ აღარ არი!

ის-ის იყო ესთერი ჩამოსვლას აპირებდა, კვლავ გაისმა ნესტორის მჭექარე ხმა:

– სოციალისტური სამშობლოს მოღალატე ქალებო, ხუთ წუთში აფეთქდება ეგ თქვენი სინაგოგა. გეძლევათ სამი წუთი. ვისაც სიცოცხლე სურს, სამ წუთში გამოვიდეს!

ესთერი ნესტორს ვერ ხედავდა. ვერც მირიამს ხედავდა ესთერი. ზურგს უკნიდან მოესმა მისი ხმა.

– ესთერ, ესთერ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კივილი აღმოხდა ესთერს, შიშდარეული, განწირული, სასოწარკვეთილი ადამიანის კივილი.

– მკვლელებო, არ შეგრჩებათ, მკვლელებო! თქვენ ვერ მოგვკლავთ ჩვენ, ჩვენი ღმერთი დაგვიფარავს ჩვენ, მკვლელებო! გვიშველეთ, ხალხნო, გვიშველეთ ადამიანებო, გვხოცავენ, გვაფეთქებენ, გვიშველეთ!

შიშით, მღელვარებით აცახცახებული ესთერი თვალდახუჭული გაჰკიოდა. ეს სიტყვები რომ გადმოისროლა, ეს სიტყვები რომ ათქმევინა მღელვარებამ, ცრემლებიც წამოსცვივდა, სარკმლის რაფაზე თავი ხელებში ჩარგო და გოგოების გასაგონად თქვა:

– გადით, გოგოებო, მოჰკიდეთ ხელი თქვენს შვილებს და გადით. ესენი ჩვენი დამნდობი არ არიან, ღმერთს არ უნდა ჩვენი შველა, – სიტყვებს ნაწილ-ნაწილ წარმოსთქვამდა, ქვითინი უშლიდა, ქვითინი ახშობდა სიტყვებს და ამ იძულებით პაუზებს შორის შემოესმა გუგუნი, შეძახილებიც კი. თავი რომ ასწია, სივრცეს რომ გახედა, ვერაფერი დაინახა, ცრემლს მზერა დაენისლა. მერეღა გაარჩია ესთერმა იმ ხალხის წინ ნონიკო მღვდელი რომ მორბოდა. გრძელი ანაფორა ფეხებში ებლანდებოდა, მაგრამ მაინც მორბოდა და გზა და გზა, სირბილისას ანაფორას ღილებს იხსნიდა.

– გამჩენო, ღმერთო, მშველელო ჩვენო! გოგოებო, ხალხი! – იყვირა სახეგაბრწყინებულმა ესთერმა.

ნონიკო მღვდელმა ანაფორა, როგორც იქნა, გაიხსნა, გაიხადა, მიწაზე დააგდო.

ამასობაში ხალხი წამოეწია, ახლა ხალხის შუაგულში მორბოდა ნონიკო და რაღაცას ყვიროდა. ესთერს ხმა არ ესმოდა მისი.

– მიშველე, რახელ! – მირიამის ხმა იყო, ზურგს უკნიდან მოესმა ესთერს.

ესთერმა მოიხედა. გულშეწუხებული თამარი იატაკზე ეგდო. მირიამი მის მოსულიერებას ცდილობდა.

რომელიღაც ბავშვი ატირდა. მას დანარჩენებიც აჰყვნენ.

– ხალხი, ხალხი, გოგოებო! ქრისტიანებიც, ისრაელებიც, აქეთ, ჩვენკენ მორბიან! თამარ!

რახელი თამარს ლოყაზე ხელს უპარტყუნებდა, მერე სასოწარკვეთილი აყვირდა.

– თამარ, თამუნი, თამუნი, თამარ!

ესთერი სკამიდან მარდად ჩამოხტა, თამარს მივარდა. ბავშვისთვის მოტანილი წყალი სახეში შეასხა.

– თამუნი, თამუნი!

– შეჩერდით! სდექ, კონტრრევოლუციავ! – შესძახა ნესტორმა ბეით-ქნესეთისაკენ მორბენალ ხალხს – ჯარისკაცებო, სწრაფად! – ხალხი, ცხადია, ნესტორის შეძახილს ყურადღებას არ აქცევდა, კვლავ აქეთ მორბოდა – ჯარისკაცებო, მოიგერიეთ კონტრრევოლუცია! – შესძახა ნესტორმა, ნაგანი ბუდიდან ამოიღო და ჰაერში გაისროლა. – სდექ! – მაგრამ ვიდრე ეზოში მიმოფანტული ჯარისკაცები ერთად მოგროვდებოდნენ, ხალხი შემოცვივდა. ჭიშკრისაკენ არც გაქცეულან, ჭიშკარი არც უძებნიათ, ღობეზე გადმოდიოდნენ, მალე მოშალეს, წააქციეს კიდეც ღობე და ეზოში შემოცვივდნენ. ნონიკო მღვდელმა შენიშნა, ჯარისკაცმა როგორ დააგდო მავთულის ყუთი და ხეზე მიყუდებული თოფისაკენ გაიქცა, სწორედ იქით გაჰვარდა, ჯარისკაცს მიასწრო, თოფს ფეხი დააბიჯა.

– არ გაბედო, არ გაბედო, ცოდვისშვილო!

ის ჯარისკაცი მღვდელს ამას არ აპატიებდა – ნესტორის მოდგმისა იყო და წააქცევდა კიდეც, მაგრამ ნონიკოს მყისვე მნათეყოფილი დათია ამოუდგა გვერდით. მანაც თოფს დაადგა ფეხი და შესძახა:

– არ ქნა, არ ქნა ეს საქმე!

ნონიკომ თოფი აიღო, ლულაში ხელი წაავლო, ღონივრად მოიქნია, ხეს მიახეთქა და შესძახა:

– დღეს აქ თოფი არ გავარდება, დღეს აქ ტყვია არ გავარდება! – კიდევ მიახალა თოფი ხეს. თოფი დაიმსხვრა, ნონიკოს ცარიელი ლულაღა შერჩა ხელთ. ლულა მოისროლა და ხალხს შესძახა – ამ სინაგოგას წრიულად შემოვერტყათ, ხალხნო, წრიულად! – ბეით-ქნესეთის კედელთან მივიდა, ზედ აეკრო, მარცხენა ხელი მნათეყოფილს ჩაჰკიდა, მარჯვენა იოშუაყს – წრიულად შემოერტყით, ხალხნო, სინაგოგას, წრიულად!.. ადამიანებმა ერთიმეორეს ჩაჰკიდეთ ხელი, ერთიმეორეს გაუმაგრეთ ზურგი!

და იყო ასე:

კუჭიამ მაქსიმეს ჩაავლო ხელი, მაქსიმემ მინადორას, მინადორამ – იოსკას, იოსკამ – ზურაბ ოშხერელს, ზურაბ ოშხერელმა – შალიკოს, შალიკომ -გენოს, გენომ – ნათელას, ნათელამ ისაკო „ლამაზოს", ისაკო „ლამაზომ" – მარგალიტას, მარგალიტამ აბრაშკას, აბრაშკამ – იპოლიტეს, იპოლიტემ – სარას, სარამ ისხაკია „ბრექას", ისხაკია „ბრექამ" ვთიღაცას, იმ ვიღაცამ კიდევ ვიღაცას, ვიღაცას, ვიღაცას და ისევ მოვიდა წრე ნონიკოსთან. ვიღაცამ იოშუაყს ჩაავლო ხელი და ის ვიღაცაც ამ სოფლის, ამ ხალხის შვილი იყო, ამიტომ სულაც არ იყო ვიღაც.

– ახლაც აგვაფეთქებ? აბა, ახლა აგვაფეთქე,

ნესტორა! – ისხაკია „ბრექას“ ხმა იყო. ნონიკომ ანიშნა, ახლა დუმილი და მტკიცედ დგომა სჯობია ლაპარაკსო და ისხაკიაც გაჩუმდა, გაირინდა. სწორედ ამ დროს გაჰკვეთა არე ქალების ხმამ.

– შემაყ, ისრაელ, ადონაი ელოჰენუ ადონაი ეხად!

ბეით-ქნესეთის წრიულ კედელში განიერი სარკმლები დაეყოლიებინათ. ოთხი ქალის ცრემლნარევი ხმა სიმღერასავით მოედო ბეით-ქნესეთის ეზოს:

– შემაყ, ისრაელ, ადონაი ელოჰენუ ადონაი ეხად!* – ახლა უფრო ხმამაღლა, მტკიცედ, ერთხმად წარმოთქვეს სარკმლებთან მომდგარმა ქალებმა და მთელი ეზო გაირინდა, ყველანი სმენად იქცნენ – ქრისტიანნიც და იუდეველნიც. ცაში აჭრენილ ტოროლასავით ჟღერდა ესთერის ხმა, როცა მესამედ დაიწყო:

– შე-მა-ყ...

ბეით-ქნესეთის კედელს აკრული იუდეველნი ტოროლას ხმას აჰყვნენ:

– ისრაელ, ადონაი ელოჰენუ ადონაი, ეხად! – შეუძლებელია ეს ხმა ზეცას არ შესწვდომოდა, ყველას სჯეროდა, ზეცამ შეისმინა ჩვენი ვედრებაო. ალბათ, ამიტომ იდგა ასე გაოგნებული ამხანაგი ნესტორი – არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო ამ უცხო და უცნაური სიტყვებისა თუ ლოცვის გამგონე. იგი მაშინ მოვიდა გონს, როცა მოესმა ნონიკო მღვდლის ბოხი ხმით, დინჯად, აუჩქარებლად წარმოთქმული.

– მამაო ჩვენო, მამაო ჩვენო! – და გაჩუმდა ნონიკო მღვდელი, შეისვენა თუ თავის მრევლს მისცა ნიშანი.

ნონიკო მღვდლის ყოფილი მრევლის წევრებმა ესოდენ ნაცნობი, ესოდენ ახლობელი ხმა და სიტყვები რომ მოისმინეს, მყის შეუერთდნენ ნონიკოს. ამიტომ ნონიკომ ხელახლა რომ დაიწყო, მარტო დაწყება არ გამოუვიდა. ვერც გამოუვიდოდა, ახლა ყველა ერთად შესთხოვდა მცას:

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა: მოგვეც მშვიდობა ჩვენ!

ვედრება იყო, ადამიანები უფალს ევედრებოდნენ, მაგრამ ვედრებამაც კი გრიგალივით გადაუარა მიდამოს, და სადღაც შორს ჭალარა მთის კალთებს მიასკდა.

ნონიკო მღვდელმა ახლა უფრო მკაფიოდ, წამღერებით დაიწყო თავის მრევლთან ერთად:

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, მოგვეც მშვიდობა ჩვენ!

-----

*ისმინე ისრაელ, ღმერთი ჩვენი არის ღმერთი ერთადერთი.

ნონიკო მღვდელი ბედნიერი იყო – რა ხანია მისი და მისი სამწყსოს წევრთა ბაგენი ასე არ გახსნილა ღვთის სავედრებლად.

ბედნიერი იყო იმითაც, რომ სჯეროდა – ზეცა შეისმენდა მისი და სამწყსოს წევრთა ხმას.

ნესტორი კი გაცოფებული იყო – მისი ათეისტური სმენის შეურაცხმყოფელი ღრიალის მოსმენა დიდხანს არ შეეძლო. იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა სოციალიზმის მტრები რაოდენი ბასრი იარაღით იბრძოდნენ. ამიტომ ნაგანი კვლავ ამოიღო, გაისროლა და დაიძახა:

– ივანე, ჩემთან!

წითელსამხრეებიანი ივანე მყისვე მასთან გაჩნდა.

– ახლავე აქ მომიყვანე ის ოცი ურია, განცხადებაზე რომ ხელი მოაწერინეს, სწრაფად!

– არის! – შესძახა ივანემ და გაბრუნდა.

– მოიცა! შტაბს აცნობე, სასწრაფოდ გამოგზავნოს რაზმი.

– არის! – ივანე მხედრული ნაბიჯებით გაშორდა ნესტორს.

## დანიელი

განცხადებაზე ხელისმომწერი – დანიელი – ვერსად იპოვეს. მთელი დაბა გაჩხრიკეს, მაგრამ დანიელის კვალს ვერავინ მიაგნო. სხვანი – განცხადებაზე ცხრამეტი ხელისმომწერი, ბეით-ქნესეთი დაგვინგრიეთ, არ გვჭირდება, ჩვენს შვილებს გონებას უბნელებს, მათი სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდაში ხელს გვიშლისო, აგერ, წინ უზის აბესალომს. ბეით-ქნესეთის შამაშს, იაყაკობს ჯერ კიდევ მანამ მოანახვინა ყველა, სანამ ქალები დაბის ცენტრალური ქუჩისაკენ დაიძვრებოდნენ. მოანახვინა და იაყაკობის სახლში მოაყვანინა.

ახლა აბესალომს ყვლა წინ უზის. დღეს ამათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ ლაპარაკობს აბესალომი მშვიდად, აუჩქარებლად.

– ბოდიშს გიხდით, ისრაელიშვილებო, რომ საქმეს მოგწყვიტეთ და აქ მოგიწვიეთ, მაგრამ როცა საჯამაათო საკითხი წყდება, ყველას გვევალება გავისარჯოთ, იმაზე მეტი გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, – რაბი აბესალომმა მშვიდი მზერა მოავლო შეკრებილთ და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: – ჩვენ ადამიანებად გავჩნდით ქვეყანაზე. ჩვენნაირი მაშინაც ბევრი იყო და დღეს კიდევ უფრო მეტია, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი დიდი წინაპრები: აბრაამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცხაკი, იაყაკობი - სარა, ლეა, რახელი, რიბკა ღმერთმა სცნო, ჩვენ, ებრაელებს მოგვცა გამჩენმა თავისი კანონი - ათი მცნება.

აბესალომი შედგა, სული მოითქვა, თვალებში სიცივე ჩაუდგა და მტკიცედ, შეუვალი ტონით განაგრძო:

- ჩვენ მივიღეთ ეს კანონი. თავი ვცანით გამჩენის ვალდებულ ხალხად. ამიტომ მინდა დღეს თქვენ შემოგთავაზოთ კურთხევა და წყევლა. კურთხევა - თუ ყურად იღებთ თქვენი უფალი ღმერთის მცნებებს, მცნებებს, რომელთა შესრულებასაც ღმერთი ყოველ ებრაელს ავალებს. წყევლას კი იმას ვარგუნებ, ვინც ყურად არ იღებს უფალი ღმერთის მცნებებს. გადაუხვევს გამჩენის გზას, გაჰყვება ეშმაკს. ჩვენი ბეით-ქნესეთის მოსპობა, დანგრევა ღვთის მცნებების უარყოფაა. წყევლა სწორედ მათი, მათი შვილების, შვილიშვილების, წილხვედრია, ვინც მოითხოვს ღვთის სახლის დანგრევას, აირჩიეთ, ჯამაათო!

აბესალომის ხმა დამაჯერებლად ქღერდა.

შეკრებილთ თვალებში ჩასცქეროდა და მათდამი სიბრალულით ივსებოდა.

მიაღწევს კი მიზანს? ათქმევინებს ყოველ მათგანს უარს იმაზე, რაც შესაძლოა ძალიან ძვირი დაუჯდეთ? ის მეოცე? ყველამ, ყველამ უნდა თქვას უარი თავის ხელმოწერაზე, კიდეც ნაძალადევი ყოფილიყო ის ხელმოწერა, ყველამ უნდა თქვას უარი.

მაგრამ სად არის ის მეოცე?

- ჰოო, ჰოო! - შესძახა დანიელმა ხარებს, - საით მიდიხართ, თქვე შობელძაღლებო!

დანიელმა ურემს გადახედა. ზედ დალაგებული შეშა მზერით კიდევ ერთხელ გაზომა და კმაყოფილი დარჩა. მართალია, ის, რაც ამ ორ დღეში მოჭრა, არ ეყოფა, მაგრამ ეგ არაფერი! მომავალ კვირაში კიდევ ინათხოვრებს ურემს, ისევ დაჭრის გამხმარ შეშას და შეუძლია ხანუქიდან ფესახამდე მშვიდად იგულვოს თავი. ღუმელი კარგი აქვს, შეშასაც იმარაგებს, პატარა მიხაკო, მასზე ორიოდე წლით უფროსი თინიკო მთელი ზამთარი სითბოში ეყოლება. შარშან გაუჭირდათ, შარშან ფურიმის დღესასწაულამდე ძლივს ეყოთ შეშა. შარშან კიდევ ჰო, ერთი ჰყავდათ - თინიკო, ახლა ორი ჰყავთ. სწორედ ნაფესახევს, გამაფხულის პირზე გაჩნდა მიხაკო. წელს, ამ ზამთარში ყველაფერი კარგად იქნება - დააგებს იატაკზე დათვის ტყავს, დააგორებს ზედ პაწია მიხაკოს და იკისკისებენ, ერთად იკისკისებენ მამა-შვილი. ის ყაჩაღიც ხომ მათთან იქნება - თინიკო! გოგო და ასეთი ყაჩაღი?! არა, დანიელს ასეთი ყაჩაღი გოგო არ უნახავს!

წელს თამარაც მშვიდად ეყოლება. შარშან ძალიან ნერვიულობდა - ბავშვი არ გამიცივდესო. შარშან მეტისმეტი იყო - ნახანუქევს რომ მოუჭირეს ყინვებმა, ფურიმამდე ძაღლი არ გაიგდებოდა კარში. არა, არა, შარშან მეტისმეტი იყო.

წელს ყურძენიც ბლომად დაწურა დანიელმა - ღვინო მეტი დაუდგება, ვიდრე შარშან. ყურძენიც რა კარგი მოუვიდა - ძალიან თხელი კანი ჰქონდა. მაჭარი ერთხელ ხომ გადაიღო, ერთხელ ხომ მოაშორა მთხლე, ხვალ-ზეგ კიდევ გადაიღებს და ორ-სამ კვირაში ნამდვილი ღვინო იქნება. ამასობაში მოთოვს კიდეც - მიუჯდება იმ დათვისხელა ღუმელს, მოისვამს გვერდში კაჭიას და მოშეს - ოჰ, ერთი მაგათ ღვინის სმა იცოდნენ, ორ ჭიქაზე ჭიკჭიკს არ იწყებდნენ და მეტი არაფერი უნდა დანიელს! სიმღერა კი კაი იციან.

- საით მიდიხართ, თქვე შობელძაღლებო, საით! აქეთ, აქეთ! - ხარებმა ფიქრი შეაწყვეტინეს დანიელს.

- ხო, სიმღერა მართლა კაი იციან. განსაკუთრებით მოშეს ხმა ატკბობს მსმენელს. რა პატარაა და რა ძლიერი ხმა აქვს. საიდან ამოსდის ასეთი ხმა! უჰ, კარგია, კარგი! ჩაჯდებიან ბუხართან, ნელ-ნელა, აუჩქარებლად შეუყვებიან სმას, მერე ბინდი რომ ჩამოწვებოდა, ნასვამს ტკბილი ძილიც მოუნდება, მაგრამ... ჩააძინე ბავშვები და გინდა აქედან მიუწექი თამარას და გინდაც იქიდან...

დანიელს სიამოვნებისგან ლამის გააჟრჟოლა.

სწორედ ამ დროს წაავლო მხარში ხელი ივანემ.

- ბიჭო, შენ რა გვარი ხარ?

- რა იყო, ივანე, ცნობა ხო არ დაკარგე?! - გაეღიმა დანიელს და მხარი აიქნია.

- რა გვარი ხარ-მეთქი, გეკითხები მე შენ! - ივანემ შეაჯანჯღარა კიდეც დანიელი.

- ჭიქა ხელში რო გიჭირავს, სახელიც კარგად იცი ჩემი და გვარიც. ახლა რა მოგივიდა? - გაბრაზდა დანიელი.

- გვარი!

- ჯანაშვილებში შენნაირი ბიჭი მეორე არ არისო, იმ კვირაში არ მეუბნებოდი? დაგავიწყდა?

ივანემ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. გაშალა. ჩახედა.

- რომელი?

- რა რომელი?!

- რომელი ჯანაშვილი ხარ-მეთქი. აქ ორი ჯანაშვილი მიწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დანიელი, – დანიელს ხმაშიც შეეტყო გაღიზიანება.

– დანიელ იოსების ძე, ხომ?

– ხო.

– აბა, გამიძეხი წინ!

– ივანე, არ მეტყვი, რა მოხდა?

– იარე-მეთქი! თქვენი სალოცავისაკენ, ჩქარა! – ივანემ დანიელს ნაგანი ბეჭებშუა მიადო.

ივანემ ხელიც რომ ჰკრა და წინ გაიგდო, მაშინღა დარწმუნდა დანიელი, მის თავს კარგი ამბავი არ ტრიალებდა. დაზაფრული მიდიოდა. ვერაფრით ვერ ჩასწვდა. რა უნა მომხდარიყო. ორჯერ მოუტრიალდა ივანეს, „ბიჭო, არ მეტყვი, რა მოხდა?" მაგრამ ივანემ ერთხელაც არ გასცა პასუხი, ნაგანი კიდევ უფრო მიაჭირა ბეჭებზე და წინ წაიგდო. ნაბიჯები ერეოდა დანიელს. ერთხელ ფეხი ფეხზეც კი მოუხვდა. ოფლი მთელ სხეულს მოედო, უკვე ფიქრსაც ვეღარ ახე-რხებდა.

ბეით-ქნესეთის ეზოში რომ შევიდა, ნესტორმა ხელი სტაცა, ჩამოდი, შე სამშობლოს მოღალატის ოჯახის თავოო, და უბრძანა:

– ახლავე გამოიყვანე შენი ცოლი სინაგოგიდან, თორემ ხომ იცი საბჭოთა ხელისუფლება მოღალატეებს როგორ ექცევა!

ვერაფრით ვერ მიხვდა, თამარს ბეით-ქნესეთში რა უნდოდა, ან ნესტორი რატომ, რისთვის იყო აქ და თამარის ბეით-ქნესეთიდან გამოყვანას რატომ ცდილობდა.

ნესტორმაც შეატყო, დანიელმა რომ ვერაფერი გაიგო და უყვირა:

– ხომ მოაწერე შენ ხელი განცხადებას?!

დანიელს სახეზე გაოცება გამოეხატა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ნესტორი.

– მოაწერე თუ არა ხელი განცხადებას, არ გვინდა სინაგოგა, დაგვინგრიეთო.

–. კი, ჩამოიარა ვილაცამ და მოვაწერე ხელი.

– მერე?! – იყვირა ნესტორმა. – მაინც გინდათ სინაგოგა? მაინც მისთვის იკლავთ თავს?

– არა, რად მინდა სინაგოგა, მარა...

დანიელი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა ებრაელები ყამა ჰაარეცს – მდაბიოს, უწიგნურს რომ ეძახიან. ასეთ ადამიანებს არც ღვთის რიდი და სიყვარული აქვთ, არც ხალხის ნდობა და პატივისცემაო, ამბობენ ისინი, იმისთვის არსებობენ, რომ ჭამონო. დანიელი არ იტყუებოდა – მას მართლა არ სჭიროდა ბეით-ქნესეთი, არც მამამისს უყვარდა იქ სიარული და არც – მას. მამამისი მხოლოდ ერთხელ მივიდა სინაგოგაში, ამ რამდენიმე წლის წინათ, ეზოში რომ ქეიფი გაიმართა, ეს რა კარგი სინაგოგა ავაგეთო. მაშინ კარგად იქეიფა და დათვრა კიდეც.

– თუ სინაგოგა არ გინდა, აი, ნაგანი და ტყვიით დაცხრილე ის დაფა! – უთხრა ნესტორმა და დანიელს ნაგანი გაუწოდა.

ვერ გაიგო დანიელმა, რას უნდა ესროლოს, რა დაფა უნდა დაცხრილოს. ისევ გაოგნებული შეჰყურებდა ნესტორს.

– არ გესმის? გამომართვი და ესროლე, აი, იმ დაფას, ხალხს რომ ატყუებთ, ღმერთმა მისცა მოსესაო და რაღაც ოხრობა რომ წერია ზედ! – ნესტორმა სწორედ იმ ორ, ქვის მომცრო დაფაზე მიათითა, რომელზეც ბერძენ ხელოსანს სამი თვე გამოჰყავდა ათი მცნება. დაფა ბეით-ქნესეთის თაღოვან შესასვლელს გვირგვინად ადგა.

დანიელის გონება ახლაღა ჩასწვდა, რას მოითხოვდნენ მისგან.

– ხომ მოაწერე ხელი განცხადებას, არ გვინდა სინაგოგაო, ხომ მოაწერე, ესროლე!

ნესტორმა შეამოწმა, ტყვია არის თუ არა ნაგანშიო, დარწმუნდა ტყვიის კოლოფი სავსე იყო და ნაგანი დანიელს მიაჩეჩა.

– ესროლე, თუ ჩვენ არ გაგვამასხარავე და ტყუილად არ მოაწერე ხელი განცხადებას, ესროლე!

წალდი, ნაჯახი, ჰო, კი, ბატონო, რაც დანიელს შეშა უჩეხნია, რა მოთვლის. ამ ორი საათის წინ ხეებს არ ჩეხავდა? ცელიც სჭერია ხელში, რამდენჯერაც გინდა, მაგრამ თოფი და ნაგანი? თოფი, ნაგანი რა დანიელის საქმეა! ან როგორ უნდა დაიჭიროს? რა იცის დანიელმა ამის ხელში დაჭერა, საიდან? ან ეს კაცი, ეს უფროსი რატომ აჩეჩებს ასე?

– არ გესმის, შტერო? ხელი მოჰკიდე, ხელი მოჰკიდე-მეთქი, ვის ვუთხარი მე! – ყვიროდა ნესტორი.

არა, არა, დანიელმა სროლა არ იცის. ეჰ, როგორ გაოფლიანდა. თავბრუც კი ეხვევა დანიელს.

– შენ ესროლე, ბატონო, შენ ესროლე, ჩემს მაგიერ!

– რაო? მე ვესროლო, რომ მერე ატეხოთ წივილ-კივილი კომუნისტებმა სინაგოგას ტყვია დაუშინესო? არა! აბა, მოკიდე ამას ხელი, მოკიდე-მეთქი! – ნესტორმა ნაგანი ხელში ჩაუდო დანიელს – ჰე, ესროლე!

უცნაური რამ მოხდა ამ წუთში. თითქოს გონება გაუნათდაო, თითქოს დაბინდულ თვალს ლიბრი ჩამოეცალაო, – ახლა ამ წუთში დანიელი ცხადად ხედავდა ქვაში ამოკვეთილ მცნებებს. მართალია, ყამა ჰაარეცი იყო, მაგრამ მაინც ჩახვდა თუ რას სთხოვდა, რას ავალებდა ღმერთი.

არა კაც ჰკლა!
არა იქურდო!
არა იმრუშო!
არა...
არა...

- ან ახლავე ესროლე, ან ციხეში გაჰყევი ივანეს ყალბი განცხადების დაწერისათვის, სახელმწიფოს მოტყუებისათვის, მთვარობის შეცდომაში შეყვანისათვის.

თამარს, ესთერს, მირიამს, რახელს ყველაფერი ესმოდათ.

დანიელის ხმა რომ გაიგონეს, წიგნის კარადის გადაჩოჩებას ცდილობდნენ. თამარმა უმალ ანება თავი წიგნის კარადას, აწი კარი ისედაც გაიღებაო და სარკმელთან აცოცდა, უნდოდა ქმარი დაენახა.

- ნახეთ, გოგოებო, რას უზამს მაგ ნესტორს ჩემი ქმარი, ნახეთ, როგორ გააბითურებს! - მოსძახოდა გოგოებს, რომლებიც კვლავ კარადას აჩოჩებდნენ. - მოდით, აქეთ, აქეთ მოდით!

მაგრამ როცა დანიელმა ნესტორის ნაგანი ხელში დაიჭირა, თამარს ფერი ეცვალა, უნდოდა შეეძახნა, ვერ მოახერხა, ხმა ველარ ამოიღო - ყბა აუცახცახდა. თამარმა ისიც კარგად დაინახა, დანიელმა როგორ შემართა ნაგანი.

- არ ესროლო, უბედურო, არ გაბედო! - გაისმა ნონიკო მღვდლის ღრიალი.

თამარი ფართხა-ფურთხით ჩამოვიდა ძირს, სკამი გადმოუვარდა კიდეც, კარისაკენ გაქანდა.

დანიელმა ახლაღა დაინახა ბეით-ქნესეთის ირგვლივ ხელიხელგადაჭდობილი ხალხის წრე. ყველა აქ იყო - ნონიკო მღვდელს იოშუაყისათვის ჩაეჭიდა ხელი, აქ იყო იოხაბედი, აგერ, შალიკო - მამუკა გოცირიძისთვის ჩაუვლია ხელი, ნათო ხუბელაშვილი, ლეონტი მეწისქვილე, ქართველი, ქართველი, ქართველი, „ტიკჭორაც" აქ არ არის? რა უნდა ამ ხალხს აქ, რატო არიან... ებრაელი, ებრაელი, ებრაელი, ქართველი... რა ხდება... მკლავებგაშლილ ნინო მასწავლებელს კაბა მუხლებს ზემოთ ასწევია... რა ამბავია... რა ხდება?!

- ესროლე-მეთქი, ესროლე, ხომ მოაწერე ხელი არ გვინდა სინაგოგაო!

დანიელამ სასხლეტი მოსწია.

სწორედ ამ დროს გაიღო ბეით-ქნესეთის კარი. იქიდან თამარი გამოვარდა. ბეით-ქნესეთის ეზოში გასროლილ ტყვიას, ალბათ, ზარბაზნის ხმა ჰქონდა.

- თამარი?! თამარს აქ რა უნდა?!

- რას შერები, დანიელ, რას შერები! - შესძახა თამარმა.

რა ქნას დანიელმა, დანიელს რა შეუძლია - ტყვიები თავისთავად გამორბის ნაგანიდან - ერთიმეორეს მისდევენ ტყვიები.

თამარი ჩაიკეცა. თამარი მიწას დაემხო.

- ცოდვის შვილო, ცოდვის შვილებო, რას სჩადით, რას! - მღვდლის მოთქმა მუშტივით მოვხდა თავში დანიელს.

თამარი რატომ გდია მიწაზე, თამარს სისხლი რატომ სდის? - დანიელს ვერაფერი გაუგია - რა ხდება!

დგას გაოგნებული, ირგვლივ ხალხი მიმორბის, რაღაცას ყვირიან, აგერ ბეით-ქნესეთიდან ესთერი, მირიამი, რახელი გამოცვივდნენ, კივილი მორთეს და როდესაც ხალხი ორად გაიყო და შუაში თმაწეწეხაჩეჩილი ნონიკო მღვდელი გამოჩნდა, ყამა ჰაარეცის გონება ყველაფერს ჩასწვდა. მუხლებზე დაეცა და აქვითინდა.

იგი ყამა ჰაარეცი იყო - არც თავი მოუკლავს, არც - ნესტორი. მუხლებზე დაცემული ქვითინებდა.

იგი ყამა ჰაარეცი იყო და სხვას ვერაფერს შესძლებდა:

ნონიკო მღვდელს კი თამარი ხელებზე გადაეწვინა. ნესტორისაკენ მოიწევდა და ბუტბუტებდა:

- ცოდვის შვილო, ცოდვით გაჩენილო და ცოდვის დამტრიალებელო!

ნესტორი უკან-უკან იხევდა, მერე შეტრიალდა და გაიქცა. მირბოდა ნესტორი, და იმაზე ფიქრობდა, რა დაეწერა ღედაქალაქში გასაგზავნ მოხსენებით ბარათში, როგორ, რით აეხსნა ის, რომ დავალება ვერ შეასრულა.

## სათავისაკენ მიბრუნება

დაგაფრულ დაბას ბინდი რომ მოედო, ზეცა ვარსკვლავებმა რომ გააჩახჩახეს და დანიელის სახლში კივილიც რომ მინელდა, აბესალომმა ესთერი იქ, დანიელი სახლში დატოვა და თავად სახლისაკენ გამოეშურა. ულონოდ, უილაჯოდ მოდიოდა. ეზოს ჭიშკარი რომ შეაღო, კომშის ხესთან კაცი დალანდა. ის კაცი აბესალომისაკენ გამოემართა. აბესალომს გულმა რეჩხი უყო. შედგა. ნესტორი, ან მისი გამოგზავნილი კაცი თუ არისო, გაიფიქრა. თამარის სიკვდილით ისე იყო ძალაგამოცლილი, უკან გაბრუნებაზე, მიმალვაზე არც უფიქრია.

ის კაცი უხმაუროდ, ფრთხილად ადგამდა

ნაბიჯებს. მიუახლოვდა. აბესალომმა ნონიკო მღვდელი იცნო. ნონიკო მღვდელს კვლავ ანაფორა ეცვა, მკერდზე დიდი ჯვარი ეკიდა. ჯვარი მთვარის შუქზე ელავდა.

– მაპატიეთ, ბატონო, – თითქმის ჩურჩულით სთქვა ნონიკომ, – იმისთვის მოვედი, რომ თაყვანი გცეთ და მოგილოცოთ, უღვთოთა ხელიდან სინაგოგის დახსნა.

აბესალომმა ერთხანს იყუჩა. მერე კი თქვა:

– ჰო, მაგრამ... სისხლი...

– სამძიმარიც მინდა გითხრათ. ეგ ქალი იუდეველთა ისტორიის ღირსია.

დუმილი ჩამოვარდა. ნონიკოს მკერდზე ჩამოკიდებული დიდი ჯვარი მთვარის შუქზე ელავდა. აბესალომს არ ესიამოვნა, თვალი აარიდა. დუმილი ნონიკომ დაარღვია:

– მაგრამ თქვენ აქ არ უნდა დარჩეთ. თუ აქ დარჩებით, სიკეთეს არ გწევენ.

– მეც ასე ვფიქრობ.

– დაუხანებლად, მალე უნდა გაეცალოთ აქაურობას.

– გმადლობთ.

ეზოში კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

– ღამე მშვიდობისა! – უთხრა ნონიკო მღვდელმა.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

ნონიკო მღვდელი ჭიშკრისაკენ გაემართა. აბესალომი კი უხმოდ იდგა.

– უკაცრავად ვარ – ხმა დააწია აბესალომმა და ნონიკოს მიუახლოვდა.

– დიახ, – მობრუნდა ნონიკო მღვდელი.

აბესალომი ერთხანს დუმდა, მერეღა თქვა:

– გახსოვთ, ალბათ, სოდომის დანგრევის წინ რომ ითქვა...

– თუ მაგ ქალაქში ათი მართალი კაცი მაინც იქნებაო...

– ჩვენს ქალაქში რამდენი ღვთისმოშიში აღმოჩნდა? – იკითხა აბესალომმა.

– სოდომზე მეტი, მაგრამ... სისხლი მაინც სისხლია...

და თქვა აბესალომმა:

– ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია, – ამ ქალაქს ღვთის თვალი დასტრიალებს.

და თქვა ნონიკო მღვდელმა:

– ორივემ მადლობა უნდა ვუთხრათ ღმერთს. ჩვენ ბევრი ღვთისმოშიში გვყოლია.

– მომილოცავს, – მცირე პაუზის შემდეგ თქვა აბესალომმა, – ამიტომაც მიჭირს ამ დაბის დატოვება.

კიდევ კარგა ხანს იდგა ეს ორი წვეროსანი კაცი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, მთვარით განათებულ ეზოში, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით საუბრობდნენ და ისევე უხმაუროდ დაემშვიდობნენ ერთმანეთს, როგორც შეხვდნენ.

ის ღამე რომ გაილია, მზეც რომ ამოვიდა და ქვეყნიერება კვლავ ისევე გააბრწყინა, როგორც ათასი წლის წინათ, ამხანაგი ნესტორი ისევე მიადგა აბესალომის სახლს, როგორც რომაელი კერპთაყვანისმცემელნი მიადგებოდნენ ხოლმე იუდეველთა სახლებს. მათ სამ-სამი ლეგიონერი ედგათ გვერდით. ნესტორს – სახალხო რაზმელები.

მაგრამ ნესტორს აბესალომის სახლი ცარიელი დახვდა. შიგ აღარავინ იყო.

აბესალომი, ესთერი, მათი შვილები უკვე მატარებელში ისხდნენ და თბილისისკენ მიეშურებოდნენ.

ესთერს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

აბესალომს კვლავ დანიელის ღრიალი ჩაესმოდა ყურში.

ორივეს ერთი დარდი და სანაღვლო ჰქონდათ: მიტოვებული დაბა და მისი ებრაელობა. მზერა მთასავით აღმართულ ბეით-ქნესეთს არ სცილდებოდა – რკინიგზა მთებში ისე მიიკლაკნებოდა, ბეით-ქნესეთს ირგვლივ უვლიდა. სისხლით გახევებული, სახტად დარჩენილი ბეით-ქნესეთი დიდხანს შემოსცქეროდა მოჩაჩქაჩე მატარებელში მსხდომ აბესალომს და ესთერს.

აბესალომმა ვერ გაუძლო ბეით-ქნესეთის მზერას. თავი მანამ არ აუწევია, ვიდრე მატარებელმა არ გაივაკა. ირგვლივ მწვანე მოხასხასე ველი გადაშლილიყო, მაგრამ აბესალომი ველს ვერ ხედავდა – მაინც ბეით-ქნესეთი ედგა თვალწინ.

## სიშავე ნათელისა

დათო აუჩქარებელი ნაბიჯებით მოუყვებოდა ქუჩას. მთვარე ამოსულიყო, ცივი ქარი ჩამდგარიყო. მაინც ციოდა – ყინვამ ლოყები, ყურები აუწითლა. პალტო შეიკრა, ქუდი ისედაც ეხურა. ხელები ჯიბეებში ჩაიყო და შეეცადა ფიქრს გასცლოდა, ფიქრისაგან დაეღწია თავი. ვერა და ვერ ახერხებდა. ის წავიდა, წაჰყვა იმ „ფირმას“ ისრაელში; დათოს აღიზიანებდა კიდეც ეს ფიქრი. ის წავიდა, მე კი მაინც უნდა ვიფიქრო? კარგია რომ წავიდა, ძალიან კარგი. იცის, რომ აქ არ არის, თბილისში არ დააბიჯებს. ეს ამშვიდებს კიდეც. ამშვიდებს? მაშ, რატომ ფიქრობს ლალიზე, რატომ არ ივიწყებს? სამუდამოდ!

– დავივიწყებ თუ არა, ამას აღარა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა. შესაძლოა, ადამიანი არ არსებობდეს, მაგრამ გახსოვდეს. აღარც ლალი არსებობს, მაგრამ მახსოვს.

ახსოვდა, მაგრამ უარს ამბობდა მასზე.

ლალიზე უარისთქმა არც ისე რთულ საქმედ ესახებოდა - აი, ბავშვი, ბესუკა! ბესუკა ხომ კითხულობს, მამიკო სად არისო, ნეტავ, რას ეუბნება? წასულიყო, თავად სადაც ეწადა, იქ წასულიყო! ბავშვი დედ-მამასთან მაინც დაეტოვებინა. ნახავდა ხოლმე. წამოიყვანდა. რა კარგი იქნებოდა ბავშვი რომ აქ დაეტოვებინა. არა, გაიპარა. დათოს არც გააგებინა, ბავშვი მიმყავსო. ყოველთვის ქარაფშუტა იყო, ბავშობაშიც, სტუდენტობის წლებშიც - ახლა კი ვერაგობა ჩაიდინა. ნამდვილი ვერაგობა. სხვა რა უნდა უწოდოს ლალის საქციელს?

წავიდა, საგრიალოდ წავიდა... ალბათ, ყოველ საღამოს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გრიალებს.

იქ, ისრაელში მოსმენილი სიმღერა ჩაესმა: „ჩვენთვის კვირა არ არსებობს, ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათიააა!" გაეღიმა.

რა კარგი ბიჭები არიან!

შეჩერდა - მოსახვევთან ადამიანები მგლოვიარეებივით უხმოდ იდგნენ. გაოცდა: ასე გვიან ღამე ამდენ ხალხს აქ რა უნდაო, მაგრამ მყისვე მიხვდა, გაახსენდა თუ რამ შეჰყარა ეს ხალხი - პურს ელოდებიან, თბილისელები საღამო ხანს იჭერენ რიგს, მთელ ღამეს იქ ატარებენ, რომ დილით პური აიღონ. ისიც გაახსენდა: ორი დღეა უპუროდ რომ ჭამს საჭმელს და გაიფიქრა, მაინც არ მეძინება, ჩავდგები რიგში, პურს ავიღებო. საყელომოწეულ კაცს მიუახლოვდა, რიგში ბოლო ვინ არისო, ჰკითხა. იმან კი მიუგო აი, იმ ქალთან უნდა ჩაეწეროო, სიას ის ქალი ადგენსო. სათვალიან ქალს ხელში ფანქარი და რვეული ეჭირა, თავი შალით წაეკრა, ფანქარს ნერვიულად ათამაშებდა. ხმაც უცნაური ჰქონდა. რა გვარი ხარ? - ჰკითხა ქალმა. დათომ მიუგო. სათვალიანმა დათოს გვარი რვეულში ჩაწერა.

- ორასთერთმეტი!

- ორასთერთმეტი?! - გაოცდა დათო.

- ყოველ საათში „პერეკლიჩკას" ვატარებთ, ვინც არ არის, იმის გვარს ვშლით.

- პური მომიწევს?

ქალი ჩაფიქრდა და თქვა:

- თუ ხალხი მართლა შემცირდა, თუ ის შემცირებული ხალხი დილას არ მოვიდა და ჩხუბი არ ატეხა, სიიდან რატომ ამომიღეთო, შეიძლება მართლა მოგიწიოს.

- დიდი მადლობა, ქალბატონო, ძალიან დამაიმედეთ!

- გეწყინა? - გაიღიმა ქალმა. - შენ რა, არ გაგიგია, პურის რიგში რომ ჩხუბობენ?

- კი, კი როგორ არა!

- იქნებ, არც ის გაგიგია, სამშაბათს პურის რიგში ბიჭი რომ მოკლეს? იცი რა გააკეთა?

- ხალხი მთელი ღამე რიგში იდგა, პურს ელოდა, გამთენიის ხანს მოიტანეს, ეს ყმაწვილი მოვარდა, გვარდიელი ვარ და ვერ მოვიცდიო, ურიგოდ აიღო. მერე იცი რამდენი? ექვსი პური, ექვსი! მაშინ უწია ღვთის რისხვამ - ქალი გაჩუმდა, დათოს ყურადღებით დააცქერდა. დათოს ცარიელმა მზერამ რომ არაფერი უთხრა, ნირწამხდარმა განაგრძო, - იქნებ, არც ის გაგიგია, ოცდასამი წლის გოგო მეექვსე სართულიდან რომ გადმოხტა? არ გაგიგია?

დათო ისე გაეცალა ქალს, არაფერი მიუგო, - უპასუხოდ დატოვა. გუნებაწამხდარი დაუყვა დაღმართს. ქსოვილების მაღაზიასთან, ასფალტზე, ცეცხლი დაენთოთ. პარკში შეგროვილი ხის ტოტები საბრალობლად ბჟუტავდა. ცეცხლის ირგვლივ შეკრებილი მდუმარე ადამიანები გამხმარ ხელებს ჰგავდნენ. უკან დაბრუნდა, ეწადა აქაურობას გასცლოდა. სათვალიანმა ქალმა რომ დაინახა, მოაძახა:

- მალე „პერეკლიჩკა" გვექნება, შორს არ წახვიდე! დილამდე ერთი ორი კაცი მოკვდება კიდეც და რიგი შემცირდება.

- შენი დედა ვატირე! - გაივლო გულში დათომ. კიდევ უფრო ჩქარა გაეცალა იმ ქალს.

მოსახვევთან ნაბიჯი შეანელა და კვლავ აუჩქარებლად გაუყვა ქუჩას.

- იქნებ უკეთესია, ბავშვი რომ აქ არ არის, პური ხომ უნდოდა... იქ პური არ მოაკლდება.

ისევ ის სიმღერა ჩაესმა: „ჩვენთვის კვირა არ არსებობს, ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათიააა..."

ამ ორიოდე წლის წინათ არქიტექტორთა კონგრესზე იერუსალიმში ჩასული მონუსხული დააბიჯებდა წმინდა ქალაქში - აოცებდა, თუ როგორ აეშენებინათ იგი. სამი დღის შემდეგ კონგრესს აღარც გაკარებია. დილაადრიან გადიოდა სასტუმროდან და ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა. საათობით იდგა ზოგიერთი შენობის წინ, ცნობისმოყვარეობას მაინც ვერ იკმაყოფილებდა.

კონგრესი რომ დამთავრდა, იერუსალიმთან განშორება დაენანა, მაშინღა დაურეკა ზურას, დღეს „ფირმას" რომ ეძახიან, ამის შემდეგ დათოს არც იერუსალიმის არქიტექტურა დაუთვალიერებია, არც - თელ-ავივისა და არც - ნაზარეთის. უმეტესწილად რესტორნებს ეცნობოდა. გამუდმებით ჩაესმოდა ებრაული, თუ ქართული სიმღერები. მუდამ ქეიფის გუნებაზე

მყოფი ზურა-„ფირმა“ და მისი მეგობრები ქართულ მელოდიაზე აგებულ სიმღერას იმეორებდნენ ხშირად: „ჩვენთვის კვირა არ არსებობს, ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათიააა“...

მათი სიმღერა ხმელთაშუა ზღვის ზარმაც ტალღებს უერთდებოდა.

ამ მოგონებამ გაახალისა კიდეც და თავად წაიღიღინა: „ორშაბათიც შაბათია, სამშაბათიც შაბათია, ოთხშაბათიც შაბათიააა...“ ესე იგი, ყოველდღე შაბათი - დასვენება და ქეიფი გვაქვსო. მოგონებას, იქ ნანახ სურათებს უღიმოდა დათო, თუმცა, როცა ამ სურათებში „ფირმა“ გამოჩნდებოდა, სახე ელრუბლებოდა.

- ჩაფიძე, დოლონაძე, როდონაია! - სათვალიანი ქალის მყიფე ხმამ ქალაქზე გადაფარებული დუმილის ქსოვილი შეარხია.

- „პერეკლიჩკა“ დაიწყო, - გაიფიქრა დათომ. ნაბიჯს აუჩქარა, სახლისაკენ გაეშურა.

- გამცემლიძე! გამცემლიძე არ არის?! - მოესმა ისევ ქალის ხმა.

უკვე სადარბაზოსთან იყო. უნდა შესულიყო სადარბაზოში, მაგრამ ის ყმაწვილი მოულოდნელად გაჩნდა მის წინ. იდგა ის ბიჭი და უხმოდ შესცქეროდა.

- რა გინდა?

ყმაწვილმა პასუხი არ გასცა. დათომ წასვლა დააპირა. იმ ბიჭმა მხარი გაჰკრა.

- არ გაინძრე!

- რა გინდა?! - ბიჭმა კვლავ არ გასცა პასუხი, უხმოდ შესცქეროდა სახეში. დათომ ხელი შემართა. ქუჩა მანქანის ძრავის ღრიალმა გააყრუა. ბიჭს ღიმილი მოერია. აღრიალებული მანქანა ნაგაზივით მოისწრაფოდა მისკენ... კბილების ღრჭიალით... დაამუხრუჭეს.

- დაჯექი! - უბრძანა ბიჭმა.

- წადი შე!

მანქანიდან ორი ბიჭი ფართხა-ფურთხით გადმოვიდა. დაარტყეს. დათო გამხმარი ფოთოლივით დაეშვა ასფალტზე. სამივემ მყის წაავლო ხელი, მანქანაში შეჩურთეს. მანქანა კვლავ ღრიალით გაიჭრა ქუჩაში.

- ქანთარია, უთურგაული! უთურგაული არ არის?! - სათვალიანი ქალის ხმა კენჭებივით ეხლებოდა შენობებს, მაგრამ დათოს უკვე არ ესმოდა.

გონს რომ მოვიდა, ვერაფერი დაინახა - თვალები აეხვიათ. მიხვდა, რაც ხდებოდა მის თავს და ავყვირდებიო, გაიფიქრა. თავი შეიკავა: „რა აზრი აქვს?!“

მანქანის ძრავა ღრიალებდა. მოსახვევებიც ხშირი იყო.

- ძრავა ისე ღრიალებს, აღმართში, ესე იგი წყნეთისაკენ მივდივართ - გაიფიქრა დათომ, მაგრამ ეს აზრი მყისვე უარყო.

- იქნებ, სამხედრო გზაზე?! ნეტავ, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ? სამხედრო გზისკენ გამოსვლას დიდი დრო უნდა, უგონოდ დიდხანს ვერ ვიქნებოდი. ესე იგი, წყნეთისაკენ მივდივართ, ან კოჯრისაკენ.

კოჯრისა და წყნეთისაკენ მიმავალი გზა კარგად იცოდა. თუ მართლა იქით მიდიოდნენ, თვალაკრულიც კი გამოიცნობდა. გონება დაძაბა. ძრავის მუშაობასა და მოსახვევების რაოდენობას აქცევდა ყურადღებას. მოსახვევი მარჯვნივ, მერე - მარცხნივ. მანქანა სწორ გზაზე გაიჭრა. მერე ისევ მარჯვნივ, დიდი აღმართი... არა, ეს კოჯრისაკენ მიმავალი გზა არ არის. არც - წყნეთისაკენ.

ვერ გამოიცნო, საით მიდიოდა მანქანა.

. . .

- მე ფული არა მაქვს!

ბუშლატიანმა, შავწვერამ მხარზე გადაკიდებული ავტომატი გაისწორა და გაიცინა:

- ებრაელი და უფულო? ჩვენ წესიერად გექცევით, ბრატ, შენ კი გვატყუებ, ეგრე გამოვა?

- ბიჭებო, შეგეშალათ, მე არქიტექტორი ვარ, ფული საიდან უნდა მქონდეს?!

- აბა, შენა ყოფილხარ, ფული იმენნო თქვენა გაქვთ, ბრატ, ისრაელში ხომ იყავი ამას წინათ? იქ დიდი მაყუთი ხომ მოხიე?

„ჩვენთვის კვირა არ არსებობს. ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათიაა!..“

- ტყუილია!

- უფულო ებრაელი არ არსებობს!

- ეგეც ტყუილია!

- რა ამბავში ხარ, შენი! - ბუშლატიანის თვალებში ზიზღი და მრისხანება ჩადგა. მუშტი ყბაში მოხვდა დათოს, მუშტს წიხლი მოჰყვა.

მეორე დღეა თოვს. დათოს აივანზე გასვლის უფლება მისცეს. ოღონდ დღისით არა - დაბნელების შემდეგ. თუმცა, დღისით რომ გავიდეს, რა შეიცვლება? ვინ დაინახავს? ახლომახლო სახლი არ დგას, არც გზა ჩანს.

თეთრი სამყარო. სითეთრე, მხოლოდ სითეთრე.

ფეხსალაგში გასვლის უფლებაც დაბნელების შემდეგ მისცეს.

ფანჯრიდან შესცქერის როგორ ათოვს ბალჩას, ფეხსალაგს. თოვლის ფაფუკი ფანტელები უაზროდ, უდარდელად დაბორიალებენ ჰაერში და წარმოდგენაც არა აქვთ, არც აინტერესებთ შეიტყონ, რა უცნაური ტყვეა დათო.

დათო მწარე ღიმილით შესცქერის ფანტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების უაზრო ფარფატს.

დღეს გიგის ამარა დატოვეს. მხოლოდ გიგი მიუჩინეს დარაჯად. გიგი უხმოდ ზის. ავტომატი მუხლებზე დაუდევს და „პრიმას“ აბოლებს.

საღამოვდება. სადაცაა დაბნელდება კიდეც. ესე იგი, გიგი ფეხსალაგში გაიყვანს.

– კარტი არ გინდა? – იკითხა გიგიმ.

დათომ უარის ნიშნად, თავი გააქნია.

გიგიმ თქვა:

– დიდი მაყუთი მინდა, ფირმაში უნდა გავიდე. არ შემიძლია აქ ცხოვრება, ხომ ხედავ, რა ამბავია, როგორ აირია ქვეყანა! ეს არის ცხოვრება?!

დათოს გაეღიმა. ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

– ფირმაში რას გააკეთებ?

– ვიგრიალებ..

– აქ ვინ გიშლის გრიალს?

– ფირმაში სხვაა. ეს ქვეყანა აღარ არი.

– იქ, საზღვარგარეთ კარგია, მაგრამ...

– რა მაგრამ? – იკითხა გიგიმ.

დათომ პასუხი არ გასცა, უხმოდ იჯდა. მერეღა თქვა, მოგვიანებით: – იქ კარგია, მაგრამ შენს ქვეყანაზე უკეთესი არსად არი.

გიგიმ გულიანად გაიცინა:

– ძალიან ახურებ, აი! ვინ ჭამს მაგას!

დათო გაჩუმდა. გაუბრაზდა კიდეც თავს.

უკვე მეხუთე დღეა აქ არის, მეხუთე დღეა ჩასძახიან, ორმოცდაათი ათასი დოლარი უნდა მოიტანოო.

– დაგაუთავებთ და მოგატანინებთ ფულს. დაუთავებული კაცი კი... – გაიძახის ბუშლატიანი.

ძველი იაფოს არაბულ რესტორანში ადამიანები იცინიან, ხარხარებენ, ხმამაღლა ლაპარაკობენ, ხან ებრაულად შესძახებენ ერთმანეთს, ხანაც – ინგლისურად. არაბული არ ისმის. სამი არაბი ყმაწვილი უხმოდ ზის. წვერგაუპარსავთ, სახედაღრეჯილთ სცენისაკენ ერთხელაც კი არ გაუხედავთ – არ აღელვებთ, არ აინტრესებთ ის, რაც სცენაზე ხდება. დათოს მეგობრები: ზურიკო, შოთა, ბადრი დროდადრო მაინც შეავლებენ თვალს სცენას, ღიღინებენ. დათოს სულს, სხეულს კი მთლიანად დაუფლებია მოცეკვავე არაბი ქალი.

შავგვრემანი და ტანმაღალი, თეძოგანიერი და მოელვარე, მრავლისაღმქმელი მზერის არაბი ქალი გატაცებით როკავს. მისი სხეულის ყოველი ნაკვთი ვნებას მოუცავს. სხვა გზა აღარ დარჩენია ქალს – მხოლოდ როკვას ძალუძს ვნების გამოდევნა სხეულიდან, სხეული როკვით თუ იგრძნობს შვებას, ამიტომ როკავს... როკავს გახელებით, მაგრამ ვნებას არ ეთმობა სხეული – არ ტოვებს ამ სიცოცხლის მთრთოლვარე სიამოვნებას. თეძოებსა და მუცელს დაუფლებია ვნება. თეძოები და მუცელი მეტისმეტად გაუხელებია ვნებას. ვნების ტყვედქცეული, შვებისმძებნელი თეძოები და მუცელი რესტორანში შემოსულ ყოველ მამაკაცს თავისაკენ უხმობს, მაგრამ იმ კაცებს ქალის როკვა არ აღელვებთ – ისინი იცინიან, ხარხარებენ, ერთმანეთს ანეგდოტებს უყვებიან. დათოა ერთადერთი ადამიანი, ვისი სუნთქვაც ქალის როკვას დამორჩილებია. არაბი ქალი გრძნობს ამას და დათოს თავისკენ უხმობს: დათოს უხმობენ, დათოსთვის როკავენ ქალის თეძოები და მუცელი. ამის შემხედვარე დათოს სუნთქვა ეკვრის, წარმოსახვაში ეალერსება არაბი ქალის თეძოებს: „იჟუჩე, იჟუჩე, ჩემო საალერსოვ“, რაოდენ ნაზია და მგრძნობიარე არაბი ქალის კანი. ქალი მინებდა დათოს ალერსს, მუსიკაც თითქოს გაინაბა, სუნთქვასავით ისმის, „იჟუჩე, იჟუჩე, ჩემო საალერსოვ“.

– ჩვენთვის კვირა არ არსებობს, ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათიააა, – იწყებს ზურიკო.

არაბი ქალი კვლავ უხმობს დათოს. მისი თეძოები უხმობენ: „მოდი, მოდი, მოდი, მე შენთან მინდა, მოდი“.

დათო კვლავ ვისკის სვამს. ჭიქაში ჩაყრილი ყინული ტუჩებზე ეხლება.

– არ წავიდეთ? – კითხულობს ზურიკო და ოფლს იწმენდს.

– რა გეჩქარება, ჯერ პირველი საათია! – ამბობს ბადრი.

– შეხედე იმ ტიპებს – რა შავები არიან!

– არაბები?

– ჰო, არაბები.

– მერე შენ რა, შეეშვი!

– თავი რომ აიფეთქონ და ამხელა რესტორანი ჰაერში ავარდეს?! – ამბობს ზურიკო.

– გავიყვანოთ და ვცეჭოთ! – თვალებში ნაპერწკლები აენთო ბადრის.

– ავარდეს, არა!

– ასე უხმოდ რატომ სხედან, არც სვამენ, ქალებისაკენ არც გაუხედავთ.

– ალაჰი ერთსაც უკრძალავს და მეორესაც.

– აბა, აქ რა უნდათ, ასაფეთქებლად შემოვიდნენ? მოდი, იქნებ, მართლა ჩვენ დავასწროთ? – ზურიკო წამოსადგომად ემზადება.

– დაჯერ, რა, დაჯე!

დათო კვლავ არაბი ქალის თეძოებს მიჩერებია. ეალერსება, დათოს მზერა კიდევ უფრო აღაგზნებს არაბ ქალს და მეტის გახელებით როკავს.

ფიქრში თვლემა მოერია. მერე ჩაეძინა კიდეც.

სიზმარში ლალის ხედავს. ლალი ზღვიდან ამოდის, დათოს უახლოვდება. მკერდს მიუშვერს. ლალის მკერდზე წყლის წვეთები ბრწყინავენ.

– შეგცივდა? – ეკითხება დათო.

ლალი კი მკერდს პირთან უტარებს. დათოს კოცნა უნდა, ლალი კისკისებს. დათო ველარ ხედავს ლალის – თმა პირსახეზე ჩამოშლია. ლალის კისკისს ვიღაცის ხარხარი უერთდება.

– გინდა? გინდა, ჩემი ბიჭი?! ჩააფურთხე – „ფირმას“ ხმაა.

– დამანებეთ თავი! – ყვირის დათო.

იცის, იცის, რომ სიზმარს ხედავს. იცის, რომ ყველაფერი ეს სიზმარია. გაქცევა უნდა, ვერ გარბის. ყვირილი უნდა, ვერ ყვირის. „დამანებეთ თავი!“ იყვირა, მაგრამ ეს ყვირილი არ იყო. თავად მიხვდა – ჩიფჩიფებს. „არა, არა, უნდა გავიღვიძო, რამენაირად უნდა გავიღვიძო“, – ლალის მკვრივი მკერდი კვლავ აგერ არის. ვეღარაფერს ხედავს, გარდა მკერდისა.

– გინდა? გინდა, ჩემი ბიჭი? ჩააფურთხე.

– უნდა გავიღვიძო, უნდა გავიღვიძო!

გაეღვიძა, როგორც იქნა, გაეღვიძა.

გული ძლიერ უცემს. თავშიც თითქოს რაღაც ურახუნებს. გაირინდა. თვალები მილულა. გულისცემა მინელდა. თავშიც ისე აღარ ურახუნებს.

თვალი გაახილა. ოთახში ბნელა. გიგის სძინავს. კვლავ აჩქარდა გულისცემა, თითქოს კვლავ კეტს ურტყამენ თავში. – გიგის ჩასძინებია; ავტომატი კი აგერ, მაგიდაზე დევს. დათო ლოგინზე წამოჯდა. მიაყურადა. როგორ უძგერს გული! არა, დანარჩენები არ მოსულან. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულა. „ხელის ერთი გაწვდენაა საკმარისი, – ხელის ერთი გაწვდენა და ავტომატი ჩემია“ – გაიფიქრა. გულის ცემაც მინელდა. დათომ მიმოიხედა. გიგის ტკბილად სძინავს. ავტომატის გასროლაც არ არის საჭირო. საკმარისია მოიქნიო, თავში ჩაარტყა და... მორჩა! ეს ოყროყი აღარ იქნება, ბოლო მოეღება ამ საბრალოს. ხელი გაიშვირა, ავტომატი აიღო. ლულა გიგის მკერდს მიუშვირა... ისევ აუჩქარდა გულისცემა... არა, არა, ასე არ ივარგებს. თავში ჩაარტყამს. ავტომატის ლულას წაავლო ხელი. ერთი მოქნევა და...

„ჩვენთვის კვირა არ არსებობს, ყოველი დღე შაბათია, ყოველი დღე შაბათია! ორშაბათიც შაბათია, სამშაბათიც შაბათია...“

– დაგაუთავებთ და მაინც მოგატანინებთ ფულს. დაუთავებული კაცი კაცი არ არის – ო, რა საზიზღრად იღმიჯება ბუშლატიანი.

მოქნევა, ერთი მოქნევა და...

– გიგი! – გიგი! – ყვირის დათო.

გიგი მყისვე წამოხტა. ავტომატისკენ გაიშვირა ხელი. ავტომატი ადგილზე არ არის. ელდა ეცა.

– არ მესროლო, არ მესროლო! – იყვირა გიგიმ.

– ნუ დაიძინებ, ნუ დაიძინებ, თორემ გავიპარები! – დათომ ავტომატი მაგიდაზე დააგდო.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რევაზ დანელია

## საიდუმლო ნაპირები

საიდუმლო ნაპირებით სული, სულო, სად არ ივლის!
მზე ზღვას თიბავს... მზე ტყეებმაც, ვით ცა, გულზე გადაივლეს.
ისევ თბილი ნაპირები... დარდს მე მოვკლავ დარდითივე.
ბალახებში ოხრავს ცელი: - მანდ, ურემზე, დადეთ თივა!
ვლეთ ეს ველი, მოიხილეთ საიდუმლო ნაპირები,
დარდითა და ვარდით სველი შენ - ძვირფასო, ხარ ირემი!..
ახლა ის ტყე აიარე - ცა რო იდგა იქ რო წინათ...
აგერ მთვრალი ნაპირები... - მთვარემ მზესთან იქორწინა!

საიდუმლო ნაპირებით სული, სულო, სად არ ივლის!
მზე ზღვას თიბავს... მზე ველებმაც, ვით ცა, გულზე გადაივლეს!

## ფიქრის თეთრი რვეული

ფიქრის თეთრი რვეული... - ცა მოლია უბრალო?
მტკვარი ენთო ცისკიდეს, მზე დაჰმზერდა მაღლიდან.
გევედრები მუხლმორთხმით, დაგვიფარე, უფალო!
ვით მეგონა სოფელი, ასე თუღა დამღლიდა!
ვით მეგონა!.. გაზაფხულს მაინც ველარ ველევი!
აგერ ეს ცა, ძვირფასო, აგერ ლურჯი ველებიც!

მტკვარი ენთო იისფრად... თმოგვზე კაკბებს ხოცავდნენ.
ციხე, საკვირველია, ხმას მაინც არ იღებდა!
გამაცილე, ძვირფასო, გამაცილე ხო, ცამდე,
კაკაბივით მიზანში თორემ ამომიღებენ!

## სისხლის მონოლოგი

ყაყაჩოს მზეში ვაბანავებ ღვინისფერ სიზმრებს.
ცას შევავედრებ დედა მარიამს. ხელში ავიყვან ბალღივით
დილას, - ცვარის მძივებს ყელზე დავკიდებ!.. ცვარი -
თვით ეს ცა... ჰაერი ამო. ქარი... - ინათებს ფეხები
შველის. ულამაზესი ეს ლოცვა - წამი!.. წამწამზე,
ვით მზე, ფერი შიშველი ზის... მონატრება: სიზმარი -
ცირა. არაფრის გამო /ზეცაში ამო!/ იტირებს შენი

ჩურჩულა დილა და დაიღვრება სულ მთლად ცრემლებად? მე ხელს ჩავკიდებ თვით მზეს სიზმრისფერს და მივადგები ჩემს თბილ ნოღელას. ნოღელა ჩემი ცის მდინარეა!

ყაყაჩოს მზეში ვაბანავებ ღვინისფერ სიზმრებს! მო-ანანავებს თვით სიცოცხლეს ცა მადლიანი? ყაყაჩოს მზეში ჩაეშვება ეს მზეც მთლიანად! ყაყაჩოს მზეში ვაბანავებ თავად სიხარულს - /დილა ცას უკვე ეთამაშე-ბა?/ აწ გაფრენილ დღეებს ბავშვობის!

ყაყაჩოს მზეში... დილა ცაში უნდა ავიდეს? ამ ულამაზეს ლოცვას - დილას ყელზე თბილად თვით მზეს დავკიდებ!

## ნუ მიწყენ, უბრალოდ, გირჩიე

ალვამ ალვას თავი დაუკრა: „როგორ ხარ, როგორ, ჩემო კეთილო, გაგიწევია ნეტა საითკენ?“
„ცა უნდა მოვიხილო, ჩემო ბატონო, მეშვიდე კი არა, მეა-თასე, დღემდე ამ ტყეს ვარ გამობმული, ცად დღემდე ველარ გავიარე! რაღა გვჭირს ნეტა!.. ოდნავ ფრთებს შეარხევ და მაშინვე: – შეხე, ქარი ამოვიდაო. ქარი რა შუაშია, ანდა ვინღაა, – ჩემი ამაყი სხეული დაჰყვეს (თუნდ ერთი წამით!) და ოდნავ გვერდზე გადაიხაროს!“
„მიდიხარ მართლა? დროზე შინ მობრუნდი, არ დაგვივიწყო, არ დაივიწყო აქაური წვიმები... წვიმები აქ არი... ა, ქარიც!.. შენ აქ გაიზარდე და აქ უნდა აღესრულო. იქაურ სამოთხეს, აქაური ჯოჯოხეთი... ნუ მიწყენ, უბრალოდ, გირჩიე!“

თავი დაუკრა ალვამ ალვას. აი, სიცოცხლე!

## ალიონი*

ცაში მთვარემ შვლისფეხებამ უკვე გაიბორიალა?.. ალიონით ალიონი შემოსულა. ბორო ალი ტყისკენ მიი-პარებაო. დაიღალა თურმე ისე, უჭირს სულის ტარებაო. „ალს ნეტავი ვინ ან რამე გულით თუ ეყვარებაო?..“ – ტირის დილა, სულში სული, ვით მზე, ელვარღვარებაო.

შემოვიდა ალიონით... ჩაიქარგა ალი ტყეში? ყველაფერი შეიტყვე შენ? მთვარეს გაცვლი მაგ ტყის ტევრში...

ნეტა ტყიდან მთვრალი ალი, ნეტა მართლა მალე მოვა? ახლა მისი ოქროსფერი თმები ჩემთვის მალამოა!

\- - - - - -

* სოფელი ხობის რაიონში

ცაში მთვარემ შვლისფეხებამ, ქათქათამ და ბორიალამ,
აიტყუა თვით ტყე? შენ თქვი, არი თითქოს ბორო ალი?
მაშ, ტყეს თან ზე რად არ აჰყვა, არ აიკლო ცა რიალით?!

ალიონით ალიონი... როგორც დილა ჰყვავის ვარდი. ოქროს-
თმებაც აგერ მოდის, მაგრად იყავ, თუ გიყვარდე!

## სასწაული

ცა ინაბება. უნაბები მზისფრად ღუიან.
ღვინობისთვეა? ვაზი /თითაც!/ მოღუღუნეა.
რქებს ზე მიჰყვება საკუთარსვე თითქოს ღვინია.
ა, ეს სოფელი /ცაში ლხინი!/ სულაც ღვინოა.
მიირთვი, შესვი ეს ცა, მზე კი - გულზე ისხურე.
შენი სისხლია ის მხედარი და ის, ის ხუროც!..
ირმისფერია, ირემია სულაც ეს ყანა!
კაცმა ბავშვივით დედამიწა ხელთ აიყვანა,
აიყვანა და მიეფერა, მიეხმატკბილა.
რა სასწაულად, რა ლამაზად, ჰოი, რა თბილად!

ცა ინაბება... აწ მზისფერი ეს უნაბები
ცაში არიან, აქ არიან, სად არ არიან!
თაფლა მინდორიც ჩუმად ცისკენ მიინაბება?.. -
ეს შენი ზეცა - საქართველო - მთლად სიზმარია!

## წავიდა

დასტოვა პიედესტალი. ადგა და წავიდა ბელადი.
უკანამც ნუ მობრუნებულა!

## ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლიდი

ქართლი,
კახეთი,
სამეგრელო,
იმერეთი,
რაჭა,
ლეჩხუმი... -
ამ დალოცვილთ ერთხელ ისევ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლიდი,
რომ არ არბევდნენ
საქართველოს
არაბებივით
გახარებული ქართველები!

ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი... -
სევდის მინდორით სევდისფერი ჩანს სამეგრელოც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წუთისოფელი

(ცხადი, არა სიზმარი)

ტყაჩირის ტყეში დაჩხირი
ენთო, დევები ღრეობდნენ
/მარტვილი – მთვარე, საჩხერე.../
ხელებით ცას ეხებოდნენ.
დევის ქალს ბროლა წყურგილე
ბალღივით ეჯდა კალთაში... –
ცეცხლს გულზე გადავურბინე,
თვით ცეცხლსაც გავეთამაშე!..
ვაჟკაცის წესი წესია:
ცა ვსვი დევებთან ღვინივით!..
ეს ღამე თავად ლექსია,
ლურჯ ქარის ნაღიღინები.
მერმე თვით ზეცას ავუყევ,
მთვარის სხივებზეც ვირბინე.
ამდენ სიხარულს რა ვუყო,
მამულო, შენი ჭირიმე!

## მკათათვე

ნახევარმთვარე – ცხენის ნალი –
ვაი, რა ცუდად აქ აგდია!
იყავ შენ რუსის მოინალე?
ხარ შენ ოსმალოს აწ გაღია?

მომრავლდნენ ჩვენშიც მეძავენი?
მიდი, დაეწიე, ჰკა, მათი!..
მერმე თვით სული მიუძღვენი
სიზმარა თვეს – ქართულ მკათათვეს!

## ეს კაცი

ეს კაცი, ღვთისო,
                    არც დანტეა, არც როდენია,
ნებაა ღვთისა!
ეს კაცი, ცარო,
                    ის ქართველი გლეხიკაცია,
ტანთ დღენიადაგ
          ცა რო
          აცვია!
ეს კაცი, რიცხვით, ეს ქართველი
/დასაბამითგან!/
ნეტა ვიცოდე, მერამდენეა?!
ეს კაცი, ძმაო, არც შოთაა, არც გოეთეა!..
ა, ეს სოფელი ცაშია
/ცა იქ ვის შია!
არიან ცაში, მართლა არიან!/,
ეს უფლის ცრემლი – უფალკარია,
ჩემი სულია, ჩემი მთვარეა,
ესეც – ჩემი იგოეთია!

ეს კაცი – ღვთისო,
ნებაა ღვთისა!

## უფლის ცრემლი

უფლის ცრემლი დაეცა ბალახს?
აყვავდა სივრცე.
შეუერთდა ზეცას ბალახი.

ბალახი.. უფლის ცრემლი... –ბალახი.

## სამარჭიხოლო*

ხობისწყალო, შე ზეცის სულო,
შენია უკვე სამარჭიხოლო –
მერცხალივით ჭიკჭიკა, თბილი!..
მიდით, ისევ ერთად იფრინეთ,
თვით სიცოცხლეს /საკუთარსვე!/
არ გაუფრთხილდეთ, –
სჯობია აქავ დაიღვაროს
თქვენი სისხლი – ლოცვა, სევდა,
გაზაფხული, სიზმარი, უფრო!..
თქვენ დღენიადაგ, კარგად ვიცი,
ჩემებრ სადღაც მიგეჩქარებათ!

სირბილს შეეშვენ რო გაივაკეს,
თუ ჩემი ესმათ?

ხობისწყალო – ხოხობისფერო,
არ გაიტყუო სამარჭიხოლო
არც ზღვისაკენ, არც, არც საითკენ,
როგორც უმცროს ძმას ხელი მოჰხვიე,
აქედან ნუღარ!..
ეს ტყეები და ეს მინდვრები, –
ჩემი სულის ცა აიკელით!

სამარჭიხოლოვ, შე ჭიკჭიკავ,
თვით გაზაფხულო,
რისთვის და რატომ,
მაგ ტყეებს რატომ გამოექეცი,
დიდ გზაზე გამოსვლა ვინმემ გაიძულა.

– – – –

*ძდინარე, ხობისწყლის შენაკადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია ბარამიძე

## ცხოვრება

წარსული ცხოვრების მწვანე ბაღს,
ამჟამად ფერმიხდილს ძნასავით,
რა ერქვა, სიამე? წამება?
– წამება, სიამით ნაზავი.

არ მინდა და მაინც მივდივარ,
დარჩენაც არ მინდა და ვრჩები.
ეს რაა – სიცოცხლე? სიკვდილი?
– სიკვდილი, სიცოცხლეს ნაჩვევი.

კარს იქით ხმა ისმის კამათლის,
კარს აქეთ რეკვიემს უკრავენ.
უფალო, სიცოცხლეს მამადლი?
რაც მომეც, გიბრუნებ უკანვე.

## იმედის მარტი

უკანასკნელად ამოიხველა
ზამთარმა.
მარტი დაჰქრის ველებზე,
ლამაზი, როგორც ლექსის მკითხველი,
და არეული, როგორც მელექსე.
ცაა უზადო, მზეა უებრო,
ჩემთან შენ მოხვალ ან აღარავინ.
აწ გარდაცვლილი თოვლის რუები
ასამწვანებელ მიწას ღარავენ.
სერზე ტყემალი ყვავის ბაბთებად
ბუდისთვის ბუმბულს ეძებს მზეწვია.
მოდი, ერთხელაც დავიბადები,
ვინ იცის, იქნებ ბედსაც ვეწიო.

## პასტორალი

რვა მარტიდან იმატა მზემ,
ესალმება იფანს თელა,
ამ ატმიდან იმ ატამზე
ქარმა გადაიფანტელა.
გაიზარდა მზის ნაბიჯი,
სხვა მშვენებას აღარ ველი –
გოგოს მიჰყავს ციცქნა ბიჭი,
ჯიუტი და საყვარელი.

## გურიაში

გურიის მთებზე მოთოვა
და შემოდგომის ნიავს
ცეცხლის ალივით ფოთოლი
თივის ზვინისკენ მიაქვს.
ნატრობს და მიეტევება
თითს შეტოკება სიმზე...
უძირო ციდან ვეება
გალაკტიონი მიმზერს.

## თანაგრძნობა

ისე მიყვარს ჩემი ქედის
კალთები და ქარაფები,
თითქოსდა ამ მთათა მეტი
არ მენახოს არაფერი:
არც პამირი, არც ალტაი,
არც ურალი, არც ალპები,
არც ნისლი – ცად ასატანი,
არც არწივი – ასაფრენი.
რუსნო, სპარსნო, მოფრანგენო...
დუშმანნო და ძმადნაფიცნო,
ვინც მამულის იცით გემო,
სიყვარულში თანაგიგრძნობთ.

## ტრაგიკომედია

დიდებისკენ – გრძელი გზით...
არყოფნისკენ – მოკლე გზით...
პოეტს მუდამ აწუხებს
ელვარების კომპლექსი.
ყველა გვირგვინს უწნავდით, ვინც
სამსალას ასმევდით
(ბედნიერი პოეტის არც ლექსი მწამს, არც
ბედი).
პოეტს ღმერთი უმზადებს ტკივილიან
კათარზისს –
ათკაციან სუფრაზე მეთერთმეტე კაცად ზის.
მათრობელა ტკივილი ტკივილია სამჯერი,
ღვთისგან რჩეულობაშიც არის რაღაც
სასჯელი.
ფონს გასული პოეტი შპრიცითა და მასაჟით.
სასჯელის მოსახდელად დააბრუნეს მასაში.
სასჯელის მოსახდელად დააბრუნეს მასაში.
გაიწელა დღეები არყისა და რომის სმის –
ასეთია პოეტის ტრაგიკული კომიზმი.

## უსასრულობის ტყვე

გავრბივარ იქ, სადაც არავინ მიცდის და
ვხვდები, რა ძნელია გაღწევა სივრციდან.

ან ფორმას ვინ აძლევს, ანდა ფერს ვინ
ურჩევს
უფერო აირით წარმოქმნილ სილურჯეს.

ვერც ძალა სურვილის, ვერც აზრის
სისწრაფე
ვერ გასცდა, ვერ გასცდა „ლურჯსა ფერს,
ცისა ფერს“.

შემქმნელო ყოვლისა, მორჩილად გიხრი
თავს,
მიხსენი, მიხსენი ამ ლურჯი ციხიდან.

## ძველი სასაფლაო

ყველა თავის მოტივს ტირის,
ვინ ძველსა და ვინ ახალს.
ერის ცრემლზე მოტივტივე
საფლავები მინახავს,
გადამფენი გულზე გლოვის,
ასე გულსაკლაონი,
საფლავები უძეგლონი,
ძეგლნი უსაფლაონი.
ბევრი ლოდი გაცვეთილა,
ქარიც ხრავდა, დროც ხრავდა,
ისტორიის გაკვეთილად,
გაფრთხილებად ცოცხალთა
ჩაძირულან ქვა-ლოდები
უყვავილო საფლავთა,
ვინ იცის, რა აგონდებათ
შუბლთა დასადაფნავთა.
წინაპარნო, მარქვით სრულად,
სანამ მზეს ვჭვრეტ ჩახჩახას,
რა ოცნება აგისრულოთ,
სამარეში რა ჩაგყვათ.
მარქვით, ძვლებო წინაპრების,
ჩაკირულნო პიტალოდ,
აქაურს რას ინატრებდით,
მანდ რა ჩამოგიტანოთ.
. . . . . . . . . . . . . . . .
ქარში უცებ ხმა დაირხა,
ხმა ღვთისა თუ სატანის:
– კაცო, რისი ჩამტანი ხარ,
თავად იქ ჩასატანი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციალა არდაშელია



## გაქცევა

სკამზე ნელა დაეშვა, ჩანთა მუხლებზე დაიდო და წამით თვალები მოხუჭა. ხალხით სავსე სანაყინეში ყრუ ზუზუნი იდგა. ცხელოდა. მცირე ხანს იჯდა ასე გარინდული, მერე მზერა გვერდით მსხდომებზე გადაიტანა. ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისანი თუ იქნებოდნენ გოგონები. სახეალანძული ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ხმამაღლა იცინოდნენ. ვიღაც მაიასა და გურამს ახსენებდნენ წარამარა.

ღიმილმა შეუტოკა ტუჩები.

„ასე მგონია, საუკუნე მაშორებს ახლა ამ გოგონებს... არადა, თითქოს გუშინ ვიყავი მეც ასეთი...“ – გაიფიქრა და იდაყვები მაგიდაზე შემოდო. გოგონები წამოიშალნენ და ქაქანით, ხმაურით გასასვლელისკენ გაემართნენ.

მოღლილად ფეთქდა თითოეული ძარღვი. სჯობდა, არ წასულიყო იმ დისერტაციაზე. თუმცაღა... კაცმა რომ თქვას, რისთვის განიცდის ასე? ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია. მაგრამ ვის, ვის სჭირდება ასეთი, უკაცრაული პასუხია, მეცნიერება?! ნუთუ მარტო მდგომარეობისათვის? ხელფასისათვის?

„შენც ხომ უნდა გაერიო ამ მარაქაში? იქნება სჯობს, სანამ გვიან არ არის, მიაფურთხო ეშმაკს?“

იჯდა. მხრისთავები დაშვებოდა და არაფრისმხედველი თვალებით მინის მიღმა, ქუჩას მისჩერებოდა.

მაღალმა, ლოყებღაჟღაჟა დედაკაცმა დაუდევრად დაუდგა წინ ნაყინიანი ჭიქა და შემდეგ მეზობელი მაგიდისკენ გაეშურა, სადაც ახალგაზრდები ისხდნენ და ლაზღანდარობდნენ. ქალიც ხალისიანად უღიმოდა მათ და თვალებს კეკლუცად ნაბავდა...

დაიაზებით, ნელა ჭამდა ნაყინს და თან უნებურად კითხულობდა მაგიდის პრიალა ზედაპირზე ამოკაწრულ წარწერებს.

უცებ იგრძნო, თავზე ვიღაც წამოადგა. აიხედა.

– შეიძლება? – ძალიან ჩუმად ნათქვამი სიტყვა თითქოს მეხივით გავარდა. გულიდან წამსვე წამოვიდა სისხლის ცხელი ნაკადი.

იგი უკვე პირდაპირ იჯდა და თვალებში შეჰყურებდა.

„როდის ჩამოვიდა? რატომ?“

ინსტინქტურად თმა შეისწორა, მერე სახეზე ჩამოისვა ხელისგული. ლოყები უხურდა. წამით, თითქოს გარედან, სხვისი თვალებით შეხედა საკუთარ თავს და წელში გაიმართა, დაისხიპა.

– დალი... გამარჯობა!

წარბებს ქვემოდან, ქუშად გახედა კაცს. ფერწასულ ტუჩებზე მკრთალი ღიმილი უთრთოდა.

„ნუთუ გაიგო? ან იქნებ...“

ძირს დაიღო მზერა. ბაგე მოიკვნიტა და მაგრად, მაგრად შემოაჭდო თითები პლასტმასის ჭიქას. ანაზდად თვალში ეცა საკუთარი ხელების სითეთრე.

„არა. მე მშვიდად ვარ. ძალიან მშვიდად!“

მისალმების ნიშნად გაღიმება სცადა.

– როგორა ხარ, დალი?

ქალმა მხრები აიჩეჩა. გაურკვეველმა ღიმილმა გაუპო ბაგე. კაცმა კი განაგრძო:

– თუმცა, კითხვა აღარც არის საჭირო... სულ არ შეცვლილხარ! ისევ ისეთი ხარ, როგორიც იყავი!

– მე?. რატომ? – უაზროდ ჰკითხა და კვლავ მაგრად მოუჭირა ჭიქას თითები.

„რომც იცოდეს, მერე რა?.. რა უფლებით...“

– არ ვიცი, რატომ... – კაცი იღიმებოდა თბილად, ალერსიანად, – აი, ხელიც ისეთი გაქვს, ოდნავ ჭორფლიანი...

სწრაფად დაიხედა ხელის მტევნებზე, მერე, უნებურად, სწრაფადვე დამალა ისინი მაგიდის ქვეშ... ირონიული ღიმილით თვალი

მოჭუტა და:

– შენ გგონია, რომ მე ისევ ისეთი ვარ?

კაცმა უხმოდ დაუქნია თავი. იგი კვლავ უწინდელი ღიმილით შესცქეროდა სახეში.

უეცრად სიანჩხლემ წამოუარა. მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და ჯიქურ შეანათა თვალები.

– კი, მაგრამ... რა იცი შენ ჩემზე? ხუთი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, იქნება... იქნება მე... – სიტყვა გაუწყდა.

ანაზდად, კაცმა თავისი ფართო, დიდი ხელი დააფარა ქალის ხელის მტევანს.

– წავიდეთ აქედან, დალი. აქ არ არის ლაპარაკის საშუალება...

– ხელი გამიშვი! მე არაფერი მაქვს შენთან სალაპარაკო.

– მე მაქვს.

– არსადაც არ წავალ აქედან.

– არ გინდა, დალი, მე ისეც დავისაჯე.

– შენ... შენ დაისაჯე?

– ჰო! განა არ იცი?

ქალმა ველარ გაუძლო კაცის მზერას, თვალები დახარა.

– არ იცოდი? – გაუმეორა კაცმა რბილი ხმით, მაგრამ დაჟინებით.

– ვიცოდი... – ძლივგასაგონად ჩაიბუტბუტა ბოლოს ქალმა და მაგიდაზე თითი მოატარა.

– აი, ხომ ხედავ, დალი, შენ არ შეგიძლია ტყუილის თქმა.

– მერე... მერე ეგ არაფერს ნიშნავს, – გამომწვევად შეანათა თვალები.

– შეიძლება. მაგრამ... შემოდგომაზე საბოლოოდ გადმოვედივარ თბილისში და...

– შეუძლებელია! – აღმოხდა უცებ და შეშფოთებული თვალები მიაპყრო.

– გათავებული ამბავია, დალი. ჩვენ უკვე ოფიციალურად განვქორწინდით.

– ღმერთო ჩემო!..

– აი, ასე, დალი.

– შეუძლებელია. შეუძლებელია... – ბუტბუტებდა ქალი სასოწარკვეთილი ხმით და თვალებში უსაზღვრო შიში და შეშფოთება ჩასდგომოდა.

– წავიდეთ აქედან, დალი.

მთვარეულივით მიჰყვა კაცს. გარეთ რომ გავიდნენ, კაცი ფრთხილად წაეტანა მკლავზე:

– ამ სკვერში შევიდეთ, დალი. ცოტა ხნით დავსხდეთ.

– არა, არა. უნდა წავიდე. ახლავე შინ უნდა წავიდე.

– კარგი. მაშინ მიგაცილებ სახლამდე.

– არ არის საჭირო!..

– გთხოვ...

– არა-მეთქი. არ მინდა.

კაცი მისკენ დაიხარა, მაგრად, მაგრად მიიკრა ქალის მკლავი და ჩასჩურჩულა:

– არ გინდა, ჩემს გვერდით დაგინახონ, არა?

ქალს კვლავ გაექცა მზერა განზე. ფეხს აუჩქარა.

„ნუთუ იცის? არა. დაემთხვა, უბრალოდ. გონება უნდა მოვიკრიბო. ღმერთო, მიშველე!"

– მე წავედი, ვახტანგ, კარგად იყავი, – სწრაფად შეტრიალდა და ტროლეიბუსისკენ გაიქცა.

კაციც აჰყვა. ხალხით გაჭედილ ტროლეიბუსში ქალი ამაოდ ცდილობდა ისე დამდგარიყო, რომ როგორმე არ გაჰკარებოდა. მან ბეჭებზე ხელი შემოხვია ქალს და იმდენი ეცადა, უკანა ბაქანზე, კუთხეში მიაყენა.

დალი რკინის სახელურს ჩაეჭიდა ორივე ხელით. სულთქმაშეკრული, დაძაბული იყურებოდა ფანჯარაში და გრძნობდა, როგორ თრთოდა მის ზურგზე კაცის მძიმე, ცხელი ხელი. უნდოდა ეთქვა, ხელი აიღეო და ხმა არ ამოსდიოდა პირიდან, ენა არ ემორჩილებოდა.

უცებ კაცმა სახელურს ჩაფრენილ ქალს ნელა გაახსნევინა შემოჭერილი თითები. დალის უნებური ღიმილი მოჰგვარა თავისი მოკრუნჩხული და გაწითლებული ხელის დანახვამ, მერე ისევ შეიკრა შუბლი და სცადა, ხელი გაეთავისუფლებინა. მან არ დაანება.

სწრაფად ახედა. იმხელა სინაზე და ნაღველი ჩაგუბებულიყო კაცის თვალებში, გული შეუქანდა. წამწამები აუხამხამდა და საოცრად უმწეო, დაბნეული ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე!

„ღმერთო ჩემო! როგორ უხდება ეს თეთრი პერანგი. სულ არ შეცვლილა, თმაც ძველებურად უზზინავს, თუმცა ჭაღარა გამორევია".

– გამატარე, უნდა ჩავიდე.

– ნელა, ნელა. არ ჩავარდე.

გაჩერებასთან არავინ იყო ერთი ხნიერი დედაკაცისა და პატარა გოგონას გარდა. ბინდდებოდა, მაგრამ ქუჩაში შუქი ჯერაც არ აენთოთ.

დალი მტკიცე იერით მოუბრუნდა:

– ნუ გამომყვები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი უცებ ხელში სწვდა და ისე მოუჭირა, რომ ქალმა ძლივს შეიკავა კივილი. მეორე წამს ტუჩებთან მიიტანა ქალის ხელი და ნაზად დაუწყო კოცნა თითებზე:

– გატკინე?.. მაპატიე, მაპატიე, ძვირფასო...

ქალი დაძაბული იდგა და დუმდა.

– კარგი. რახან არ გინდა, არ წამოვალ, – უცებ მორჩილი ხმით უთხრა კაცმა და ხელი შეუშვა: – მაგრამ ხვალ მოვალ, ხვალ განახავ, უეჭველად. ხვალ რომ შეიძლება, დალი? შენთან სალაპარაკო მაქვს, აუცილებლად უნდა განახო. რატომ მიყურებ ასე? ნუთუ ერთ საათს ვერ გაიმეტებ ჩემთვის?

„არა. არაფერი იცის".

ქალი თითქოს ქანდაკად იქცა. გაუნძრევლად იდგა, სახეგაყინული. მერე შეირხა, თვალებში მიაშტერდა. მცირე ხანს უყურებდა ასე დაჟინებით. მერე თავი დაიქნია ძლივშესამჩნევად:

– კარგი, ვახტანგ, წამოდი. რაც სათქმელია, ბარემ დღესვე ითქვას.

* * *

– ესეც შენი საბუდარი... – კაცი ზღურბლზე იდგა და ოთახს ჩუმი ღიმილით ათვალიერებდა.

– როდის ვიყავი აქ პირველად? პირველად და უკანასკნელად? ექვსი წლის წინ! ექვსი წელი... – კაცი თითქოს თავისთვის, ხმამაღლა ფიქრობდა. იგი გონებაში წარმოსახულ სურათს ჩაჰკვირვებოდა და ადგილიდან არ იძვროდა.

– შემოდი, ვახტანგ! – ქალმა გვერდი აუარა და ოთახში შევიდა. ცდილობდა, თამამი, უშფოთველი იერი ჰქონოდა სახეზე, თავისუფალი, ლაღი მიხრა-მოხრა, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ მაინც დაძაბული იყო. ამის შეგრძნება კი ძალაუნებურად უფრო ბორკავდა შინაგანად და ანერვიულებდა.

ქალმა სკამი გამოსწია.

– დაბრძანდი, ვახტანგ! – შეეცადა მზერა გაესწორებინა კაცისთვის. იგი კვლავ კარს მიყრდნობოდა და ისევ ისე იღიმებოდა ნაღვლიანი ღიმილით.

– შენი საბუდარი... – გაიმეორა და ოთახს მიმოავლო მზერა. უცებ სახე შეეცვალა. ღიმილი ტუჩებზე შეეყინა.

– თეთრი კაბა?.. საქორწინო კაბა?!. თეთრი ფატა... – ტახტისკენ წაიწია. მერე შედგა. მობრუნდა. თვალი თვალში გაუყარა ქალს.

დალის ახლა მშვიდი სახე ჰქონდა, მეტისმეტად მშვიდი. დაბნეულობამ და მღელვარებამ გაუარა. თვითვე ეოცა ეს ამბავი.

„ნუთუ? მართალია?" – უსიტყვოდ, მაგრამ მძაფრი მზერით ეკითხებოდა კაცის თვალები.

ქალმა უსიტყვოდვე უპასუხა: „ჰო, მართალია!"

კაცი ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო, თავი დახარა. სიჩუმე ჩამოწვა. მძიმე სიჩუმე.

– როდის? – კარგა ხნის მერე გაისმა კაცის გაბზარული ხმა.

– კვირას ვაწერთ ხელს, – ქალიც თავდახრილი ორივე ხელით ჩასჭიდებოდა სკამის საზურგეს.

– ჰოო? – „კვირას?.. დღეს პარასკევია..."

ისევ სიჩუმე.

მერე კაცი საფერფლეს მისწვდა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა.

– გიყვარს? – ირიბად გახედა ქალს.

– ჰო.

– ძალიან?

– ძალიან! – „არ ვტყუი. მაშ, რატომ მიჭირს თვალის გასწორება?"

კაცი გაჩუმდა. სიგარეტი ამოიღო. აუჩქარებლად მოუკიდა, მაგრამ ქალმა შეამჩნია, ხელები უკანკალებდა.

– დიდი ხანია, იცნობ? – სიგარეტი მოქაჩა.

– ერთი წელია.

– ვინ არის?

– ალპინისტია. ისე, არქიტექტორია, – „დაკითხვას მიწყობ?" – უნდოდა ეკითხა და ენის წვერზე დაიჭირა სიტყვა.

– აქაურია?

– ჰო.

ისევ დადუმდნენ. კაცს ჩამქრალი სიგარეტი შერჩენოდა ხელში.

ქალს პირდაპირ შეხედა. გაღიმება სცადა.

– არ მეგონა...

– რა?.. რა არ გეგონა?

მხრები აიჩეჩა.

– არ გეგონა, რომ ხუთი წელი არ დავჯდებოდი და არ გიგლოვდი, არა?!

ქალს თვალები აენთო, გამკილავმა ღიმილმა ტუჩები შეურხია. კაცმა ჩამქრალი სიგარეტი ხელში მოჭმუჭნა, თან ქალს თვალს არ აცილებდა. მერე მძიმედ, სვენებ-სვენებით ამოთქვა:

– არა, დალი. განა არ ვიცი, რომ ახლა ხუთ წელს კი არა, ხუთ დღეს არ გლოვობენ. მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა...

– ისე... მე მგონი, კიდევ შეიძლება ლენინგრადში დაბრუნება და საქმის გამოსწო-

რება...

ანაზდად სიტყვა გაუწყდა ქალს. კაცის მზერამ გააჩუმა. აილეწა და, უხერხულობის გრძნობა რომ დაეფარა, შეტრიალდა, კარადასთან მივიდა.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა. სადღაც შიგნით ყველაფერი აიწეწ-დაიწეწა.

„რატომ მოვიყვანე, რატომ?.. მაგრამ არ მეგონა... რა, რა არ გეგონა?“

– არ დამლოცავ, ვახტანგ?

„უნდა დავწყნარდე, უნდა დავწყნარდე... არ შეიძლება ასე... გონს მოდი!“

– ო, რასაკვირველია, დალი!

ქალმა შოკოლადითა და ხილით სავსე ლარნაკი და კონიაკის ბოთლი შემოდგა მაგიდაზე. ჭიქები გამოიღო. კაცმა კონიაკი გახსნა და თვითონ შეავსო ჭიქები... პირთამდე გაპიპინებულ ჭიქას ერთხანს მდუმარედ დაჰყურებდა, მერე ასწია:

– ბედნიერი იყავი, დალი!.. მე მინდა, ბედნიერი იყო! – უცებ ხმა გაებზარა. ჩაახველა. მერე გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ტუჩები არ დაემორჩილა. ისევ ჩაიწმინდა ყელი.

ქალიც მომეტებული ყურადღებით დასცქეროდა თითებში მომწყვდეულ ჭიქას. მერე... მადლობელი ვარო, წაიდუდუნა და ჭიქა ისევ დადგა მაგიდაზე.

– ცოტა მაინც მოსვი...

– არა უშავს. შენს სადღეგრძელოს დავლევ სამაგიეროდ... ეს შენ გაგიმარჯოს!

–გმადლობ, დალი...

ქალმა სანახევროდ მოსვა ჭიქა. მერე გაუღიმა კაცს, აი, ხომ ხედავ, რამდენი დავლიეო, უსიტყვოდ უთხრა. კაცმა კვლავ მადლობა გადაუხადა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ, ყოყმანით წამოიწყო:

– ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, დალი! – ჭიქები კვლავ შეავსო: – შენს ქორწილში ვერ მოვალ. ეგ შენც კარგად იცი... – წამით ისევ იყუჩა: – მინდოდა, იცი... მინდოდა, მენახე... როგორ გამოიყურები საქორწილო კაბაში... სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, ახალი ამოიღო, მოუკიდა: – მინდა, შეგხედო. ერთხელ დაგინახო ასეთ და... მაშინვე წავალ. დედის სულს გეფიცები, მაშინვე წავალ. გთხოვ დალი, ძალიან გთხოვ!

ქალმა გვერდზე გადახარა თავი და ეშმაკურად მოჭუტული თვალებით შეხედა კაცს სახეში.

ო, ეს ნაცნობი, ესოდენ საყვარელი მოძრაობა. ვახტანგმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ დაეგმინა.

თითქოს მთელი საუკუნე გაგრძელდა ეს დუმილი, მთელი საუკუნე:

– კარგი, ვახტანგ, ჩავიცვამ! – უბრალოდ თქვა ქალმა.

აქამდე დალი თითქოს მექანიკურად მოქმედებდა.

„რისთვის მოიყვანე სახლში? რისთვის? შეგეშინდა, ხელი არ შეეშალა? ან იქნებ... გინდოდა, შენი შურისძიებით დამტკბარიყავი? ან იქნებ...“

შეხვედრის წამიდან აქამდე თითქოს ბურანში იყო და მაინც წუთითაც არ დაჰკარგვია საკუთარი თავის, საკუთარი ძალისადმი რწმენა, იცოდი, საჭირო შემთხვევაში ყოველთვის შეძლებდა მოეთოკა კაცი. ისიც იცოდა, უფრო სწორად, გრძნობდა, რომ უპირატესობა ყოველთვის ქალის მხარეზე იქნებოდა. კაცის მუდარამ, მისმა საცოდავმა ღიმილმა წინააღმდეგობის ძალა წაართვა. ესეც არ იყოს, თავადაც იზიდავდა ბეწვის ხიდზე სიარული. თითქოს რაღაც ბავშვურმა ჟინმა შეიპყრო.

როცა ჩაცმულმა სარკეში ჩაიხედა, გაოცდა. ასე მშვენიერი, ალბათ, არასდროს ყოფილა.

იგივე ამოიკითხა კაცის თვალებში. წამით უაზროდ, დაბნეულად შეჰყურებდა. მერე სწრაფად შებრუნდა, თითქოს გაქცევა უნდაო, მაგრამ კაცმა უეცრად ხელში სტაცა ხელი.

– ბეჭედი? სად არის ბეჭედი?

კაცი თვითონვე დასწვდა ტრელიაჟზე დადებულ კოლოფს. სასწრაფოდ გახსნა.

– ნუ, ნუ, ვახტანგ!.. არ გინდა, ახლა წადი...

– მოიცა, შენი ჭირიმე, ცოტა ხანს მაცალე, – და თითქმის ძალით წამოაცვა ბეჭედი თითზე. მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ისე, რომ ხელი არ შეუშვია. შეგუბებულ ვნებას აფრქვევდა კაცის თვალები.

– ნამდვილი დედოფალი ხარ ახლა. თეთრი და ნაზი დედოფალი. იცი, რამდენჯერ წარმომიდგენიხარ ასეთი, სწორედ ასეთი. ო, დალი...

* * *

– რაზე ფიქრობ?

კაცმა წამოიწია, ხელები შემოხვია და სახეში ჩააცქერდა.

ქალმა თვალები მოხუჭა. სუსტმა ღიმილმა შეუტოკა ტუჩები.

იგი ფრთხილად შეეხო ცხელი ტუჩებით ქალის საფეთქელს, ყვრიმალს...

- ასე უნდა მომხდარიყო...

- მაშინაც, ერთი კვირით გვიან რომ ჩამოსულიყავი, არა? - ქალს ახლა მწარე ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

- ამას მნიშვნელობა არა აქვს.

- რა თქვი? მნიშვნელობა არ აქვსო?

- ჰო, თუნდაც ათჯერ ყოფილიყავი გათხოვილი, ჩვენ მაინც ერთად ვიქნებოდით საბოლოოდ. გესმის? ასე იქნებოდა. ასე ინება განგებამ.

- რომც არ მყვარებოდი, მაინც?

- ჰო, მაინც, მაინც. თავს შეგაყვარებდი.

- აი, თურმე რა თავდაჯერებული კაცი ყოფილხარ.

- ვისწავლე. ცხოვრებამ მასწავლა.

კაცი ფრთხილად, სათუთად კოცნიდა ქალის სახის ყოველ ნაკვთს.

- გამიშვი... გეყოფა...

- არ გაგიშვებ, არ შემიძლია... - ჩურჩულებდა კაცი.

... მერე ისევ ჭერს შესცქეროდა ქალი ფართოდგახელილი თვალებით. კაციც გარინდებულიყო, თუმცა უჩუმრად თვალი ქალისკენ ეჭირა.

ტელეფონის ზარის ხმამ ორივე შეაკრთო. წამით დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ზარის წკრიალს. მერე ერთმანეთს შეაჩერდნენ. კაცი ყურმილს გადაწვდა, ხელი დააფარა და ქალს მოხედა:

- ავიღო? - რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა.

- არა. თუმცა, ჰო... მომეცი.

კაცმა ყურმილი გაუწოდა.

ქალი წამოჯდა. შიშველ მკერდზე უნებურად აიფარა ხელი და ყურმილი გამოართვა.

- გისმენთ!

- როგორა ხარ?

ქალმა თვალები მოხუჭა.

- ალო, ალო... - გაისმა ყურმილში შეშფოთებული ხმა.

- ჰო... გისმენთ...

- მეგონა, გაითიშა. როგორა ხარ?

სახეზე ალმური წაკიდებოდა ქალს. ტუჩები ნერვულად უთრთოდა.

მაჯაზე ხელის მოჭერა იგრძნო. კაცი წამომჯდარიყო და ცდილობდა, თვალებით გაემხნევებინა. განწირული მზერა შეაწყვეტა კაცს.

- ალო, ალო... - გაისმა ისევ ყურმილში.

- გისმენ, მერაბ... - გაგანიერებულ თვალებს არ აცილებდა კაცის თანაგრძნობიან და ალერსიან სახეს.

- ეს ოხერი, ითიშება ტელეფონი, რას შვრები, როგორა ხარ დალიკო?

- ისე, რა... ვარ... თავი მტკივა ცოტა.

- მერე? დალიე რამე?

- კი, დავლიე. გამივლის მალე.

- ბანკეტზე არ ყოფილხარ? მე მეგონა, ჯერაც იქ იქნებოდი. ისე დავრეკე, სასხვათაშორისოდ.

- აღარ წავედი. დაცვიდან სამსახურში მივბრუნდი. მერე შინ წამოვედი... ძალიან დავიღალე...

ისეთი ხმა გაქვს... მართლა ცუდად ხომ არა ხარ?

- არა. არაფერია... იმ სულელურმა დისერტაციამ გამასავათა.

- გინდა გამოგიარო?

- არა, არა უკვე ვწევარ.

- ასე ადრე?

- ძალიან დავიღალე... და ადრე ჩავწექი.

- კარგი, დაწყნარდი. მეც ნერვები მაქვს მოშლილი. კვირამდე ალბათ, სულ დამაწყდება ძარღვები... ჰო, მართლა, ბეჭედი როგორ მოგეწონა?

- მომეწონა...

- როგორ მენატრები, იცი? ასე მგონია, ერთი დღე კი არა, საუკუნეა, არ მინახიხარ... ალბათ, გუნებაში დამცინი ახლა არა, დალიკო?

- არა.

- ვერ წარმოიდგენ, რა კარგი გოგო ხარ...

- მერაბ...

- ჰო, გენაცვალე?

ქალი გაჩუმდა, გახურებულ ლოყებზე ხელი მიიდო.

- რა იყო, დალი? რა გინდოდა გეთქვა?

- იცი, რა... მერაბ, ძალიან მტკივა თავი. მაპატიე. ხვალ დილით მე თვითონ დაგირეკავ. ახლა როგორმე უნდა დავიძინო. კარგად იყავი. მაპატიე...

ყურმილს ხელი შეუშვა და უკან გადავარდა. კაცმა ყურმილი მილაკზე ფრთხილად დადო და ქალისკენ დაიხარა. დალი ახლა პირქვე იწვა და ბალიშს ჩაფრენოდა. კაცმა ათახთახებულ მხრებზე ხელი გადახვია.

- დაწყნარდი... დაწყნარდი... ჭირიმე... - ეჩურჩულებოდა და ეფერებოდა. - ჩემი კარგი გოგო...

ქალმა უცებ თავი ასწია, ბალიშს ხელი

დაჰკრა:

– ნუ ამბობ ასე. ნუ ამბობ. მე ცუდი ვარ, ცუდი, საზიზღარი...

– კარგი, დალი, არ გინდა...

– ვარ-მეთქი. ვარ! – გაბრაზებით, ჭირვეულად წამოიძახა ქალმა და ცრემლიანი სახე კვლავ ბალიშში ჩამალა.

კაცმა გულაღმა ამოაბრუნა, თვალები დაუკოცნა. ქალი გაყუჩდა. მერე აჩურჩულდა:

– მას ისე სჯერა ჩემი, ისე სჯერა! და ვუყვარვარ... ისე ვუყვარვარ. მე კი, გესმის? მე კიდევ...

– მესმის, ყველაფერი მესმის, დალი. მაგრამ რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო.

– ჰოო?.. სად იყავი აქამდე? რატომ არ გამოჩნდი, რატომ? თუკი...

– ხომ იცი, რომ ვერ დაგენახვებოდი.

– რატომ, რატომ?

– დალი, დაწყნარდი. მერე ვილაპარაკოთ ამაზე. ახლა ვერაფერს დაგაჯერებ.

– ვერ დამაჯერებ იმიტომ, რომ სტყუი.

– დალი!

– ჰო, სტყუი, სტყუი. რატომ არ შეიძლებოდა, აბა, რატომ?

– დალი! – კაცი მხრებში სწვდა ქალს და შეანჯღრია: – შენ თავს ჰკითხე, რატომ? გამიკარებდი? გამიკარებდი-მეთქი? ერთხელ ხომ გამაგდე და... მერე კარგად იცი, რაც მოხდა. მე კიდევ ველარ ვბედავდი. გინდა, სიმართლე გითხრა? მეშინოდა. მეშინოდა, სულ არ დამეკარგე.

კაცი მოწყვეტით დაეშვა საწოლზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და გაჩუმდა.

ქალიც დუმდა. აღარ ტიროდა.

– შემოდგომა იყო, მახსოვს, ოქტომბრის პირველი ნახევარი, – წყნარი ხმით წამოიწყო კაცმა, – შენ სამსახურიდან გამოხვედი. წითელი ჯემპრი გეცვა. ვიღაც კაცი გახლდა. ჩანთა ვტგივარდა და სანამ კაცი დაიხრებოდა, შენ დაასწარი. იცინოდი. გულიანად იცინოდი. მერე მანქანა გააჩერეთ, ჩასხედით და წახვედით... ერთხელ კიდევ მახსოვს, ქარი იყო. დიდხანს იდექი გაჩერებსთან. მერე მოპირდაპირე გაჩერებაზე დააპირე გადასვლა. თან თავზე იფარებდი ხელს. უცებ მანქანამ შენს ფეხებთან დაამუხრუჭა, კინაღამ გაგიტანა...

– ო, ღმერთო ჩემო... ნეტავი გავეტანე...

„კინოდან გამოსული ხალხის ტალღამ ჩემთან მოადგო. მის თვალებს შევეფეთე. ირგვლივ ყველაფერი სადღაც გაქრა, ჩაინთქა. იყო მხოლოდ ის თვალები, დიდი, ფართოდ გახელილი, მავედრებელი თვალები...

და ვიყავით ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ორნი.

სხვა აღარავინ არსებობდა გარშემო.

ალბათ, სულ წამის ამბავი თუ იყო ესსულ ერთი წამის. მე კი მეგონა, უსაშველოდ დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს.

მერე, მერე ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც შევძელი და თვალები ავარიდე. შუბლი შევიკარი.

და მან ველარ მობედა ჩემთან. ველარ!

ღამე კი საწოლზე დამხობილი ჩემთვის, მარტო ვტიროდი. ვტიროდი ჩემს თავს, დაკარგულ წლებს. გაცრუებულ იმედებს, აუხდენელ ოცნებებს, ვტიროდი ჩემს მარტოობას. ვტიროდი იმას, რომ თავის დროზე ვერ ვაპატიე შეცდომა იმას, ვინც მიყვარდა...“

* * *

წვიმის შხაპუნი გაისმა. თავი წამოსწია...

– წვიმს?

ერთბაშად დაუშვა. იქვე, სოფაზე დაგდებულ ხალათს დასწვდა. შიშველ ტანზე მოიხურა. კაცი მალულად უთვალთვალებდა მის ყოველ მოძრაობას.

– ფანჯარას მივხურავ.

– რას გიშლის? იყოს.

– შემოაშხეფებს.

თქეში იყო. თითქოს გაერთმთლიანდა ცა და დედამიწა. უკუნი იდგა, მინას მიადო შუბლი.

– აუ, რას წვიმს... ცა ფეხად ჩამოდის! – ჩაიჩურჩულა და ხალათი უფრო მჭიდროდ შემოიხვია. იელვა. მერე დაიგრუხუნა. ელვა შოლტავდა ცას.

ისევ დაიგრუხუნა.

კაცი იწვა და შეჰყურებდა ფანჯარასთან მდგარ მხრებაწურულ, გაყუჩებულ ქალს. ქუჩის სინათლე ბუნდად ანათებდა ოთახს.

და ის წვიმიანი დღე დაუდგა ახლა თვალწინ.

* * *

„იმ დღესაც ასე უცებ მოვარდა ღვართქაფი. და ერთბაშად დაცარიელდა ქუჩები.

ჩვენ კი ხელიხელჩაკიდებულნი მივაბიჯებთ და ფიქრადაც არ მოგვდის, თავი შევაფაროთ სადმე.

მივდივართ შუა ქუჩაში, ვსველდებით უღმერთოდ და ვიცინით, ვკვდებით სიცილით. უცებ დალიმ ფეხსაცმელი გაიძრო და ხელში

დაიჭირა.

საცა გუბეს ნახავს, მიირბენს, ჩაჰკრავს შიგ ფეხს და კისკისებს, კისკისებს გულიანად, გადამდებად, მერე თავს ოდნავ გვერდზე გადახრის და ისე გამომხედავს. თვალებში ათი ათასი ჭინკა ჩასხდომია.

მერე ორივენი გავრბივართ ახალ-ახალი გუბისკენ. კანტიკუნტად ჩავლილი მანქანა უხვად გვაშხეფებს წყალს, ჩვენ ვიწუწებით და ვკვდებით სიცილით.

ჩემს წყლით გაჟღენთილ პიჯაკს ვიხდი და ბეჭებზე ვახურავ. ახლა ამაზე ვიცინით. ვდგავართ შუა ქუჩაში, შევცქერით ერთმანეთს და ვიცინით.

წვიმა კი შეუწყვეტლივ, გულდაგულასხამს და წყალი წურწურით ჩამოგვდის ტანზე.

- დალი, გავიქცეთ!

გავრბივართ: ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ. კოჭებამდე წყალში მივტოპავთ. ქუჩებში რუები მოედინება, თანდათან მატულობს წყალი.

დალის პიჯაკი ძირს უვარდება.

პიჯაკს მივაკონწიალებ და გავრბივართ. აი, მისი სახლის შესასვლელიც. სიცილ-ხარხარით შევრბივართ.

კიბის თავთან შევდექით. სული მოვითქვით. დალის ტუჩები გალურჯებია, სახე გადასტეტკია, თუმცა თვალები ისევ ისე ეშმაკურად უცინის.

ერთიანად ძაგძაგებს შეციებული. შიში მიპყრობს.

- შედი ახლავე სახლში, გამოიცვალე, - ვეუბნები მკაცრად.

- სულ არ მცივა, - იხტიბარს არ იტეხს და იცინის: - რა კარგი იყო, არა?

- გაიქეცი, გაცივდები.

- შენ? ასე სად უნდა წახვიდე? ვაიმე, რას ჰგავხარ. როგორ ხარ გალუმპული.

- ჩემი ფიქრი ნუ გაქვს. დეიდაჩემთან მივირბენ.

ერთმანეთს სახეში შევცქერით. მხრებზე ჩამოშლილ სველ, დამძიმებულ თმაზე ხელს ვუსვამ, მერე სახეზე შერჩენილ წვიმის წვეთებს ხელით ვუწმენდ.

სინაზე მარყევს, უსაშველო სინაზე... და სიბრალული. ახლა ის ჩემთვის რატომღაც სულ პატარა გოგოა, რომელსაც სათუთად უნდა მოეფერო, მოუალერსო.

ლოყაზე ფრთხილად ვკოცნო:

- ახლა გაიქეცი!

- დალი!

ქალი კიდევ მცირე ხანს იდგა ფანჯარასთან, მერე ნელი ნაბიჯით წამოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა. თავისებურად, განზე გადახარა თავი და ისე დააცქერდა კაცს.

- იცი, ის დღე მომაგონდა, წვიმაში რომ მოვდიოდით. გახსოვს? - რატომღაც ჩურჩულით უთხრა ქალმა.

- მეც ის დღე გამახსენდა ახლა! - ჩურჩულითვე თქვა კაცმა.

- გახსოვს, რომ ვიჩხუბეთ...

- მოდი, ჩხუბს ნუღარ გავიხსენებთ, კარგი? - როგორღაც ბავშვურად სთხოვა კაცმა.

დალიმ არაფერი უპასუხა, მაგრამ გონებაში სწრაფად აღადგინა ის სურათი.

„- ტელეფონის დაჟინებულმა წკრიალმა საწოლიდან წამომაგდო.

- ალოო...

- დალი... მე ვარ.

- ოჰ, ვახტანგ...

- ხომ არ მიბრაზდები?

- რატომ უნდა გიბრაზდებოდე?

- კინაღამ რომ გაგაცივე გუშინ.

- მე მეგონა, შენ წუხელ წახვედი.

- ფრენა არ იყო... გაგაღვიძე, არა?

- კი.

- მძინარა ხარ და ზარმაცი.

- როდის მიდიხარ?

- ახლა. ერთ საათში.

- ჰოო?

- გიხარია?

- ძალიან.

- ვიცი.

- რა იცი?

- ვიცი, რომ გიხარია.

- რა სულელი ხარ.

- გმადლობთ.

- არაფერს.

მეცინება. მართლა სულელია ეს ბიჭი. და საერთოდ, რატომ არიან ბიჭები ასეთი მიუხვედრელები?

- რა გაცინებს?

- შენზე მეცინება.

- ძალიან სასაცილო ვარ?

- აბა!

წუხელ მართლა, ხომ არ გაცივდი?

- არა. შენ?

- მე ეგრე ადვილად არ ვცივდები.

- ჰო, მართლა, თქვენ ხომ მაგრები ხართ. ბიჭები.

- იცი, ახლა ძალიან, ძალიან მინდა გაკოცო... გესმის, ძალიან მინდა.

– ჰოო? – მეც მომერღვა ხმა.

– ახლა თუ გინდა გამიჯავრდი, იკივლე, იწივლე. ქვეყანა შემიყარე. მაინც გაკოცებ. გავიტრუნე.

– როგორ არ მინდა ახლა იმ ნისლიან ლენინგრადში წასვლა...

– ვინ გაძალებდა? რას გადაიკარგე თავი? – ვამბობ და ვხვდები, რომ გული ვატკინე და მაინც, თითქოს ეშმაკი შემიჯდა ტანში, იმავე კილოთი განვაგრძობ:

– რა უშავს. იქ ხომ მოუთმენლად მიგელიან. რა ჰქვია შენი დიასახლისის ქალიშვილს?

– კარგი. არ გინდა.

– რატომ? აკი ძალიან უყვარხარ?

– შენ ვინ გითხრა?..

– რატომ დაიბენი?

– კარგი, მოეეშვათ ამას.

– ამბობენ, შესანიშნავი გოგონააო. ლამაზი, ჭკვიანი.

– ჰო, კარგი. გეყოფა. ყოველ შემთხვევაში, შენისთანა უგულო არ არის. არც კერპია შენსავით.

– თუ ასეა, შენც იმ გულკეთილ გოგონასთან მიბრძანდი. ჩემთან რაღა გინდა?

ყურმილი გაბრაზებით დავახეთქე. თვალთ დამიბნელდა.

ასეა. არ შეიძლება ბედნიერი წუთები არ ჩაგმწარდეს... ჩემი ბრალი კია, მე რომ არ წამომეწყო...

თუმცა, თვითონაც რას გამიწყალა გული? უგულო ხარო, გულქვა ხარო.

ტელეფონი დაჟინებით რეკავს. არა. არ ავიღებ. რეკოს რამდენიც უნდა.

მერე ჩუმდება ტელეფონი და საკუთარი გულის ბაგაბუგი მესმის გარკვევით.

ახლა თუ დარეკა...

ახლა თუ დარეკა, დაველაპარაკები.

სულთქმაშეკრული ველოდები.

არავინ რეკავს".

* * *

– მოიწყინე? ხომ გითხარი, ნუღარ გავიხსენებთ-მეთქი, ჩხუბს.

– იცი, ვახტანგ, ერთი საოცარი სამხრეთამერიკული სიმღერა მაქვს: ზღვის სიმღერა ჰქვია. გინდა, მოგასმენინო. გინდა?

– მინდა.

კაცი კვლავ ალერსიანი ღიმილით შეჰყურებდა უცებ გახალისებულ ქალს.

დალი წამოდგა, სწრაფად მოძებნა ფირფიტა, რადიოლაზე დადო. მერე ტახტზე მოიკალათა, მოსასმენად მოემზადა.

– დალი, მოდი აქ.

– აქ მირჩევნია.

– გთხოვ...

– არა, არა. აქ ვიქნები. უსმინე. იწყება.

კაცი წამოიჭრა, ერთი ნახტომით გაჩნდა ქალთან, ხელში აიტაცა და, წინააღმდეგობის მიუხედავად, საწოლისკენ წაიყვანა.

– ასე. ახლა მოვუსმინოთ!

...ქალის ჟრუანტელის მომგვრელი ხმა ზღვის მოქცევასავით შემოიჭრა ოთახში. ჯერ ტალღების ჩუმი შარიშური იდგა, მერე თანდათან იმატა სიმძაფრემ და ხმაურმა და თავზეხელაღებულშლეგურ სიცილ-ტკარცალში გადაიზარდა. მერე ისევ, ერთბაშად ჩუმ დღრინვამდე დაეშვა – კმაყოფილნი და ბედნიერნი ჩურჩულებდნენ ზღვის ტალღები, ღუღუნით ეალერსებოდნენ ნაპირს. მერე ჩუმადვე უკან მიიკრიფებოდნენ დარცხვენილნი.

უსაზღვრო, უნაპირო ზღვის სილურჯეს მოეცვა მთელი სამყარო და უსაზღვრო, უნაპირო წადილით და ვნებით გაევსო ყოველი სულიერი თუ უსულო არსება.

მერე... ოქროსფერი, მსხვილი წვეთები აწვიმდა ზღვის ზედაპირს და თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ და ბზინავდნენ წვიმის წვეთები. ციმციმებდნენ, კაშკაშებდნენ... დალის ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლები და ისევ წარსულის სურათი ცოცხლდება მის თვალწინ:

„...დივანზე ვზივარ ფეხმოკეცით და დანისლულ სარკმელს მივჩერებივარ. კალთაში წიგნი მიდევს. ახლახანს წაკითხული სტროფები მიტრიალებს გონებაში და... მაფორიაქებს.

ზარის ხმა მარკვევს ზმანებიდან...

ზღურბლზე ვახტანგი დგას. პალტოს ბეწვიანი საყელო აწეული აქვს, თავზეც ბეწვის ქუდი ახურავს და... იღიმება, ფრთხილი ღიმილით იღიმება...

მოულოდნელობისგან სახტად დარჩენილი ხმის ამოღებას ველარ ვახერხებ.

– გამარჯობა დალი. სტუმარს მიიღებ?

– ღმერთო ჩემო, ვახო?.. საიდან, როგორ... მობრძანდი... მობრძანდი... რა საოცარია, სწორედ შენზე ვფიქრობდი ახლა და... – უცებ გავჩუმდი, ენაზე ვიკბინე.

კარს მიყრდნობილი ბიჭი უცნაური ღიმილით მიყურებდა.

– მართლა ფიქრობდი ჩემზე, დალი? – ბოლოს ამოთქვა წყნარი ხმით ისე რომ მზერა არ მოუცილებია.

– პალტოს არ გაიხდი? – ავუაცურდი, რომ დაბნეულობა დამემალა. მან უსიტყვოდ გაიხადა პალტო, ქუდიც მოიხადა.

– აი, თურმე სად ცხოვრობ! – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, როცა ისევ შემოვბრუნდი ოთახში. – ეს ის ოთახია ბიძაშენმა რო დაგიტოვა?

– ჰო, – თავი დავუქნიე, ჯერაც არეულმა.

– თვითონ მგონი რუმინეთშია, არა?

– კი, საელჩოში მუშაობს.

– მეცადინეობდი? ხელი შეგიშალე?

– არა, რას ამბობ! – მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი წიგნები და რვეულები ერთად შევაქუჩე, – დაბრძანდი, ვახტანგ. როდის ჩამოხვედი? ახლა? აეროპორტიდან მოდიხ-არ? მაშინ გშიება. რაღაც-რაღაცები მაქვს...

– ნუ წუხდები. აეროპორტის რესტორანში ვისადილე. არაფერი არაა საჭირო, – დივანზე ჩამოჯდა. ერთხანს ორივე ვდუმდით.

– რა ჰქენი, დალი? წაიკითხე მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე? – მკითხა უცებ საქმიანი კილოთი: – შენ მწერდი...

– რა ხანია, ჯერ კიდევ ოქტომბერში.

– მერე, კმაყოფილი ხარ?

– ისე რა, მგონი მოსკოვში აგზავნიან.

– ოჰო, მომილოცავს. მაშ, სერიოზულად მოჰკიდე ხელი მეცნიერებას?..

– არ ვიცი. ვნახოთ.

– რაო, ეჭვი გეპარება? რატომ? შენ ხომ ძალიან გიყვარს ისტორია, არქეოლოგია, კვლევა-ძიებაც გეხერხება თურმე...

– იცი... როგორ გითხრა? მართალია, მიყვარს, მაგრამ... სიყვარული მარტო არ კმარა, არც ნიჭიერება. ფანატიკური შრომისმოყვარეობაა საჭირო, მე კი... შინაგანად მაინც ზარმაცი ვარ და კირკიტი და ჩხრეკა-ძიება მბეზრდება ხოლმე. ესეც არ იყოს, აქვს აზრი? რა დიდი მეცნიერი მე უნდა დავდგე!

– მიზნის მიღწევის სურვილი მაინც უმთავრესია, ჩემი აზრით, – ჩაილაპარაკა და ფანჯარასთან მივიდა.

– ამაღამ, მგონი, მოთოვს, – თქვა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ.

– კარგია, თოვლი მოგვენატრა.

– მე კი თოვლმა და ნესტმა მომაბეზრა თავი...

მაგიდაზე მეწყო ორივე ხელი და მეც ფანჯარაში ვიყურებოდი. დაბნეულობამ თითქოს გამიარა, თუმცა გული კვლავ გამალებით მიცემდა.

ვახტანგი ფანჯარას მოსცილდა, ჯიბე მოიჩხრიკა, სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

– შეიძლება მოვწიო, დალი?

– რასაკვირველია.

სიგარეტი პირში გაიჩარა.

– ასანთი გექნება. ჩემი გამოლეულა.

– ახლავე.

სამზარეულოში შევედი. კარადის სარკეში წამით ჩავიხედე, თმა შევისწორე.

მერე გახურებულ ლოყებზე ორივე ხელი მოვისვი. მესიამოვნა ხელების სიგრილე.

ოთხი თვეა, წერილი არ გამოუგზავნია, არც დაურეკავს. მართალია, ნაწყენი წავიდა მაგრამ...

ახლა... ახლა ასე უცებ, ასე მოულოდნელად მეწვია... გული მიგრძნობს, რაღაც ამბავია, მაგრამ რა?

ოთახში შევბრუნდი, იგი ისევ ფანჯარასთან იდგა. მივუახლოვდი.

– აი, ასანთი, ვახტანგ...

შეკრთა, სწრაფად მოტრიალდა. ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს ძილიდან უცებ გამოფხიზლდაო.

სიგარეტს მოუკიდა. დივანზე ჩამოჯდა, საზურგეს მიაწვა ისევ, მერე ბალიშზე დაგდებულ წიგნს დაწვდა, სიგარეტი ტუჩის კუთხეში მოიქცია და დამარცვლით ამოიკითხა:

– თაგორი. „გიტანჯალი". აი, თურმე რით ერთობი, ქალიშვილო, საგნების მომზადების ნაცვლად, – წიგნი გადაშალა, კითხვას შეუდგა ხმადაბლა:

*„ჩემი სიცოცხლის სიცოცხლევ!*

*მე დღემუდამ ვცდილობ წმინდად შევინახო ჩემი სხეული,*

*რამეთუ ვუწყი:*

*შენი ცხოველი შეხებით ძგერს ყოველი ასო.*

*მე მუდამ ვცდილობ. სიცრუის ჩრდილი განვარიდო ზრახვათა ჩემთა.*

*რამეთუ ვუწყი: შენ ხარ სიმართლე, სიმაღლის შუქით ნათობს გონება,*

*მე მუდამ ვცდილობ..."*

უცებ კითხვა შეწყვიტა.

წამოხტა, პატარა მაგიდასთან მივიდა. ფირფიტებში დაიწყო ხელის ფათური.

– რას ეძებ? – მცირე ხნის მერე ვკითხე და გვერდში ამოვუდექი.

– არაბული... არაბული ტანგო არა გაქვს?

– არაბული ტანგო? არა, მგონი არა

მაქვს...“ – სიტყვის თქმა არ დამაცალა და მხრებში მწვდა, თავისკენ მიმიზიდა.

– დალი, – წარმოთქვა შეგუბებული ხმით და სახე ჩემს თმაში ჩამალა. გათავისუფლება ვცადე, მაგრამ უფრო მაგრად მომხვია ხელები.

– მომენატრე, იცი... როგორ მომენტარე? – ბუტბუტებდა და მკოცნიდა თვალებში, ტუჩებში, კისერზე. მერე თავი დამიჭირა და თვალებში ჩამხედა. სახე ალეწოდა. მზერა ამღვრეოდა.

– ვერ წარმოიდგენ, რა კარგი ხარ! – მითხრა და ისევ ჩემს თმაში ჩამალა სახე. მერე ერთბაშად ხელი შემიშვა. ოთახში გაიარ-გამოიარა. ისევ მოვიდა, მომეხვია. და ცხარედ, სულმოუთქმელად აჩურჩულდა:

– მოდი, ხელი მოვაწეროთ, დალი, კარგი? ხვალვე მოვაწეროთ და...

ხელი გავაშვებინე.

– რა მოხდა, ვახტანგ? – ძალიან ჩუმად, ძალიან წყნარად ვკითხე და სახეში შევაჩერდი. თვალები განზე წაიღო. შევატყვე, აირია.

– რა... რა უნდა მომხდარიყო? – ისევ წამეტანა, მაგრამ მე გავიწიე და მოშორებით შევჩერდი.

– აღარ გიყვარვარ?

– რა მოხდა, ვახტანგ?

– მინდა ხელი მოვაწეროთ, – სხაპასხუპით ალაპარაკდა უცებ და კვლავ ჩემკენ გამოიწია. – მინდა ხელი მოვაწეროთ. თუ გინდა, სანამ არ დაამთვარებ, ახლოსაც არ გაგეკარები, მაგრამ ხელი მოვაწეროთ. ასე უფრო გულმშვიდად ვიქნები.

ვატყობდი, როგორ ცდილობდა, მტკიცე და დამაჯერებელი ხმა ჰქონოდა, კვლავ მოვიშორე მისი ხელები:

– მე მინდა სიმართლე ვიცოდე, ვახტანგ!

... და მე გავიგე სიმართლე.

მაგრამ ...იქნებ სჯობდა არ გამეგო?

ყველაფერი შემთხვევით მოხდა, გესმის? შემთხვევით. ახლა ფეხმძიმედ ვარო... თუმცა, შენ ამას ვერ გაიგებ! ტყუილია, ვერ გაიგებ! – თითქოს შორიდან, სადღაც უსასრულო სიშორიდან მოისმა მისი ხმა, ვცდილობდი, გონება მომეკრიბა და ღიმილს არ ვიშორებდი სახიდან. უცებ ხელისგულზე მუშტი დაირტყა: – გაგაგიჟებს ეს თვალები! – ჩაილაპარაკა თავისთვის, სასოწარკვეთილი ხმით და კბილები გააღრჭიალა.

– წადი, ვახტანგ! – ვუთხარი და შევტრიალდი, ზურგით დავდექი.

– დალი! ნუ იქნები გულქვა...

– წადი!

* * *

– წვიმამ იკლო! – თქვა ქალმა. კაცმა საფეთქელზე აკოცა და მხურვალედ აჩურჩულდა:

– დალი, მინდა იცოდე, მინდა იცოდე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დღე არ ყოფილა, შენზე რომ არ მეფიქროს... ვიცი, ულმერთოდ გატკინე გული, მაგრამ მე შენზე უარეს დღეში ვიყავი. მე შენზე უბედური ვიყავი.

– ნუ ვილაპარაკებთ ამაზე!

– მართალი ხარ. ნუ ვილაპარაკებთ. მორჩა. გათავდა. რაც იყო, იყო. ახლა შენ ჩემი ხარ. სამუდამოდ. საბოლოოდ. ხომ, დალი?

– არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. დამტოვე ახლა მარტო.

– რატომ? ვიქნები ამაღამ შენთან.

– არა, მე მინდა ამაღამ მარტო ვიყო.

კაცმა კისერქვეშ ამოუწყო ხელები, თავი წამოუწია ბალიშიდან. ქალს თვალები მოეხუჭა და ტუჩებზე ტანჯვის თუ მწუხარების ღიმილი უთრთოდა.

– დალი... გთხოვ, ძალიან გთხოვ, არაფერზე არ იფიქრო, აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება... – კაცის ხმაში ისეთი ვედრება ისმოდა, ისეთი შეშფოთებით დაჰყურებდა, დალიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ ხმამაღლა არ აქვითინებულიყო.

– ჰო, ვახო, გენაცვალე... ოღონდ ახლა დამტოვე...

– როგორ დაგტოვო, როგორ დაგტოვო ასეთ დღეში?

– შენი ჭირიმე, თუ გიყვარვარ... – ქალმა უცებ ორივე ხელი კისერზე შემოხვია:

– თუ გიყვარვარ... ამაღამ მარტო მინდა ვიყო. უნდა მოვიფიქრო. ხვალ საღამოს გამოდი. ან არადა... ნაშუადღევს მოდი, სამზე... არა, ოთხზე.

ქალმა ნაზად აკოცა და ცრემლები უჩუმრად გადაყლაპა.

– კარგი, დალი... რაკი შენ ასე გინდა... რაკი ასე გსურს...

* * *

„ისე მოულოდნელი, ისე წარმოუდგენელი იყო თითქოს ეს ხიფათი – სვანეთის დიდებულ მთებში, ტურბაზის კარავში. არადა, ზღურბლიდანვე მეცა ელდა – ალბათ, სულ წამის

ამბავი თუ იყო – მე კი მეგონა, უსაზღვროდ დიდი ხანია შევყურებთ ერთმანეთს-მეთქი. არ ვიცი, სახეზე რა მეხატა: უსაზღვრო გაოცება, თუ... იგი დასაკეც საწოლზე იყო ნახევრად მიწოლილი, ფეხებგალაჯული, თავი კედელზე, პატარა ბალიშისთვის მიედო და ასე მიყურებდა, წამით შემოსასვლელში გაქვავებულს.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

– სადა ხარ აქამდის? ვერ ხედავ, ლამის დავხოცოთ ერთმანეთი!

– ითამაშებ? დაგირიგოთ კარტი? თუ შენც ზოგ-ზოგივით გაინაზები?

ანთებული თვალები, ნახშირით გამურული სახეები. სიცილ-კისკისი. უჩვეულო ჟრიამული. რამ ააცეტა ეს ხალხი ასე? ან ნახშირი საიდან მოიტანეს?

მიიწ-მოიწიეს. ადგილი დამითმეს. მეც ვჯდები. პირველი გაფიქრებაა: „არავინ არაფერი შემამჩნიოს. რაც მთავარია, „იმან“ არ შემატყოს რამე. ან იქნებ უკვე გავეცი თავი?

და საერთოდ, რა მოხდა? რა დამემართა?

ვცდილობ, მღელვარება დავიოკო. მაგრამ გული მაინც გამალებით მიცემს. მუხლები მიკანკალებს. არ უნდა შევეფეთო იმ კატის თვალებს. რატომ კატის? წმინდა ზღვისფერი თვალები აქვს. მაგრამ კატის თვალებად ენათლავ რატომღაც. გამოხედვის გამო ხომ არა, ნეტავ.

ვინ არის? აქ საიდან გაჩნდა?

რატომ ვკანკალებ ასე?

რა ხდება? უბრალოდ, უეცარმა კონტრასტმა თუ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ესაა და ეს. ლურჯი სპორტული სვიტრისა და ასეთივე ფერის თვალების შეხამებამ მოღლილ სახეზე. სხვა არაფერი. მეტი არაფერი.

მეტი არაფერი? მაშ, ეს გაშმაგებული გულისცემა რაღაა?

ის არის... – კივის ანაზდად სხეულის თითოეული ძარღვი.

ისა! – იძაბება სისხლის ყოველი წვეთი.

ისაა, ის! – შენი გაცხადებული ოცნება. ქვეშეცნეული. შეფარული. გაუთვითცნობიერებელი /მაშ, ვახტანგი ვინღა იყო?/

ყველა აზარტს შეუპყრია. მარტო ის არ თამაშობს. მოღლილი იერით უთვალთვალებს სხვებს.

– პარდონ... ერევი ჩვენს მარაქაში, ხომ? ჩამოურიგეთ კარტი დალისაც. მაკა, შენ რა გიხარია, შე საწყალო? თუ გგონია, დალის შემოსვლა გიშველის რამეს?

– ყოველ შემთხვევაში, შენ არაფერი გაქვს სალაპარაკო. შენც ნაკლებად არა გაქვს სახე მოხატული. მოიწიე ახლოს, დალი. ჰო, მართლა, გაიცანით. მერაბ ფერაძე – ფეხნაღრძობი ალპინისტი, რომელიც ტრაგიკულად განიცდის თავისიანებთან დაშორებას და იძულებულია, ჩვენ შემოგვეკედლოს – თუმცა, უკეთეს ადგილს არა მგონია სხვაგან იპოვიდა, – დალი ჯაიანი, ისტორიკოსი, ჩვენი ექსპედიციის მუდმივი და შეუცვლელი წევრი. გმადლობთ, ყურადღებისათვის. და აბა, ჰე, შევუდგეთ საქმეს.

მეც ვიცინი სხვებივით და სულ არ მესმის, რას ვთამაშობ, როგორ. თითქოს ბურანში ვარ. ირგვლივ მოსწრებული სიტყვების კორიანტელია, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. პატარა რაღაცაც საკმარისია, რომ იფეთქოს საერთო სიცილ-ხარხარმა – ბავშვებად ქცეული დიდები!

სიტყვების აზრი ჩემამდე არ დადის, მაგრამ მეც ვიცინი სხვებივით. ჩემს სახეზეც, ალბათ, მონდომებისა და მოგების წყურვილი აღბეჭდილა, თუმცა, თითქმის არარეალურად ხდება ყველაფერი – თითქოს ვიღაცის სურვილით, მარიონეტივით ვმოქმედებ. რაღაც სასწაულით არ ვრჩები. მაკა რჩება.

რა ლამაზი გოგოა მაკა! მაღალი, გათქვირული და საოცრად ქალური. და რა გამომწვევი თვალები აქვს. არა, სულ არ მეჩვენება: „იმას“ უჟუჟუნებს თვალებს. ეკენწლავება კიდეც და ენაზება. იგი თითო-ოროლა ფრაზით, ტაქტიანად იგერიებს. და ჩვეულებრივად, როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, არ გადადის შეტევაზე.

რაკიღა ახლა შემთხვევით გადავრჩი და აღარ მომეთხუპნა სახე, სჯობს, დროზე გავეცალო აქაურობას და, საერთოდაც, გარეთ გასვლა მირჩევნია.

– ნათია, მეც დამირიგე კარტი.

ისაა. არ ვიხედები მისკენ, მაგრამ მაინც რაღაც მეშვიდე თუ მერვე გრძნობით ვხედავ მისი სახის გამომეტყველებას.

– ოჰ, გაიღო მოწყალება უფლისწულმა.

– ნათია, შენმა დეიდაშვილმა ნეტავ ვინ ამოიღო მიზანში?

– შეიძლება?

უსიტყვოდ ვიწევი განზე. სახეზე ისევ ისე მოღლილი იერი აქვს და თვალებიც ჩაბინდვია: ზღვის სილურჯე ჩაღვრილა მათში და ჩამუქებულა მუქლურჯად. ვაითუ, შემამჩნია რამე?

შიში მაფხიზლებს. არა, სხვები ვერაფერს

მამჩნევენ, ყველა საკუთარი თავით არის დაკავებული, ჩემთვის ვის სცხელა. ის კი – საერთოდ არც მიყურებს. მას შემდეგ ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის.

ისე პატარა და უმწეო არსებად ვგრძნობ თავს. აი, ისეთი, თვალში საცემი გარეგნობა რომ მქონდეს, მაკას რომ აქვს... ან ისეთი თამამი და გამომწვევი რომ ვიყო, ნათია რომაა... ისევ ისე უფიქრელად, უაზროდ ვთამაშობ. ისე ახლოს ზის ჩემთან, თითქმის მეხება კიდეც მუხლებით და მაინც – რა შორსაა ჩემგან! უსასრულოდ, უსაზღვროდ შორს. უამრავი კარტი მიგროვდება – ამჯერად, ალბათ, დავრჩები. უკვე ნიშნს მიგებენ კიდეც „მოწინააღმდეგენი“. მაკა იცინის, სიხარულს ვერ მალავს, „მასთან“ უნდა გადავიდე. იგი იღებს ჩემს კარტს: ერთს, მეორეს, მესამეს და ასე რამდენჯერმე. ძლივს ვხვდები – მეხმარება! ზედ არ მიყურებს და... მეხმარება. საინტერესოა. მოულოდნელად ხელს მადებს ხელზე, – წამით გაოცებით შევყურებ, – იგი თავის კარტს ჩასჩერებია გულმოდგინედ – და ვხვდები – უნდა ავიღო ჩამოსული კარტი. ვიღებ. მშრალი გამოვდივარ ამჯერადაც. მერე ისევ. ყველანი რჩებიან სათითაოდ, ჩემს გარდა. უკვე გაოცებას არ ფარავენ. რა ხდება? ა, ა, ა... ესე იგი, მერაბი ეხმარება დალის, საიდან მოიტანეთ? როგორ საიდან? ფაქტი ჯიუტია. გაყიდულები ხართ თხასავით...

ჩოჩქოლი. დავა. კინკლაობა. მე ჩუმად ვარ, გატრუნული. მხოლოდ ვიღიმები ჩემთვის. იგი მარჯვედ იცავს თავს. რანაირი ხმა აქვს? მკერდისმიერი, ბუბუნა, ზღვის დგრინივით. სიტყვებს თითქოს ზლაზვნით წარმოსთქვამს, გაწელილად.

მერე? რა მოხდა მერე?

მერე დიდხანს გაურბოდა, უფრო საკუთარ თავს გაურბოდა თითქოს. არაფერი გამოვიდა. გაურბოდა და მაინც ეძებდა. თითქოსდა შემთხვევით, ბედისწერასავით ხვდებოდა. როგორც მერე გაიგო, ნათიასაც ედო წილი ამ „შემთხვევითობებში“. ბიჭის ტრაგედიამაც იქონია, ალბათ, ზეგავლენა: მშობლები და ერთადერთი და ავარიაში დაღუპოდა. თითქოს სიბრალულის გრძნობამ იმძლავრა და მაინც... ის პირველი შთაბეჭდილება აღმოჩნდა გადამწყვეტი. ეშინოდა ამის გამხელის. ყოველი შეხვედრის წინ გონებით ჩხრეკდა მის არსებულ და არარსებულ ნაკლს: არ შეიძლება ასეთი მიყვარდეს! ეს სიყვარული, რასაკვირველია, არ არის. მარტოობა მობეზრდა და თავის თავს იტყუებს. ნახავდა და... ქრებოდა, უფრო სწორად, ავიწყდებოდა ყველა მოსაზრება. არსებობდა ის. მხოლოდ ის. და სული ევსებოდა მხოლოდ მისით.

ვახტანგი? ვახტანგზე ხომ დიდი ხანია არ ფიქრობდა. გამოუნელდა მასზე დარდი. ესეც არ იყოს, ვახტანგი სულაც არ უყვარდა ასე. ის უფრო ბავშვური გრძნობა იყო, სიამოვნებდა, რომ თაყვანისცემის ობიექტი იყო მისთვის. მერაბი კი... მერე გამოუტყდა: თავდაპირველად ცნობისმოყვარეობა და ინტერესი მამოძრავებდაო /შეუმჩნეველი არ დარჩენია მაინც გოგოს პირვანდელი ელდა!/

„ეს გოგო ჩემი გახდება!“ – პირველი გაფიქრებაც ეს იყო თურმე. პირველი, თუმცა ბუნდოვანი, მაგრამ გუმანით ნაგრძნობი აზრი. მერე... ყოველ ახალ შეხვედრაზე უფრო და უფრო შორს იწევდა მიზანი. ამან გაალიზიანა ბიჭი. მერე... ნელ-ნელა ჩაითრია თამაშმა, სრპორტული ჟინივით დაეუფლა ნდომა, სურვილი, მერე... თვითონაც არ იცის, არ ახსოვს, როგორ მოხდა ფორმულის გადაკეთება: „ეს გოგო ჩემი უნდა გახდეს... სამუდამოდ!“

* * *

მგზავრები დაურიდებლად ეჯახებოდნენ უალაგო ალაგას გარინდულს და უკმაყოფილო ბუზღუნით ადიოდნენ ავტობუსში.

– რას შვრები, ქალო, ადიხარ... თუ დაგეძინა ზეზეურად? – უხეშად შეუძახა კაცმა. გამოერკვა.

– უკაცრავად, ბატონო, მიბრძანდით!.. – მორიდებული ღიმილით გზა უტია ქოშინით, ხვნეშით მიმავალ სქელ, ღიპიან მამაკაცს.

მერე... თავადაც შედგა ფეხი საფეხურზე გადამწყვეტი, მტკიცე იერით.

სავარძლის საზურგეს მიესვენა თუ არა, თვალები მილულა. კვლავ ფიქრებმა ჩაითრიეს.

უნდა წავიდეს, უნდა წავიდეს აქედან აუცილებლად. უსიკვდილოდ უნდა გადაიკარგოს შორს, სადმე შორს, თუნდაც... მოუსავლეთში, ოღონდაც მოშორდეს აქაურობას.

წარმოსახვაში ზღვის ლურჯად მობიბინე ტალღები ალივლივდნენ. ყურში უცებ თითქოს ზღვის დგრინიც შემოესმა, ჩუმი, ალერსიანი დუდუნი.

ზღვა ეძახის. ზღვა უხმობს თავისკენ. ზღვა სულიერ სიმშვიდეს, ნუგეშს ჰპირდებოდა.

დასავლეთისკენ მიმავალი ავტობუსი სწრაფად კეცავდა მანძილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიამ წიკლაური-ძიძიგური



## სვანეთი

ახლაც მახსოვს ის მზისფერი ფერდი,
ბაზილიკა პაწაწინა, თეთრი
და ლაქვარდის როდინდელი სხივი,
ვით ბილიკზე დაშვებული სვეტი,
ქერის ყანა მწიფე, როგორც მკერდი,
მზით ნაკვები თავთუხების ტევრი,
სიცხე მოგდევს ფეხ-ფეხ კბენა-კბენით
და გზის პირზე ამოსული ღერი
ლურჯ ყვავილის ზეცას შესცქერს თმენით.
ახლაც მახსოვს ის მზისფერი ფერდი,
არცა ყვითელ, არცა წითელ ფერის,
ცხადად ნატვრის და ზმანების დარი,
მწიფე ყანის მონაბერი ქარი...

* * *

მოდის მდინარე და საწმისებზე
კისრებს იტეხენ ოქროს ცვარები,
თეთრი ფურცელი - ვერძების ბეწვი
რითმითნაფერი - ოქრო-ბწკარები.
გრძელ ბეწვზე მზისფერ სხივებს აასხამს,
დაიწმინდება წყალიც და ბწკარიც,
ნეტავ, რა უფრო ფასეულია -
ოქროს საწმისი თუ წმინდა წყალი?
ლექსი თუ ლექსის დამტევი სული?
ცის დაქვარდებში დავეძებ ნიშანს.
ვილაცამ თითქოს ჩამდო ჩქერებში,
რომ ზედ ავისხა მზისფერი ქვიშა.

* * *

ღამე უმზეო დღე არის
ათას საფიქრალს მოიტანს,
ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,
მოსწყდა თუ... თავი მოიკლა,
გაიყოლია სამყაროს
მარტოსულობის დარდები,
იქნება სწორედ ის იყო
ჩემი ბედ-იღბლის ამკლები.

* * *

არ წამიხვიდეთ, ნისლებო,
ჯავრიან გულის ფიქრებო,
მაცალეთ, საქმეს მოვრჩები,
მერე დავსხდეთ და ვილექსოთ.
ამოვთქვათ ნასიზმარევი,
გადავიფრინოთ ქედები
და ლექსებს ჩამოვადინოთ
არაგვს ნაპარი ცრემლები.
მერე დავქსოვოთ სიტყვები
დიაცებური, ჭრელები.
და თუ ფერ შემოგვაკლდება
ყვავილნი ვკრიფოთ ველების,
დავუხსნათ საკინძეები
ამოვადინოთ, ფერები,
ეგეთი ლექსი დავქარგოთ,
ვით ფარდაგები ძველები,
არ წამიხვიდეთ, ნისლებო -
ჯავრიან გულის ფიქრები,
მაცალეთ, საქმეს მოვრჩები,
მერე დავსხდეთ და ვილექსოთ.

* * *

მტკვრის გაღმა და გამოღმა
ფრენენ ცაში მტრედები,
გაზაფხული მოსულა
მარტო დავეხეტები.
მერგო ერთი სიცოცხლე
ამ ჩემს ლამაზ მიწაზე,
შენ თუ არ შემიყვარე,
ვერაფერი მიწამლებს.
მოვიკვეცავ, იცოდე,
შენს ნაფერებ ღალალებს,
მზეს წავყვები მთებს იქით,
რომ გაღვურჩე ამ ღამეს.
წუთისოფლის გზა-სავალს,
ვერ ვუპოვი დასავალს,
ვნახოთ, რამდენს გავუძლებ,
მერე ისევ ცას წავალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იური კახნიაშვილი

* * *

შენ აირეკლავ ვით მზის სხივს სარკე,
კაცური ენებით როცა გიცქერი,
საბაბს არ მაძლევ გაგიხმო ცალკე,
რომ მოვიდრიკო შენ წინ კისერი.

თუ მოვესწრები იმ დღეს ბედნიერს,
გამიღო დამწვარს გულის კარები,
მე ვენაცვალე მაგ ღიმილს ცბიერს,
გაღმერთებ რომ ხარ მიუკარები.

* * *

დრო დამფრთხალი ქურციკივით მიჰქრის,
დღე გაბაცდა, ჩამოეშვა ღამე,
ჩნდება იჭვი დაბინდული ფიქრის,
როგორც მოკვდავს თუ გაწვალებს რამე.

თავს ვარიდებ და გავურბი პასუხს
მუხლს მოგიყრი და შევევედრი უფალს,
კარგად უწყი, უკვდავება რომ მსურს
მწირ მელექსეს, წუთისოფლის სტუმარს.

* * *

თავს დატეხილმა ქარტეხილებმა
მკვეთრად შეცვალა ცხოვრების წესი,
გადატანილმა კატაკლიზმებმა
გამიღარიბა ჯიბე და ლექსი.

მაღიზიანებს ბედი ლტოლვილთა
და ვეღარ დავალ წელგამართული,
ვეღარ უყურებ ხელგამოწვდილთა
ცხოვრებას... გახდა მძიმე და რთული.

ჩალიჩით ისე დაკნინდა სული,
არ უწერია მას გამრთელება,
დღეს მეუფეობს მამულში ფული,
ნირი იცვალეს დღეს ქართველებმა.

## დავით გურამიშვილისეული

მტერი რკალად შემორტყმული
მტკაველ-მტკაველ მიწას მპარავს,
რა გაუძლებს ამდენ ტკივილს,
ამდენ დარდს და ამდენ ვარამს.

აქეთ მდგმური იმუქრება,
ჩემს მიწაზე დასცემს კარავს,
ეს ამბავი მე მაღშფოთებს,
რაიც გულს და სულს მიბზარავს.

ყველა ცეკვავს, ყველა მღერის,
აღარავინ მარგლავს ყანას,
გლეხი სოფელს გაემიჯნა,
ყელში უყრის მამულს დანას.

მტერი ამის მაცქერალი
როკვით უვლის განდაგანას,
თვითონ ხნავს და თვითონ თესავს,
თვითონ ავლებს სვრელს და კვალავს.

იმ ჭირნახულს მე მომყიდის
მამასისხლად, რაიც მზარავს,
„ჩემი ცოდვა მისცემია
ჩემს ამომგდებს ამომზარავს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განა სუყველა კაცია...
(იუმორესკა)

განა სუყველავ კაცია,
ვისაც შარვალი აცვია,
ზოგი კაცია ნამდვილი,
ზოგს ქალისა აქვს გრაცია.

ზოგს გულით უყვარს სამშობლო,
ზოგს იტალია, ფრანცია...
ზოგმა ადიდა მამული,
ზოგმა შებილწა ნაცია.

ზოგი ქლესა და თარსია,
ზოგს შუბლს მირონი აცხია,
ვინც გადაარჩენს ჩემს მოდგმას
ღმერთკაცად შემირაცხია.

* * *

თითქმის ორი თვეა რაც თბილისში წვიმს,
თითქოს თბილისის ცა ჩამოცურდა ძირს,
შავი ღრუბლის მასა როცა გადიარს,
გავაყოლებ სევდას მკვლელს და დარდიანს.

ამიწეწეს სული ცივმა ქარებმა,
ვგრძნობ თანდათან ვხდები მიუკარება,
უნდა განვაახლო კვლავ ხეტიალი,
რომ დამშვიდდეს იქნებ სული ტიალი.

* * *

რაცა ვარ გარეთ, ისა ვარ შინა,
კუს ნაბიჯებით მივიწევ წინა,
მომიწევს გავლა მრავალი მილის,
დრო ულმობელი კი არ დგას მიდის.

ბზარი უჩნდება პირველ ხმას ჩემსას,
სატანა ჩემთვის გრძელ დანას ლესავს,
დიდი სოფლისკენ ერთი გზა გვიდევს
ტვინნაღრძობს, ჭკვიანს და კაცის
მკვლელსაც.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გურამ ჯაფარიძე

## ჩემი გერმანელი ტყვე

გაზაფხულის მშვენიერ, მზიან დღეს ქალაქის მცხოვრებთ საირმის გორაზე მოეყარათ თავი. თითქოს მთელი თბილისი აქ იყო შეკრებილი, თუმცა ადამიანები როგორღაც მოწიწებით მიმოდიოდნენ, ასეთი მრავალრიცხოვანი თავყრილობისათვის უჩვეულო სიჩუმე იდგა. ისინი მიტინგის მონაწილენი იყვნენ – საირმის გორაზე აღსდგა და კეთილმოეწყო მეორე მსოფლიო ომში მონაწილე გერმანელ ტყვეთა სასაფლაო.

დაღუპულ გერმანელთა სულების მოსახსენიებელი წირვა-ლოცვა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღავლინა; აკურთხა ყვავილებში ჩაფლული, წმინდა სანთლებით განათებულ-გაჩირაღდნებული სასაფლაო. ტყვეთა სულების მოსახსენიებელი აღავლინა გერმანელმა პასტორმა იონესა დრაილინგმაც. იყო საოცრად მშვიდი და ამაღლებული განწყობილება.

ვის არ ნახავდით აქ, გაჭაღარავებულ, ხანდაზმულ ომის მონაწილეებს, ქალაქის მესვეურებს მერის ხელმძღვანელობით თუ ახალგაზრდებს, რომელთაც ეს საშინელი კაცთა კვლა მამათა და პაპათა გადმოცემით და შემონახული კინოდოკუმენტების მეშვეობით იციან მხოლოდ.

სიტყვით გამომსვლელი ორატორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ბევრი ითქვა უდროოდ გარდაცვლილ, ნატანჯ ადამიანთა მძიმე ხვედრზე, რომლებიც სამშობლოდან შორს, მათთვის უცხო მიწაში განისვენებენ. სინანული ისმოდა ყოველი გამომსვლელის ხმაში – უღვთოდ მოტყუებულ, უდროოდ დაღუპულ ადამიანთა გამო.

შეუძლებელი იყო აუღელვებლად მოგესმინა თბილისელი მხატვრის, მამით გერმანელი თინათინ ჰეინეს მღელვარე გამოსვლა. მოიგონა, გერმანიაში ტურისტად მოგზაურობის დროს როგორ მიუახლოვდა დელეგაციას ერთი მოხუცი და, რომ გაიგო, ვინც იყვნენ, ქართულად უთხრა: „ლამაზო გოგო, მომეცი ცოტა პური“. მას, თბილისში ტყვედ ნამყოფ გერმანელს, ახლაც ხანდაზმულ ასაკშიც ახსოვდა ის სითბო, ქართველებმა რომ აგრძნობინეს. თქვა, რომ თბილისში ტყვედ ყოფნის დროს ნახა ადამიანთა საოცარი დამოკიდებულების, შენდობისა და პატიების მრავალი მაგალითი“.

...მოგონებებში ჩავიძირე; ნათლად გამახსენდა ის დრო, როცა ჩვენთან გერმანელი ტყვეები ჩამოიყვანეს. ქალაქის მოსახლეობა გარეთ იყო გამოფენილი და მდუმარებით, ფართოდ გახელილი თვალებით უყურებდა გახუნებულ, შელანძღულ ხაკისფერ ფორმაში გამოწყობილ, თავჩაქინდრულ ადამიანთა მსვლელობას, იარაღმომარჯვებული ბადრაგის თანხლებით.

მოქალაქეთა თავდაპირველი დამოკიდებულება ტყვეებთან უნდო იყო. შემდეგში კი, დროთა განმავლობაში, ყველა მიეჩვია მათ არსებობას ჩვენი ქალაქის სხვადასხვა საამშენებლო უბნებზე. მძიმე დღეები იყო ქვეყანაში, უსახსრობა და შიმშილი იყო გამეფებული, ლუკმა-პურის შოვნა ჭირდა. ბევრი ტყვე რაღაც ნაკეთობებს ქმნიდა, რომ შემდეგ თავისი ნაცოდვილარი როგორმე ნატეხ პურში გაეცვალა და ცოტა მაინც ეშველა თავისი გაჭირვებისათვის. აკეთებდნენ დაბალ ხის სკამებს, ნაჯახის, ჩაქუჩის, ბარის ტარებს, შიბაქებს აკვნისათვის და ვინ მოთვლის, კიდევ რას. ზოგს ესეც არ ეხერხებოდა და ერთი იჯრის ფასად ბარვასა და თოხნაში მოხმარებას სთავაზობდა მოსახლეობას.

ჩვენი ოჯახი საბურთალოს უბანში, „სპეციალისტთა“ სახლში ცხოვრობდა. ეს სახელი ოთხსართულიან სამ სახლს აშენებიდანვე დაენათლა. სამივე ომამდე, ქალაქის განაპირა უბანში აშენდა და იქ სხვადასხვა სპეციალისტებმა – ინჟინრებმა, ექიმებმა, იურისტებმა და სხვა სპეციალისტებმა დაიდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა. ამ სახლებიდან სამიოდ კილომეტრის მოშორებით, განმარტოებით მდგარ სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მოათავსეს ნაწილი ტყვეებისა, იმ ტერიტორიას მავთულ-ხლართები შემოავლეს და აქედან ხდებოდა დილით მათი სამუშაოზე გაყვანა, ხოლო საღამოს კი უკან მობრუნება.

კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყოველივე. ...შუადღეა. პატარები ეზოში ვერიამულობთ, სხვადასხვა თამაშობებით ვირთობთ თავს. ვხედავთ: თვითნაკეთი ხის დაბალი სკამებით ახალგაზრდა გერმანელი ტყვე მოდის. თავის ნაკეთობას ნატეხ პურად სთავაზობს გამვლელ-გამომვლელსა თუ სახლის ბინადართ. ეზოში შემოსულმა ერთხანს იტრიალა, მუშტარს თუ ეძებდა, მერე შეკრებილ ბიჭებს მოგვიახლოვდა და დამტვრეული რუსულით გვკითხა:

– ბიჭებო, ხომ არ გეგულებათ ვინმე, ვინც ამ სკამებს სულ რამდენიმე ნატეხ პურში გამიცვლიდა?

მხრები ავიჩეჩეთ, საიდან უნდა გვცოდნოდა, ვინ შეძლებდა პურის გამეტებას. ასე მივჩერებოდით ერთმანეთს, მერე ტყვემ ზურგიდან ჩამოიხსნა თავის „ნახელავი", ერთი სკამი თავად დაიდგა და ზედ ჩამოჯდა. ჩვენ ირგვლივ შემოვეხვიეთ.

ჰანსი ერქვა. კარგი გარეგნობის იყო, ცისფერთვალა, ღია წაბლისფერი, გვერდზე კოხტად გადავარცხნილი სწორი თმით, სუფთად გაპარსული; მოკლედ, ძალზე სასიამოვნო კაცი ჩანდა. სპეციალობით მუსიკოსი ყოფილა. ხუთი თუ ექვსი წლის წინათ დაემთავრებია კონსერვატორია და ომის დაწყებამდე ჩასაბერ ინსტრუმენტზე უკრავდა თავისი ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სიმფონიურ ორკესტრში. მერე არეულა ყველაფერი; აგერ წელიწადი იწურებოდა, რაც ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვეს და ფრონტზე უკრეს თავი. საშინელ და სასტიკ ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა სმოლენსკთან და, ტყვეობას რაღას ჩიოდა, ღმერთს მადლს სწირავდა, რომ ცოცხალი გადარჩა და ახლა სამხედრო ტყვეა. დედ-მამა და ხუთი წლით უმცროსი და ჰყოლია, თავად კი დაოჯახებაც ვერ მოასწრო.

თანამოსაუბრეთ შეუმჩნევლად გავშორდი, შინ შევედი და ყოველივე დედას ვუამბე. მისმენდა დარდიანი. დარდმა და ნაღველმა კარგა ხანია დაისადგურა ჩვენს ოჯახში. მამა ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს. ფრონტის წინა ხაზზე იყო და დრო და დრო არაფერი ვიცოდით მის შესახებ. ახლაც ასე იყო მესამე თვე გადიოდა წერილი არ მიგვიღია. ვინ იცის, იქნებ ცოცხალიც აღარ იყო. დედა უხმოდ საქმიანობდა, მეგონა, არც მისმენდა, მერე, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, წყნარად მითხრა:

– ამოიყვანე შვილო, რაც გვაბადია, იმით გავუმასპინძლდეთ. კიბე ჩავირბინე, თვალის დახამხამებაზე ეზოში გავჩნდი და ჰანსი სახლში შევიპატიჟე. ერთხანს უარზე იყო, მაგრამ ჩემმა დაჟინებულმა თხოვნამ გაჭრა და გამომყვა.

– აქეთ, აქეთ შემოდით, ესაა ჩვენი ბინა. აი, ეს დედაჩემია, გაიცანით, – ვამხნევებდი ჩვენს უჩვეულო სტუმარს.

– გამარჯობათ, ქალბატონო, არ მოვდიოდი, თქვენი ვაჟი არ მომეშვა, – მორიდებით ამბობდა ჰანსი.

– საბოდიშო არაფერია. ძალიანაც კარგი, რომ მოხვედით, ოღონდ ნუ დაგვძრახავთ, გაგიმასპინძლდებით იმით, რაც გაგვაჩნია.

დედამ ნავთქურაზე ზეთმოსხმული ტაფა დადგა, ორ-ორი შავი პურის ნაჭერი შეგვიწვა და ჩამოგვირიგა მე, ჩემს ორ ძმას და ტყვეს. გემრიელად შევუდექით ჭამას, თან ვლაპარაკობდით. მე ახალგაცნობილი გერმანელის ყველაზე ახლობლად ვთვლიდი თავს, რადგან მისი აქ მოყვანა ჩემი ინიციატივით მოხდა და ეს დიახაც მეამაყებოდა. დედაჩვენი ლაპარაკში არ ჩარეულა, მხოლოდ ნაღვლიანი თვალებით მოგვჩერებოდა, ჩუმად უთვალთვალებდა ჩვენს ტრაპეზს.

– დიდ მადლობას მოგახსენებთ მასპინძლობისათვის, მინდა ეს სკამი გისახსოვროთ. დიდი არაფერია, მაგრამ ჩემი გაკეთებულია, – თქვა ჰანსმა და ხის ტაბურეტი დედას გაუწოდა.

– რას ბრძანებთ, არავითარ შემთხვევაში. ერთი ნაჭერი პურისათვის გასამრჯელოს როგორ მთავაზობთ?! ეგ სკამი გამოგადგებათ, სხვას მიჰყიდით უფრო მნიშვნელოვან საქმეში – აღელდა დედა.

ჰანსი დარცხვენილი, ცრემლმორეული თვალებით გვიყურებდა ყველას. ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე თქვა:

– ვისაც ლუკმაპური გააჩნია, აქ, ამ ქალაქში, მცირედ ულუფას არავინ იშურებს, სანაცვლოდ კი ჩემს ნაცოდვილარს აღარავინ მართმევს. ყოველთვის უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ... კარგი აღარ შეგაწუ-

ხებთ, მადლობას გიხდით, ახლა კი წავალ. აბა, ძმობილო, გამომყევი, ცოტაზე გამაცილე.

გადავიარეთ ჩვენი ეზო, გავცდით საერთო საცხოვრებელს, სადაც აგურის ქარხნის მუშები ცხოვრობდნენ. აქედან კი მოქალაქეთა ყანები იწყებოდა, რომლის ბოლოს იყო ტყვეთა ბანაკი.

– დედას დიდი მადლობა გადაეცი გემრიელი სადილისათვის.

ახლა კი დაგემშვიდობები, – მითხრა ჰანსმა.

– ცოტაზე კიდევ გამოგყვები. რა გეჩქარება, ბანაკში აღარ შეგიშვებენ თუ რა? თუ გამოგაგდეს კიდევ უკეთესი, ჩემთან გადაგიყვან საცხოვრებლად – ხუმრობით მივმართე.

– ერთი ამას შეხედეთ, როგორი მასპინძელი გამომიჩნდა. საქმე იმაში კი არ არის, მიმიღებენ თუ არა. ტყვეების ქალაქში გასვლა ბანაკის უფროსის ან მისი მოადგილის ნებართვით ხდება. პირობას ვაძლევთ ხოლმე, რომ ექვს საათზე ადგილზე ვიქნებით. პატიოსანი კაცი სიტყვას არ გატეხს. კარგი იქნება, შევთანხმდეთ მე და შენ შეხვედრაზე და არ მოვიდე ან ძალზე დავიგვიანო? აქაც აგრეა, თუმცა დაგვიანებისათვის სასჯელსაც დავიმსახურებ, რამოდენიმე ხანს აღარ გამომიშვებენ. მომავალ კვირას კიდევ გინახულებ – გაღიმებულმა მითხრა და დაუმატა – თუ გამომიშვეს, რასაკვირველია. აბა, კარგად, ახლა არ დაიწყო ხელის ქნევა. ვაჟკაცები ხელს ურტყამენ ერთმანეთს და მერე თავ-თავიანთ გზაზე მიდიან უკან მოუხედავად. ჩვენც ხომ ვაჟკაცები ვართ! – გაიცინა ჰანსმა და მარჯვენა გამომიწოდა. მეც ხელი ვაჟკაცურად დავურტყი.

იგი მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას, მეც სახლისკენ ისე გამოვწიე, უკან არ მიმიხედავს; ისე, როგორც დამარიგა ჰანსმა. ასე მგონია, ამის მერე დამჩემდა – თუ ქვეყანა არ იქცევა, არსად არასდროს არ ვიგვიანებ და დამშვიდობებაც ასეთი ვიცი, – უთქმელი, მამაკაცური.

შემდეგ კვირა დღეს გაკვეთილები ადრიანად ვისწავლე, საათის თორმეტზე კი უკვე ეზოში ვიყავი და მოუთმენლად ველოდი ჰანსის გამოჩენას. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ყოველი მხრიდან თანატოლების ძახილი მომესმა:

„შენი ტაბურეტკიანი ძმაკაცი მოდის, მიდი, შეხვედი, მგონი ნასვამია"...

იქით გავიხედე საითაც მეგობრები მიმითითებდნენ და ჰანსი დავინახე, თავისი ტაბურეტებით ხელში; ბანცალით მომიახლოვდა:

– იცი, თუ არა შენ, პატარა პრინცო, რომ გვარიანი ნასვამი ვარ. ხომ არ გწყინს პატარა პრინცი რომ დაგიძახე? წაგიკითხავს გერმანული ზღაპრები პრინცებზე?

– არა, – მივუგე ცოტა დარცხვენილმა.

– ეგ არაფერი, წაიკითხავ და ძალზე მოგეწონება. ისე დარდიანად კი მითხარი, არა მაქვს წაკითხულიო, თითქოს დანაშაულზე წაგასწრეს. დღე და ღამე სულ კითხვაშიც რომ გაატარო, წაკითხულზე მეტი მაინც წასაკითხი დაგრჩება. ასე, რომ ეგ სირცხვილი სულაც არ არის. ახლა, რატომ არ მეკითხები, სად დავლიე და როგორ? – მძიმედ ამოიხვნეშა ჰანსმა – ერთ ქუჩაზე მიმაქვს ეს ჩემი „ხელოვნების ნიმუშები", არ დამავიწყდეს, ერთობ ორიგინალური სახელწოდების ქუჩაა – წითელი პარტიზანების. ნეტა, ვინ შეურჩია სახელი ამ პატარა მყუდრო ჩიხს? ხო, და იმ ქუჩაზე ერთმა ხანშიშესულმა კაცმა გამაჩერა და სკამის ფასი მკითხა. ეზოში შევყევი, ვიფიქრე მოვურიგდები და ამ ნაცოდვილარსაც მოვიშორებ-მეთქი, მაგრამ იმან სადილად დამპატიჟა, მშვენიერი ღვინო დამალევინა, რა სადღეგრძელოები თქვა, იმას ვინ ჩამოთვლის. კარგად მოვილხინეთ და ბოლოს, როგორც აქამდე, არც იმან დაიტოვა არც ერთი სკამი. ეტყობა ძალიან უშნო და ულაზათო რამეა ეს ჩემი ნახელავი, ა, შენ რას იტყვი?

– მიზეზი შენც კარგად იცი, მე რატომ მეკითხები?

სამხედრო ტყვეები ჩვენთან ყველას ებრალება. ამიტომ გეფერებიან და პატივს გცემენ. ეს არის და ეს.

ჰანსი ნაღვლიანი ღიმილით მომჩერებოდა, მერე ხელი მხარზე ჩამომადო, ამოიოხრა.

– ბავშვობაში და შემდეგაც, როცა რაიმე ჩემთვის მნიშვნელოვანი მოხდებოდა, ყოველთვის დედას ვუზიარებდი ჩემს განცდებს, მისი აზრი მაინტერესებდა, მისი რჩევა მინდოდა. ახლა კი, ხომ ხედავ, ყველაფერს შენ გიყვები..

ხოდა, აი, რა, პატარა პრინცო, პირობას გაძლევ, იმ ქუჩას, სადაც ცოტა ხნის წინ ასეთი პატივი მცეს, სათოფეზე აღარ გავეკარები. არა, იმ ჩემი კეთილშობილი მასპინძლის უმადური არა ვარ, გემრიელი სადილით გამიმასპინძლდა, ღვინოც კარგი დამალევინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი რა უნდა ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს, მაგრამ ამ სიბრალულს ვეღარ ვუძლებ, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე? რა გავაკეთო? - გაჩუმდა. დიდი პაუზა გააკეთა. თვალები მომარიდა, სადღაც შორს იყურება.

– აბა, ახლა წავედი ჩემს აპარტამენტებში, თუ მივაღწიე იქამდე...

– ბანაკამდე გამოგყვები, – შევთავაზე.

– არა! შენ არაფერი გესაქმება იქ. როგორმე თავად მივალ.

– აბა, დამირტყი ხელი შენებურად, ვაჟკაცურად, – ისევ მხიარულ გუნებაზე დადგა. შეტრიალდა და არეული ნაბიჯით გაემართა ბანაკისკენ.

შემდეგში, ყოველ კვირას, ზოგჯერ კი კვირაში ორჯერაც ვხვდებოდი ჰანს და ძალზე დავუახლოვდით და გავუშინაურდით ერთმანეთს. მიხაროდა მასთან შეხვედრა. მესახელებოდა კიდეც, რომ მიუხედავად ჩვენი ასაკისა, ყველაზე მეტად ჩემთან მეგობრობდა. მე ხომ სულ თერთმეტიოდე წლისა თუ ვიქნებოდი, ის კი ოცდარვა ოცდაცხრა წლის კაცი იყო. ხშირად შინაც შევიპატიჟებდი ხოლმე, მაგრამ იცოდა, რომ ხელმოკლედ იყო ჩვენი ოჯახი და არასოდეს მიუღია მიწვევა. კეთილი, გულითადი კაცი იყო. მახსოვს, როგორ გაეხარდა, როცა შევატყობინე მამის წერილი მივიღეთ-მეთქი.

ერთხელ ხუმრობით ვუთხარი:

– ჰანს! ხომ ხედავ შენს „შედევრებს" მაგ დაბალ სკამებს, არავინ იტოვებს, არც გასამრჯელოდ, არც გასაცვლელად. მაშ, რატომ დაათრევ, რატომ იწყვეტ წელს?

ჰანსი ერთ ადგილას გაქვავდა, დიდხანს იყო ასე. მერე თითქოს ჩურჩულით მითხრა:

– აბა, როგორ მოვიქცე, მათხოვრობას ხომ ვერ დავიწყებ, ხელს ხომ ვერ გავიშვერ და სამადლოდ პურს ვითხოვ? თუმცა, რასაც მე ვაკეთებ, მათხოვრობასთან ახლოა. – ეს მოქმედებს ჩემს თავმოყვარეობაზე. რას იზამ, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება, ეს ყოფილა ჩემი ბედი. – თავი ჩაღუნა ასე იყო გარინდული ერთხანს.

– ასე არ მინდოდა, ცუდად გამომივიდა ნათქვამი, მაპატიე რა, ასეთი სისულელე მეტად აღარ წამომცდება, – ვთქვი ჩემი უტაქტო შეკითხვით შეწუხებულმა.

– შენ ყველაფერი მართალი თქვი, მაგრამ ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ ხანდახან სიმართლეს თვალს ვერ უსწორებს, თავს იტყუებს, რაღაცით სურს გაამართლოს ნამოქმედარი. ეს ჩემს მაგალითზეც კარგად ჩანს. – მერე თითქოს მოიშორა ნაღველი, მხიარულად მითხრა – აბა მოვრჩეთ სევდასა და მელანქოლიას, პატარა პრინცო, ჩვენ რა სხვა სალაპარაკო გამოგველია? ჯობს ისევ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე ვისაუბროთ.

შვებით ამოვისუნთქე და თამამად შევხედე, უხერხულობა გაქრა.

– აბა, ჩემო ყველაფრის მცოდნე უფროსო მეგობარო, მითხარი, სანამ დაგატყვევებდნენ და აქ ჩამოგიყვანდნენ, იცოდი რამე ჩემი სამშობლოს – საქართველოს შესახებ?!

– გულწრფელად გეტყვი – არაფერი. ვიცოდი მხოლოდ კავკასიის არსებობა და მისი ადგილ-სამყოფელი, მეტი არაფერი, – მოკლედ მომიჭრა ჰანსმა.

– კი, მაგრამ შოთა რუსთაველზე მაინც არ გსმენია არაფერი? ან მისი „ვეფხისტყაოსანი" არ გაგიგონია? – სხაპასხუპით მივაყარე, თან მიხაროდა, რომ რაღაც მასაც არ სცოდნია.

– ვატყობ, ვერ ვამართლებ შენს იმედებს, ამ შეკითხვაზედაც უარყოფითად უნდა გიპასუხო. არა, არაფერი ვიცი. იქნებ, არის გერმანულად ნათარგმნი? მაშინ დიდ მადლობას გეტყვი, თუ მიშოვი და გამათვითცნობიერებ.

– რას ამბობ? „ვეფხისტყაოსანი" დედამიწის ყველა ენაზეა ნათარგმნი და რაღა მაინცდამაინც გერმანულად არ იქნება? ბაჩის ექნება, გამოვართმევ და მოგიტან.

– შევთანხმდით! – აბა, შენ იცი, არ დაგავიწყდეს. ისე კი ნამეტანს ნუ ტრაბახობ, ჯერ არ შექმნილა ისეთი რამ, რომელიც პლანეტაზე არსებულ ყველა ენაზე იყოს თარგმნილი. ტყუილი არ გამოგივიდეს იცოდე! – იღიმება ჰანსი.

– ვიცი, რომ მისი ბევრი თარგმანი არსებობს... შენ კი სულ ცდილობ, რაიმე უზუსტობაში დამიჭირო.

– არა, სულაც არა! ნუ გეწყინება, უბრალოდ, ჩემი ვარაუდი გამოვთქვი, მეტი არაფერი. ისე კი, ბევრი კარგი გავიგე თქვენი ქვეყნის შესახებ, მის კეთილ და ალალ ხალხზე. ჩემს მდგომარეობაში ყოფნა რა ხეირია, მაგრამ ტყვეობა დამეხმარა, რომ ყველაფერი ეს მენახა და მეგრძნო – გულუხვობა, სიკეთე, პატივის მაღალი გრძნობა და, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ხო, მართლა, აი თუნდაც ის, რომ შენ გაგიცანი, შენი სახით მეგობარი შევიძინე, –

პატარა, მაგრამ უკვე რაინდი. აქ ერთი ქართული ოპერაც მოვისმინე. ამის შესახებ მინდა გიამბო. მე ხომ მუსიკოსი ვარ. ჩემნაირი პროფესიონალი მუსიკოსი ბანაკში, ალბათ, თხუთმეტამდე იქნება. ამ რამდენიმე ხნის წინ რადიოში ქართველი კომპოზიტორის, გვარი ვერ დავიმახსოვრე, ოპერას გადმოსცემდნენ, „აბესალომ და ეთერი“.

– მაგის ავტორი ფალიაშვილია, ზაქარია ფალიაშვილი.

– ჰო, ფალიაშვილი... ძალიან ვისიამოვნეთ უვერტიურიდან უკანასკნელ აკორდამდე. ბევრი ჰანგი ახლაც ყურში მაქვს და ალბათ არც არასდროს დამავიწყდება. ისე მოგვეწონა, წითელი კუთხის ხელმძღვანელს ვთხოვეთ კიდევ ერთხელ მოესმენინებინა ეს ოპერა. ჯერ გაოცდა, მერე კი ბანაკის უფროსთან გვიშუამდგომლა. ბანაკის უფროსმა შევეცდებიო, გვითხრა და წავიდა. თურმე რადიოკომიტეტში მისულა, იქ კი უყოყმანოდ დათანხმებიან და სპეციალურად ჩვენთვის, გასულ ოთხშაბათს, დღის ოთხ საათზე დაინიშნა ოპერის ტრანსლიაცია. სამუშაოდან გაგვათავისუფლეს, ყველამ ბოძზე მიმაგრებულ რადიომიმღებთან მოვიკალათეთ ეზოში, მწვანეზე და მუსიკის მომაჯადოებელი ჰანგებიც აჟღერდა. უნდა გენახა, რა ყურადღებით ვუსმენდით, როგორი აპლოდისმენტები გავმართეთ, ყველამ კარგად ვიცოდით, ოპერა ჩვენთვის სრულდებოდა, თუმცა შემსრულებლები ამას ვერ ხედავდნენ და ჩვენს აჟიოტაჟს ვერც შეიტყობდნენ. მოკლედ, ქართულ ლიტერატურაში თუ არა, მუსიკაში მაინც გავერკვიე ცოტათი, ასე რომ, შენი საყვედური მთლად მართებული არ უნდა იყოს!

– მაშ, ქართული ოპერა მოგეწონა? მართლა ეგრე იყო?

– ძალიან მომეწონა. აბა, რატომ უნდა მოგატყუო. და საერთოდ, ვცდილობ, ტყუილი არასოდეს ვთქვა. ადამიანი პირველ რიგში თავის თავს უნდა სცემდეს პატივს, არ უნდა ტყუოდეს. ოღონდ, ერთი ეს მითხარი, სულ მე რომ ვარ გამოსაცდელის როლში, შენ თუ იცი რამე გერმანიისა და გერმანელების შესახებ, გარდა იმისა, რომ კაცისმკვლელები და სისხლისმსმელები ვართ? ჩემამდე თუ გინახავს ცოცხალი გერმანელი?

– რას ბრძანებთ, პატივცემულო ჰანს, – გავაგრძელე ტუჩაბზუებულმა, – მე ორ გერმანელს ვიცნობ, პირველი...

– ეს, ალბათ, ბახი ან ბეთხოვენი იქნება, შენ ხომ მუსიკასაც სწავლობ, მეორე ჰაინე ან რომელიმე მწერალი...

– ძალიან გთხოვთ, ბატონო ჰანს, ნუ მაწყვეტინებთ... მე მოგახსენებთ, თქვენ კი შემდეგ განსაჯეთ.

– დიდ ბოდიშს გიხდით, ბატონო პატარა პრინცო! განაგრძეთ თხრობა, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მეტს აღარ შეგაწყვეტინებთ!

– ერთმანეთის გადაპრანჭულ-ზრდილობიანი გაკეწვლა მოვამთავრეთ და ისევ ვაგრძელებ თხრობას.

– ის გერმანელი, მე რომ ვიცნობ, ჩემი მეგობრის, აი, ბაჩო რომ ვახსენე, იმისი მასწავლებელია, ფრაუ ემილის ასული შუსტერი. ამ ათიოდე წლის წინათ ჩამოსულა გერმანიიდან და ახლა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის გერმანულს, თან კერძო გაკვეთილებსაც იძლევა. მისგან ვიცი, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი გერმანელი ცხოვრობს. ისინი თბილისშიც არიან და მის გარეთაც – პატარა ქალაქია ერთი, ბოლნისი, იქ ცხოვრობენ. იქ მშვენიერი მეურნეობა ჰქონიათ, ჯიშიანი საქონელი, ვენახი, ყოველნაირი ხილი, არაფერი აკლიათო. იმ ქალაქს, ბოლნისს, იქაური გერმანელები თურმე ლუქსემბურგს ეძახიან. ხომ ხედავ, ქართულ ქალაქს გერმანული სახელიც კი დაანათლეს.

– ოჰო, ეს ყოველივე საინტერესოა, ყოჩაღ, კარგად ყვები; აბა ახლა მითხარი, მეორე ვინღაა? ოღონდ ახლა არ მითხრა, მეორე შენა ხარო!..

– მეორის ვინაობის თხრობისაგან დღეს თავს შევიკავებ. აბა, საათს დახედე, უკვე შენი წასვლის დროც მოსულა. ბანაკში რომ დაგაგვიანდეს და გამოგაგდონ, ხომ დავიღუპეთ; მერე ყველაფერი მე უნდა დამბრალდეს.

– შენ ხუმრობ და მართლა მოსულა ჩემი წასვლის დრო.

– რასაც შეგპირდი, იმის შესრულება კი ახლავე შემიძლია. ჩემი ძმაკაცი აგერ, პირველ კორპუსში ცხოვრობს, გავუაროთ და, თუ აქვს, გათხოვებს „ვეფხისტყაოსანს“. ჩემს ნაცნობ გერმანელზე კი მერე მოგიყვები, მომავალ კვირას. ცოტა გრძელი ისტორიაა და ასე უცბად ვერ დავამთავრებ, – დავიფასე თავი.

– კი ბატონო, ეგრე იყოს. ცოტას მოემზადები კიდეც არა? – კეთილად ჩაიღიმა ჰანსმა.

– პირველ კორპუსთან მივედით. ბაჩი შინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, ბედად, გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანიც“ აღმოჩნდა და ჰანსს ვათხოვეთ. გაცილებისას ამაყად მივყვებოდი ბანაკისაკენ მიმავალ მეგობარს, აკი მართალი გამოვდექი, რომ ვუთხარი ეს წიგნი ნებისმიერ ენაზეა თარგმნილი-მეთქი.

მალე გაირბინეს დღეებმა. კვირის თავზე ჰანსი ისევ ჩვენს ეზოში მეწვია. ხელში წიგნი ეჭირა – ჩვენგან წაღებული „ვეფხისტყაოსანი“, საკმაოდ აღელვებული ჩანდა.

– აი, შენი „ვეფხისტყაოსანი“!... მადლობელი ვარ. იცი, როგორ წავიკითხე? თანაც მარტო მე კი არა. სულმოუთქმელად წავიკითხე ორ ღამეში. მერე სხვებმაც წაიკითხეს, ბოლოს, რაკი ბევრს უნდოდა მისი გაცნობა, დრო კი არ ითმენდა, გადავწყვიტეთ, ხმამაღლა ყოფილიყო წაკითხული. ასეც მოვიქეცით, მსურველი ბევრი აღმოჩნდა, რიგრიგობით ვკითხულობდით. დიდი ნიჭი არ არის საჭირო, რომ მიხვდე ამ წიგნის სიდიადეს. მასში უზარმაზარი აზრია ჩადებული, უამრავი ბრძნული აფორიზმია... თუნდაც, მოიცა, აი აქ მაქვს ჩაწერილი: ...„ვინც, მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია...“ ისე, მე ხომ ვამართლებ რუსთაველის შეგონებას? ხომ ვეძებ და ვიპოვე მეგობარი? ერთი სიტყვით მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ თქვენი ქვეყანა მაჩვენა, თქვენი ხალხი გამაცნო... იცი, ცოტ-ცოტა თქვენი ენაც მესმის. ისე მივეჩვიე აქაურობას, რომ მითხრან – აღექი, აიკიდე გუდა-ნაბადი და სახლში წადიო, შეიძლება გულიც დამწყდეს, – ხმამაღლა გაეცინა, სახე კეთილად გაებადრა – აი, ტაბურეტებიც აღარ მაქვს, როგორც შენ მეუბნებოდი, „აღარ დავათრევ“. მოვეშვი ამ ხელობას, ცოტა მდგომარეობაც გაუმჯობესდა ჩვენთან, საჭმელსაც საკმარისს გვაძლევენ, მოკლედ, შენი დაცინვის ობიექტი აღარა ვარ! აბა, ახლა, დანაპირები... შენს მეორე ნაცნობ გერმანელზე ხომ უნდა მიამბო.

– ამბავი, რომლის თხრობასაც ვაპირებ, ჩემმა ბებიამ მიამბო, – სერიოზულად დავიწყე მე, – გუშინ დედასაც ვკითხე ამის შესახებ; ერთი სიტყვით რეპეტიცია გავიარე... ჩემი სამშობლო – საქართველო სხვადასხვა კუთხეებისაგან შესდგება: ქართლი, კახეთი, იმერეთი, აჭარა, აფხაზეთი, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი, გურია, და სხვა.

– სხვათა შორის, გერმანიაც ასეა დაყოფილი. ბავარია, საქსონია, საარლანდი, ნიდერზაკსენი, – ხომ ხედავ საერთო ბევრი გვაქვს.

– ვაგრძელებ – საერთოდ, საქართველო მცირემიწიანია, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით რაჭას უჭირს. ჩვენ წარმოშობით რაჭიდან ვართ. ხოდა, იქაურ გლეხს უჭირდა ოჯახის გამოკვება და, ჩათავდებოდა თუ არა სოფლად მოსავლის აღება – დაბინავების საშემოდგომო სამუშაოები, ბევრი მამაკაცი საშოვარზე მიდიოდა. მათი უმეტესობა ზამთრობით გადაიკარგებოდა და საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისასღა ბრუნდებოდა შინ. სად აღარ მიდიოდნენ: თბილისში, ქუთაისში, საქართველოს სხვა ქალაქებში. ბევრი უფრო შორსაც, რუსეთისა და ევროპის ქალაქებში მიდიოდა. ზოგმა ამერიკაშიც კი ამოყო თავი. მხოლოდ ესაა, შორს მიმავალნი რამდენიმე წლით რჩებოდნენ „მოსაგებში“. აკეთებდნენ, ვისაც რა შეეძლო. ზოგი დურგლობდა და მზარეულობდა, ზოგიც, უბრალოდ, მეკურტნედ მუშაობდა.

– შესავალი ჩინებულია, თხრობა დინჯი და საფუძვლიანი, მაგრამ სადაა ის შენი ნაცნობი გერმანელი? კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი მის გამოჩენამდე? გათავდა, სადაცაა, ჩემი „თავისუფლება“, – შემაწყვეტინა ჩემსავით ძალად დასერიოზულებულმა ჰანსმა.

– ცოტაც და საცაა გამოჩნდება, მოთმინება იქონიე, შეგიძლია ცოტაც მაცალო?

– გისმენ! – დამრთო ნება გამეგრძელებინა მოყოლა.

– რაჭველებს დაუწერელი კანონი ჰქონდათ – საშოვარზე ოჯახიდან მხოლოდ დაოჯახებული მამაკაცი იგზავნებოდა, რომ ახალგაზრდა კაცს უცხო მხარის ქალი არ შეერთო და სამუდამოდ არ გაშორებოდა საკუთარ ფუძეს, თავის სამშობლოს. და იყო თურმე მოფენილი სხვადასხვა ქალაქები პატიოსანი რაჭველი მშრომელებით: მეპურეებით, დურგლებით, მზარეულებით, მეკურტნეებით. ჰოდა, წასულა ჩემი დედულეთიდან, რაჭის პატარა სოფელ მუხლიდან, იმ საუკუნის მიწურულში საშოვარზე გერმანიაში, ცოლშვილიანი ვლადიმერ, სოფელში ლადიმერას ეძახდნენ, კობახიძე. მის წასვლაში საკვირველი და უჩვეულო არაფერი იყო. აი, ორი წლის მერე მისი ჩამოსვლა კი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა; ყოფილა ერთი მითქმა-მოთქმა და ქილიკი, უმეტესად ქალები აქტიურობდნენ თურმე, კაპასობდნენ: „ეს როგორ შეიძლება, სად

გაგნილა, ეს როგორ გაბედა...“ და ასეთები.

– რა უსაშველოდ აგრძელებ, მითხარი, რა ქნა მაგ შენმა ლადიმერამ?

– რა და, გერმანიიდან ცოლი და მასთან შეძენილი შვილი ჩამოიყვანა სახლში, პირველ ცოლთან!

– ბიჭოს, ეგ მართლა საინტერესოა!

მე კიდევ უფრო ვიბერები, რომ ჰანსი დავაინტერესე და თხრობას ვაგრძელებ.

„რა მექნაო – თავს იმართლებდა თურმე სიტყვაძვირი ლადიმერა, – შემიყვარდა კლაშა – კლაშა ერქვა მის მეორე ცოლს, – მასაც შევუყვარდიო, შევცდით და ქალიშვილი შეგვეძინაო; ხომ ვერ მოვატყუებდი, ცოლად წამოვიყვანეო. ამ ღვთისნიერმა ქალმა იქვე, გერმანიაშივე იცოდა, რომ სახლში ცოლი მელოდებოდა, მაგრამ მაინც წამომყვაო. იქ შემეძლო დარჩენა, კიდეც მთხოვესო, მაგრამ სარას, – ეს მისი პირველი ცოლის სახელია, – ხომ ვერ დავტოვებდი ცის ანაბარა და ქვე ჩამოვედიო“.

– მერე, მერე რა მოხდა?

– როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, ჩემო ბატონო ჰანს, უბრალო რაჭველი ქალი, ლადიმერას პირველი ცოლი, სულაც არ გადარეულა, მოსულ-დამხვდურმა მალე გამონახა საერთო ენა და ოჯახსაც ერთად დაუტრიალდნენ.

– ეს კლაშაა შენი მეორე ნაცნობი გერმანელი?

სწორედ ეგაა. კლაშა ახლაც ცოცხალია და ქმრის კერაზე ცხოვრობს ღრმად მოხუცებული, მაგრამ, მოითმინეთ, ბატონო ჰანს, წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

– განაგრძე, – ინტერესით მისმენს ჰანსი.

– კლაშას, ჩამოყვანილი გოგონას გარდა, კიდევ ორი ქალიშვილი ეყოლა. ლადიმერას მხოლოდ ათი წელი უცოცხლია მეორე ცოლის ჩამოყვანიდან. დარჩა მისი ორი წყება ცოლ-შვილი ერთ ჭერქვეშ.

მოყვარული დები ვერ იქნებოდნენ ისე ახლოს, – გვიყვებოდა ბებია, – როგორც სარა და კლაშა იყვნენ ერთმანეთთანო. ოცდაათიან წლებში სარაც მიიცვალა და გვარიანად გაზრდილი ოჯახის უფროსობა კლაშას დააწვა მხრებზე. ერთი შვილი სულ პატარა მოუკვდა. ბევრი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ არ გატყდა – დაზარდა და დააოჯახა თავისი შვილები და გერები. მე მინახავს მისი კოპწია სახლი, წინ მობიბინე მწვანე კოინდარით, ლამაზი და სურნელოვანი ყვავილებით ეზოში; მუდამ მოვლილი ვენახი და ყანა. ჯიშიანი საქონელი, უამრავი სკა ე. ი. თაფლი-ბლომად. კლაშას ძალიან კარგად ვიცნობ, მისი ოჯახი ენათესავება და საკმაოდ ახლოს არის ჩემს ბებიასა და ბაბუსათან. ძალიან უყვარს დედაჩემი და ჩვენც, მისი შვილები. ზაფხულში რაჭაში ყოფნისას ხშირად სტუმრად ვართ მასთან და თაფლის ჭამით ვიჯერებთ ხოლმე გულს. ეჰ, ნეტა ახლა მოგვეცა კლაშას თაფლი?! ახლა კი, ბატონო ჩემო, მის გვარსაც დაგიზუსტებთ – კლოტილდა (კლაშას შინაურები ეძახდნენ) იაკობის ასული დაიბერი და ამით თხრობასაც ვამთავრებ.

– ერთი შეხედვით, დაუჯერებლად მოეჩვენება ადამიანს, – ეჭვობს ჰანსი.

– თუ არა გჯერა, შეგიძლია შეამოწმო!

– შემოწმება, რომც მოვინდომო, არ გამოვა. იმ შენს სოფელში ვინ გამიშვებს? – სევდა ერევა ხმაში, – რა არ ხდება ქვეყანაზე. სადაურს სად წაიყვანს ბედი და იღბალი; – ჰანსი წამოდგა, – ჩემი წასვლის დროც მოსულა. აბა, დაარტყი ხელი.

გავიდა რამდენიმე დღე, ქალაქში ხმა დაირხა – გერმანელ ტყვეებს დიზენტერია დაერია და მუსრს ავლებსო. უკვე მესამე კვირა გადიოდა, რაც ჩემი ჰანსი არ ჩანდა. დავდარდიანდი, ადგილს ვერ ვპოულობდი-ვინ იცის, ამ უწამლობაში ისიც ეპიდემიის მსხვერპლი გახდა. ვერ მოვისვენე, ვიდრე ერთ დღეს ჩემს თანატოლებთან ერთად არ გადავწყვიტეთ თვად მისულიყავით ტყვეთა სამყოფამდე და ჰანსის ბედი თავად გაგვერკვია. იქ ნანახი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

კორპუსები, სადაც ტყვეები ცხოვრობდნენ, და მიმდებარე ტერიტორია შემაღლებულ გორაკამდე მავთულხლართით იყო შემოზღუდული და შიგნით შესვლა მხოლოდ მოსამსახურე პერსონალს შეეძლო. ტერიტორიაზე მიმოდიოდნენ თეთრ ხალათში ჩაცმული ექიმები და სანიტრები, ზედამხედველები და სპეცტანსაცმლიანი ტყვეები. დიდხანს ვათვალიერეთ იქ მოფუსფუსე ხალხი, მაგრამ ჰანსს ვერსად მოვკარით თვალი.

უცებ კინაღამ ელდა მეცა, თვალთ დამიბნელდა, ახლაც ვერ მოვსულვარ გონს, საიდან გამოგორდა, იქვე მიშენებულ ფარდულიდან თუ კორპუსის უკანა ეზოდან, უზარმაზარი, წითელ ცხენშებმული ოთხთვალა, – პირამდე სავსე გარდაცვლილ ტყვეთა გვა-

მებით. ცხენი ზორბა, ქერაულვაშიან პირქუშ ტყვეს მოჰყავდა. ოთხთვალას ბიჭები აVედევნეთ.

ცხენმა პატარა აღმართი აიარა და გორაკზე, წინასწარ გამზადებულ გრძივ თხრილთან შედგა. მოშორებით გავჩერდით ჩვენც, - ხუთი თუ ექვსი თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი. გამყოლმა ჩვენსკენ გამოიხედა, თითქოს ახლა შეგვამჩნია და ბრძანების კილოთი რაღაც გვითხრა. ყველანი ბაჩის მივაჩერდით და თითქმის ერთდროულად ვკითხეთ:

- რა უნდა, ბაჩი, რას გვეუბნება?

- ჯერ გვითხრა, რისთვის მოსულხართ, რას უყურებთ, აქ არაფერია საინტერესოო. ახლა კი გვეკითხება, პაპიროსი ხომ არა გაქვთო? მალულად თითქმის ყველა ჩვენთაგანი ეწეოდა მაშინ გავრცელებულ უხარისხო პაპიროსს „ტემპს". ხალისით მივაწოდეთ გამყოლს სიგარეტი და ასანთი, უფრო სწორად გადავუყარეთ მავთულხლართს იქით. მან უცებ წამოკრიფა კოლოფები, ოთხთვალიდან ცხენი გამოხსნა, მერე იქვე ჩაჯდა და პაპიროსს მოუკიდა. ერთხანს ჩუმად იყო, მერე ისევ რაღაც გვითხრა ხმამაღლა. ალაპარაკდა ჩვენი მთარგმნელიც.

- ომი საზარელი რამაა, მასში უაზროდ დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები. ვის ჭირდება ან ვის უნდა ომი? რა საჭიროა ამ ხალხის დაღუპვა? თქვენ პატარები ხართ და კარგად დაიხსომეთ: ეს ომი არც ერთ ნორმალურ ადამიანს არ უნდა. ნუ გეგონებათ, რომ ჩვენ გერმანელები სიხარულით ვიბრძოდით. ახლა ბევრი ლაპარაკის დრო არ არის, ბევრ რამეს, რომ გაიზრდებით, თვითონ მიხვდებით. ახლა წადით. მე უმძიმესი საქმე მელის. დამხმარე მომივა და დავასაფლავებთ ამ უბედურებს. ვინ იცის, მათი ბედი შესაძლოა ხვალ ჩვენ გავინაწილოთ. გარდაცვლილთა შორის ერთი ჩემი მეგობარია, - ზზარი გაუჩნდა ხმაში, - აი, ის სულ ზევიდან რომაა დასვენებული ურიკაზე.

ბაჩის ნათარგმნ ყოველ სიტყვას დიდი ყურადღებით ვისმენდით. ყველამ ერთდროულად მოვაბრუნეთ თავები ურიკაზე დასვენებულ ცხედრისაკენ. თითქოს ახლაც გარკვევით ვხედავ ოთხთვალიდან გადმოკიდებულ მკვდრის უსიცოცხლო ხელს. ერთი ფეხი კი რატომღაც მოკეცილი ჰქონდა. გერმანელი მესაფლავე თითქოს ლაპარაკად იქცა და ბაჩიც განაგრძობდა.

- ჩვენ სკოლის ასაკიდან სულ ერთად ვიყავით. შესანიშნავად სწავლობდა, მერე უნივერსიტეტში შევიდა მათემატიკურზე. მე სხვაგან ვსწავლობდი, მაგრამ მაინც სულ ერთად ვიყავით. შემდეგ სკოლაში მუშაობდა, მათემატიკის მასწავლებლად. რად უნდოდა ომი? რა მისცა ომმა? მშობლიური მიწაც კი არ ეღირსა. მარტო ახლა აღარა ვართ ერთად და მე უნდა დავმარხო... ეჰ, რას იზამ უზენაესია ყოვლის განმგებელი... წადით, რატომ არ მიდიხართ?! რამე ხომ არ გინდათ?

ბაჩიმ ჩემზე ანიშნა და გერმანულად ჰკითხა:

- ჩემს მეგობარს, აი, ამას, ახლობელი ჰყავს ტყვეებში, მესამე კვირაა არ ჩანს. იქნებ იცით რაიმე მის შესახებ?

- რა ჰქვია, რა გვარია? - იკითხა მესაფლავემ.

- ჰანსი, ჰანსი ჰქვია, გვარი არ ვიცი, არ უთქვამს, მაღალია, ცისფერი თვალები აქვს. ხის დაბალი სკამების გაკეთება ეხერხება, იმათ დაატარებდა გასაყიდად. - ისე სწრაფად და აღელვებით მივაყარე, ბაჩი ძლივს ასწრებდა გადათარგმნას.

- აქ ნახევარზე მეტს ჰანსი ჰქვია და ყველა რაღაცას აკეთებს. - ხელი ჩაიქნია მესაფლავემ, - აი ჩემი დამხმარეც მოვიდა; აბა, ახლა შინისაკენ მოუსვით! აქ საყურებელი არაფერია.

ჩუმად, გულდამძიმებულნი მოვდიოდით სახლისაკენ ცხოვრებისაგან ნახევრად დაბრძენებული პატარა ბიჭები. ხანდახან უკან ვიხედებოდით და კარგად ვხედავდით, ეს ორი კაცი როგორ ფრთხილად იღებდნენ გარდაცვლილებს და კუბოს გარეშე, ასევე ფრთხილად ასვენებდნენ გრძელსა და ღრმა თხრილში. მერე ორივემ ნიჩბებს მოკიდეს ხელი და... უკან აღარ გაგვიხედავს. სირბილით გავეცალეთ იქაურობას.

გადიოდა დღეები, კვირები, არც ერთი გერმანელი ტყვე ქალაქში აღარა ჩანდა. ჰანსის შესახებ ვერაფერი შევიტყვე, მისგან არაფერი ისმოდა. ვაი თუ ეს საშინელი სენი შეეყარა, ვაი თუ...

ერთ დღეს ჩვენი ეზო უცნაურად ახმაურდა. ყველა ჩემკენ იხედებოდა, ხელს იშვერდნენ, რაღაცას მანიშნებდნენ, რაღაცას მეძახდნენ და... ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, დავინახე როგორ გადმოჭრა ქუჩა და ეზოში შემოვარდა ოფლში გაღვრილი ჰანსი. პირდაპირ ჩემთან მოირბინა, სალამიც არ გახსენებია, გული ამოვარდნაზე ჰქონდა,

ქოშინებდა, სხაპასხუპით მითხრა:

– ხვალ დილით მივდივართ, გარკვევით არ გვეუბნებიან, მაგრამ ყველა ვხვდებით, გერმანიაში ვბრუნდებით. გახარებულები ვართ, მაგრამ ამ სიხარულს შიშიც ახლავს – რა ხდება სამშობლოში? რა გადარჩა? ვინაა ცოცხალი, ვინ არა? მითხრეს, ჩემს სანახავად მოსულხართ ბიჭები, მადლობელი ვარ. კარანტინი იყო ჩვენთან და გამოსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. აი, ეს შენ, ჩემს გაკეთებულ სკამს გიტოვებ სამახსოვროდ, შიგა მხარეს ჩემი ვინაობა და მისამართი აწერია. რა ვიცი, ეგებ კიდევ გვიწერია შეხვედრა. შენს უნახავად ვერ წავიდოდი, ძალიან ვთხოვე ბანაკის უფროსს და მანაც მხოლოდ ერთი საათი მომცა შენთან შესახვედრად; ახლა სასწრაფოდ უნდა გავბრუნდე. – ერთი ამოსუნთქვით დაამთავრა ნაჩქარევი საუბარი ჰანსმა.

არაფერი მკითხავს, უფრო სწორად, სიტყვის დაძვრას ვერ ვახერხებდი. მასაც აღარაფერი უთქვამს. ჩვენს ირგვლივ შეკრებილი ბიჭები გახევებულები იდგნენ. ასე ვიდექით ერთმანეთის პირისპირ, მერე ჰანსი ერთბაშად გადამეხვია, თან რაღაცას ჩურჩულებდა გერმანულად; ჰანსის სიტყვები მოგვიანებით მითარგმნა ბაჩიმ:

„ღმერთო მაღალო! გვაკმარე ცრემლი და ვაება, დაცემა და გახრწნა, სიმუხთლე და გაუტანლობა. ღმერთო მაღალო, ჩაგვინერგე ურთიერთსიყვარული და სიკეთე. მოგვეცი უნარი სხვისი ტკივილის გაგებისა. გამგებელო ამა ქვეყნისა – დაამყარე მშვიდობა დედამიწაზე, იხსენი ადამიანის მოდგმა განადგურებისაგან.

ღმერთო ძლიერო, გვაკმარე, გვაკმარე ამდენი ტანჯვა“. მან ხელი შემიშვა და მის თვალებზე პირველად შევნიშნე ცრემლი. ამან კიდევ უფრო ამაღელვა, ვგრძნობდი, როგორ იზრდებოდა ჩემს ყელში გაჩრილი ბურთი. ცოტაც და, ალბათ, მეტს ვეღარ გავუძლებდი, ცოტაც და ავბღავლდებოდი...

„პატარა პრინცო, ცოტა პური მომეცი!“ – მითხრა ქართულად. შემდეგ ორი-სამი ნაბიჯი უკან გადადგა, ხელის ტრადიციული დარტყმა არც ერთს არ გაგვხსენებია, სწრაფად მიტრიალდა და სირბილით წავიდა ბანაკისაკენ.

ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ იწმენდდა გზადაგზა თვალებს. მე კი დავრჩი მისგან ნაჩუქარი ტაბურეტით ხელში. ცრემლი თავისთავად დაიძრა თვალებიდან. მინდოდა გრძნობა დამეოკებინა, სატირალი კი არა, სასიხარულო იყო, ჰანსი თავის სახლში ბრუნდებოდა, მაგრამ რომ ვერ ვიკავებდი თავს, რომ ვერ შევაჩერე ცრემლები? არადა, რამდენი ცნობისმოყვარე თვალი მიყურებდა... არავის ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, ყველანი მდუმარედ აცილებდნენ ჰანსს.

ცოტა ხანში ომიც დამთავრდა და მშვიდობიანი, მაგრამ მძიმე ცხოვრება მდორედ დაიძრა წინ.

მამა, ჩვენდა სასიხარულოდ, დაგვიბრუნდა ფრონტიდან.

მერე და მერე თითქოს აჩქარდა ცხოვრების რიტმი: ძმებმა სკოლაც დავამთავრეთ და უმაღლესი სასწავლებლებიც. მუშაობა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში დავიწყეთ და ოჯახებსაც მოვეკიდეთ. ჯერ იყო და ჩვენმა მშობლებმა მიიღეს ცალკე ბინა, შემდეგ ჩემმა უფროსმა ძმამ და მე; ამ გადასვლა-გადაბარგებაში და ორომტრიალში ჰანსის ნაჩუქარი ხის პატარა სკამი სად გაქრა, სად დაიკარგა, ვეღარ გავარკვიე, ვერსად მივაგენი მას. არადა, რას წარმოვიდგენდი, რომ სამოცდაათიან წლებიდან ბარე ათჯერ მომიხდებოდა გერმანიაში მივლინებაში ყოფნა.

სადა ხარ, ჩემო კეთილო უფროსო მეგობარო, ჰანს? ნეტა თუ აეწყო შენი ცხოვრება ისე, როგორც ოცნებობდი? ვინ იცის...

აი, ეს ამბავი ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში, გერმანელ ტყვეთა სასაფლაოს გახსნისას. თითქოს ახლაც თვალნათლივ ვხედავდი იმ ხანდაზმულ გერმანელს, რომლის შესახებაც ასე ამაღლებული გრძნობით მოგვიყვა თბილისელი მხატვარი თინათინ ჰეინე, თითქოს ყურში მისი მთრთოლვარე ხმაც ჩამესმოდა:

„ლამაზო გოგო, მომეცი ცოტა პური“.

...ახლა ქალაქის მერი ამბობდა საბოლოო სიტყვას. გერმანელ ტყვეთა საძმო სასაფლაო კი ჩაფლული იყო ნაირფერ ყვავილებში, ენთო უამრავი სანთელი სასაფლაოსაკენ მისასვლელი ბილიკების გასწვრივ და იყო ძალზე ამაღლებული გრძნობა ადამიანთა ხსოვნისა.

ჩემი ქალაქი, მის მიწაში დამარხულ გერმანელ ტყვეებს ჭირისუფლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაგული კვაჭაძე-ქანთარია



## გაუმარჯოს!

ალიონის თენებას და
განთიადის ნათებას,
მტრედისფერად ცის შეღებვას,
ცისარტყელას ჩვენებას,
მორაკრაკე ნაკადულთან
პეშვით წყალის დალევას,
ფანჯარასთან ნიგვზის ტოტზე
ჩიტის სტვენას, გალობას,
ხელში ჩვილის დაკავებას,
გულზე ჯვარის დაწერას,
გულის უცებ ატოკებას,
სიყვარულით შეხედვას,
სიხარულით აღტაცებას,
ხელის ცაში აწევას,
ყოველივე ამის აღქმას,
სულზე კვალის დამჩნევას,
თავისთავთან შერკინებას,
ქრისტიანად დარჩენას.

1989

## ნოსტალგია

გურული კაცის „საცხა“ და „რაცხა“,
ფაცხა, კერია...
გურული ბიჭის ცხენის ჯირითი:
თოფის გასროლა, ბიჭის გალოცვა,
ციცაი დოქით წყალზე წასული,
გურული ნენა თავშალწაკრული, თბილი
კერია...
ნაცარში ჩქარა ჩაკრული კვერი,
ბაბა წასული საგზლით ყანაში,
კრიმანჭული და ხასანბეგურა,
გურიავ, მიყვარს შენი წარსული,
გურიავ, გიმღერს შენი ასული,
ნოსტალგია მაქვს ახლო წარსულის.

1988

## შემოდგომის მოსაწყენი მელოდია უკრავს

შემოდგომის მოსაწყენი მელოდია უკრავს
გარეთ წვიმს და მუქი ფერი დასდებია ზეცას
ქარი ქრის და შემორჩენილ ფოთლებს
ხის ტოტიდან მიაქროლებს მინდვრად.
ოქროსფერი დასდებია მინდვრებს,
მწვანე ფერი ალაგ-ალაგ მოსჩანს,
გაფრენილან თბილ ქვეყნებში ფრინველები,
ბეღურები დარჩენილან ობლად.
შემოდგომის მოსაწყენი მელოდია უკრავს.

1993

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჩვენი თაობის პოეტი, „ცისკრელების" მეგობარი ელდარ კერძევაძე უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან. აქ წარმოდგენილი მიძღვნითი ლექსები მკითხველს სევდასა და ტკივილს აღუძრავს, რადგან ლექსების ადრესატები უკვე იქ, ზეციურ საქართველოში ბინადრობენ.*

# ელდარ კერძევაძე

## აკაკი გაწერელიას

მიყვარს
თქვენი არტისტული
სულის გამონათებანი,
ამდენ ხალხში,
ღმერთი-რჯული, –
სანთლითა ხართ საძებარი.
ოთხმოცი წლის
შუქი გმოსავთ,
ღმერთს ვთხოვ, –
მოიყაროთ ასის!
ცოდნით აკადემიკოსი,
გულით –
პოეტი და ბავშვი.
უნიჭობის არ გაქვთ ნიჭი
და ვერც ცხოვრობთ ულიმღამოდ.
ამიტომაც ხშირად გიჭირთ
სულ უბრალო რამის გამო.
მავანივით
ვერ იკადრებთ
არაკაცურს,
ანუ ულირსს,
თქვენთვის ოქროს ფასი ადევს,
რაც ზოგს
ჩალადაც არ ულირს.
მეფე მასხარამ გაართოს,
თქვენ კი
თქვენი წიგნი წერეთ,
ღმერთმან
ხელი მოგიმართოთ,
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

## კაცობის მადლი

გიორგი ნიშნიანიძეს

როცა შხამს ვსვამდი
თაფლის ფიჭიდან,
გზას მივიკვლევდი
ხელის სავსავით,
შენ მიხვდი მაშინ –
როგორ მიჭირდა,
ამომიდექი მხარში ძმასავით.
სიმართლე
არვინ არ მაპატია.
ბევრი დამენგრა
ძმობით ნაშენი...
საცოდავია კაცი მარტივი,
მაგრამ რომ არ ჩანს
რამე საშველი...
კუდიანები ისევ ანცობენ...
ვინ რაა, ვიცი...
მაგრამ არა ღირს...
დამილოცნიხარ –
შენი კაცობით
და ძმად მიგულე
აწ და მარადის!..

## კვირა დღე

გიგლა სარიშვილს

მიიწურა უფერული კვირა დღე,
ვარ მარტოკა... ფიქრის ჯვარზე გაკრული...
მოწყენილი სივრცეს დავაყურადებ,
თითქოს მესმის შენი ჯოხის კაკუნი...
ისევ ჰქრიან ზამთრის ავი ქარები,
მწვანე ბალახს ელოდება ბილიკი...

მომენატრა შუქი შენი თვალების,
საუბარი, შენებური ქილიკი...
მომენატრა წყნეთის ლურჯი ბაღები,
გულს შეხლილი ყაყაჩოთა ზვირთები,
ის –
რისთვისაც ცეცხლში გადავვარდები,
რასაც ასე ვუვლი და ვუფრთხილდები.
აღსავსეა იქსითა და იგრეკით
გზები, მაინც სად მიჰქრიან ეს გზები...
დამიგროვდა,
დამიგროვდა ფიქრები...
დამიგროვდა,
დამიგროვდა ლექსები,
დამიგროვდა სიყვარული უთქმელი...
მოემატა სტრიქონს მრავალწერტილი...
ხვალინდელ დღეს სიხარულით ვუცქერი –
გუშინდელ დღეზე გულდაწყვეტილი...
ისევ ჰქრიან ზამთრის ავი ქარები,
მომენატრა გაზაფხულის შხაპუნა...
მომენატრა შუქი შენი თვალების,
მომენატრა შენი ჯოხის კაკუნი...

## გახსოვს?

თედო ბექიშვილს

დრომ
თბილისის ქოხმახები
თანდათან აჩალა,
მაგრამ ხსოვნას ხელი ვერ ახლო...
სადაც ახლა
ლამაზი სასტუმროა, –
„აჭარა"
ნაქირავები
მცირე ოთახი გქონდა,
გახსოვს?
ერთ საღამოს გესტუმრეთ
მე და ჩანტლაძე შოთა
/გვიანი შემოდგომა იდგა/,
დედის ხელი დასტყობოდა
შენს ღარიბულ ოთახს,
რაღაც-რაღაცეებიც ჩამოეტანა მთიდან,
ხაჭო-ერბომ და ქიპიტაურმა ჭანჭურის
გაგვახალისა /ნამეტნავად შოთა/.
იჯდა შოთა
პოეზიის მსაჯულად...
ჩვენც არაყმა გაგვათამამა ცოტა.
. . .
სხვა დრო იყო,
რაღაც სხვაგვარად სანატრელი
/წარსული აწმყოს მძევალია/.
დღევანდელს არ ვემდური,
არც მინდა არაფერი, –
მაგრამ წარსულ დღეთა
შუქს ვერ შეველიე...
დრომ
თბილისური ქოხმახები
თანდათან აჩალა,
მაგრამ ხსოვნას ხელი ვერ ახლო...
სადაც ახლა
ლამაზი სასტუმროა –
„აჭარა"
ნაქირავები
მცირე ოთახი გქონდა...
გახსოვს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო ლეფსვერიძე



## მულატი ქალი

მწყერი,
გნოლი
და ფასკუნჯი,
მტრედი თუ ზღვის თოლია,

ცაში
ერთად
აფრენილი,
ყველა ჩემი მგონია...

მაგრამ
მათი
ბრწყინვალება
შენთან მონაგონია...

შენი
შესაფერი
ქება
ჯერ არ გამიგონია!

## ჭიაკოკონა

მზეს სწვდებოდა ცეცხლის ალი,
მენთო ჭიაკოკონა...
დავაქარგე ცას ვარსკვლავი,
შენ ყაყაჩო გეგონა?

ზეცას დარჩა ცეცხლის კვალი,
მიწას – ღველფი მიმქრალი,
მოვიხადე სოფლის ვალი
მისხალ-მისხალ-მისხალი.

## მადლობელი ვარ...

ქვეყანა ძნელი სამართავია,
არავის სჯერა სიტყვის...
ვინ მტყუანია, ვინ მართალია, –
ხვალ მომავალი იტყვის.

დღეს არაფერი არ მიხარია
და ყველაფერი მიკვირს...
ისე მტერს აღარ გაუხარია,
როგორც მე ახლა მიჭირს!

მაინც მზისაკენ მიმიხარია,
ფიქრი მზისაკენ მიქრის...
ფიქრები მკვებავს დიდი ხანია,
მადლობელი ვარ ფიქრის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი მარცვალაშვილი



## ფშავის მეტეორიტი

*გიორგი მარცვალაშვილი დიდი ვაჟას ჩარგალში დაიბადა და გაიზარდა. პოეზიის სიყვარული მასაც ბავშვობიდან ჩასჭრია სულსა და გონებას. ჩასჭრია და აუმაღლებია კიდეც ეს ფუტკარივით მშრომელი, ფუსფუსა კაცი. თავის დროზე, როგორც თვითონ ამბობს: „სულს როცა მართლა ემზეურებოდა", მისი პოეტური ხატებიც გაკრთებოდა ხოლმე პრესის ფურცლებზე.*

*75 წლის ძია გიორგი მშვენიერი გამოცანების ავტორია, რომლის გამოცემასაც, ალბათ, მალე დაადგება საშველი. /რას იზამ, სულხორცად გაწამებულ საქართველოში ყველაფერი გაძნელდა/.*

*სულ ახლახანს, ხალხური პოეზიის ტრფიალმა ჟურნალ „ცისკარს" წარმოუდგინა პოემა: „ფშავის მეტეორიტი", რომელიც ხალხური პოეზიის შედევრის „ლექსო, ამოგთქომ ოხერო" ავტორს მიხა ხელაშვილს ეძღვნება. გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ პოემიდან.*

*თემურ ჩალაბაშვილი*

*12.XII.98წ.*

* * *

როგორც ძმის ჭირისუფალსა,
ლევანს ესტუმრა სალომე.
რომელმაც უთხრა – მობრძანდი,
შენი სტუმრობით ვხარობ მე.
მან უთხრა – დიდად მაწუხებს
შენ ძმის, მიხაის დაკარგვა;
დილამდე მოკვდეს, ვინც მტრადა
მაზედ ხელები აღმართა;
როგორ ესროლა ტყვიები
ცოდვა არისო, არა სთქვა.
ამიტომ მოველ შენთანა
ეგებ გავიგოთ, ვინ არი?
გავხადოთ მისი ოჯახიც
ცხარე ცრემლჩამომდინარი.
და ნუ დამძრახავ, გენაცვლე,
მაქვს ღარიბული საგძალი,
სტუმრისგან ანტრიას ზიდვა,
ვფიქრობ, არ არის ნაკრძალი.
გთხოვ, არ დამძრახო მცირედზე,
როგორც ღარიბი, საწყალი.
მაქვს ტიკჭორაში არაყიც,
ვით უკვდავების წამალი.
მოვიხსენოთ მიხაი –
კაცი ყველასთან ალალი.
მე გეხვეწები იმასა,
ვნახოთ რამ გამოსავალი.
განსხვავებულად მოხარშულს
მაგიდაზე დებს ანტრიებს.
შესანდობარი მიხასი
ერთად დაისხეს, დალიეს.
სველი, გემრიელ ლუკმისად
ცხიმ მიძალება ურჩია.
ლევანიც სიტყვას ასრულებს
ალბათ, მგელივით თუ შია.
ამ ამბის მსვლელობისასა
სტუმარს დარჩენა მოსთხოვა –
ამ ღამით აქ დაისვენე,
დილაზე წასვლის დროც მოვა.
ღლე არის, ხალხი იჭორებს,
წავალ და ღამე მელოდე.
წაწლადაც გაგიხდებოდი,
ცოტა რომ არა გცხვენოდეს.
სტუმარი მიდის, მასპინძელს
მხნეობა მაღლა ეწევა,
ღალატსა, ავკაცობასა
განა პირველად ეჩვევა.
ვაჟას ძმობილსა ტილუნას,
მხოლოდ ჰყავდა ერთაშვილი,
ისიც მოუკლა ამანა,
იყო ისეთა შეშლილი.
აი, რა იყო მიზეზი
ბოროტი გამომეტების.
ასეთებს უნდა ყველამა
თავში ჩაარტყან კეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ შეჯიბრებაში,
ჭიდაობაში აჯობა.
ამიტომ აღარ ინდომა
მის სასიკვდილო დანდობა.
ბიჭი როდესაც წავიდა
სამკალად ჩარგლის მთაშია,
მაშინ ესროლა ლევანმა
ჩასაფრებულმა გზაშია.
მრავალი ცოდვა იკისრა
ახლა ანტრიას მჭამელმა,
საავაზაოდ გაქნილმა,
ქვეყნისგან აუტანელმა.
არ დაუტოვა წამალა
სიცოცხლე გასაგრძელები.
მალე შევიდნენ ტყეშია
კუბოს ფიცარის მთლელები.
ამოისუნთქა ჩარგალმა,
არ უყვარს კაცის მკვლელები.
და ლოცეს ხელაშვილისა
მალე მზის დამაბნელები.
არ უნდა იყოს არსადა
ქვემძრომი მორიელები.
ნახეთ, სხვა გამბედაობაც –
დები არ დარჩნენ ძმის ვალში,
რომ გაიმარჯვეს რიგითა
შეჭრილთა მედიცინაში.
აი, მეორე ანდერძიც
ვნახოთ, რას იქმენ იმაში:
„თუ კი სიკვდილი იქნება,
დამმარხეთ მშობელ მიწაში“.
ნაანდერძები სიტყვაა
სავალი ბედის წვიმაში.
სალომე იმისათვისა
თუნდა გაძვრება რკინაში.
გრძნობა გვკლავს სიბრალულისა,
როცა ეკითხულობთ იმასა:
„მენა თქვენნაებრ მაღირსოს
შინ გათლილ კუბოს ფიცარსა.
სამუდმოდ ჩასაბარებლად
მიწასა ახადიისა...“
ახადით გამოთხოვილი
ჩარგალს სალომე სახლობდა.
ბევრი ჭირვარმის მომსწრები,
გულით მაინცა მაგრობდა.
როგორც ფშაველი ქალები,
ისიც ოჯახში საქმობდა.
ქსოვდა, კერავდა, რეცხავდა,
პურსა ზელდა და აცხობდა.
ცოდნით ამკობდა შვილებსა
და ზრდიდა საამაყოდა.
არვინ ყოლოდა ნაწყენი.
თხილის გულს ათად გაყოფდა.
მან მილიციის ეზოდან
გვამის მოპარვა – წაღება
შეიძლო, ასე დაიცვა,
ანდერძის გაჯანსაღება.
იცის, თუ გაუხმაურდა,
იგი ციხეში ჩაჯდება,
მიენდო ჩარგლის მიწასა,
ამით რა დაუშავდება.

არ ხმიანობდა სამრეკლო,
ტაძარიც იდგა მშვიდადა,
იანვრის ქარი უსტვენდა
თავის ხმის გასადიდადა.
ჩარგლის მთებიდან მქროლავი
გადაჭიმული ხიდადა.
ვინ არის უდარდებელი,
ჭირში ვინ გამოიცადა.
ღამეა. სასაფლაოზე
ჩუმად შემოაქვთ ცხედარი.
ყმა იყო ლაშარის ჯვრისა,
პიროფლიანი მხედარი,
რომელიც იმის გორზედა
მრავალჯერ იყო შემდგარი;
სამშობლოს შეწირებული,
ვაჟკაცი გულით მედგარი.
კაცი – ღვთის მადიდებელი
და არაფერში შემცდარი.
დროშის და სარწმუნოების
ტრფიალი ჰქონდა ერთგვარი.
უტირლად, უხმაუროდა
კუბო მიწაში ეშვება.
რას არგებს ჭირისუფალთა
ცრემლებით დანუგეშება.
მის დედაც აქ ასვენია,
ვინც ზარდა, ძუძუ აწოვა;
დედა და შვილი ცალ-ცალკე,
ბედმა არ განამარტოვა.
ორივემ ახადის მიწა
პირცარიელი დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯ. კრიშნამურტი

## თქვენ ხართ სამყარო

*„საკუთარ თავში გვაქვს მოქცეული მთელი სამყარო და თუ ვიცით, როგორ დავაკვირდეთ და ვისწავლოთ, კარიც აქვეა და გასაღებიც ხელთა გვაქვს. ქვეყნად ვერავინ მოგცემთ ამ გასაღებს და ვერც კარს გაგიღებთ, თავად თქვენს გარდა“*

### სამი საუბარი ბრანდესის უნივერსიტეტში

როცა კაცი მოგზაურობს, ის თვალნათლივ ხედავს, რომ ადამიანური პრობლემები, რომლებიც ერთი შეხედვით სულ სხვადასხვაგვარნი ჩანან, სინამდვილეში მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია: პრობლემა ძალადობისა და თავისუფლებისა; პრობლემა, თუ როგორ მივაღწიოთ ადამიანებს შორის უკეთეს ურთიერთობებს ისე, რომ შეგვეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება, ღირსეულად და მუდმივი კონფლიქტის გარეშე – კონფლიქტისა როგორც საკუთარ თავთან, ასევე ახლობლებთანაც. კიდევ, მთელს აზიას აწუხებს სიღატაკის, შიმშილის და ამ ყველაფრით სრული სასოწარკვეთის პრობლემა, ხოლო ამერიკაში ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში, არსებობს სიმდიდრის პრობლემა. იქ, სადაც არის სიმდიდრე, რომელსაც თან არ ახლავს უბრალოება, აუცილებლად არის ძალადობაც, არაეთიკური ფუფუნების ყველა ფორმაც. ეს არის საზოგადოება, რომელიც სრულიად კორუმპირებული და ამორალურია.

არსებობს ორგანიზებული რელიგიის პრობლემაც, რომელსაც ადამიანები დღეს უკვე მთელს მსოფლიოში მეტ-ნაკლებად უარყოფენ; და კიდევ, საკითხი, თუ რა არის რელიგიური აზროვნება და მედიტაცია – ესენი ხომ მართლა აღმოსავლეთის მონოპოლია არ არის. არსებობს სიყვარულისა და სიკვდილის საკითხიც – უამრავი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა. მე არ ვაპირებ, წარმოგიდგინოთ კონცეპტუალური აზროვნებისა თუ იდეოლოგიის რაიმე სისტემა, იქნება ეს ინდური თუ რომელიმე სხვა. თუ შევძლებთ, ერთად ვისაუბროთ ამ უამრავ პრობლემაზე, არა ისე, როგორც სპეციალისტთან თუ ექსპერტთან ისაუბრებდით, რადგან მე არც ერთი ვარ და არც მეორე, მაშინ ალბათ მოვახერხებთ სწორი ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ კარგად გახსოვდეთ, რომ სიტყვა – საგანი არ არის და აღწერილობა, რაც უნდა დეტალური, რთული, კარგად დასაბუთებული და მშვენიერი იყოს, მაინც არ არის აღწერილი რამ.

არსებობს მთელი ცალკეული სამყაროები, იდეოლოგიური დაჯგუფებები; მაგ: ინდუსების, მუსლიმანების, ქრისტიანების თუ კომუნისტების, რომელთაც უანგარიშო ზიანი, სიძულვილი და მტრობა მოუტანეს კაცობრიობას. ყველა იდეოლოგია იდიოტურია, იქნება ეს პოლიტიკური თუ რელიგიური, რადგან ეს იგივე კონცეპტუალური აზროვნებაა, კონცეპტუალური სიტყვა, რომელმაც ასე საუბედუროდ დაჰყო კაცობრიობა.

ამ იდეოლოგიებს მოაქვთ ომები; შესაძლებელია არსებობდეს რელიგიური ტოლერანტობა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დოზით; ამის შემდეგ კი იწყება ნგრევა, შეუწყნარებლობა, სისასტიკე, მრისხანება – რელიგიური ომები. ასევე არსებობს ნაციონალური და ტომობრივი დაჯგუფებები, რომლებიც იდეოლოგიურ საფუძველზეა წარმოქმნილი, არსებობს შავი ნაციონალიზმი და სხვადასხვაგვარი ტომობრივი გამოხატულებები.

საერთოდ შესაძლებელი კია, ამქვეყნად მშვიდი, თავისუფალი, ღირსეული არსებობა? თავისუფლება აბსოლუტურად აუცილებელია; მაგრამ არა პიროვნების თავისუფლება – აკეთოს რაც უნდა, რადგან პიროვნება განპირობებულია, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის, ამერიკაში, ინდოეთში თუ სადმე სხვაგან; ის განპირობებულია თავისი საზოგადოებით, თავისი კულტურით, მთელი თავისი აზრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების სტრუქტურით. საერთოდ შესაძლებელი კია, ამ განპირობებულობისაგან გათავისუფლება, არა იდეოლოგიურად, არა იდეურად, არამედ რეალურად, ფსიქოლოგიურად, შინაგანად? სხვაგვარად მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, არსებობდეს რაიმე დემოკრატია თუ მართებული ქცევა. შევნიშნავ, რომ გამოთქმას – „მართებული ქცევა" – დღეს ძალზე ალმაცერად უცქერენ, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენ შეგვიძლია მისი გამოყენება სწორედ იმის გამოსახატავად, რასაც ეს გამოთქმა გულისხმობს, ყოველგვარი შეურაცხმყოფელი დატვირთვის გარეშე.

თავისუფლება იდეა არ არის; არც თავისუფლების შესახებ დაწერილი ფილოსოფიაა თავისუფლება. ადამიანი ან არის თავისუფალი, ან არა. როგორც შელამაზებული უნდა იყოს ციხე, მასში მყოფი ადამიანი მაინც პატიმარია; პატიმარი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როცა ის ციხეში აღარ არის. თავისუფლება არ არის აზროვნების მდგომარეობა, რომელიც აზრშია დაჭერილი. აზრი ვერასოდეს იქნება თავისუფალი. აზრი – მეხსიერების, ცოდნისა და გამოცდილების პასუხია; ის ყოველთვის წარსულის პროდუქტია და ალბათ ვერასოდეს მიაღწევს თავისუფლებას, რადგან თავისუფლება ისეთი რამაა, რაც მხოლოდ ცოცხალ აწმყოში, ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს. თავისუფლება არ არის თავისუფლება რაღაცისაგან: რაღაცისაგან თავისუფლება – უბრალოდ რეაქციაა.

რატომ ანიჭებს ადამიანი ასეთ უდიდეს მნიშვნელობას აზრს? – აზრს, რომელიც აყალიბებს კონცეფციას, რის მიხედვითაც ცდილობს ცხოვრებას. მთელს მსოფლიოში შეინიშნება იდეოლოგიების ჩამოყალიბება და ამ იდეოლოგიებისათვის შესაბამების მცდელობა. ამას აკეთებდა ჰიტლერული მოძრაობა, ამასვე აკეთებენ დიდი მონდომებით კომუნისტებიც. რელიგიურმა ჯგუფებმა: კათოლიკეებმა, პროტესტანტებმა, ინდუსებმა და სხვებმა თავიანთი იდეოლოგიები ორიათასწლიანი პროპაგანდით განამტკიცეს და მუქარითა თუ დაპირებებით შეძლეს, ადამიანებისთვის ამ იდეოლოგიების მორგება. ეს ფენომენი მთელს მსოფლიოში შეინიშნება; ადამიანი მუდამ ასეთ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აზრს. რაც უფრო დახელოვნებული და ინტელექტუალურია აზრი, მით მეტად სერიოზულია მისი მნიშვნელობა. მაშ, მე გეკითხებით: როდისმე შეძლებს აზრი, გადაჭრას ჩვენი ადამიანური პრობლემები?

არსებობს ძალადობის პრობლემა: არა მარტო სტუდენტური ამბოხები პარიზში, რომში, ლონდონსა და კოლუმბიაში, ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოში, არამედ მთელი ეს მძარდი სიძულვილი და მრისხანება: შავები თეთრების წინააღმდეგ, ინდუსები მუსლიმთა წინააღმდეგ... სახეზეა დაუჯერებელი სისასტიკე და უკიდურესი მრისხანება, რასაც ადამიანები გულში ინახავენ: თუმცა კი გარეგნულად განათლებულნი ჩანან და განპირობებულნიც არიან, მშვიდობის ლოცვები იმეორონ. ადამიანები უკიდურესად მრისხანენი არიან. ეს მრისხანება შედეგია პოლიტიკური და რასობრივი დაყოფისა, ისევე როგორც რელიგიური სხვადასხვაობისა.

შეუძლია ადამიანს, რეალურად გარდაქმნას, სრულიად შეცვალოს ეს თითოეულ ჩვენგანში გამჯდარი მრისხანება ისე, რომ შეძლოს მშვიდობიანი ცხოვრება? ეს მრისხანება ადამიანს აშკარად ცხოველისგანა აქვს მიღებული მემკვიდრეობად და კიდევ იმ საზოგადოებისგან, რომელშიც ის ცხოვრობს. ადამიანი განწირულია ომისათვის, იგი ღებულობს ომს, როგორც ცხოვრების წესს; აქაიქ იქნებ კიდეც არის ომის საწინააღმდეგო ლოზუნგების მატარებელი რამდენიმე პაციფისტი, მაგრამ იქვე არიან ომის მოყვარულები, რომელთაც აქვთ კიდეც თავიანთი სასურველი ომები! არიან ისეთებიც, ვინც შეიძლება არ იწონებს ვიეტნამის ომს, მაგრამ სხვა რამისთვის იბრძოლებს, სხვა სახის ომი ექნება. ფაქტიურად, ადამიანმა მიიღო ომი, ანუ კონფლიქტი არა მარტო საკუთარ თავში, არამედ გარეგანადაც, როგორც ცხოვრების წესი.

როგორიც არის ადამიანი, ცნობიერი თუ არაცნობიერი, ისეთივე საზოგადოებას ქმნის ის, ცხადია, შესაბამისი სტრუქტურებით. და კვლავ ისმის კითხვა: საერთოდ შესაძლებელი კია ადამიანისათვის, რომელმაც უკვე გარკვეული ჩვევები გამოიმუშავა – თავისი განათლების შესაბამისად, მიღებული სოციალური თუ კულტურული ნორმების შესაბამისად – შესაძლებელია მისთვის, მიაღწიოს ფსიქოლოგიურ რევოლუციას საკუთარ თავში? – ფსიქოლოგიურს და არა უბრალო, გარეგან რევოლუციას.

შესაძლებელი კია საერთოდ ფსიქოლოგიური რევოლუციის მეყსეული მიღწევა? – დროთა განმავლობაში, თანდათანობით კი არა, რადგან, როცა სახლი გეწვით, ფიქრის დრო აღარ არის; მაშინ აღარ ლაპარაკობთ ცეცხლის თანდათანობით მოცილებაზე; დრო აღარა გაქვთ, დრო მხოლოდ გაცთუნებთ. მაშ, რა შეცვლის ადამიანს? რა შეგვცვლის თქვენ ან მე ანდა, საერთოდ, ადამიანს? ჯილდოს ან სასჯელის მოტივი? ეს უკვე ნაცადია. ფსიქოლოგიური ჯილდოს თუ სასჯელის შეპირება, როგორიცაა სამოთხის ნეტარება და ჯოჯოხეთის ტანჯვა, მრავალჯერ ყოფილა, მაგრამ აშკარაა, რომ ადამიანი არ შეცვლილა, ის კვლავაც დარჩა შურიანი, ხარბი, მრისხანე, ცრუმორწმუნე, მშიშარა და კიდევ ვინ იცის... უბრალო მოტივი, იქნება ის მოცემული შინაგანად თუ გარეგანად, მაინც ვერ აღწევს რადიკალურ ცვლილებას. თუ ანალიზის მეშვეობით ვიპოვით მიზეზს, რად არის ადამიანი ასე მრისხანე, შიშით სავსე, ასეთი მომხვეჭელი, მოქიშპე, ასე სასტიკად ამბიციური – მიზეზის პოვნა სულ ადვილია – ეს კი მიგვაღწევინებს ცვლილებას? ცხადია, ვერა; ვერც ეს და ვერც მოტივის გაშიშვლება. მაშ, რაღა დარჩა? რა მიგვაღწევინებს ფსიქოლოგიურ რევოლუციას არა თანდათან,

არამედ მეყსეულად? ჩემი აზრით, სწორედ ეს არის საკითხავი.

ანალიზი, იქნება ის სპეციალისტის ჩატარებული თუ ინტროსპექტული, მაინც ვერ პასუხობს ამ საკითხს. ანალიზი დროს მოითხოვს, თანაც მას დიდი დაკვირვება სჭირდება, რადგან ერთი მცდარი ნაბიჯიც კი მომდევნო ანალიზის სიმცდარეს იწვევს. თუ აანალიზებთ, მიდიხართ რაღაც დასკვნამდე და შემდეგ ამ დასკვნას იყენებთ მომდევნო ანალიზისათვის, უკვე ჩიხში შედიხართ, ჩაკეტილ წრეში ხვდებით. თანაც, ანალიზისას არსებობს „გამაანალიზებლისა“ და „გასაანალიზებლის“ პრობლემა.

მაშ, როგორღა უნდა მივაღწიოთ რადიკალურ, ფუნდამენტურ ცვლილებას ფსიქოლოგიურად, შინაგანად, თუ ეს არ ხერხდება არც მოტივის მეშვეობით, არც ანალიზით და არც მიზეზის აღმოჩენით? ადამიანი ადვილად შეიძლება მიხვდეს თუ რატომ არის გაბრაზებული, მაგრამ ეს არ შეწყვეტს ამ სიბრაზეს. ასევე, შესაძლებელია მიხვდეთ, თუ რა მიზეზები იწვევს ომს, იქნება ის ეკონომიკური, ეროვნული, რელიგიური თუ პოლიტიკური ან იდეოლოგიური, მაგრამ მაინც ვაგრძელებთ ერთმანეთის ხოცვას, ხან ღმერთის სახელით, ხან იდეოლოგიის, ქვეყნის, ხან კიდევ სხვა რამის სახელით. 5000 წლის განმავლობაში 15000 ომი გამოვიარეთ! – და კვლავაც არა გვაქვს ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის თანაგრძნობა!

ამ საკითხის განხილვისას ადამიანი გარდუვალად აწყდება „გამაანალიზებლისა“ და „გასაანალიზებელი“ საგნის პრობლემას, „მოაზროვნისა“ და „აზრის“, „დამკვირვებლისა“ და „დასაკვირვებლის“ პრობლემას; კიდევ იმ პრობლემას, არის თუ არა „დამკვირვებლად“ და „დასაკვირვებლად“ დაყოფა რეალური, რეალური იმ თვალსაზრისით, როგორც აქტუალური პრობლემა და არა როგორც რაღაც თეორიული. არის „დამკვირვებელი“ ცენტრი, რომლიდანაც აკვირდებით, ხედავთ და ისმენთ; კონცეპტუალური რაობა, რომელმაც საკუთარი თავი დასაკვირვებლისგან გამოაცალკევა? როდესაც კაცი ამბობს, რომ ის გაბრაზებულია, ამ დროს ეს სიბრაზე განსხვავდება იმ რაობისგან, რომელმაც იცის, რომ ის გაბრაზებულია? – მრისხანება – გამოყოფილია „დამკვირვებლისაგან“? ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელშიც უნდა გაერკვეთ. – სწორედ რომ ცენტრალური საკითხი იმაში გასარკვევად თუ როგორ არის შესაძლებელი მეყსეული ფსიქოლოგიური ცვლილება, მეყსეული და არა ცვლილება რაღაც მომავლის მდგომარეობასა თუ დროში. განსხვავდება თუ არა „დამკვირვებელი“ „ეგო“, „მოაზროვნე“, „გამოცდილების პატრონი“ იმ საგნისაგან, გამოცდილებისგან, აზრისგან, რომელსაც ის აკვირდება? როდესაც უცქერით აი იმ ხეს, გაფრენილ ჩიტსა თუ წყალზე დაისის ლივლივს, ამ დროს დამკვირვებელი განსხვავდება იმისაგან, რასაც აკვირდება? განა როცა ჩვენ ხეს ვუყურებთ, მართლა „ვუყურებთ“ მას? გთხოვთ, კარგად მიადევნოთ ამას აზრი. განა როდისმე პირდაპირ ვუყურებთ რამეს? თუ ცოდნის სახეების, წარსული გამოცდილების მიღმა ვუცქერთ ყველაფერს? თქვენ ამბობთ: „დიახ, ვიცი, ეს რა მშვენიერი ფერია, რა ლამაზი ფორმაა“. თქვენ ისინი გახსოვთ და ტკბებით იმ სიამოვნებით, რომელიც მეხსიერებიდან მოდის, ამის მსგავსი გრძნობის ხსოვნიდან და ასე შემდეგ. როდისმე დაკვირვებიხართ დამკვირვებელს, როგორც „დასაკვირვებლისგან“ განსხვავებულ რამეს? თუ ამას კარგად არ ჩაუღრმავდებით, შეიძლება გამოგრჩეთ ის, რაც ამას მოჰყვება. მანამ, სანამ არსებობს „დამკვირვებლად“ და „დასაკვირვებლად“ დაყოფა, იარსებებს კონფლიქტიც. სივრცითი თუ სიტყვიერი დაყოფა, რომელიც გონებაში ამოტივტივდება შარშანდელი შემოდგომის ფერების სახეებთან, ცოდნასთან და ხსოვნასთან ერთად, ქმნის „დამკვირვებელს“, – ხოლო დასაკვირვებლისაგან გამოყოფა უკვე კონფლიქტია. აზრს მივყავართ ამ დაყოფამდე. თქვენ უცქერით თქვენს მეზობელს, ცოლს, ქმარს თუ მეგობარს, ვინც უნდა იყოს, მაგრამ შეგიძლიათ, შეხედოთ მათ აზრის სახეების გარეშე, წარსული ხსოვნის გარეშე? როდესაც რაღაც წარმოდგენიდან იცქირებით, მაშინ ხომ კავშირი არ არსებობს; მაშინ არის უბრალოდ არაპირდაპირი კავშირი წარმოდგენათა ორ ჯგუფს შორის. აქ არის კონცეპტუალური და არა რეალური კავშირი.

ჩვენ კონცეფციათა სამყაროში ვცხოვრობთ, აზრის სამყაროში. ჩვენ აზრის მეშვეობით ვცდილობთ, გადავჭრათ ყველა ჩვენი პრობლემა, დაწყებული ყველაზე უფრო მექანიკურიდან, დამთავრებული უდიდესი სიღრმის ფსიქოლოგიური პრობლემებით.

თუ არსებობს დაყოფა „დამკვირვებლად“ და „დასაკვირვებლად“, ეს დაყოფაა ყველა ადამიანურ კონფლიქტთა წყარო. როდესაც ამბობთ, რომ ვიღაც გიყვართ, განა ეს სიყვარულია? ამ სიყვარულში ხომ არსებობს „დამკვირვებელიც“ და ისიც, ვინც გიყვართ, ანუ „დასაკვირვებელი“? ეს „სიყვარული“ აზრის პროდუქტია, მოწყვეტილი, როგორც კონცეფცია, და არ არსებობს სიყვარული.

განა აზრი ერთადერთი ინსტრუმენტია, რომლითაც უნდა გავუმკლავდეთ მთელს ჩვენს ადამიანურ პრობლემებს? ის ხომ პასუხს არ იძლევა, ვერ ჭრის ჩვენს პრობლემებს. იქნებ (ამას მხოლოდ ვკითხულობთ, დოგმატურად კი არ ვამტკიცებთ), იქნებ აზრს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ადგილი, გარდა მექანიკური, ტექნოლოგიური, მეცნიერული საკითხებისა?

როდესაც „დამკვირვებელი“ იგივე „დასაკვირვებელია“, მაშინ კონფლიქტი წყდება. ეს სრულიად ნორმალურად, ადვილად ხდება: ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს დიდი საფრთხე, აღარ ხდება „დამკვირებლის“ გამოყოფა „დასაკვირვებლისაგან“; აქ ადგილი აქვს დაუყოვნებელ მოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას; აქ მოქმედებაში არის მეყსეული პასუხი. როდესაც ადამიანის ცხოვრებაში დიდი კრიზისის პერიოდია – ადამიანი კი ყოველთვის თავს არიდებს დიდ კრიზისს – მას დრო აღარა აქვს ამაზე დასაფიქრებლად. ასეთ შემთხვევებში ტვინი, მთელი თავისი წარსული ხსოვნებით, დაუყოვნებლივ არ იძლევა პასუხს, თუმცა კი ადგილი აქვს დაუყოვნებლივ მოქმედებას. ადგილი აქვს დაუყოვნებლივ ცვლილებას, ფსიქოლოგიურად, შინაგანად, და ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრდება „დამკვირვებლად" და „დასაკვირვებლად" დაყოფა. ახლა სხვაგვარად გეტყვით: ადამიანი წარსულში ცხოვრობს, მთელი ცოდნა წარსულისაა. ადამიანი იქ ცხოვრობს, მისი ცხოვრება იქაა, იქ, სადაც უკვე ყოფილა და უფიქრია, „რა ვიყავი" და, აქედან გამომდინარე, „რა ვიქნები". ადამიანის ცხოვრება ძირითადად გუშინდელ დღეზეა დაფუძნებული და „გუშინდელი დღე" აუხეშებს მას, უსპობს უცოდველობას, მგრძნობიარობას. ასე რომ, „გუშინდელი დღე" არის „დამკვირვებელი"; „დამკვირვებელი" იტევს როგორც არაცნობიერის, ისე ცნობიერის ყველა შრეს.

თითოეულ ჩვენგანში მთელი კაცობრიობაა მოქცეული, ჩვენს როგორც ცნობიერ, ასევე არაცნობიერ შრეებში. ადამიანი შედეგია ათასობით წლებისა; თუ კაცმა იცის, როგორ ჩაუკვირდეს ამას, შეუძლია ნახოს, რომ თითოეულ ჩვენგანში ჩაბეჭდილია მთელი ისტორია, მთელი ცოდნა წარსულისა. სწორედ ამიტომ არის თვითშეცნობა უმნიშვნელოვანესი რამ. „საკუთარი თავი" ახლა მეორეხარისხოვანია; ადამიანი იმეორებს იმას, რასაც სხვები ეუბნებიან, იქნება ეს ფროიდი თუ რომელიმე სხვა სპეციალისტი. მაგრამ თუ ადამიანს უნდა საკუთარი თავის შეცნობა, მან ვინმე სხვა სპეციალისტის თვალით კი არ უნდა იყუროს; ადამიანმა პირდაპირ უნდა შეხედოს საკუთარ თავს.

როგორ შეიცნობს ადამიანი საკუთარ თავს „დამკვირვებლად" ყოფნის გარეშე? რას ვგულისხმობთ ჩვენ ცოდნაში? არ მინდა სიტყვებს ჩავეძიო – რას ვგულისხმობთ „ცოდნაში", რაიმეს ცოდნას? როდის ვიცი რაიმე? მაგალითად, მე ვამბობ, რომ „ვიცი" სანსკრიტი, „ვიცი" ლათინური, ანდა ვამბობ, რომ „ვიცი" ჩემი ცოლი თუ ქმარი. მე ვსწავლობ ენის ცოდნას, მაგრამ განა როდისმე შემიძლია, ვთქვა, რომ ვიცი ჩემი ცოლი თუ ქმარი? როდესაც ვამბობ, რომ „ვიცი" ჩემი ცოლი, ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნილი მაქვს გარკვეული წარმოდგენა მის შესახებ: მაგრამ ეს წარმოდგენა ხომ ყოველთვის წარსულშია; ეს წარმოდგენა ხელს მიშლის, პირდაპირ შევხედო მას – ხომ შეიძლება ის უკვე შეიცვალა. მაშ, შემიძლია, როდისმე ვთქვა, რომ „ვიცი"? როცა ადამიანი კითხულობს: „შემიძლია, ვიცნობდე საკუთარ თავს დამკვირვებლის გარეშე?" – ნახეთ, რა ხდება მაშინ:

ეს ძალზე რთულია: მე ვსწავლობ საკუთარ თავს; ჩემი თავის შესწავლისას ვაგროვებ ცოდნას საკუთარი თავის შესახებ, რომელიც უკვე წარსულის საკუთრებაა და მეხმარება უფრო მეტის გაგებაში ჩემი თავის შესახებ. ჩემს თავს ვაკვირდები ჩემი თავის შესახებ დაგროვილი ცოდნიდან და ვცდილობ, რაღაც ახალი ვისწავლო ჩემი თავის შესახებ. განა შევძლებ ამას? ეს შეუძლებელია.

საკუთარი თავის შესწავლა და საკუთარი თავის ცოდნა – ორი სრულიად განსხვავებული რამაა. შესწავლა – მუდმივი, არადაგროვებადი პროცესია, ხოლო „საკუთარი თავი" – მუდმივად ცვლადი რამაა: მას ახალი აზრები, ახალი გრძნობები, ახალი ვარიაციები, მომენტები და დეტალები ახასიათებს. შესწავლა არ არის ისეთი რამ, რაც წარსულთან თუ მომავალთან უნდა იყოს კავშირში: ვერ ვიტყვი, რომ ეს უკვე შესწავლილი მაქვს ანდა ამის შესწავლას ვაპირებ. მაშასადამე, გონება მუდმივად შესწავლის პროცესში უნდა იყოს და, ამრიგად, მუდმივად ცინცხალი, აქტიურ აწმყოში მყოფი. გონება არასოდეს უნდა მოდუნდეს და წარსულში დაგროვილ ცოდნას არ უნდა დასჯერდეს; თუ ამას კარგად ჩაუკვირდებით, ნახავთ, რომ მნიშვნელოვანია მხოლოდ შესწავლა და არა ცოდნის შეძენა; ასეთ შემთხვევაში გონება არაჩვეულებრივად ფხიზელი, შეგნებული და დაკვირვებული ხდება. შესწავლა მუდმივი, აქტიური პროცესია; ის არ არის შესწავლის საგანი. მე ვსწავლობ უფრო მეტს იმისათვის, რომ ეს მივუმატო უკვე შესწავლილს. მე ვერასოდეს ვიტყვი, რომ უკვე ვიცი საკუთარი თავი: თუ ვინმე ამბობს, რომ მან „იცის", აშკარაა, რომ მან არაფერიც არ იცის. საკუთარი თავის შესასწავლად უნდა გაგვაჩნდეს დაკვირვების თავისუფლება, ეს თავისუფლება კი უარყოფილია წარსულში შეძენილი ცოდნის მიღმა დაკვირვებისას.

*მსმენელი:* რატომ მივყავართ კონფლიქტისაკენ „დამკვირვებლად" და „დასაკვირვებლად" დაყოფას?

*კრიშნამურტი:* ვინ ცდილობს ამას? როგორც კი ადგილი აქვს მცდელობას, წინააღმდეგობას, მაშინვე ჩნდება კონფლიქტიც. მაშ, განა არ არის წინააღმდეგობა „დამკვირვებელსა" და „დასაკვირვებელს" შორის ასეთი დაყოფისას? ეს არ გახლავთ არგუმენტისა თუ შეხედულების საკითხი, ამას შეგიძლიათ თავად დააკვირდეთ. როდესაც ვამბობ: „ეს ჩემია", იქნება ეს საკუთრება, სექსუალური უფლებები, თუ ჩემი სამუშაო – ჩნდება წინააღმდეგობა, რომელიც დაყოფას იწვევს და ამრიგად, ჩნდება კონფლიქტიც. როდესაც ვამბობ, რომ „მე ინდუსი ვარ", „ბრაჰმი ვარ" თუ კიდევ სხვა რამ ვარ, ამით ჩემს გარშემო რაღაც სამყაროს ვიქმნი, რომელთანაც საკუთარ თავს ვაიგივებ, ეს კი დაყოფის წყაროა. უდავოა, რომ, როდესაც ადამიანი ამბობს, კათოლიკე ვარო, ამით ის უკვე გამოყოფს საკუთარ თავს არაკათოლიკეებისაგან. ყოველგვარი დაყოფა, გარეგანი თუ შინაგანი, კვებავს ანტაგონიზმს. მაშ, ჩნდება პრობლემა: შემიძლია, რაიმე ისე შევიძინო, რომ არ შევქმნა ანტაგონიზმი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ შექმნა გარკვეული წინააღმდეგობა, რომელიც კონფლიქტის წყაროა? თუ არსებობს რაღაც სრულიად სხვა განზომილება, სადაც სუფევს არამესაკუთრეობის სული და, ამრიგად, თავისუფლებაც?

*მსმენელი:* შესაძლებელია საერთოდ, ყოველგვარი აზრობრივი კონცეფციების გარეშე მოქმედება? შეძლებდით თუნდაც ამ ოთახში შემოსვლას და სკამზე დაჯდომას, სკამის რაობის შესახებ კონცეფცია რომ არ გქონდეთ? ისე ჩანს, თითქოს თქვენ ყოველგვარი კონცეფციების საჭიროებას უარყოფთ.

*კრიშნამურტი:* შესაძლებელია, ეს საკითხი საკმაოდ დეტალურად ვერ ავხსენი. ადამიანს უნდა ჰქონდეს კონცეფციები. ვთქვათ, თუ გკითხეთ თქვენი მისამართი, თუ ამნეზიის მდგომარეობაში არა ხართ, ალბათ მიპასუხებთ. პასუხის გაცემა – კონცეფციის, ხსოვნის ნაშობია და ცხადია, ადამიანს უნდა ჰქონდეს ასეთი ხსოვნები, კონცეფციები. მაგრამ სწორედ კონცეფციები კვებავენ იდეოლოგიებს, ყოველგვარი უბედურებისა წყაროს: თქვენ ამერიკელი ხართ, მე – ინდუსი, ინდოელი. თქვენ ერთ იდეოლოგიას ეკუთვნით, მე – მეორეს. ეს იდეოლოგიები კონცეპტუალურია და მათი გულისთვის მზად ვართ, ერთმანეთი დავხოცოთ, თუმცა შევძლო, მეცნიერულად, ლაბორატორიაში გვეთანამშრომლა. მაგრამ აქვს კონცეპტუალურ აზროვნებას რაღაც ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში? ეს უფრო რთული პრობლემაა. ყოველგვარი რეაქცია – კონცეპტუალურია: ვთქვათ, მაქვს რაღაც იდეა, რომლის მიხედვითაც ვმოქმედებ; ეს, პირველყოვლისა, ნიშნავს იდეას, ფორმულას, ნორმას და მხოლოდ შემდეგ – მოქმედებას ამ ყველაფრის შესაბამისად. ასე რომ, არსებობს დაყოფა კონცეფციას, ანუ იდეასა და მოქმედებას შორის. ამ დაყოფის კონცეპტუალური მხარეა „დამკვირვებელი". მოქმედება სადღაც, ჩვენს გარეთ რჩება და აქედან მოდის დაყოფა, კონფლიქტი. ეს წამოჭრის ახალ საკითხს: შეუძლია გონებას, რომელიც განპირობებული იყო, განათლებული და სოციალურად აღზრდილი, თავი გაითავისუფლოს კონცეპტუალური აზროვნებისაგან და არამექანიკურად იმოქმედოს? შეუძლია გონებას, იყოს მდუმარების მდგომარეობაში და ისე იმოქმედოს? მე ვამბობ, რომ ეს შესაძლებელია; მაგრამ ამას არავითარი ფასი არა აქვს, რადგან ამას მე ვამბობ. მე ვამბობ, რომ ეს შესაძლებელია და ეს არის მედიტაცია ამ საკითხის გადასაჭრელად; შეუძლია თუ არა გონებას – მთელ გონებას – სრულიად დადუმდეს, გათავისუფლდეს კონცეპტუალური აზროვნებისგან, სრულიად გათავისუფლდეს აზროვნებისგან ისე, რომ იფიქროს მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა ფიქრი. როცა მე ინგლისურად ვლაპარაკობ, ეს ავტომატური პროცესია. შეგიძლიათ, მისმინოთ სრულიად ურეაქციოდ, აზრის ყოველგვარი ჩარევის გარეშე? – თუმცა, როგორც კი ამას შეეცდებით, უკვე ფიქრი მოგერევათ. შესაძლებელია, შეხედოთ ხეს ანდა თუნდაც ამ მიკროფონს, – ყოველგვარი სიტყვის, ანუ აზრის, კონცეფციის გარეშე? ხისთვის შეხედვა კონცეფციის გარეშე არცთუ ისე ძნელია, მაგრამ სიტყვის, კონცეფციის გარეშე შეხედოთ მეგობარს, ან ისეთ ვინმეს, ვინც რამე დაგიშავათ, ანდა იმას, ვინც მოგეფერათ, გაცილებით უფრო ძნელია; ამისათვის საჭიროა, რომ ტვინი სრულიად მშვიდი იყოს, თანაც გააჩნდეს რეაქციები, პასუხები, იყოს სწრაფი, მაგრამ ამასთანავე უნდა შეეძლოს სრული, ტოტალური, მდუმარე ჭვრეტა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიქვამთ და მოქმედებთ არაფრაგმენტული მოქმედებით.

*მსმენელი:* დიახ, მგონი მესმის, რასაც ლაპარაკობთ.

*კრიშნამურტი:* ძალიან კარგი, მაგრამ ეს კიდეც უნდა გააკეთოთ. ადამიანი უნდა იცნობდეს საკუთარ თავს; შემდეგ წამოიჭრება პრობლემა „დამკვირვებლისა" და „დასაკვირვებლისა", „მონალიზისა" და „გასაანალიზებლისა" და ასე შემდეგ. მაგრამ არსებობს ჭვრეტა ამ ყველაფრის გარეშე და ეს არის მეყსეული გაგება.

*მსმენელი:* თქვენ ცდილობთ, სიტყვებით გადმოგვცეთ ისეთი რამ, რაზედაც თავადვე ამბობთ, რომ ამის სიტყვებით გადაცემა შეუძლებელია.

*კრიშნამურტი:* ჩვენ სიტყვიერი ურთიერთობა გვაქვს იმიტომ, რომ თქვენც და მეც გვესმის ინგლისური ენა. სწორი ურთიერთობისათვის აუცილებელია, რომ თქვენც და მეც, ჯერ ერთი, მოვინდომოთ და მეორეც, ენერგიულნი ვიყოთ; სხვაგვარად ურთიერთობას ვერ დავამყარებთ. თუ მე ვილაპარაკებ და თქვენ კი ფანჯარაში დაიწყებთ ცქერას ანდა, თუ თქვენ სერიოზული იქნებით და მე კი არა, ურთიერთობა შეწყდება. ამას გარდა, ურთიერთობა იმ თემის გარშემო, რომელსაც თქვენ ან მე ღრმად არ ჩავწვდომივართ, ძალიან თრულია. მაგრამ არსებობს კომუნიკაციის სხვა ფორმაც, არასიტყვიერი, რომელიც მყარდება მაშინ, როცა თქვენც და მეც სერიოზულები ვართ, დაძაბულნი და უშუალონი, ერთსა და იმავე დროს და ერთი და იგივე დონეზე; მაშინ მყარდება არასიტყვიერი ურთიერთობა. მაშინ შეიძლება, სიტყვების გარეშეც იოლას გავიდეთ. შეგვიძლია, ვისხდეთ სრულ მდუმარებაში, მაგრამ ეს ჩემი ან თქვენი მდუმარება კი არ უნდა იყოს, არამედ ორივე ჩვენგანის; მაშინ ალბათ შესაძლებელი იქნება ურთიერთობა. მაგრამ ეს ძალიან ბევრს მოითხოვს.

ინგლისურიდან თარგმნა

*თამარ მამულაშვილმა*

# შეხვედრა - არა შემთხვევითი

*ჯერ კიდევ შარშან ბატონ ჯემალთან ინტერვიუსთვის ოცდასამი შეკითხვა მივიტანე. მერმე დროდადრო შევეხმიანებოდი ხოლმე და შევახსენებდი „ცისკრისთვის“ შეპირებულ საუბარსაც და რომანსაც...*
*ვაი, რომ ვერც ამ ინტერვიუს დასრულება მოასწრო და ვერც რომანისა - სულ ცხრა შეკითხვის პასუხები მოიძიეს მისიანებმა, რომანის დამთავრებამდეც ორი-სამი ფორმა დააკლდა.*
*ამჯერად გთავაზობთ ამ დაუმთავრებელ ინტერვიუს ბატონ ჯემალ ქარჩხაძესთან, 1999 წელს კი „ცისკარი“ მწერლის ბოლო რომანსაც შესთავაზებს თავის მკითხველს.*

მიხო მოსულიშვილი

*1. ალბათ, უკვე ნახეთ წლევანდელი „ცისკრის“ განახლებული ნომრები... ვინც სატიტულო გვერდზე დაბეჭდილ ჟურნალის დაარსებისა და აღდგენის წლებს დახედავს და უმარტივეს მათემატიკურ ოპერაციებს ჩაატარებს, დაადგენს, რომ წლევანდელი წელი საიუბილეოა „ცისკრისთვის“... თქვენ რას იტყოდით ჩვენს ჟურნალზე?*

„აღდგენა“ უფრო, ალბათ, სიმბოლოა და მასში რეალური მემკვიდრეობითობა ნაკლებად იგულისხმება; თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს - ბოლოს და ბოლოს, ისტორიის ერთიანობა სწორედ ასეთი სიმბოლოების მეშვეობითაა შესაძლებელი - მთავარი ის არის, რომ 1957 წელს საქართველოში ახალი სალიტერატურო-მხატვრული ჟურნალი დაარსდა, რაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მანამდე, ფაქტიურად, ერთი ჟურნალის შემყურე ვიყავით, არ შეიძლებოდა მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა არ გამხდარიყო. ახლა შეგვიძლია ვთქვათ - და ეს სრული სიმართლეა - „ცისკარი“ დრომ მოითხოვა, მაგრამ ისიც სრული სიმართლეა, რომ „ცისკარმა“ ფორმალურ მოთხოვნას გადააჭარბა და გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ყველაზე ოპტიმისტურ აზრს შეეძლო ევარაუდა, ვინაიდან ვერავითარი ოპტიმისტური აზრი მაშინ ვერ ივარაუდებდა, რომ „ცისკრისთვის“ კულტურული მოვლენის - თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანის - კალაპოტი ვიწრო იქნებოდა და რომ, საერთოდ, მისი მისია სერიოზული ლიტერატურული გარღვევა იყო! არადა, სწორედ ასე აღმოჩნდა. მართლაც, 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანის დასაწყისში, როდესაც ქართული ლიტერატურა ბოლოს და ბოლოს შეუდგა იმ აბსურდული ბორკილების აყრას, რომელიც „სოციალისტური რეალიზმის“ სახელითაა ცნობილი, ამ პროცესში ახალგაზრდა „ცისკარმა“ ძალზე დიდი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული როლი შეასრულა. ეს როლი რომ ღირსეულად დაფასდეს, უნდა გავიხსენოთ შრომით ურთიერთობათა სოციალისტური მეთოდი და მექანიზმი, რომელიც - თუ ეროვნულ კოეფიციენტსაც თავის ადგილას ჩავსვამთ - იმდაგვარი იყო, რომ ნებისმიერი დარგის ხელმძღვანელი, მათ შორის, ცხადია, ჟურნალის რედაქტორიც, იდეოლოგიური ერთგულების ფასად თავისუფლების ყველაზე მახინჯ ფორმას, უპასუხისმგებლო თავისუფლებას იღებდა, რაც, ეტყობა, სახელმწიფო პროგრამით იყო გათვალისწინებული და მოსახლეობის



სრული გახრწნის ნათელ მიზანს ემსახურებოდა (სხვათა შორის „ფასიანი ერთგულების“ ეს მექანიზმი ჩვენში ძალზე საიმედო გამოდგა და „დემოკრატიული“ ფერ-უმარილით წათხუპნილი დღესაც წარმატებით გამოიყენება). მართლაც, თავისუფლება, რომელიც კანონით არ რეგულირდება და მორალის ამარაა მიტოვებული, არათუ ჩვენისთანა ნახევრად ველურ ქვეყანაში, მაღალცივილიზებულ სახელმწიფოებშიც კი, სადაც ეს ორი ცნება - კანონი და მორალი - ასე თუ ისე, თანხმობაშია, ისეთ საცთურად იქცევა, ცოტა თუ გაუძლებს. „ცისკარი“ ამ მხრივ - ამის ლოგიკური მიზეზების ძებნას ნუ გამოვეკიდებით - იღბლიანი გამოდგა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეფარდებითია, რა თქმა უნდა, დრო და გარემოება თავისას ითხოვს, რა თქმა უნდა, კეისარს კეისრისა უნდა მიეცეს და ყველაფერი ასეც ხდებოდა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ პირობების კვალობაზე, როგორშიაც მაშინ ლიტერატურა და პატიოსნება იმყოფებოდა, „ცისკარში“ - თუ ორიოდე უხამს, მაგრამ ღვთის მადლით ხანმოკლე გამონაკლისებს არ ჩავთვლით - ყოველთვის ჯანსაღი ვითარება სუფევდა. რედაქტორების მორალი და თანამშრომლების ინტელექტი ძირითადად ლიტერატურაზე იყო პროეცირებული. ამიტომ „ცისკარი“ მალე ჭეშმარიტი მწერლობის „საკვანძო სადგური“ გახდა და ზემოთ ნახსენებმა ლიტერატურულმა გარღვევამაც, რის შედეგადაც ქართული მწერლობა სოცრეალიზმის ჭაობიდან ამოვიდა, მის მხრებზე გადაიარა („განთიადი“ 70-იანი წლების შუაში გაჩნდა, ხოლო „მნათობმა“ - ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ - შედარებით ჯანსაღი ლიტერატურული ჰაერით სუნთქვა მხოლოდ 80-იან წლებში დაიწყო, როცა იქ კარდინალური საკადრო და - ამის შესაბამისად - ლიტერატურული, მსოფლმხედველობრივი და მორალური ცვლილებები მოხდა). „ცისკარი“ რომ არ ყოფილიყო, დღეს ლიტერატურაში ვეებერთელა ვაკუუმი გვექნებოდა.

ერთი სიტყვით, „ცისკარმა“ თავისი დანიშნულება ღირსეულად შეასრულა და თავისი ვალი პირნათლად მოიხადა, შეიძლება ითქვას, გმირობა ჩაიდინა. გმირობა უბედური ქვეყნის პრეროგატივაა, კრიტიკულ ვითარებაში ზოგჯერ ერთადერთი გამოსავალიცაა. ახალმა დრომ კი არათუ ძველი წყლულები არ მოგვიშუშა, ახლებიც გამოგვიჩინა - უფრო მძიმე და უფრო საშიში წყლულები, რომლებიც აქამდე რუსული და საბჭოთა ჩვრებით გვქონდა შეხვეული, და დღეს ამ ჩვენს გეგმაზომიერად უკონტროლო ქვეყანაში მორჩილებისა და სიხარბის ტოტალური კონვეიერი ბრუნავს, რომელიც ყველაფერს თავის საზეიმო ფერხულში ითრევს. ვისაც ძალაუფლებაზე ხელი მიუწვდება (ესენი ძირითადად ერის მამები და ბიძები არიან - რჩეულები, სასიქადულოები და ნებაზე მიშვებულები, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გახდა თითით საჩვენებელი), ქვეყნის საბადოებიდან გაჩქარებით ეზიდებიან, უკანასკნელ ზოდებს, რათა ოჯახი და კერძო საკუთრება, სახელმწიფოს ეს ორი მყარი ბურჯი, მაქსიმალურად განამტკიცონ და ამ ჭეშმარიტად საშვილიშვილო ამოცანას შეჭიდებულები სულს, კულტურას, საზოგადოდ, იდეალიზმის ნებისმიერ გამოვლენას მხოლოდ ძილის წინ, პირში გამოსავლებად ხმარობენ. დანარჩენები, ვისაც ძალაუფლებაზე ხელი არ მიუწვდა და ვერც ხელმიმწვდომთა ჩრდილქვეშ შეაღწია - დაჩიავებულები, მთვლემარენი და დამოუკიდებელი ნებისგან სავსებით დაცლილები - მორჩილების გამაბრუებელ ფერხულში ტლინკაობენ და შიგადაშიგ შიმშილით იხოცებიან, რაც ფერხულის მომნუსხველ ძალას კიდევ უფრო განამტკიცებს. ამათი ფსიქიკა ისეთია, ოღონდაც ნუ გააღვიძებ და რაზეც გინდა, იმაზე დაგიკრავენ თავს. თქმა არ უნდა, ძალიან ძნელია, ამ საყოველთაო სომნამბულიზმს ზურგი აქციო - მორჩილება მაგნიტური სენია - და ღონ კიხოტივით სულის მხარეს დადგე, მით უმეტეს, როცა მშვენივრად იცი, რომ დღევანდელი ქართველისთვის სული მეტისმეტად კონტრასტული და გამაღიზიანებელი ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქართველო ახლა კიდევ უფრო უბედურია, ვიდრე აქამდე იყო, და იმ პატარ-პატარა ოაზისების იმედზეა, რომლებიც ამ ჩვენს „დამოუკიდებელ“ უდაბნოში აქა-იქ ჯერ კიდევ ბრწყინავს, როგორც ღვთისმშობლის წმინდა ცრემლები. მე იმედი მაქვს, „ცისკარი“ ამ ოაზისთა რიცხვშია და, როგორც იმ მძიმე დროში, ამ მძიმე დროშიც ღირსეულად მოიხდის თავის პროფესიულ და მოქალაქეობრივ ვალს.

რაც შეეხება ჟურნალის გარეგნულ სახეს, იგი შეიძლება შეიცვალოს ან არ შეიცვალოს. ჩემი აზრით, ეს მეორეხარისხოვანი საქმეა. ჭურჭელი, ცხადია, რაც უკეთესი იქნება, ისა სჯობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მთავარი ღვინოა და არა ჭურჭელი. იმედი მაქვს, „ცისკარი“ სწორედ აქეთკენ მიმართავს ყურადღებას და თავის მრავალრიცხოვან ლიტერატურულ „მსმელებს“ შეძლებისდაგვარად ყოველთვის საუკეთესო ღვინით გაუმასპინძლდება.

*2. გთხოვთ, თქვენს ბავშვობაზე გვიამბოთ - ეს ხომ ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველანი ვბრუნდებით ხოლმე ახალ-ახალი რაღაცების აღმოსაჩენად...*

ბავშვობაზე ლაპარაკი ძნელია. მე, მაგალითად, თუ ზედაპირს არ გავცდებით, ჩემს ბავშვობაში იმდენი არაფერი მეგულება საინტერესო, რომ მოყოლად ღირდეს, ხოლო ზედაპირს თუ გავცდებით და სიღრმეებისკენ წავალთ, იქ, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანის ბავშვობაში, იმდენი რამაა საინტერესოც, ღირსშესანიშნავიც, ტრაგიკულიც, კომიკურიც, პათეტიკურიც და ცრუპათეტიკურიც, ინტერვიუ ვერ დაიტევს. თუმცა, რაკი საშუალება

მომეცა, თქვენი ნებართვით ორიოდე სიტყვას ბავშვობაზე არა, მაგრამ იმ გარემოზე კი ვიტყვი, სადაც ბავშვობა გავატარე, ვინაიდან ეს გარემო განსაკუთრებული და გამორჩეულია, და თუმცა ჩვენ ჩვევად გვაქვს საუკეთესო ეპითეტები დაუფიქრებლად ვფანტოთ მარჯვნივ თუ მარცხნივ, დარწმუნებული ვარ (სუბიექტური იდეალიზმის კანონებიც ჩემს მხარესაა), რომ ამჯერად ისინი სწორედ თავ-თავიანთ ადგილასაა ნახმარი. ასეა თუ ისე, ვეცდები, ცნობიერ ენაზე ვთქვა, რასაც მთელი ბავშვობა გაუცნობიერებლად ვგრძნობდი. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო ამოუწურავი სილამაზე. თითქმის უსასრულო. სილამაზე, რომელიც პერმანენტულად იბადება, როგორც წყალი მდინარის სათავეში. შესაძლოა, სწორედ სიტყვა „სათავე“ მიესადაგება ყველაზე უკეთ აქაურობას. აქ, მაგალითად, თუ სიჩუმეში კარგად ჩაიძირებოდი და გულისყურს გაიმახვილებდი, თავისუფლად შეგეძლო პრეისტორიის იდუმალი სუნთქვა გაგეგონა; ღმერთები და ადამიანები აქ – ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბავშვობის დროს ნამდვილად ასე იყო – ერთსა და იმავე განზომილებაში ცხოვრობდნენ (არა იმის გამო, რომ ერთმანეთს ჰგავდნენ; ერთმანეთს არ ჰგავდნენ, პირიქით, ადამიანები უფრო ხშირად უღმერთოები იყვნენ, ხოლო ღმერთები არაადამიანურები, მაგრამ ჯერ იმდენად არ გაცალკევებულიყვნენ და იმდენად არ დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, რომ დამოუკიდებელი განზომილებები დასჭირვებოდათ); თუ აქაურ ორ მდინარეს, რომელთაგან ერთი ძალიან ცივია და მეორე ძალიან თბილი, აღმა შეუყვებოდი, ღვრანი ტყეებისაკენ, ცივილიზაციის ისედაც ნამლევი კვალი მალე სულ წაიშლებოდა და ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდა, თითქოს მდინარის კი არა, დროის სათავისკენ მიდიოდი; სიტყვა „ხედი“ აქ შორს სცდებოდა თავის ჩვეულებრივ, სალექსიკონო მნიშვნელობას, ვინაიდან ლექსიკონის „ხედი“ ფსკერს არ მოიცავს, აქ კი ყველგან ფსკერი ჩანდა. იქამდე, რომ, თუ გულით მოიწადინებდი, ცის ფსკერსაც დაინახავდი (ჩვენ, მაგალითად, არაერთხელ დაგვინახავს – მე და ჩემი ბავშვობის მეგობრებს). ზოგს შეიძლება ყოველივე ეს გადაჭარბებად მოეჩვენოს (უფრო, ალბათ, იმ მიზეზით, რომ თავიანთი თვალით არ უნახავს), მე კი, ასე მგონია, ბევრი დავაკელი – თუ სიჩქარით, თუ მოუხერხებლობით, თუ ინტერვიუს სპეციფიკის გამო. საზოგადოდ, ბავშვობის გარემოზე, ჩვეულებრივ, ვამბობთ ხოლმე: „ჩემი ბავშვობა იმ გარემოში დარჩა“. ეს შაბლონური ფრაზა, ალბათ, სიმართლეა, მაგრამ ისიც სიმართლეა (ვინ იცის, უფრო მაღალი ხარისხის სიმართლეც), რომ, როცა მივდივართ, გარემოც მიგვყვება და, როგორც ერთგვარი აურა, მუდამ თან გვახლავს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მე ეს სრული დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა და არგუმენტად ის ფაქტი მოვიტანო, რომ, სადაც კი ჩემს ნაწერებში სოფლისა და ბუნების სურათებია, ყველგან ჩემი ბავშვობის გარემოს ასპექტები, რაკურსები და ვარიაციებია, ვინაიდან გონების თვალი ერთთავად ამ გარემოში ტრიალებს და კალამიც, ასე ვთქვათ, ამ გარემოშია ჩაწებული.

*3. გთხოვთ, ის დრო გაიხსენოთ, ის ატმოსფერო, როცა თქვენი პირველი ნაწარმოები გამოქვეყნდა.*

ჩემი პირველი პუბლიკაცია – უფრო სწორად, პირველი პუბლიკაციები – შეიძლება მართლა იყოს გახსენების ღირსი. ძნელი სათქმელია, მეტია რა ამ ამბავში – კურიოზი, კომიზმი, თუ ბანალური რეალობა – ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ პუბლიკაციების მეშვეობით, ერთი მხრივ, ძალზე რელიეფურად გამოიკვეთა სწორედ დრო და ატმოსფერო თავისი ავითა და კარგით, ხოლო, მეორე მხრივ, მე ჩემი ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისშივე თითქმის ერთდროულად ვიგემე შემოქმედების სიტკბოცა და სიმწარეც. ეს ასე მოხდა: სამოციანი წლების დასაწყისში, როგორც იქნა, გავბედე და რამდენიმე მოთხრობიდან, რომლებიც უკვე დაწერილი მქონდა, ერთ-ერთი ჟურნალ „მნათობში“ მივიტანე. პასუხისთვის რომ მივედი, მოთხრობა უკვე სტამბაში იყო. მაშინ არ ვიცოდი, რომ ასეთი რამ, როგორც წესი, არ ხდება და რომ ძნელი წარმოსადგენია, დამწყებ მწერალს უფრო დიდი წარმატება დაატყდეს თავს, ვიდრე ის, რომ მისი ნაწარმოები წაკითხვისთანავე დასაბეჭდად გაიგზავნოს. ასე იყო თუ ისე, რაკი ერთი მოთხრობა მომიწონეს, მეც ავდექი და კიდევ ორი მოთხრობა გავაქანე რედაქციაში. მართლაც, ერთი მათგანი, სახელად „ისტორიული რომანი“ – უახლოეს რომანში გაუშვეს. ის რომ გამოქვეყნდებოდა, დაპირებისამებრ, მეორესაც გაუშვებდნენ. ერთი სიტყვით, დებიუტი ისეთი იყო, თავი რომ სიზმარში გგონია და გამოღვიძება აღარ გინდა. და სწორედ ამ დროს მოპირდაპირე პოლუსზეც ამოვარდა ქარიშხალი: გამოვიდა თუ არა ჟურნალი, ჩემი ნალოლიავები „ისტორიული რომანი“ დაუყოვნებლივ მიწასთან იქნა გასწორებული გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე და მიწასთან იქნა გასწორებული კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის მიერ. უფროსმა თაობამ იცის, რას ნიშნავდა ცალკე კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, ცალკე გაზეთი „კომუნისტი“ და ცალკე მათი ალიანსი – კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. ამიტომ მაინცდამაინც გასაკვირი არ არის (თუმც კი ჩემმა ახალგაზრდულმა მაქსიმალიზმმა მაშინ ჟურნალის რედაქციას ეს სიმხდალედ ჩაუთვალა), რომ შემდეგი მოთხრობა არ დაიბეჭდა, ხოლო როცა მივაკითხე, ფრაზების ნაწყვეტებითა და მრავალწერტილებით გამომისტუმრეს („ახლა ეს... არა... იქნებ სხვა რამე... მერე...“ და სხვ.) და დასაბეჭდად გამზადებული მოთხრობაც უკან გამომატანეს. ასეთი გახლდათ დრო, ასეთი გახლდათ ატმო-

სფერო და ასეთები გახლდნენ ადამიანები, რომელთაც ხან აიძულებდნენ, დროისა და ატმოსფეროს მორჩილნი ყოფილიყვნენ, ხან ვერა. ამის შემდეგ, მთელ ჩემს ლიტერატურულ გზაზე, არც ასეთი ტრიუმფი მიგემია (ერთი გამონაკლისის გარდა) და არც ასეთი მომაკვდინებელი კრიტიკა მიწვნევია. თუმცა სიკვდილით, უნდა გითხრათ, არ მოუმკვდარვარ. ჩემი მაშინდელი თავდაჯერება ისეთ სტადიაში იყო, არც გამარჯვებას შეეძლო გაებრუებინა და არც დამარცხებას შეეძლო შეერყია. „მნათობიდან" წამოღებული მოთხრობა კი „ცისკარში" მივიტანე, სადაც თავი ისე დაიჭირეს, თითქოს გაზეთი „კომუნისტი" გამოწერილი არ ჰქონდათ, და დაბეჭდეს. მეც ამის შემდეგ „ცისკარში" დავიდე ბინა და ჩემი ლიტერატურული ცხოვრების დიდი ნაწილი იქ გავატარე.

*4. ბორხესი ამბობს: „იმან, რასაც წერს კაცი, უნდა გადალახოს მისი განზრახვის ჩარჩოები, ამაშია ლიტერატურის დანიშნულება" და კიდევ: „წიგნი დაუმთავრებლად ითვლება, თუ შიგ არ არის ანტიწიგნიც". თქვენ რას იტყვით?*

„ანტიწიგნისას" ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან მთლად კარგად არ მესმის, რა იგულისხმება ამ სიტყვაში. რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, ეს ცნობილი და, რამდენადაც ვიცი, საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებაა, რომელიც ბორხესს, უბრალოდ, თავისებურ ფორმაში მოუქცევია. შემოქმედება რაციონალიზმის და ინტუიციის თანამშრომლობაა (როგორც წესი, ინტუიციის პრიმატით), გნებავთ, ცნობიერისა და არაცნობიერის სამიარო ასპარეზი (სადაც „პირველი ვიოლინო", როგორც წესი, არაცნობიერია). ამიტომ, თუ ლაპარაკი ჭეშმარიტ შემოქმედებაზეა, შემოქმედების ნაყოფი არ შეიძლება განზრახვას, ანუ წინასწარ ჩანაფიქრს არ გასცდეს და „დაუკრეფავში" არ გადავიდეს. აქ ისიც სათქმელია, რომ „ჩანაფიქრიცა" და „განზრახვაც", ცოტა არ იყოს, დაუზუსტებელი, ამორფული ცნებაა. ალბათ, ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა მწერალი (შემოქმედი მწერალი მყავს მხედველობაში) თავიდან ბოლომდე ჩამოაყალიბებს ნაწარმოებს და ამის შემდეგ იწყებს მის ხორცშესხმას. ჩვეულებრივ, ჩანაფიქრი ბიძგია, დეტალი, ნაწილი, უკიდურეს შემთხვევაში, უზოგადესი ფაბულა. და თუნდაც ნაწარმოების მთელი ჩონჩხი უკვე იყოს მოცემული ჩანაფიქრში, სულ ერთია, ეს ჩანაფიქრი მაინც მცირე რაციონალური მარცვალია, ასე ვთქვათ, გონების საწყისი კაპიტალი, რომელიც მერე, წერის პროცესში, როცა ლოგიკა უკანა პლანზე გადადის და ასპარეზს ინტუიციას უთმობს, ისეთ შემოქმედებით გრიგალებში მოხვდება, რომ მისი პირველსახიდან ძალიან ცოტა რამ თუ გადარჩება შეუცვლელი და ხელუხლებელი. თუ შედარებას მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს არ წავუყენებთ და მეტისმეტ სიზუსტეს არ მოვთხოვთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩანაფიქრი რაციონალური თესლია, საიდანაც ირაციონალური პროცესების წყალობით ისეთი მცენარე აღმოცენდება, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე თესლი. ნაწარმოები გაცილებით მეტია, ვიდრე განზრახვა. უხეში და პრიმიტიული სქემის სახით პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ინტუიცია მოიხელთებს იდეას და ამ თავის ნადავლს გონებას გადასცემს. გონება აბსტრაქტულ იდეას ლოგიკურ ჩანაფიქრად ჩამოაყალიბებს და ისევ ინტუიციას დაუბრუნებს, რომელიც ამ ჩანაფიქრს ირაციონალურსა და არაცნობიერ შემოქმედებით „ხსნარში" გახსნის, სადაც მხოლოდ ემოციური კავშირები მოქმედებენ. ბოლოს საქმეში ისევ გონება ჩაერევა და შეეცდება, ყოველივე ეს შეძლებისდაგვარად კვლავ ცნობიერ წესრიგში მოიყვანოს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი მოდელია და არა საზოგადო წესი, მაგრამ ის კი საზოგადოა და გარდაუვალი, რომ მწერალს (საერთოდ, შემოქმედს) ასე ვთქვათ, ცალი ფეხი ინტუიციაში უდგას, მეორე კი რაციონალიზმში, და ხან ერთს წადგამს წინ, ხან მეორეს. წინააღმდეგ შემთხვევაში - თუ ინტუიციურმა საწყისმა არ იმუშავა და მწერალი ტვინის ამარა დარჩა, შედეგი მართლა დაემთხვევა ჩანაფიქრს და ნაწარმოები გონების მიერ მონიშნულ საზღვრებს ვერ გასცდება, ოღონდ ასეთ დროს შემოქმედებასთან უკვე აღარა გვაქვს საქმე, ასეთ დროს საქმე გვაქვს ისეთი ყაიდის საქმიანობასთან, სადაც ინტუიციას ტექნიკა ცვლის და ყველაფერი წერთნასა და გონების კონტროლს ექვემდებარება.

*5. დღევანდელ ლიტერატურაში ახალი სიტყვის თქმა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, ნიჭს რომ თავი დავანებოთ. ვგონებ, შესაძლოა, წარმოვიდგინოთ აბსტრაქტული ლიტერატურული გრაფიკი, სადაც ყველა ქვეყნის მწერლებს მივუჩენთ სათანადო ადგილებს: ჯოისი იქნება, ფოლკნერი, დოსტოევსკი, სერვანტესი თუ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა... ალბათ, ამის შემდეგ უნდა ეძებოს ახალგაზრდა მწერალმა თავისი სამყარო, არა? როგორც მათემატიკური ინტეგრალების გამოყენებით უნდა იმუშაოს მკვლევარმა ანდა ფიზიკოსმა ბოლო მიღწევების გათვალისწინებით... ისე მკვლევარსა და მწერალსაც აქვთ საერთო?*

ნიჭს ვერ დავანებებთ თავს. ნიჭი იმ ფურცლის ცალი გვერდია, რომლის მეორე გვერდი ბიოლოგიური სიცოცხლეა. ნიჭი არის ადამიანის თვითრეალიზაციის ძალა, თვითრეალიზაციის გარეშე კი ღმერთისაკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია. თუმცა ამას მოვეშვათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ჯერჯერობით შეკითხვის ბოლო ნაწილზე ვისაუბროთ. აქვს თუ არა მწერალსა და მკვლევარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო, ანუ, ცნებები რომ უფრო დავაზუსტოთ და გამოვკვეთოთ, აქვს თუ არა საერთო შემოქმედებასა და მეცნიერებას. ჩემი აზრით, სწორედ კვლევაა საერთო. ადამიანის ამოცანა (არა დანიშნულება, რომლის შესახებაც, არა მგონია, თავად ადამიანს რაიმე პოზიტიური პასუხი მოეპოვებოდეს, არამედ სწორედ ამოცანა) არის სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა (რაც, არსებითად, ერთი და იგივეა). ყოველი ადამიანი რომელიღაც ზეგარდმო აუცილებლობით თავისი შესაძლებლობის კვალობაზე ამ ამოცანის ამოხსნას ცდილობს, ხოლო მეცნიერებასა და შემოქმედებას (ნაწილობრივ, აგრეთვე, რელიგიას) იგი თავის პროფესიადა აქვს ქცეული. ამიტომ მეცნიერების საქმიანობაცა და შემოქმედის საქმიანობაც ერთია - კვლევა. მაგრამ აქ მთავრდება კიდეც საერთო, ვინაიდან ამოცანის გადაჭრის გზები, საშუალებები, მეთოდები, იარაღები და ა. შ., განსხვავებული აქვთ, ზოგჯერ დიამეტრულად განსხვავებულიც (მეცნიერება ობიექტურია, შემოქმედება - სუბიექტური, მეცნიერება ზოგადია, შემოქმედება - კერძო, მეცნიერება რაციონალურია, შემოქმედება - ინტუიციური, მეცნიერება უწყვეტია, შემოქმედება - წყვეტილი, მეცნიერება ევოლუციურია, შემოქმედება - იმპულსური, მეცნიერება პროგნოზირებადია, შემოქმედება - არაპროგნოზირებადი...), ერთი სიტყვით, თუ წმინდა იდეის დონეზე განვიხილავთ, მეცნიერებასა და შემოქმედებას, ამოცანის გარდა, საერთო არაფერი აქვთ. თუმცა აქედან საბოლოო და გამოყენებითი დასკვნების გაკეთება სწორი არ იქნება, ვინაიდან პრაქტიკულად - ასე ვთქვათ „ბუნებაში" - არც მეცნიერება არსებობს წმინდა სახით და არც შემოქმედება. როგორც კი საქმე აქტივობაზე მიდგება, ისინი ერთმანეთის სამოქმედო არეში იჭრებიან, რაც მეთოდების გარკვეულ გაცვლა-გამოცვლასაც იწვევს (სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა გითხარით, შემოქმედება ინტუიციისა და რაციონალიზმის თანამშრომლობაა-მეთქი). მეთოდთა და იარაღთა ამგვარი გაცვლა-გამოცვლა ზოგჯერ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს განსხვავება არც ისე დიდი იყოს, მაგრამ ეს შეცდომაა. ამის ერთი ყველაზე მკაფიო დასტური სწორედ გამოთქმა - „ბოლო მიღწევებია", რომელიც მეცნიერებაში სავსებით ბუნებრივია, შემოქმედებაში კი - სრულიად გამოუსადეგარი. საქმე ის არის, რომ იგი ორი ასპექტისგან შედგება: ერთია ქრონოლოგიურად ბოლო, ხოლო მეორე - ისტორიულად საუკეთესო. და იმისათვის, რომ ამ გამოთქმას ჰქონდეს აზრი და არსებობის უფლება, ეს ორი ასპექტი ერთმანეთს უნდა თანხვდებოდეს. მეცნიერებაში თანხვდება კიდეც; მეცნიერება კოლექტიური მშენებლობაა, სადაც ყველა მშენებელი ერთი საერთო გეგმის შესაბამისად შრომობს, რის გამოც შენობა მეთოდურად მიიწევს მაღლა და ყოველ მოცემულ მომენტში განვითარების აპოგეაშია. მეცნიერი, ჩვეულებრივ, კი არ იწყებს, არამედ აგრძელებს და, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, წინამორბედთა მხრებზე დგას. ამიტომ, რა მწირი და ღატაკიც უნდა იყოს ეპოქა, მეცნიერების დონე ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე წინამავალ ეპოქაში იყო, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მეცნიერებაში გამოთქმა „ბოლო მიღწევები" სავსებით სამართლიანია, ვინაიდან მისი ორივე ასპექტი ყოველთვის, დროის ყოველ წერტილში, სახეზეა. შემოქმედების გზა სხვანაირია. შემოქმედება ობიექტური კანონებით არ იმართება. იგი იმპულსურია, ფეთქებადი, გარკვეული მიახლოებით შეიძლება ითქვას - ერთჯერადი, მასში ძალზე დიდია არაცნობიერი ნაკადი. ამიტომ რაციონალურ შესწავლასა და „ათვისებას" ბოლომდე არ ექვემდებარება. შემოქმედება რაღაც დოზითა და რაღაც დონეზე ყოველთვის გაუგებარია. იგი, შეიძლება ითქვას, „დახურული პროცესია" და ჰერმეტულ კალაპოტში მიედინება. ამიტომ შეუძლებელია, რომელიმე შემოქმედმა სხვა რომელიმე შემოქმედი საყრდენად გამოიყენოს (მხედველობაში არა მაქვს ეპიგონობა, რაც სულ სხვა რამაა). შემოქმედი სხვის მხრებზე ვერ დადგება. შემოქმედი მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობა და საკუთარ გამოცდილებას აყალიბებს, რომელიც უნიკალურია, აბსოლუტურად დამოუკიდებელი და უკიდურესად სუბიექტური. აქედან კი იოლად გამოდის დასკვნა, რომ გამოთქმა „ბოლო მიღწევები" შემოქმედებას ვერ მიესადაგება, ვინაიდან, არათუ ყოველთვის, ძალზე იშვიათად თუ მოხდება (კაცობრიობის მთელი ისტორია ამის დასტურია), რომ ეს ასპექტები ერთმანეთს თანხვდეს. პირადად ჩემთვის - შემოქმედებაში, მოგეხსენებათ, გემოვნება ბატონობს და არა ობიექტური საზომი - ამ ასპექტთა უკანასკნელი თანხვედრა, როცა „ბოლო" და „საუკეთესო" გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, მოხდა მე-16 საუკუნის დასასრულს და მე-17 საუკუნის დასაწყისში, როცა ეს ასპექტები შექსპირის შემოქმედებით ბადეში მოჰყვა (ხოლო თუ შექსპირის მასშტაბების სიღრმესა და სივრცეს გავითვალისწინებთ, შესაძლოა მეტად აღარც მოხდეს). ყოველი შემოქმედი თვითონ იგონებს საკუთარ ველოსიპედს. მაგრამ აქ ერთი ყურადსაღები გარემოებაა: ეს „ველოსიპედები" ერთმანეთის გზას არ კვეთენ და ერთმანეთს არ ეჯახებიან. და, ბოლოს და ბოლოს, მგონი შეკითხვის ძირითად ნაწილსაც მივადექით: შემოქმედი საკუთარ სამყაროს თავისუფალ განზომილებაში ქმნის და არა კოორდინატებით შემოღობილ სისტემაში, ამიტომ „ადგილს" ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით - თუნდაც აბსტრაქტული გრაფიკის გაგებით - არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, შემოქმედებაში, განსხვავებით მეცნიერებისაგან, არც კონკურენციის კანონი მოქმედებს, რომლის თანახმადაც ორ სხვადასხვა სხეულს ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ადგილის დაკავება არ შეუძლია. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მეცნიერებაში შეფასების კრიტერიუმია „სწორი", შემოქმედებაში კი „კარგი". „სწორი"

და „კარგი“ რიგი თვისებებით დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, ერთ კითხვაზე ორი სწორი პასუხის გაცემა, ალბათ, შეუძლებელია, ორი კარგი პასუხის გაცემა სავსებით ბუნებრივია. ანდა ასე ვთქვათ: ორი სწორი თეორია ერთი და იმავე პრობლემის შესახებ ერთდროულად ვერ იარსებებს, ორი კარგი ლექსი კი ერთსა და იმავე თემაზე ერთმანეთს სავსებით არ უშლის ხელს, ვინაიდან „სწორი“ სივრცე - დროის ცნებაა, „კარგი“ კი განზომილების (როდესაც კონკურენციის შეუძლებლობაზე ვლაპარაკობთ შემოქმედებაში, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ბუნებრივი კონკურენცია და ამბიციათა შეჯიბრი. ამბიციათა შეჯიბრი შემოქმედებაში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მეცნიერებაში, მაგრამ ეს კონკურენცია არ არის, ეს მორალის სფეროა. შემოქმედს კი საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციას სულ სხვა რამ აიძულებს). ადამიანებს შორის მრავალი განსხვავება და მრავალი მსგავსებაა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც რაღაც ნიშნებით ყველა დანარჩენ ადამიანს არ ჰგავდეს, და არ არსებობს ადამიანი, რომელიც რაღაც ნიშნებით ყველა დანარჩენი ადამიანებისაგან არ განსხვავდებოდეს. ასევეა ნიჭიც. არ არსებობს ნიჭი, რომელიც რაღაც ნიშნებით ყველა დანარჩენ ნიჭს არ ჰგავდეს, და არ არსებობს ნიჭი, რომელიც რაღაც ნიშნებით ყველა დანარჩენი ნიჭისგან არ განსხვავდებოდეს. ამ თვისებებს ემყარება მეცნიერებაცა და შემოქმედებაც. ოღონდ, მეცნიერება უმთავრესად ემყარება მსგავსებათა ჯაჭვს, ხოლო შემოქმედება - განსხვავებებს. ამიტომ, როცა შემოქმედებითი ვარსკვლავი დაიბადება და გეზს „შემოქმედებითი ცისკენ“ აიღებს, ვერავითარი დაბრკოლება, ვერავითარი გრაფიკი და ვერავითარი ბოლო მიღწევა წინ ვერ დაუდგება, ვინაიდან იგი „განსხვავების“ გზას მისდევს. შემოქმედს საკუთარი სამყარო „საერთო“ შემოქმედებით სამყაროში არა აქვს საძებარი. შემოქმედს საკუთარი სამყარო დაბადებით დაჰყვება. და თუ მაინც ეძებს, ეძებს არა სამყაროს - თუმცა თვითონ შესაძლოა გულწრფელად ეგონოს, რომ საკუთარ სამყაროს ეძებს - არამედ კვარცხლბეკს, რომელზედაც ეს სამყარო ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდება. ასე რომ, თუ კაცს მომადლებული აქვს ნიჭი სიყვარულისა (სიძულვილის ნიჭის ჩათვლით) და ნიჭი სიყვარულის გამოთქმისა, მას თამამად შეუძლია გარემომცველი სამყარო განიხილოს, როგორც მისივე სამყაროს ანარეკლი და ნიჭი, რომელიც მაღლით მიეცა და რომელიც თავისი ბუნებით აბსოლუტურად ინდივიდუალურია, მხოლოდ საკუთარი განზომილების შექმნაზე დააბანდოს. ასე შვრებოდა ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი. ასე იზამენ მომავალშიც. ასე იზამენ ყოველთვის, ვინაიდან ასეთია შემოქმედების კანონი.

*6. „თუ ვილაპარაკებთ ძალიან სერიოზულად /ან ძალიან არასერიოზულად/ მწერალს ერთადერთი რამ მოეთხოვება: შედევრები წეროს“ - ეს თქვენი სიტყვებია. ახლა გთხოვთ, დაგვისახელოთ ის შედევრები, რომლებიც აუცილებლად უნდა იცოდნენ დამწყებმა მწერლებმა, რაიმე ღირებული რომ შექმნან.*

ეს შეკითხვა ერთგვარად წინა შეკითხვას უკავშირდება. და რაკი ჯერჯერობით პოზიცია არ შემიცვლია, ჩემი მტკიცე აზრია, რომ მწერალი მწერალს წერაში ვერ დაეხმარება და მწერალი მწერალს საყრდენად ვერ გამოადგება. შედევრები გვამდიდრებს და გვწმენდს, მაგრამ არ გვასწავლის და არ გვწვრთნის. შემოქმედებას ამგვარი დანიშნულება არა აქვს. „ღვთაებრივი კომედიის“ წაკითხვა გამდიდრებით ცოტ-ცოტა ყველას გაგვამდიდრებს - მწერალი ვიქნებით თუ არამწერალი, მაგრამ დაწერით ვერავის ვერაფერს დაგვაწერინებს - ვერც მწერალს და ვერც არამწერალს. შედევრების კითხვას - საერთოდ, კითხვას - მხოლოდ ემოციური ცოდნა მოაქვს, ემოციურ ცოდნას კი გამოყენებითი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველი შემოქმედი, როგორც უკვე მოგახსენეთ თავის „ჰერმეტულ უსასრულობაში“ ცხოვრობს და საკუთარ, აბსოლუტურად დამოუკიდებელ გამოცდილებას ქმნის. შემოქმედებითი ბიძგი შეიძლება ყველაფერმა მოგცეს, მათ შორის, სხვისმა შედევრმაც, მაგრამ სხვისი შედევრით მწერალი თავის შედევრს ვერ შექმნის. ჰომეროსმა რომ „ოდისეა“ შეთხზა, არც „ჰამლეტი“ ჰქონდა წაკითხული, არც „დონ კიხოტი“, არც „დაკარგული დროის ძებნაში“ და არც „ჯადოსნური მთა“. რომ ჰქონოდა, მაინც „ოდისეას“ შეთხზავდა და შეთხზავდა, ალბათ, ზუსტად იმავე „ოდისეას“, ვინაიდან ასეთი სახის შედევრზე იყო მაღლით დაგეშილი და სხვა შედევრები ამ ზეგარდმო საქმიანობაში ვერავითარ კორექტივს ვერ შეიტანდნენ. შედევრები ყველას თანაბრად ეკუთვნის და ყველამ უნდა იკითხოს, ვისაც კი სულიერ ცხოვრებაზე აქვს პრეტენზია. მაგრამ როცა შექსპირს ვკითხულობთ, ჩვენ - ვინც უნდა ვიყოთ ჩვენ - მკითხველი ვართ და შექსპირი ღვთაებრივი შემოქმედია, ხოლო როცა ჩვენ თვითონ ჩვენს შემოქმედებით უღრანებში დავძრწით, ჩვენ - როგორიც უნდა ვიყოთ ჩვენ და როგორიც უნდა იყოს ჩვენი უღრანები - შემოქმედი ვართ, შექსპირი კი ამ დროს - ბოდიში და - ბუზია. მერე, როცა ჩვენ, ასე ვთქვათ, „ამ ქვეყანას დავუბრუნდებით“ და ჩვენს შემოქმედებით ნადავლს (თუნდაც „ნაცოდვილარი“ ვთქვათ) დღის სინათლეზე გამოვიტანთ, უფრო რეალური ვარაუდი, ცხადია, ის არის, რომ შექსპირის ღვთაებრიობის გვერდით ბუზად გამოვჩნდეთ, მაგრამ თავად პრინციპს, წესს, შემოქმედების თვისებას ეს არ ცვლის... შედევრების შემდგომ ჩამოთვლას, არა მგონია, რაიმე აზრი ჰქონდეს, მით უფრო, რომ გვარიანად გრძელი სია გამომივა და, გარდა ამისა, მსგავსი სია ყველას თავისი საკუთ-

არი აქვს. საბოლოოდ შედევრებთან დაკავშირებით ერთი შემიძლია ვთქვა: ვიკითხოთ შედევრები, გავმდიდრდეთ შედევრებით და ვიცხოვროთ შედევრებით, მაგრამ იმ მომენტში, როცა ჩვენ რაიმეს თვითონ ვქმნით, რაიმეს ვიგონებთ, რაიმეს ვთხზავთ, ყველა შედევრი დავივიწყოთ და მხოლოდ საკუთარ სიღრმეებში ვიტრიალოთ... თუ გვინდა რაიმე ღირებული შევქმნათ.

*7. ძალიან მღელვარე კამათები მომისმენია ამის შესახებ და ახლა თქვენ გეკითხებით – შეიძლება თუ არა მხატვრულ ნაწარმოებს ჰქონდეს ორი ფინალი – ერთი ყალბი, მეორე ნამდვილი?*

შემოქმედების კანონები – ის, რაც საყოველთაოა, აუცილებელი და უცვლელი – ალბათ, სულ რამდენიმე ძალზე ზოგად და მარტივ დებულებაზე შეიძლება იქნას დაყვანილი. და როცა ეს დებულებები, ეს რამდენიმე, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი მცნება სრულდება, დანარჩენი ყველაფერი დასაშვებია. შემოქმედება თავისი ბუნებით ანტირეალისტურია, რაც პრაქტიკულად უსასრულოდ ფართო ასპარეზს აძლევს შემოქმედს, რომელიც, როგორც შემოქმედი, უამისოდაც თავისუფლების შვილია და, თუ ზემოთ მოხსენებულ ფუძემდებლურ დებულებებს არ ჩავთვლით, საკუთარი ფანტაზიის, ჭკუისა და გემოვნების გარდა სხვას არაფერს უწევს ანგარიშს. „ორი ფინალის" პრობლემა ძალზე კონკრეტული პრობლემაა საიმისოდ, რომ ფუძემდებლური კანონების მიერ იყოს აკრძალული, მაშასადამე, დასაშვებია. ნაწარმოებს შეიძლება ორი ფინალიც ჰქონდეს და მეტიც, ოღონდ იმ „ესთეტიკური პირობით", რომ ეს თვითმიზანი არ უნდა იყოს და ბუნებრივად გამომდინარეობდეს ნაწარმოების სულიდან და შინაგანი განვითარებიდან. სხვანაირად აქაც, ისევე როგორც ყველგან, ნიჭია გადამწყვეტი და ფინალთა რაოდენობაც ნიჭმა უნდა განსაზღვროს. ნიჭიერი კაცის, ხელში ორმაგმა ფინალმა შეიძლება დიდი ეფექტიც მოახდინოს, უნიჭო კაცის ხელში კი გაუგებრობის მიზეზი შეიქნას (მაგრამ ეს სულ სხვა რამაა და პრინციპში არაფერს გვეუბნება).

*8. რა შეიცვალა წლების განმავლობაში თქვენეული წერის მანერაში, რა გადააფასეთ, რა დატოვეთ და გააღრმავეთ?*

არსებითი არაფერი. წერის მანერა, რამდენადაც შეიძლება კაცმა საკუთარ მანერაზე ილაპარაკოს, არ შეცვლილა. თვისობრივად არ შეცვლილა, ხარისხობრივად, ვფიქრობ, შეიცვალა.

*9. როგორ მუშაობს მწერალი ჯემალ ქარჩხაძე თავის სამუშაო ინსტრუმენტზე – ენაზე? ვის გამოცდილებას ეფუძნება, როგორ უღრმავდება სიტყვას? როგორ აღწევს იმ მოქნილობასა და სილაღეს, ასე რომ განასხვავებს ყველასგან.*

არავის გამოცდილებას არ ვეფუძნები, ჩემი გზით მივდივარ და ჩემს საკუთარ გამოცდილებას ვქმნი. საერთოდ, არა მგონია, ამ საქმეში სხვისი გამოცდილება კაცს დიდად გამოადგეს. ვისაც ენის ცოდნა უნდა, თავისი კერძო ბილიკი უნდა გაჭრას ენაში. ჩემი აზრით, ძირითადად, ასეც იქცევიან, ყველა საკუთარი გზით მიდის და საკუთარ გამოცდილებას აგროვებს; მართალია, ზოგჯერ ორი სხვადასხვა გზა ერთმანეთს შეეყრება და ერთმანეთს გადაკვეთს, შესაძლოა, რაღაც მონაკვეთი ერთადაც გაიარონ, მაგრამ ეს გამოცდილებათა გამოყენება არ არის, ეს შემთხვევითი შეხვედრაა, რომელიც არსებით კვალს არ ტოვებს.

ეს გრძელი გზაა და, თუ მაინცდამაინც შეჯიბრმა არ გაგიტაცა და გულისყური არ გაგეფანტა, ამ გზაზე კაცმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს. ერთ-ერთი პირველი (და მოულოდნელი) შთაბეჭდილება მას შემდეგ, რაც ენას საკმაოდ მიუახლოვდები და იგი შენს წინაშე წამით მთელ ჰორიზონტს დაფარავს, არის აზრი, რომლის ჭეშმარიტებას სადავოდ აღარასოდეს გახდით: ენა თურმე ის არ ყოფილა, რაც გვეგონა.

ადამიანი ენის შიგნით იმყოფება და, ამგვარად, გარკვეული აზრით, თავადაა მისი შემადგენელი ნაწილი. შემადგენელ ნაწილს კი შეუძლებელია ობიექტური ცოდნა ჰქონდეს მთელის შესახებ. ყველა, სპეციალისტი თუ დილეტანტი, მხოლოდ წარმოდგენას იქმნის და შეხედულებას აყალიბებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად (მაგრამ აპრიორულად) სუბიექტურია. სუბიექტური, ცხადია, მაინცდამაინც მცდარს არ ნიშნავს. სუბიექტური უფრო, ალბათ, ობიექტურის ნაწილია, რომელიც კონტექსტიდან ამოღებულია და ცალკეა გამოტანილი, თუმცა ამის დადგენა საქმეს ვერ შველის. დღესდღეობით თამამად და ობიექტურად ენის შესახებ, ალბათ, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, ზემოთ რომ უკვე ვთქვით. ეს ის არ არის, რაც გვგონია.

განსხვავებით ცხოველისაგან, რომელიც ორ განზომილებაში – დროსა და სივრცეში – ცხოვრობს, ადამიანი ცხოვრობს სამ განზომილებაში – დროში, სივრცეში და ენაში. აქედან გამომდინარე კი, ალბათ, შეიძლება ენის ერთი – ცხადია, პირობითი და მიახლოებითი – განსაზღვრება ასეც ჩამოვაყალიბოთ: ენა არის ადამიანობის განხორციელების სპეციფიკური პირობა, ან – თუ ხატოვანებას ვარჩევთ – ღვთივ დანიშნული მეგზური ადამიანის დანიშნულების გზაზე. როგორც დროისა და სივრცის განზომილებას, ენის განზომილებასაც არსებობის ორი დონე აქვს: იდეალური და კონკრეტული. ენის იდეას – ეგებ უფრო სწორია ვთქვათ, ედემის ენას – გრძნობად სამყაროში მეტყველება შეესაბამება. მეტყველება უკვე დედა-ენაა და დედა-ენა –

კონკრეტული დონის ენა – შეიძლება სამშობლოს ცნებას გავუტოლოთ. ვთქვათ, ასე: ჩვენი მიწა ჩვენი ყოფიერების სამშობლოა, ჩვენი ენა ჩვენი სულიერების სამშობლოა. მართალია, ჩვენში უფრო იქითკენ იხრებიან, რომ ენის ცნება კი არ გაუტოლონ სამშობლოს ცნებას, არამედ დაუქვემდებარონ, ამიტომ ურჩევნიათ დედა-ენა განსაზღვრონ, როგორც ეროვნული კუთვნილების გამოხატულება ან ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი პირობა, მაგრამ ეს შეცდომაა, რასაც საფუძვლად, გარდა სტიქიური მატერიალიზმისა, ის უდევს, რომ ჩვენი ფორმალური და ხშირად ალოგიკური პატრიოტიზმი ცნება „ეროვნულში" ისეთი რამეების ჩატევას ცდილობს, რაც არ ეტევა. სინამდვილეში ენა თავად არის „მესაკუთრე" და „ენობრივი კუთვნილება" არანაკლებ მაღალი რანგის ცნებაა, ვიდრე „ეროვნული კუთვნილება" (მშობლიური ენის ნოსტალგიაც ისეთივე ფაქტია, როგორც მშობლიური ქვეყნის ნოსტალგია, და ენის დაკარგვაც ისეთივე ტრაგედიაა, როგორც ქვეყნის დაკარგვა).

თუ კონკრეტულად და წმინდა პრაგმატული კუთხიდან შევხედავთ, ენა, რა თქმა უნდა, სამუშაო ინსტრუმენტია და ჩვენ ყველანი მას ამ დანიშნულებით ვიყენებთ. გარდა ამისა, ენა კომუნიკაციის საშუალებაა და ჩვენ ყველანი მას ამ დანიშნულებითაც ვიყენებთ. მაგრამ ენა ინსტრუმენტია მხოლოდ იმ აზრით, რომ ინსტრუმენტიცაა და კომუნიკაციის საშუალებაა მხოლოდ ამ აზრით, რომ კომუნიკაციის საშუალებაცაა. შედარება რომ მოვიშველიოთ, ენის ის ნაწილი, რომელიც ინსტრუმენტი და კომუნიკაციის საშუალებაა, მრავალქიმიანი ვარსკვლავის ერთი ქიმია. უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი. ერთი ქიმის მიხედვით სხვა ქიმებზე ლაპარაკი ძნელია, თავად ვარსკვლავზე ლაპარაკი კი, საერთოდ, შეუძლებელია, ვინაიდან ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, ის არ არის, რაც მისი ქიმია.

ეს ქიმი ცნობიერ არეში დევს და, ასე თუ ისე, შესწავლილია. ჩვენ ყველანი აქ ვცხოვრობთ, ამ ქიმზე, იგია ჩვენი ენა – სამშობლო და ამიტომ მას, ჩვეულებრივ, ვარსკვლავთან ვაიგივებთ. ეს ჩვენი ყოველდღიური მოხმარების ენაა, ჩვენი პრაქტიკული ლოგიკისა და პრაქტიკული რაციონალიზმის ენა, რომელსაც მიზეზ-შედეგობრიობა ქსოვს და გრამატიკა მართავს. ეს არის ჩვენი ყოფიერების „სახელმწიფო ენა". ეს ისეთი სიბრტყეა, სადაც ენის კრიტერიუმი არის „სწორი" და იგი, შესაბამისად, მეცნიერების სფეროს განეკუთვნება. სამაგიეროდ, ეს ის სიბრტყეცაა, სადაც ენა აზროვნებას ზედროული მოლოდინისაგან ათავისუფლებს (რაც იგივე თვითგანთავისუფლების აქტია, ვინაიდან ენა და აზროვნება ერთი ფურცლის ორი გვერდია და მათი დაცალცალკევება მხოლოდ იდეაშია შესაძლებელი), რათა მასთან ერთად ადამიანი მანამდე უცნობი ჭეშმარიტების გზაზე გაიყვანოს.

ერთი სიტყვით, ეს არის ენის ის ნაწილი, რომელიც „მოგვეცა". დანარჩენი ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ. მოვიპოვოთ და არა შევიმეცნოთ. შემეცნება ადამიანის ერთი თანდაყოლილი თვისებათაგანია. ჩვენ ისე ვართ მოწყობილი, რომ, რისი შემეცნებაც შეგვიძლია, მისი შეუმეცნებლობა არ შეგვიძლია. ასე რომ, ცნობისწადილი ადამიანს უეჭველად აიძულებდა ენის საიდუმლო გამოეკვლია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გამოკვლევა იქნებოდა და არა ფლობა. ხოლო რაკი ადამიანი არა კომპიუტერული საპიენსია, არამედ ფაბერული საპიენსი, იგი ენის შემეცნებას ვერ დასჯერდებოდა, მას ენა უნდა შეესისხლხორცებინა, რათა ფაბერს განხორციელება შეძლებოდა.

მაგრამ აქ ვარსკვლავის შედარება აღარ გამოდგება, იგი სხვა შედარებით უნდა შეიცვალოს. კერძოდ, ახლა ენა უნდა შევადაროთ ვეება დაბურულ ტყეს, რომელიც პატარა, მზიანი მდელოთი თავდება. სწორედ ეს მდელო, ტყის ეს პერიფერია, სადაც ტყე უკვე მთლად ტყე აღარ არის, ცვლის ახალ შედარებაში იმას, რაც ადრე ვარსკვლავის ქიმის სახელით მოვიხსენიე. ეს მდელოა ჩვენი ცხოვრების ასპარეზი, ხოლო მის უკან დიდი, ულრანი, იდუმალი ტყეა, სადაც მოუსვენარი ადამიანები დადიან, რათა გონებით კი არ ჩაწვდნენ ენის იდუმალებას, არამედ ერთიანად ჩაეფლონ ამ იდუმალებაში და საპიენსის ფაბერული მისტერია განახორციელონ.

ყველა არა; ზოგს ის საკვები ჰყოფნის (ან ჰგონია, რომ ჰყოფნის), რასაც მდელოზე შოულობს. თუმცა ასეთები, მე მგონი, ცოტანი არიან. უმრავლესობა აიკრავს ხოლმე გუდა-ნაბადს და ყოველ დილით დაადგება ტყის გზას. ნაწილი შორს არ მიდის. ეზარება. ან ეშინია. გასცდებიან თუ არა მდელოს, იქვე ჩეროში წამოწვებიან; ამიტომ ბევრს ვერაფერს შოულობენ. მხოლოდ გაბედულები, შეუპოვრები, ცნობისწადილით შეპყრობილები შედიან ღრმად და ღრმად, და რაც უფრო ღრმად შედიან, მით უფრო ამაღლებულები და გამდიდრებულები ბრუნდებიან უკან. ვისაც გაბედულების გარდა ერთგულებაც აღმოაჩნდება – ერთგულება უფრო დიდი განძია, ვიდრე გაბედულება -ადრე თუ გვიან შესაფერის ჯილდოსაც იღებს, რასაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ დიდ მწერალთა სიდიდე, თუ მეტი არა, სანახევროდ მაინც, ენას ეყრდნობა.

აქ, ულრანი ტყის დიდებულ იდუმალებაში ერთბაშად (და თავისი მოულოდნელობის გამო ზოგჯერ ცოტა საშიში სახით)ხორცს ისხამს ბანალური გამოთქმა, რომელშიაც უკვე დიდი ხანია შინაარსს აღარ ვდებთ და მხოლოდ ისე, ფორმალურად, ერთგვარ „სიტყვის მასალად" ვხმარობთ. ეს არის გამოთქმა „ენის გრძნობა". სინამდვილეში ენის გრძნობა სავსებით რეალური რამ არის. მეტიც: სავსებით აუცილებელი რამ. ცოტა უხეშად და ცოტა სქემატურად რომ ვთქვათ და პრობლემას მხოლოდ ერთი მხრიდან შევხედოთ, ენის გრძნობა შეგვიძლია შევადაროთ მუსიკალურ სმენას: როგორც შეუძლებელია ოპერა სავალალო შედეგამდე არ მივიდეს, თუ მის ავტორს მუსიკალური სმენა არა

აქვს, ასე შეუძლებელია რომანიც იმავე სავალალო შედეგამდე არ მივიდეს, თუ მის ავტორს ენის გრძნობა არა აქვს. თუ ცოტა ხედვის კუთხეს გავიფართოვებთ, ენის გრძნობა შეიძლება წარმოგვიდგეს, როგორც ენის ცოდნა გაუცნობიერებელ დონეზე, როცა შეგვიძლია გონების კონტროლზე ნაწილობრივ უარი ვთქვათ და სიტყვათა და ფრაზათა სტიქიასთან ნდობის უმავთულო კავშირი დავამყაროთ. უფრო სრულად კი ენის გრძნობა, ალბათ, მაშინ ხორციელდება, როცა ენის ურიცხვ სახეთაგან იმ ერთადერთს მიაგნებთ და მოირგებთ, რომელიც იმთავითვე თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის იყო განკუთვნილი. ეს ის ნახევრად რეალური ვითარებაა, რომლის საფუძველზეც ოდესღაც ითქვა და მერე მრავალგზის იქნა გამეორებული, რომ ყოველ მწერალს თავისი საკუთარი ენა აქვს. ეს დებულება ჭეშმარიტია და მხოლოდ ის შეიძლება დაემატოს, რომ თავისი საკუთარი ენა აქვს ყოველ მწერალს, ვინც ენის ის ერთადერთ ეგზემპლარად არსებული სახე იპოვა, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოქარგული (ეს დამატება იმის სათქმელად დამჭირდა, რომ, თუ მწერალმა ურიცხვ სახეში თავისი ვერ იცნო და უგუნურებითა თუ პატიოსანი შეცდომით სხვა აილო, ამას შედეგად მოჰყვება შეუთავსებლობა, სიყალბე და საბოლოოდ - ენის ორგულობა, რაც - ყოველ შემთხვევაში, ჩვენში - სამწუხაროდ, ფრიად გავრცელებული პარადოქსია). ასეთი მსჯელობა - სავსებით შეგნებული მაქვს - მთლად რეალისტური არა ჩანს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენა ადამიანს ეძლევა, როგორც წმინდა სუბიექტური ჭეშმარიტება და ადამიანიც, თავის მხრივ, ენის პოზიციიდან ასევე წმინდა სუბიექტური ჭეშმარიტებაა.

ენის გრძნობას მოძებნა არ სჭირდება. როცა დიდხანს დადიხარ ამ საკვირველ ტყეში, დიდხანს სუნთქავ აქაურ ჰაერს, რომელიც, ვიდრე შეეჩვეოდე, ძალზე სპეციფიკურია და ისე მოქმედებს, ირგვლივ ყოველივე ქაოსი გგონია, და მხოლოდ მერე და მერე, თანდათან აღმოაჩენ ამ „ქაოსის“ ჰარმონიას, როცა დიდხანს უსმენ ფოთლების შრიალს, ჩიტების გალობას, ნაკადულების რაკრაკს, იგი თავისთავად იღვიძებს (ან იბადება. მე არ ვიცი, თანდაყოლილია ენის გრძნობა თუ რაიმე პირობების შესრულებაა საჭირო მისი მოპოვებისათვის), იღვიძებს, როგორც მეგზური, რომელიც, თუ კაცს თვალი, ყური და გული გაქვს, ენის შესაბამის საშენო სახესაც გაპოვნინებს და ენასთან ურთიერთობის საშენო წესებსაც გასწავლის.

ენას აქ სხვაც მრავალი ისეთი თვისება აქვს, რაც პერიფერიულ მდელოზე, სადაც იგი თვინიერი მსახურია და მსახურის შესაფერისი მორჩილებით ასრულებს თავის მოვალეობას.

ის „მორჩილი მსახური“ აქ სამეფო ტახტზე ზის და, როგორც ყველა, ვინც სამეფო ტახტზე ზის, ერთსა და იმავე დროს მწყალობელიცაა და დაუნდობელიც. მწყალობელია ერთგულთა მიმართ, დაუნდობელია ორგულთა მიმართ. ეს ბანალური ფრაზაა, მაგრამ ის კი აღარ არის ბანალური, რომ ენა მკაცრად განასხვავებს ერთგულებასა და ერთგულების ნიღაბს. ენისთვის ერთგულია არა პირმოთნე, არამედ ის, ვინც სიმართლით ემსახურება, ხოლო ორგულია ის, ვინც სიმართლის გზას გადაუხვევს. ამიტომ ჩვენც, ვიდრე იდუმალ ტყეში შევალთ, რათა ენას მივეახლოთ, ჯერ მტვერი კარგად უნდა ჩამოვიბერტყოთ. ზემოთ ვთქვი, ენას ურიცხვი სახე აქვს - მეთქი. ეს ურიცხვი სახე ურიცხვი ნიუანსებით იქსოვება - ურიცხვი ფერებით, ურიცხვი ხაზებით, ურიცხვი ინტონაციებით, ურიცხვი შეხამებებით... მეორე მხრივ, ჩვენც, ყოველ ჩვენგანს, ჩვენი ხასიათი გვაქვს, ჩვენი სტილი, ჩვენი ფერი, ჩვენი მიდრეკილებანი. და თუ ზუსტად არ შეირჩა შესაბამისობა, თუ ჰარმონია არ დამყარდა ენასთან, თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი ფერს და მნიშვნელობა მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, თუ ის ერთადერთი სახე ვერ ვიპოვეთ, რომელიც ჩვენს „ენობრივ ორბიტაზე“ გაგვიყვანს, ჩვენ ყალბი ვიქნებით. სიყალბე ორგულობაა. ჩვენ ორგული ვიქნებით ხელმწიფე - ენისა და მის წყალობას ვერ ველირსებით.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანანა ქავთარაძე

## მოგონებები

ეს ფოტოები ცნობილი ქართველი იურისტისა და მთარგმნელის, 1937 წელს გამოსული რუსულ-ქართული ლექსიკონის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) შემდგენელის პეტრე ქავთარაძის პირად არქივში ინახება. ორივე ფოტოსურათი ბორჯომშია გადაღებული ოციან წლებში. ერთზე აღბეჭდილი არიან სახელგანთქმული ქართველი ქიმიკოსი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი და ასევე სახელმოხვეჭილი მსახიობი ვასო აბაშიძე. ფოტოს უკანა მხარეს ასეთი წარწერა აქვს: „დიდად პატივცემულ და საყვარელ ქ-ნს ანიკო ქავთარაძეს პ. მელიქიშვილი". ბორჯომი 1924 წლის 6 სექტემბერი.

მეორე ფოტო გადაღებულია 1928 თუ 1929 წლის ზაფხულში. სხედან პირველ რიგში - პეტრე ქავთარაძე, გიორგი ლეონიძის მეუღლე ეფემია გედევანიშვილი, მეორე რიგში: გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო მაყაშვილი, შალვა ქართველიშვილი, (ვექილი, ივანე მაჩაბლის უკანონო შვილი), გერონტი ქიქოძის მეუღლე ტასო ამირეჯიბი, გიორგი ლეონიძე. დგანან: ერთ-ერთი პირველი ქართველი ექიმი ქალი ანა ლორთქიფანიძე-ქავთარაძისა, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.





დღევანდელმა მკითხველმა, შესაძლოა, ბევრი რამ არ იცოდეს პეტრე ქავთარაძის, თავისი დროის ცნობილი ვექილის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. დიდია ამ ადამიანის ღვაწლი ქართული ენის მოვლა-პატრონობის, სისტემატიზებისა და განვითარების საქმეში. პეტრე ქავთარაძის უმდიდრესი არქივიდან, საუბედუროდ, მხოლოდ თითო-ოროლა ნაშრომი თუ გადაურჩა განადგურებას. რამდენიმეათასტომიანი უნიკალური ბიბლიოთეკა (მისი უპირველესი სიყვარული წიგნი გახლდათ) მთლიანად მოისპო, ხოლო თავად ბატონი პეტრე 30-იანი წლების სტალინურ რეპრესიებს შეეწირა. სანამ მისი ქალიშვილის მანანა ქავთარაძის მოგონებებს შემოგთავაზებდეთ, გვსურს გაგაცნოთ გერონტი ქიქოძის მცირე, ბიოგრაფიული ხასიათის წერილი, რომელიც წამძღვარებული აქვს პეტრე ქავთარაძის 1962 წელს გამოცემულ წიგნს „თარგმანები" (ბერძენი და რომაელი ავტორები).

„პეტრე ივანეს ძე ქავთარაძე ქართველი ჰუმანიტარული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ის დაიბადა 1883 წელს. პირველდაწყებითი განათლება თავისი დედ-მამის ოჯახში მიიღო, რომელიც საკმაოდ შეძლებულად და კულტურულად ითვლებოდა ზემო იმერეთში. თორმეტი წლის ასაკში ის შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასრულა 1903 წელს.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს პეტრე ქავთარაძემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ქართული და რუსული ლიტერატურისა და ძველი კლასიკური ენებისადმი. თუმცა ქართულ ენას იმ დროს გიმნაზიაში არ ასწავლიდნენ, მაგრამ მან სრულყოფილად შეისწავლა მშობლიური ენა და ლიტერატურა. ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერ ჟურნალ „სხივში“, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებდა ქუთაისის გიმნაზიის მოწინავე, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა. ის ერთ-ერთი მოთავე და აქტიური მონაწილე იყო აგრეთვე იმ არალეგალური კრებებისა, რომელთაც ქუთაისის, თბილისის და ბათუმის რევოლუციურად განწყობილი მოწაფეები მართავდნენ. ამ კრებებზე პეტრე ქავთარაძე ამჟღავნებდა დიდ ცოდნას და მჭევრმეტყველებას.

გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ პეტრე ქავთარაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს ის დაქორწინდა. მან ცოლად შეირთო ცნობილი პედაგოგის, ილარიონ ლორთქიფანიძის ასული ანა, რომელიც ამავე პეტერბურგში სწავლობდა ქალთა უმაღლეს სამედიცინო ინსტიტუტში. ეს ახალგაზრდა ოჯახი პატარა კულტურულ ცენტრად და თავშესაყრელ ადგილად იქცა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისათვის. განმათავისუფლებელი მოძრაობის მღელვარე წლებში აქ ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა იმ საკითხების გარშემო, რომლებიც დღის წესრიგში იდგა ქართველი ხალხისა და მისი ახალი თაობის წინაშე. თავისი სიმპათიებით პეტრე ქავთარაძე უფრო მემარცხენე რევოლუციური იდეოლოგიისკენ იხრებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას, უწინარეს ყოვლისა, კულტურის საკითხები აინტერესებდა.

პეტერბურგში ყოფნის დროს პეტრე ქავთარაძემ გააღრმავა თავისი ცოდნა ბერძნული და ლათინური ენებისა და დაიწყო მასალების შეგროვება და დამუშავება რუსულ-ქართული ლექსიკონისა და იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. პეტრე ქავთარაძის მრავალმხრივი გონებრივი ინტერესისათვის დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი: როდესაც პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ გადაწყვიტა ქართულად დაედგა სუმბათაშვილის „ღალატი“, პეტრე ქავთარაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ დადგმაში და წარმატებით შეასრულა ოთარბეგის როლი. საერთოდ, მას ყოველთვის აინტერესებდა ქართული თეატრის ბედი, ყოველთვის იცავდა კლასიკური სკოლის ტრადიციებს და ცხარედ ებრძოდა ყოველგვარ მოდერნისტულ გადახრებს.

უნივერსიტეტის კურსის დასრულების და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პეტრე ქავთარაძე ნაფიც დამცველთა კოლეგიაში ჩაეწერა. ის სასამართლოში ხშირად გამოდიოდა დიდ პროცესებზე, სადაც საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა თავისი ცოდნით, რკინისებური ლოგიკით და ბრწყინვალე ორატორული ნიჭით. მისი ბინა ძერჟინსკის ქუჩაზე (ახლანდელი ინგოროყვას ქუჩა – რედ.) გადაიქცა ნამდვილ ლიტერატურულ სალონად, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მენშევიკების ბატონობის დროს პეტრე ქავთარაძე ოპოზიციაში ედგა მთავრობას და პავლე საყვარელიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა ეგრეთწოდებულ „ალიონის“ ჯგუფს („ალიონის“ გარშემო შეიკრიბა მწერალთა დიდი ნაწილი – ალ. აბაშელი, დ. თურდოსპირელი, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხეიძე, პ. საყვარელიძე, ი. გომელაური, პ. ინგოროყვა და სხვანი. „ალიონში“ პეტრე ქავთარაძე ბეჭდავს როგორც კრიტიკულ წერილებს ლიტერატურაზე, ისე პუბლიცისტურ ნარკვევებს, სოციალიზმის გზებსა და პატარა ერების ეროვნული თავისუფლების საკითხებზე. ამ მხრივ საყურადღებოა მისი წერილები „რუსეთი და მცირე ერები“, „ორი გზა სოციალიზმისაკენ“, „განთავისუფლებული ფინეთი“.)

პეტრე ქავთარაძის ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ მისი უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაიწყო. მან ბერძნული და ლათინური ენებიდან გადმოთარგმნა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“ და „კრიტონი“, აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწყვეტი ციცერონის სიტყვებიდან, სალუსტიუსის და ოვიდიუსის ნაწერებიდან და სხვა. („ზოგიერთი ამ თარგმანთაგანი ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ ენაზე. თარგმანებს მაღალი შეფასება მისცა ბერძნული ლიტერატურის ისეთმა სპეციალისტმა, როგორიცაა აკად. ს. ყაუხჩიშვილი. პ. ქავთარაძის თარგმანების მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც საქართველოში ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურულ ძეგლთა თარგმანის შესანიშნავი ტრადიცია აღადგინა“. (გ. ხარატიშვილი. „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან“).

როდესაც მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად 1933 წელს შედგა გამოჩენილ მეცნიერთა და ლიტერატორთა კოლექტივი ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად, რედაქტორად პეტრე ქავთარაძე დაინიშნა. მან გაუკეთა რედაქცია მთელს ლექსიკურ მასალას და მანვე იკისრა ფრაზეოლოგიის და მაგალითების დამატება. ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც დიდ ნაბიჯს წარმოადგენდა პროფ. დ. ჩუბინაშვილის ცნობილი ლექსიკონის შემდეგ, გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში 1937 წელს. ესაა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლის აგებაში განსვენებულ პეტრე ქავთარაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის და რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ქართული ლექსიკოგრაფიის შემდგომი განვითარება“.

*გერონტი ქიქოძე*

პეტრე ქავთარაძის მოღვაწეობის კიდევ ერთ მხარეს ნათელს ჰფენს მცირე ნაწყვეტი გ. ხარატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იშვილის წიგნიდან „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან".

„ადვოკატმა პეტრე ქავთარაძემ ითავა და გააკეთა ეროვნული მნიშვნელობის ორი დიდი საქმე: 1928 წლიდან დაიწყო შეგროვება და დაამუშავა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ პერიოდში ქართული იურიდიული ტერმინოლოგია დამუშავებული არ ყოფილა, რაც ხელს უშლიდა როგორც მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას, აშკარა გახდება პ. ქავთარაძის დამსახურება. ამ საკითხთან დაკავშირებით მან 1928 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" (№4) დაბეჭდა წერილი, რომელშიც განსაზღვრა ძირითადი წყაროები, საიდანაც უნდა აღებულიყო მასალა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. პ. ქავთარაძის რედაქციით დამუშავებული და 1928 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" (№2) გამოქვეყნებული ასობით სიტყვა, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემდგომ დამუშავებას და იმ კაპიტალურ წიგნს, რომელიც პროფ. თინათინ წერეთლის რედაქტორობით 1963 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა. შრომის შემდგენლები თავიანთ ახსნა-განმარტებაში წერენ: „1946 წელს რუსულ-ქართული ლექსიკონის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებამ პროფ. ვუკოლ ბერიძის ხელმძღვანელობით. ტერმინოლოგიის განყოფილების მუშაობა წარიმართა ძირითადად პ. ქავთარაძის მიერ შედგენილი დაუმთავრებელი მასალის გადამუშავების და შევსების გზით". (გ. ხარატიშვილი. „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან".)

* * *

არცთუ დიდი ხნის წინათ გადმომცეს ასლი გრიგოლ რობაქიძის წერილისა, რომელიც მან 1962 წლის 20 ივლისს ჟენევიდან მისწერა თავის დას - ლიდას. წერილში ძირითადად აღწერილია ქართველი კალათბურთელების ბრწყინვალე გამარჯვება მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში. ემიგრაციაში მყოფი ხანდაზმული მწერალი დას უზიარებს იმ უდიდეს სიხარულს, თბილისის „დინამოს" მოგებამ რომ მიანიჭა. მაგრამ ბარათში არის სტრიქონები, რომლებმაც განსაკუთრებით ამაღელვა და, გამოგიტყდებით, გამახარა კიდეც.

„ანიკო ქავთარაძე მაგონდება არა იშვიათად. იყო ძალიან ლამაზი. შვენებას - დარწმუნებული ვარ - წლებიც ვერ მოაკლებდნენ. ახასიათებდა ხალისიანი გული: ნათელი. პეტრე, მისი ქმარი - გარდაცვალება მისი თავის დროზე გავიგე - დაახლოვებული კაცი იყო ჩემთან. „ნაღდი" კაცი იყო ყოველ მხრივ. ნამდვილი მამულიშვილი. ნათელგონიერი და გულუხვი.

ანიკოს დასახასიათებლად. პეტრეს ერთხელ გულში „შეუჯდა" ერთი ქალი: ხომ იცი, გულმა იცის ასეთი „განხრები". ეს ქალი გახდა ავად. იყო სიკვდილის პირზე მიმდგარი. პეტრე პირდაპირ შეშლილს ჰგავდა: არ იცოდა რა ექმნა. ვიცი, ანიკო კიდეც ამშვიდებდა მას. თუ ნახო, გადაეცი ჩემგან გულითადი მოკითხვა. გიგონებთ დიდი სიყვარულით-თქო - ასე უთხარი. (წიგნი პეტრესი ჯერ კიდევ არ მიმიღია.)"

მართალი გითხრათ, სწორედ გრიგოლ რობაქიძის ამ წერილმა გამაბედინა, ჩემი ოჯახური მოგონებები მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა, გამეხსენებინა ესა თუ ის ეპიზოდი ჩემი მშობლების ცხოვრებიდან. თუ ამ ეპიზოდებს დღევანდელი პოზიციიდან შევაფასებთ, მათ ალბათ ვეღარც მივიჩნევთ მარტოოდენ ერთი ადამიანის ან ერთი ოჯახის ბიოგრაფიის ამსახველ სურათებად. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მოგონება საშუალებას მომცემს, ფართო საზოგადოებრიობას მოვუთხრო ესა თუ ის ნაკლებად ცნობილი ან სულაც უცნობი ამბავი ერთი გატანჯული თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა ცხოვრებიდან.

* * *

1938 წელს, როცა მამაჩემი მეორედ დააპატიმრეს, სკოლის მოწაფე ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ბევრი რამ დღემდე ცხადად შემორჩა მეხსიერებას. განსაკუთრებით დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენს ბინაზე გამართულ საღამოებს. ძერჟინსკის ცხრა ნომერში ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი მწერლები, ლიტერატორები, მეცნიერები, იურისტები, თეატრისა და კულტურის სხვა დარგის მოღვაწენი. მათ შორის გერონტი ქიქოძე (მამას უახლოესი მეგობარი), პაოლო იაშვილი, თავი მოიკლა, ტიციან ტაბიძე, დახვრიტეს, სანდრო შანშიაშვილი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო ახმეტელი, დახვრიტეს, უშანგი ჩხეიძე, გიორგი ნიკოლაძე (იგი დედას ნათესავი იყო), ცნობილი მეცნიერი პროფესორი გოგი ელიავა, დახვრიტეს, ახალგაზრდა მსახიობები ვანო ლაღიძე, დახვრიტეს, და ელგუჯა ლორთქიფანიძე დახვრიტეს, ექიმი ლადო ჩირგაძე, ექიმი დათიკო ლომინაძე - დახვრიტეს, იურისტები სანდრო ყანჩელი, შალვა ქართველიშვილი (ივანე მაჩაბლის უკანონო შვილი) დახვრიტეს, კოკი აბაშიძე, დახვრიტეს, ვანიჩკა თუმანიშვილი, დახვრიტეს, ოსიკო ბარათაშვილი, დახვრიტეს, მიხეილ ღვამიჩავა, დახვრიტეს, პეტრე ბარათაშვილი, დახვრიტეს, ევგენი ბოკერია - დახვრიტეს.

ჩემზე, იმხანად სკოლის მოწაფეზე, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სანდრო ყანჩელის მიერ ოსტატურად შესრულებული ათასგვარი „ფოკუსები" - ძია სანდრო ნამდვილი ჯადოქარი მეგონა. მახსოვს, შალვა ქართველიშვილი მიგანში ამოიღებდა რომელიმე დამსწრეს და სახელდახელოდ

გამოაცხობდა მეტად სასაცილო კარიკატურას. კარგად მახსოვს ის საყოველთაო მხიარულება, პაოლო იაშვილის მახვილგონივრული ექსპრომტები რომ იწვევდა. საერთოდ, სუფრასთან ამ ადამიანთა თავშეყრა იყო გონიერული დროს ტარება, გონივრული ლხინი, რომელიც ხშირად ნამდვილ ლიტერატურულ დისპუტად გადაიქცეოდა ხოლმე. თუმცა, ლიტერატურული საღამოები ჩვენს ბინაზე საგანგებოდაც ეწყობოდა. პოეტები და მწერლები თავიანთ ახალ, ჯერაც გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, შემდეგ კი იმართებოდა ცხარე დისკუსიები, დავა, კამათი, რაც, ჩვეულებრივ, გათენებამდე გრძელდებოდა. (ვაჟას „ენგადი" – პაოლომ ეს ლექსი პირველად პეტრე ქავთარაძის ოჯახში ნავახშმევს წაიკითხაო – წერს ერთგან გრიგოლ რობაქიძე).

* * *

დედაჩემის დღეობა, 3 თებერვალი, ჩვენს ოჯახში მუდამ საგანგებოდ აღინიშნებოდა. ერთ-ერთ ანაობას მშობლები, როგორც მუდამ, სტუმრებს ელოდნენ. სუფრა ახალი გაშლილი იყო, როცა კარი გაიღო და ოთახში ლამაზი, მეტად გრაციოზული, აბრეშუმის მუქ იისფერ გრძელ კაბაში გამოწყობილი ქალი შემოვიდა. თავზე დიდფარფლებიანი, ხელოვნური ყვავილებით მორთული შავი ჩალის ქუდი ეხურა, ხელში კი უზარმაზარი თაიგული ეჭირა. დედას ყვავილები მიართვა, ანაობა მიულოცა და კეკლუცად ჩაჯდა სავარძელში. დედამ სტუმარი ვერ იცნო, მაგრამ, ცხადია, მადლობა მოახსენა და სცადა, გაკვირვება არ დასტყობოდა. მოდიოდნენ ახალ-ახალი სტუმრები, უცნობი ქალბატონი კი ისევ გაუნძრევლად იჯდა სავარძელში. თუმცა ბოლომდე მაინც ვერ გაითამაშა როლი: როცა ოთახში ერთი მშვენიერი მანდილოსანი შემოვიდა, იგი უცებ წამოხტა და ხელზე ეამბორა. მაშინვე მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა და სიცილი წასკდა. „უცნობი ქალბატონი" ცნობილი ბაქტერიოლოგი, თბილისის ბაქტერიოფაგის დამაარსებელი, პროფესორი გოგი ელიავა გამოდგა.

ბატონი გოგი ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მრავალმხრივი განათლების მქონე და, ამავე დროს, მეტად არტისტული ადამიანი გახლდათ. შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოს, ღრმად ერკვეოდა პოეზიასა და მხატვრობაში, გატაცებით უყვარდა ცხენები.

პარიზში მუშაობისას გოგი ელიავას ახალდაარსებული მიკრობიოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა: „საფრანგეთში ბევრი მიკრობიოლოგია, ინსტიტუტს სხვაც მშვენივრად გაუძღვება, საქართველოში კი მარტო მე ვარ, მე ვჭირდები საქართველოს"-ო. (სხვათა შორის, გოგი ელიავას პორტრეტი დღესაც კიდია პარიზში, პასტერის სახელობის ინსტიტუტის ერთ-ერთ დარბაზში, სხვა გამოჩენილ მეცნიერთა პორტრეტების გვერდით.)

ასეთ ადამიანს დააბრალეს სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, მავნებლობა (თბილისის სასმელი წყლის ბაქტერიებით მოწამვლა) და დახვრიტეს. ასეთივე ბედი ეწია მის მეუღლეს, ცნობილ პოლონელ მომღერალს ვოლ-ლევიცკაიას, მათმა ქალიშვილმა კი ათი წელი გადასახლებაში გაატარა.

გოგი ელიავასთან ერთად დააპატიმრეს და დახვრიტეს მისი მდივანი ნინო ცინცაძე-ყარალაშვილისა, რომელიც გახლდათ ქალიშვილი სრულიად საქართველოს კათალიკოს -პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძისა და ბებია ჩვენი ცნობილი, უდროოდ გარდაცვლილი გერმანისტის რეზო ყარალაშვილისა. მოგვიანებით გადასახლებიდან დაბრუნებულმა ერთმა ქალბატონმა, რომელიც თურმე ნინო ყარალაშვილთან ერთად მჯდარა საკანში, მიამბო, როგორ ვაჟკაცურად ეჭირა თავი ამ ლამაზ, სათნო ქალს, როგორ ეთხოვებოდა და ამხნევებდა საკანში დარჩენილთ სიკვდილის წინ.

***

„1937 წ. 10 ივლისს, ნაშუადღევს, შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის აქტივის კრება. დადგენილია ხალხის მოსისხლე მტრების ბუდუ მდივნის, მალაქია ტორომელიძის, მ. ოკუჯავას, გ. ყურულაშვილის, ნიკოლოზ ქარცივაძის დასჯის შესახებ. დ. დემეტრაძემ და კრების მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს დადგენილების ტექსტი.

ამ გარეწრების დახვრეტა, თქვა შალვა რადიანმა, არის სურვილი და მოთხოვნა მთელი ქართველი ხალხისა. ასეთივე სასჯელი მიემღოს ტროცკისტულ-ფაშისტური ბანდის დანარჩენ მონაწილეებსაც.

საქ. ს.ს. რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ დადგენილება სისრულეში მოიყვანა."

რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში" ამოკითხულმა ამ მშრალმა, რომელიღაც ძველი გაზეთიდან გადაბეჭდილმა ინფორმაციამ ერთი შემზარავი ამბავი გამახსენა.

1937 წლის ივლისის იმ ცხელ დღეს ჩემი ოთახის ფართოდ გაღებული ფანჯრიდან ქუჩას გავცქეროდი. უცებ დავინახე ნიკოლოზ ქარცივაძის – მამაჩემის გიმნაზიის მეგობრის – მეუღლე თამარ შარაშიძე, რომელიც გაფითრებული, სახეგადარეცხილი, ჩვენკენ მორბოდა, დიდ, ქათქათა ცხვირსახოცს აფრიალებდა და მთელი ქუჩის გასაგონად ყვიროდა: აი, ასეთი სუფთა იყო ჩემი კოლიაო. რა გასაკვირია, რომ სულ მალე ქალბატონი თამარიც დააპატიმრეს.

საერთოდ, იმ ავად მოსაგონარ დროს თითქმის დღე არ გაივლიდა ისე, რომ ჩვენს უბანში, სოლოლაკში, ვინმე არ დაეპატიმრებინათ. მარტო ჩვენი ქუჩიდან (ყოფილი ძერჟინსკის ქუჩა) რამდენი გადაასახლეს ან დახვრიტეს – ალიოშა მახარაშვილი, კოტე ბუაჩიძე, დავით ებანოიძე, გერმანე ნაფეტვარიძე, მიხეილ გურამიშვილი, კარპე მოდებაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გოგი ელიავა... ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათგანის მეუღლეები და ოჯახის წევრები.

ობლდებოდნენ ბავშვები, ხშირად სრულიად უპატრონოდ, უსახლკაროდ რჩებოდნენ ახალგაზრდები. სტუდენტებს, რომელთა მშობლებსაც სტალინური მთავრობა „ხალხის მტრებად" მიიჩნევდა, ცხადია, მაშინვე რიცხავდნენ უმაღლესი სასწავლებლიდან. და მაინც, ასეთ უმძიმეს პირობებშიც კი, თითქმის არ მაგონდება შემთხვევა, რომელიმე ობლად დარჩენილი ახალგაზრდა გზას აცდენილიყოს. პირიქით, „ხალხის მტერთა" შვილები, როგორც წესი, ღირსეული მოქალაქეები დადგნენ. ბევრი მათგანი (თუნდაც იმავე ნიკოლოზ ქარცივაძის ვაჟები – ბიბი და გოგი) ცნობილი მეცნიერი გახდა, ზოგმა ხელოვნების ამა თუ იმ დარგში გაითქვა სახელი, ზოგიც, უბრალოდ, პატიოსნად, ერთგულად და ნამუსიანად ემსახურებოდა თუ ემსახურება თავის ხალხს.

* * *

ყოფილ ძერჟინსკის ქუჩაზე, ჩვენი სახლის პირდაპირ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შენობა იყო. ჩვენი ფანჯრები ბერიას კაბინეტის აივანს უყურებდა. ხშირად მინახავს ამ ქვის აივანზე გადმომდგარი, თავის თანაშემწე კუდრიავცევთან მოსაუბრე ბერია (მოგვიანებით ის კუდრიავცევიც დახვრიტეს), რომელიც გამჭოლი მზერით ათვალიერებდა ქუჩას, მოპირდაპირე სახლებს და, ბუნებრივია, ჩვენს ფანჯრებზეც შეაჩერებდა ხოლმე ყურადღებას. ასეთ დროს მეც კი – სკოლის მოწაფეს, რომელსაც ამგვარი მეზობლობის რეალური საფრთხე მთელი ჩვენი ოჯახისთვის ალბათ არც მქონდა გააზრებული – არ მსიამოვნებდა იმ შენობისკენ გახედვა.

...ჩვენი ოჯახის ნაცნობ-მეგობართა შორის დღითიდღე მატულობდა დაპატიმრებულთა რიცხვი. დედა და მამა ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩემთვის და ჩემი დებისთვის – ლელოსა და ნათელასთვის – არ ეგრძნობინებინათ, რომ ისინიც დაპატიმრების გამუდმებულ მოლოდინში ცხოვრობდნენ; ზოგჯერ გვიმალავდნენ კიდეც ამა თუ იმ ნაცნობის დაპატიმრების, დახვრეტისა და თვითმკვლელობის ამბავს, თუმცა, ცხადია, ყოველთვის როდი ახერხებდნენ ამას.

არასოდეს დამავიწყდება კონსტანტინე გამსახურდიას ახალგამოსული რომანის „მთვარის მოტაცების" გამო მწერალთა კავშირში გამართული დისპუტიდან შინ დაბრუნებული მამაჩემის თავზარდაცემული სახე. მამა თავში ხელებს იშენდა და მხოლოდ ამას იმეორებდა: პაოლომ სანადირო თოფით თავი მოიკლაო. ასე შევიტყვე პაოლო იაშვილის ტრაგიკული აღსასრულის ამბავი. მოგვიანებით დედაჩემის ნაამბობიდან გავიგე, რომ პაოლოსაც და მამაჩემსაც ერთი თვის მანძილზე თითქმის ყოველდღე იბარებდა ბერიას მოადგილე ბახჩო ქობულოვი, ზოგჯერ მანქანით ქალაქში „გაასეირნებდა" ხოლმე და თანამშრომლობას სთავაზობდა.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი „ოცდაოთხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები", რომელიც ცნობილ აჯანყებას ეძღვნებოდა. იმ წერილში ერთი ასეთი წინადადებაც იყო: „პარიტეტული კომიტეტის თითქმის ყველა წევრი დატუსაღებულ იქნა შ. ამირეჯიბის გარდა, რომელიც იმალებოდა და მოგვიანებით საზღვარგარეთ წავიდა".

შალვა ამირეჯიბი მამას ახლო მეგობარი და ჩემი ნათლია იყო, სახელიც მან დამარქვა. როცა მისი საზღვარგარეთ წასვლა გადაწყდა (სხვაგვარად დახვრეტას ვერ გადაურჩებოდა), ძია შალვა თურმე ჩვენს ბინაზე იმალებოდა. მეგობრებმა და თანამებრძოლებმა ფული შეაგროვეს და ბათუმში ჩაუტანეს მენავეს, რომელსაც ის და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან („დამკომი") არსებული სამხედრო კომისიის წევრი, სოციალ-დემოკრატი სოლომონ ზალდასტანიშვილი (ჩვენში ახლა უკვე კარგად ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენის გივი ზალდასტანის მამა) თურქეთში უნდა გადაეყვანა. გადაწყდა, რომ ბათუმში მათ დედაჩემი გაჰყვებოდა. საბუთებითა და პარიტეტული კომიტეტის არქივით სავსე ჩემოდანიც მას ჩააბარეს. ცხადია, სამივე სხვადასხვა ვაგონში მოთავსდა.

დედაჩემის ვაგონში თურმე უამრავი ხალხი ირეოდა. მგზავრების უმრავლესობას სამხედროები შეადგენდნენ. დედაჩემის პირდაპირ ვიღაც რუსმა ოფიცერმა დაიკავა ადგილი და, როგორც დედას მოეჩვენა, გამომცდელი მზერა მიაპყრო მას. დედა რამდენიმეჯერ ადგა და ისევ დაჯდა, რუსი ოფიცერი კი თვალს არ აშორებდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თავში რა ფიქრები უტრიალებდა დედაჩემს. ბოლოს ვეღარ გაუძლო ასეთ დაძაბულობას, ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ოფიცერიც ფეხდაფეხ მიჰყვა და ... რომელი საათიაო, ჰკითხა. დედაჩემმა, რომელსაც შინაგანად უკვე დაპატიმრებისთვის შეემზადებინა თავი, პასუხი ძლივს ამოიღუღლუღა. შემდეგ სადგურზე ოფიცერი მატარებლიდან ჩავიდა. დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო და ის რუსი ოფიცერიც, როგორც ჩანს, მისმა გარეგნობამ მოხიბლა.

ასეა თუ ისე, ბათუმში სამივე მგზავრი მშვიდობით ჩავიდა. როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, ოთახი იქირავეს ყველაზე იაფფასიან სასტუმროში, სადაც წყვილები მიდიოდნენ ღამის სათევად და დროს გასატარებლად. გაქცევის ორგანიზატორთა აზრით, ასეთ სასტუმროში ლტოლვილნი ნაკლებად მიიქცევდნენ ჯაშუშთა ყურადღებას. რათა ქალაქში რამე ხიფათს ან ვინმე ნაცნობს არ გადაჰყროდნენ, წინასწარ გააფრთხილეს დედას ბათუმელი ნათესავი, ცნობილი ექიმი ვანიჩკა მჭედლიძე, რომელმაც სწორედ „სამეულის" ბათუმში ჩასვლის დროისთვის ვახშამი გაუმართა ქალაქის მერსა და სხვა ადგილობრივ ხელისუფალთ (1937 წელს ვანიჩკა მჭედლიძე დახვრიტეს).

იმ ღამეს, ბუნებრივია, თვალი არც ერთს არ მოუხუჭავს. შალვა ამირეჯიბი თურმე ცრემლებს

ვერ იკავებდა, თითქოს გრძნობდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა სამშობლოს. ისიც უთქვამს, საქართველო მაგათ ხელში დაიღუპებაო.

გამთენიისას ერთმანეთს დაემშვიდობნენ. მენავემ შალვა ამირეჯიბი და სოლომონ ზალდასტანიშვილი, დაპირებისამებრ, თურქეთში გადაიყვანა, საიდანაც ისინი პარიზს გაემგზავრნენ, დედა კი ფოსტაში წავიდა და მამაჩემს უდეპეშა: „Свадьба состоялась" - ასეთი ყოფილა შეთანხმება.

შემდეგ შალვამ პარიზიდან მამაჩემს გამოუგზავნა ლექსები:

## პეტრე ქავთარაძეს

*1. ბედმა მუხთალმა და ჭკუა მოკლემ*
*ჩვენ ასპარეზი დღეს არ გვიჩინა,*
*მაგრამ მითხარი შენმა სოფოკლემ*
*ოიდიპოზე რად მიიძინა.*
*მყევხარ თასებში თავნაკიდები*
*ეყმე ხარიტებს, მზიანს და თეთრებს*
*და დაგავიწყდა ლაშლაკიდები*
*ხელი აალე ბერძნულ ტრიმეტრებს*
*დღეს ასპარეზი თუმც არ გვიჩინა,*
*მაგრამ სთქვი მაინც შენმა სოფოკლემ.*

*2. სუფრაზე ბნელ ფიანდაზებში*
*შენ დიდ ლხინებში, მუდამ კრიალა*
*ხარიტებს შორის და სველ თასებში*
*მონახე ჩემი ქვრივი ფიალა.*
*ნაზად ემთხვიე მის თითებს ღარიბს*
*უთხარი ვუცდი ამინდებს ზღვასთან*
*და ნუ შევაკრთობს ჩემს ერთგულ არიფს,*
*რომ დროს უჩემოდ ატარებ სხვასთან.*

*კახელი მგზავრის ლამაზი ხარჭა*
*პირველ მაჭრობას გავიცან რთველში*
*ჩემთან ალერსი შემოეხარჯა*
*და მევობარზე გამცვალა თვეში.*
*ჩემი ორგული იყოს ის მუდამ*
*გოგონა სახლში ნაკლებ წვებოდა*
*და ვით მეძავი ნაშობი მუდამ*
*ღამით ლხინებში თან დამყვებოდა.*

*3. სალამი! შენდა სმენამდე!*
*მოვა თუ არა ჩემი ხმა*
*აქედანა და თქვენამდე*
*რამდენი ფიქრი შემიხმა...*
*მღალავს მეშვიდე სართული,*
*არსად დაბალი ოდები,*
*ქალები ტიტველ დართული,*
*მოდები კიდევ მოდები...*
*ცხენის მაგივრად ტაქსები*
*პოლიტიკაში ჰერიო,*
*ლაგამი ანგლო-საქსები*
*ჩვენს გაზეთში სწერს ოლარი,*
*თქვენსაში კლარა ცეტკინა*
*ისე ავარდა დოლარი,*
*რომ ფრანკს გვერდები ეტკინა.*
*უყვართ ხეებში აქ წაბლი*
*ყელზედ იბავენ ცრუ ქარვებს,*
*მაგრამ ღვინოა აქ შაბლი*
*და დარდებს მე ის მიქარვებს,*
*არასდროს არც ძველ ელადას,*
*არც კახურ საინახოში*
*არ დაუღვრია ხელადას*
*ჯერ ჩვენი ღვინო ზარხოში.*

## მანანას ნათლობაზე

*მფარვიდეს ძალი მარად ძალული*
*დედას დამსგავსოს მალე გაისმა*
*ჩემი სახელი მანდ აკრძალული*
*დღეს ეს ემბაზთან ჩუმად გაისმა.*

შალვა ამირეჯიბი

დედაჩემის გარდაცვალებიდან ოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა და მისი მონათხრობი მრავალი საინტერესო ამბის დეტალურად გადმოცემა გამიჭირდება. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ, რომელიც, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველთა ფართო წრისთვის.

* * *

პეტერბურგში სწავლისას, ქართველი სტუდენტები დროდადრო საქველმოქმედო კონცერტებსა და ლიტერატურულ საღამოებს მართავდნენ, რათა უსახსრო სტუდენტებს დახმარებოდნენ. მაყურებლის მოსაზიდად კულტურის ცნობილ მოღვაწეებსაც იწვევდნენ. ერთხელ გადაწყვიტეს, საღამოზე მიეწვიათ სახელგანთქმული მომღერალი ლეონიდ სობინოვი, რომელიც, თუკი კონცერტებისა და გასტროლების დაძაბული განრიგი ამის საშუალებას აძლევდა, თურმე მუდამ ხალისით (და, ცხადია, უსასყიდლოდ) თანხმდებოდა საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობაზე.

ქართველ სტუდენტებს ფული შეუგროვებიათ, ლამაზი ხალიჩა უყიდიათ და ამ ხალიჩით დედაჩემი გაუგზავნიათ სობინოვის დასაპატიჟებლად. მომღერალი მაშინვე დათანხმებულა, საჩუქრის მიღებაზე კი უარი განუცხადებია. ბოლოს დედაჩემის დაჟინებული თხოვნით, სობინოვს მაინც მიუღია საჩუქარი და რამდენიმე დღის შემდეგ საქველმოქმედო კონცერტზეც ბევრი უმღერია.

დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგ, 1934 თუ 1935 წელს, სობინოვი თბილისში ჩამოვიდა საგასტროლოდ და დიდი წარმატებით გამართა კონცერტები. გამოსათხოვარი ბანკეტის წინ მომღერალს გასტროლების ერთ-ერთი ორგანიზატორისთვის უკითხავს, ხომ არ იცნობთ ანა ლორთქიფანიძეს, პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში რომ სწავლობდაო. დადებითი პასუხი რომ მიუღია, უთქვამს, იქნებ ბანკეტზე

დაპატიჟოთო. დედაჩემი გამოჩენილა თუ არა, სობინოვს მაშინვე უცვნია, თავის გვერდით ადგილი შეუთავაზებია და უთქვამს: „А знаете, ваш коврик с тех пор у меня над кроватью висит  и я вас всегда помню“, მერე კი ვალსის საცეკვაოდ გაუწვევია.

ერთ-ერთ ასეთ საქველმოქმედო ლიტერატურულ საღამოზე მისულან სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვა ცნობილი მწერლები, რომლებიც იმხანად მეტად მოდური ფუტურისტული მიმდინარეობით იყვნენ გატაცებული. მათ თურმე უცნაურად ეცვათ, ჰალსტუხი უკან ჰქონდათ მიტრიალებული, წინ და უკან ქამარზე ბოლოკი, სტაფილო თუ სხვა ბოსტნეული დაეკიდებინათ და ასე დასეირნობდნენ ინსტიტუტის დერეფნებში. როცა მაიაკოვსკიმ და ესენინმა დედაჩემსა და მის მეგობარს ვერა კაკაბაძეს (შემდგომ ლეო ქიაჩელის მეუღლეს) ჩაუარეს, დედას ქართულად უთქვამს: ნახე, ნახე, რას ჰგვანანო. მაიაკოვსკის ეს გაუგონია, გაღიმებია და ქართულადვე უპასუხია: არ მოგეწონებით, თქვენმა მზემო; მერე კი გამოლაპარაკებია დედაჩემსა და მის მეგობარს, დიდი სიყვარულით გაუხსენებია საქართველო, ბაღდადში გატარებული ბავშვობა და სხვა.

* * *

ასევე საქველმოქმედო მიზნით პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ „ცოცხალი სურათების“ საღამო მოაწყო. ერთ-ერთ ცოცხალ სურათში დედაჩემიც მონაწილეობდა. ის განასახიერებდა თამარ მეფეს, რომელსაც მუხლმოდრეკილი შოთა რუსთაველი (შალვა შარაშიძე, ფსევდონიმი „თაგუნა“) „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს. ამ საღამოს შესახებ პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში მცირე ინფორმაცია დაიბეჭდა. მისი ავტორი, რომელიც აღტაცებას ვერ მალავს ქართველი ახალგაზრდების ნიჭისა და სიდარბაისლის გამო, მასალას ასე იწყებს: „И чужестранца все винманье народ сей чудный привлекал“. და შემდეგ თამარ მეფის სილამაზეს აღწერს. ინფორმაცია ასე მთავრდება: „Вдруг из зрительного зала послышался пискливый женскиий голос: "Ах, это же наша курсистка - медичка Лорткипанидзе!" О, божественная царица Тамара, ты еще и наукой занимаешься“.

* * *

კიდევ ერთი ამბავი, რომელზეც მინდა გიამბოთ, 1910 თუ 1911 წელს გადახდათ დედაჩემსა და მამაჩემის ძმას, რომელიც ასევე პეტერბურგში სწავლობდა და რომელსაც, სხვათა შორის, ასევე მეტად მომხიბვლელი გარეგნობა ჰქონდა.

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, ლექციებისგან თავისუფალ დროს, დედასა და ბიძაჩემს ნევის სანაპიროზე გასეირნება განუზრახავთ. მაგრამ სიცივისგან გათოშილებს მალევე გადაუწყვეტიათ რომელიღაც ახლომდებარე კაფეში შესვლა. კაფე ნახევრად ცარიელი დახვდათ. ერთ-ერთ მაგიდას მიუსხდნენ და ცხელი ჩაის მოლოდინში, საუბარი წამოიწყეს. მათი ყურადღება მიიპყრო შორიახლოს მჯდომმა შუა ხნის წყვილმა. ქალიცა და მამაკაციც თავჩაღუნული ისხდნენ და სუფრაზე მიტანილ საჭმელს არც ეკარებოდნენ. ეტყობოდათ, გულზე რაღაც დარდი აწვათ. ამასობაში დედასა და ბიძაჩემს ჩაიც მიუტანეს. მათაც საუბარი განაგრძეს და იმ წყვილისკენ აღარ გაუხედავთ. მაგრამ რამდენიმე ხანში შენიშნეს, რომ ქალი და მამაკაცი მათ თვალს არ აცილებდნენ. უცებ ერთიცა და მეორეც ფეხზე წამოდგა და მათკენ გამოემართა. მაგიდას რომ მოუახლოვდა, კაცმა მორიდებით ჰკითხა:

„Скажите, откуда вы?“

„Мы из Грузии, студенты, здесь учимся“, - უპასუხეს.

„Вы знаете, у нас большое несчастье,- განაგრძო კაცმა - В больнице погибает наш единственный сын и мы хотим вам выразить признательность за то, что своей красотой вы заставили нас, на несколько минут забыть о нашем горе“.

* * *

პირველი მსოფლიო ომის დროს ის შენობა, სადაც დღეს თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსია, ლაზარეთად ყოფილა გადაკეთებული. დედაჩემმა, პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულმა ახალგაზრდა ექიმმა, 1915 წელს სწორედ იქ დაიწყო მუშაობა. ერთხელ, მორიგეობის დროს, მის ოთახში შესულა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი (იგი დედაჩემს ბიძად ეკუთვნოდა), რომელიც მძიმედ  ავადმყოფი ვაჟა-ფშაველას სანახავად მისულიყო. მას დედასთვის უთქვამს, წამოდი, ვაჟა გასინჯე, ვერ არის კარგადო. დედა ძალიან აღელვებულა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისთვის სათაყვანო პოეტთან შეხვედრა ელოდა, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ შიშობდა, ვაითუ გამოუცდელობის გამო ვერ გავერკვე საქმის ვითარებაში და ავადმყოფს მდგომარეობა ვერ შევუმსუბუქოო.

ვაჟას სუნთქვა უჭირდა, რკინის საწოლში ნახევრად წამომჯდარი იწვა, გვერდით ედგა გაზეთ-გადაფარებული ხის სკამი, სკამზე კი - სანთელი. დედას მისთვის ფილტვები და გული გაუსინჯავს, რაღაც ზომებიც მიუღია და მალე ვაჟას ცოტაოდენი შვება უგრძვნია. ამის შემდეგ დედაჩემისთვის ვინაობა გამოუკითხავს და როცა შეუტყვია, ასეთ ახალგაზრდა ქალს საკუთარი ოჯახიც რომ ჰყავდა, შეუქია: ყოჩაღ ქალო, ქმარ-შვილიცა გყავს და ექიმობაც გისწავლიაო; ყველა ქართველმა ქალმა უნდა მოგბაძოსო. ამ ამბიდან რამდენიმე კვირაში ვაჟა-ფშაველა გარდაცვლილა.

* * *

1919 წლის 26 მაისს საქართველო ზეიმით აღნიშნავდა დამოუკიდებლობის პირველ წლისთავს.

დღესასწაულში უცხოელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ქართული ლიტერატურის დიდი ტრფიალნი და მოამაგენი, ინგლისელები, და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები. საზეიმო პროცესია ერევნის (ახლანდელი თავისუფლების) მოედნიდან უნივერსიტეტისაკენ მიემართებოდა.

პროცესიას წინ სამი მანქანა მიუძღვებოდა. პირველში იდგა წითელ კაბაში გამოწყობილი, მაღალაშვილის ლამაზი და ტანადი ქალი, რომელიც რევოლუციას განასახიერებდა; მეორე მანქანაში დედაჩემი იდგა. მას, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოს, თეთრი ქართული კაბა ეცვა. მესამე მანქანაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი ულამაზესი ქალიშვილები ისხდნენ. ისინი ჩვენი მიწის ხვავსა და ბარაქს ასახიერებდნენ. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული მრავალრიცხოვანი თბილისელები მანქანებს ყვავილებს უფენდნენ გზაზე.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მანქანა, რომელშიც დედაჩემი იდგა, უეცრად შუა გზაზე გაჩერდა - ძრავა გამოირთო. იგი ვერაფრით ვეღარ აამუშავეს, ამიტომ იძულებული შეიქნენ, წინა მანქანისთვის გამოებათ და ისე მიეყვანათ უნივერსიტეტამდე. დამსწრეთაგან ბევრს თურმე გუნება წაუხდა - ავის მომასწავებლად ენიშნათ, რომ მაინცდამაინც ის მანქანა გამოვიდა მწყობრიდან, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს წარმოადგენდა. ძნელი სათქმელია, ეს მართლაც განგების ნიშანი იყო თუ, როგორც ზოგიერთი ამტკიცებდა, მანქანის მძღოლი ბოლშევიკებმა მოისყიდეს და ძრავა განგებ გამორთო. ასეა თუ ისე, იმ დღიდან ორ წელსაც არ გაევლო, რომ საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა.

* * *

ოცდაათიან წლებში საქართველოში და სხვაგანაც „მავნებლობის“ ბრალდებით ბევრი უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრეს. მათ შორის იყვნენ მამაჩემი და ბიძაჩემიც - დეიდაჩემის ქმარი, უსპეტაკესი ადამიანი და ბრწყინვალე ეკონომისტი ვანო ცაგარელი. 1933-34 წლებში მამაც და ვანო ცაგარელიც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, გაათავისუფლეს, მაგრამ 1938 წელს ორივე კვლავ დააპატიმრეს.

ჩეკაში მამას საქმის გამომძიებელი ყოფილა ვინმე კობიაშვილი (სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). როგორც მამა ამბობდა, ამ ყმაწვილს, ბევრი თავისი კოლეგისგან განსხვავებით, კეთილშობილური, ლამაზი გარეგნობა ჰქონია და საკმაოდ განათლებულიც ყოფილა. დაკითხვაზე გამოძახებულ მამაჩემს ის თურმე „საქმეზე“ კი არ ესაუბრებოდა, არამედ - ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ეკითხებოდა აზრს ამა თუ იმ საკითხზე, სთავაზობდა კარგ პაპიროსს და რამდენიმეჯერ, ღამის „დაკითხვის“ შემდეგ, ქალაქგარეთაც გაასეირნა მანქანით. მამას გათავისუფლების შემდეგ შევიტყვეთ, რომ კობიაშვილს თავი მოუკლავს.

მამა, თუ შინ იყო, მუდამ საწერ მაგიდას უჯდა და მუშაობდა. მისი უზარმაზარი არქივის განადგურებას გადარჩენილი უმნიშვნელო ნაწილი უმთავრესად ეხება ძველი და ახალი ქართული მწერლობის ენას. (ნეოლოგიზმები, მხატვრული ზომის გრძნობა და საშუალებათა ეკონომია, საგნის უცოდინრობა, „ლაფსუსები“, მოძრავი ბგერები, რუსიციზმები, „ასონაკლი“ სიტყვები, სახელარსებითნი და შემასმენელნი (შეთანხმება რიცხვში), უცხოური სიტყვები, ავტორის პროვინციალიზმები, წინადადებათა წყობილება, ზმნა: კანკლედობა და სხვ., სადავო სიტყვები, ფორმები, და სხვ., კონსტრუქცია, ბრუნვა, ასო „ნ“ ზოგიერთ სიტყვაში, ვინმე, რამე, ვიღაც, რაღაც, რომელიღაც, უცხოური არაქართული საქცევი, თავსართი „შე“ „ბარნოვიზმები“, ზოგიერთი სიმახინჯე, ახალი სიტყვები და კარგი ქართულის ნიმუშები, მხატვრული სახოვანება და შედარებანი, უმართებულო ქართული).

1933 წელს მამას ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-რედაქტორობა დაევალა. იმ დღიდან თავაუღებლივ მუშაობდა.

დადგა 1937 წელი, დაიწყო ლექსიკონის ბეჭდვა უნივერსიტეტთან არსებულ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალში. დაიბეჭდა თავფურცელიც, რომელზეც რედაქტორად მამა იყო მოხსენიებული. მაგრამ ერთ ღამეს სტამბის მუშებმა ჩვენს ბინაზე გადმოზიდეს დაწვას გადარჩენილი ხელნაწერები: ყველაფერს წვავენ და რა ხდება, ვერ გაგვიგიაო.

როგორც გაირკვა, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, კარლო ორაგველიძის მითითებით, თავფურცლიდან მოუხსნიათ მამას გვარი და ლექსიკონის რედაქტორად თავად ორაგველიძე გამოუცხადებიათ. (ეს ის ორაგველიძე გახლავთ, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის ნაამრევის დევნის პერიოდში უნივერსიტეტში სამსაათიანი გესლიანი მოხსენება წაიკითხა და დიდი მეცნიერის ლამის ყველა ნაშრომის უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა). (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1988 წლის 8 აპრილი. „ტვირთი ერისკაცისა“ (ისტორიკოსის ჩანაწერებიდან).

უკიდურესად აღელვებულმა მამაჩემმა მიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს - ერიკ ბედიას, რომელსაც პირადად იცნობდა. ბედიამ დახმარებაზე უარი უთხრა, რადგან იცოდა, რომ თვითონაც განწირული იყო და გამოსარჩლებით მამაჩემს კიდევ უფრო გაუფუჭებდა საქმეს. (ერიკ ბედია მალე დააპატიმრეს. ასეთივე ბედი ეწია მის ულამაზეს მეუღლეს, ნინო ჩიჩუას. მის შესახებ მიამბო ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულმა, აწ განსვენებულმა ლუდა ბუაჩიძემ, მსროლელთა მეორე ქვეითი დივიზიის მეთაურის სოსო ბუაჩიძის მეუღლემ: საკანში რვა ქალი ვიყავით. ერთ დღეს კარი გაიღო და საკაცით ვიღაც შემოიყვანეს. გარჩევა ძნელი იყო: საბრალო ქალს სახე გასისხლიანებული, შეშუპებული, დეფორმირებული ჰქონდა, ხელების მომტვრეული თითები უძრავად ეკიდა. უმალ მივცვივდით დასახმარებლად. ოდნავ რომ მოვასულიერეთ, ძლივს ამოილუღლუღა,

ვერ მიცანით? ნინა ვარ, ჩიჩუაო. ეს ლამაზი ქალი ადამიანს აღარ ჰგავდა. შემდეგ, რამდენადაც შეეძლო, რის ვაი-ვაგლახით გვიამბო, რაც მომხდარიყო: თურმე ბერიას ნინოსთვის თვალი დაედგა (როგორც ეს საერთოდ ჩვეულებად ჰქონდა) და როცა დაკითხვაზე პირადად დაუბარებია, ნინოს მისთვის სახეში სამელნე უსვრია. თუმცა, ცხადია, იცოდა, ამის ჩამდენს რაც ელოდა. ბერიას თვითონ უწამებია ნინო. მეორე დღეს საკაცით გაიყვანეს და სამუდამოდ დაგვემშვიდობა ყველასო - ასე დაამთავრა თავისი ნაამბობი თვალებაცრემლებულმა ქალბატონმა ლუდამ.) ბედიასგან გამოსული, მამა რუსთაველის პროსპექტით გაუყვა შინისკენ გზას, ცუდად შეიქნა, დაეცა, ტროტუარის ქვაფენილს თავი დაარტყა, ქალა გაებზარა და ტვინის მძიმე შერყევით საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ლექსიკონი მალე დაისტამბა, მაგრამ მის თავფურცელზე რედაქტორის გვარი საერთოდ აღარ იყო მოხსენიებული, რადგან ამასობაში ორაგველიძეც დააპატიმრეს.

გავიდა რამდენიმე თვე. ექიმებმა მამას ადგომის ნება დართეს. ზაფხული იყო და დედამ იგი მოსამჯობინებლად მის დასთან, სოფელ ზოვრეთში გაისტუმრა. მეც, რაკი სასკოლო არდადეგები მქონდა, მამას გამაყოლა. ზოვრეთიდან მამამ დედას მისწერა წერილი, რომელშიც კარგად ჩანს მისი განწყობილება და წინათგრძნობა.

„ჩემო კარგო ანიკო! გუშინ, საღამოს ხუთ საათზე გამოვისტუმრე მანანა და დღეს კიდევ წერილს გიგზავნი, რადგანაც არ შემიძლია არ გაგიზიარო ჩემი სულიერი განწყობილება - აქ ხომ ვერავის შევჩივლებ - თუმცა მაშას რომ ვუთხარი ამ დილით, მანანა თვალში მაკლია-მეთქი, მიპასუხა - სალხი დაცარიელდაო... გუშინ დიდხანს ვიჯექ გადასაბიჯთან და ვუცქერდი მანანას, სანამ ჭალატყეს მიახლოვებული, თვალთაგან არ მიემალა... მერე კი დავბრუნდი შინ, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას... ისე შემომაწვა ბოღმა, რომ სულის ხუთვა და გულის წურვა ამივარდა... დაღამდა. ცხრა საათი იყო, მაშა და ქიონია რომ დაწვენ. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: ამ დროს საერთოდ რა დამაძინებს და მერე წუხელის განა ძილი მომეკარებოდა! მართალია, აქამდეც მე და მანანა ადრე ვწვებოდით, მაგრამ მანანა გვერდით მყავდა და გული საგულესა მქონდა... წუხელის კი... ვეღარც წიგნის კითხვამ გამართო... როგორც იყო, დილამდე გავძელი, 7 საათზე წამოვხტი და თითქოს თავს უკეთ ვგრძნობდი, თითქოს ვძლიე მოწოლილ დარდსა და ფიქრებს, გამეხარდა, მაგრამ მოვტყუვდი: ვერსად მომისვენებია, გიჟივით დავდივარ ეზოში და ახლა ქიონიას უნდა წავყვე კოოპერატივში - იქნება დრო მოვკლა, ცოტა გავერთო, ეს წერილიც გამოვგზავნო... შენს თავს ვფიცავ, ჩემო სიცოცხლე, ასე რომ მცოდნოდა, არასგზით არ დავრჩებოდი, უთუოდ წამოვყვებოდი მანანას - ეს რა არის, ახლაც, შენი რომ არ მრცხვენოდეს და მაშას არ ვერიდებოდე, დღესვე მოვკურცხლავდი თბილისისაკენ... მოუთმენლად ველოდები შენს წერილს, როგორ იმგზავრა მანანამ, როგორ ჩაიარა გამოცდამ და სხვ. საერთოდ, ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ასე მგონია, სადღაც შორს, შორსა ვარ გადაკარგული და ალბათ ვერც ვეღირსები თქვენს ნახვას... ასე გასინჯე, ყოველ დილით ყვავები დამჩხავის და ეს ისე მოქმედებს ჩემს ნერვებზე, რომ თითქმის ჭკუასა ვკარგავ... მართალია, სისულელეა ეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - სულ მგონია, რომ რაღაც საწყენი შემხვდება, ცუდი ამბავი მომივა. მანანა რომ აქ იყო, დრო თითქმის შეუმჩნევლად გადიოდა: ხან ვიწექი ჩრდილში, ვკითხულობდი, ვწერდი და თუ მანანას ოთახებში ვერ აღმოვაჩენდი, მაშინ კი ვყვიროდი - სადაა მანანა-მეთქი... ახლა კი დილის 7 საათზე ავდექი, ხან კითხვა ვცადე, რამდენი ვიარე ეზოში, ჩავიდაკე ორჯერ და გზას გავცქეროდი, მაშასაც „წავეხმარე“ მეოჯახეობაში და ძლივს შუადღემდე მივატანე... როდისღა გაივლის ერთი კვირა!.. თუ გავუძელი ამ „ნერვებს“, ხომ კარგი! ნეტავი თქვენი კარგი ამბავი მალე მომივიდოდეს, შენს წერილს მალე მივიღებდე და ის სიხარულს მომიტანდეს - აი, რას ვნატრობ... შენი ჩამოსვლაც რომ მენატრება, ჩემო კარგო, მაგრამ რომელი ერთი გითხრა. ერთი სიტყვით, იმედია, ყველაფერს დაწვრილებით მომწერ.

ეს წერილი ნუ შეგაწუხებს - რომ დავწერე, თითქოს პირადად გებაასე და ცოტაოდენი შვება ვიგრძენი.

დამიკოცნე სამივე კუდრაჭა. გკოცნი შენი პეტრე. 24. 8. 38.“

ამ წერილის დაწერიდან მეხუთე დღეს, 29 აგვისტოს, თბილისში დაბრუნებისთანავე მამა დააპატიმრეს. რაც გვებადა, ერთ ოთახში შეყარეს და ოთახი დალუქეს. დაგვტოვეს ულოგინოდ, უსაცვლებოდ. 1 სექტემბერს, სწავლა რომ დაიწყო, უკაბოდ დარჩენილი სკოლაში ვერ წავედი. იატაკზე გვეძინა. რამდენიმე დღეში ბინიდანაც გამოგვასახლეს. ვინც ჩვენს ბინაში უნდა შემოსახლებულიყო, მეორე დღესვე მობრძანდა ჩეკას მუშაკების თანხლებით (ეს გახლდათ მთავრობის იმდროინდელი საზაფხულო რეზიდენციის - ოქროყანის სამეურნეო ნაწილის გამგე, ვინმე საბაშვილი). ყურადღებით დაათვალიერა ბინა. ამდენი წიგნი ერთად, ეტყობა, არასოდეს ენახა. ჩხრეკის შემდეგ წიგნები იატაკზე იყო მიმობნეული და ახალმა მობინადრემ გაკვირვებით იკითხა: რა, ეს წიგნები სულ წაკითხული ჰქონდაო?

წიგნებთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი ეპიზოდი:

1929 წლის ზაფხული ქობულეთში გავატარეთ. ერთ დღეს მამა ნავით ზღვაში გავიდა სათევზაოდ. მიუხედავად იმისა, რომ შინ ერთადერთი თევზით დაბრუნდა, მშვენიერ გუნებაზე იყო. თითქოს გული უგრძნობდა, რომ „ოქროს თევზი“ დაეჭირა. თევზი რომ გაფატრა, მის კუჭშიულამაზესი გემა იპოვა. ძვირფას ქვაზე ფრთოსანი ცხენისა და თევზის გამოსახულებები იყო გამოკვეთილი. მამამ გადაწყვიტა, ამ გემის საფუძველზე თავისი ურიცხვი წიგნისთვის ექსლიბრისი დაემზადებინა. ექსლი-

ბრისს ჩარჩოდ არტყია პლინიუს უფროსის საყვარელი გამოთქმა: „Nullus liber est tam malus, quin aliqua parte prosit" (არ არსებობს იმდენად ცუდი წიგნი, რაიმე სარგებლობის მოტანა რომ არ შეეძლოს)




მოგვიანებით თევზის კუჭში ნაპოვნი გემისგან მამამ ბეჭედიც გაიკეთა, რომელსაც დაპატიმრებამდე მუდამ ატარებდა. დაპატიმრებისას, ესეცა და ნიშნობის ბეჭედიც მამას შინსახკომელებმა თითიდან წააძრეს და სხვა საგვარეულო ძვირფას ნივთებთან ერთად წაიღეს. ბევრმა, შესაძლოა არც იცოდეს, რომ შინსახკომის მიერ კონფისცირებულ განძეულობას საგანგებო დახურულ მაღაზიებში ანაწილებდნენ ამ ორგანიზაციის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის. არჩევანის პირველობა, ცხადია, მაღალ ჩინოსნებს ეკუთვნოდათ.

დაიწყო ჩვენი კურდღლისებური ცხოვრება. ყოველ გაფაჩუნებაზე თუ კარს მოახლოებულ ფეხის ხმაზე სული კბილით გვეჭირა. დავიწყეთ ციხეში სირბილი. ზოგჯერ ხმა დაირხეოდა, ეტაპი უნდა იყოსო და ჩვენც - დედა, მე და ჩემი ორი და - ციხის კართან ავიტუზებოდით ეტაპის მოლოდინში. ერთ ღამეს მართლაც გამოჰყავდათ ტუსაღები, მანქანებში ანაწილებდნენ და სადღაც მიჰყავდათ. დიდხანს მივდევდით იმ მანქანებს. მამას ვუძახდით იმ იმედით, რომ ჩვენს ხმას გაიგონებდა და გვიპასუხებდა. შინსახკომში ცნობის მისაღებად უზარმაზარ რიგში ვიდექით, მაგრამ ყველას ერთსა და იმავე პასუხს აძლევდნენ: „Выслан на десять лет без права переписки".

1940 ბოლოს მოულოდნელად წერილი მოგვივიდა, რომელშიც ნახევარზე მეტი ცენზურის მიერ ამოშლილი იყო. მამა გვწერდა, რა მძიმედ გადაიტანა ეტაპები, როგორ გაექურდათ - „Я гол как сокол". გვწერდა, რომ ცინგით დაავადდა, რომ არც ერთი კბილი აღარ შერჩა.

მოგვიანებით გადასახლებიდან დაბრუნდა სასწაულებრივად გადარჩენილი ყოფილი პატიმარი, გვარად ჯაფარიძე, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. მან დედაჩემს უამბო, საკანში ერთად ვიყავითო; პეტრე ყოველი დაკითხვიდან საკაცით გასისხლიანებული შემოჰყავდათ. სათითაოდ აძრობდნენ სრულიად ჯანსაღ, ლამაზ კბილებსო; ვემუდარებოდით, ყველაფერზე მოაწერე ხელი, ჩვენი საქმე მაინც დაღუპულია და იქნებ მოგვეშვანო. დავითანხმეთ, მაგრამ ახლა იმაზე აწამებდნენ, ვინ თანამშრომლობდა შენთანო...

მამას წაყენებული ჰქონდა იმხანად ყველაზე გავრცელებული ბრალდება - „ჯაშუშობის გზით სახელმწიფო ძლიერების მორყევის მცდელობა". გადასახლებიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში მამა გვწერდა (პატიმრებს, ცხადია, აიძულებდნენ, ბარათები რუსულად დაეწერათ):

„Моя высылка из Грузии равносильна моей смерти, каково то мне? Стараюсь не упасть духом, не потерять бодрости, но откуда черпать основания и источник для этого? Глубокое одиночество, полное сиротство - и только вы озаряете эту тьму, только вы... Дойдет-ли это письмо до вас, получу-ли ответ - вот о чем мне нужно гадать. Сердечно обнимаю и прижимаю к своему истерзанному сердцу, полному одной любви к вам... Анико, Лело, Натела, Манана, к вам одним. Еще раз целую, моя незабвенная Анико, моя гордость..."

მართლაც, მამას დიდხანს აღარ უცოცხლია. 1941 წლის ოქტომბერში იგი გადასახლებაში გარდაიცვალა. ეს მისი დამშვიდობების წერილი იყო.

გავიდა დრო. შიში მუდამ თან გვდევდა, თუმცა ერთხანს თითქოს მისუსტდა კიდეც, ვიდრე 1951 წელი დადგებოდა. მერე კი დაიწყო ახალი რეპრესიები და გადასახლება. ყოველდღე მოგვდიოდა ახლო ნაცნობებისა და ნათესავების ამბები; გადაასახლეს ევგენი მიქელაძის შვილები - თინა და ვახტანგი, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი - გურამ გაბაშვილი, ბაბო დადიანი - მასხარაშვილისა შვილებით, თათულითა და გიორგით, ძმები ჩხარტიშვილები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი.

ადვილი წარმოსადგენია ჩვენი მდგომარეობა: ისევ შიში, ღამით ოდნავ ხმაურზე ფეხზე წამოხტომა, კანკალი და მოლოდინი... გადიოდა დრო, მაგრამ ეს შიში ვერა და ვერ მოვიშორეთ 1956 წლამდე, როცა კომპარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ, ისევე, როგორც ბევრმა სხვამ, ჩვენც მივიღეთ მამაჩემის რეაბილიტაციის ცნობა.

დავიწყეთ ლექსიკონის ხელახლა გამოცემაზე ზრუნვა და... ისევ უსამართლობა, გულგრილობა, ადამიანის აბუჩად აგდება და უვიცობა.

1958 წელს დაინიშნა სასამართლო, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია. ისინი სათითაოდ გამოვიდნენ სასამართლოს წინაშე და ვრცლად ილაპარაკეს პეტრე ქავთარაძის მიერ რუსულ-ქართულ ლექსიკონზე გაწეული დიდი შრომისა და ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობის შესახებ. დამცველად გიორგი თარხან-მოურავი გამოდიოდა. სასამართლომ 51 000 - სიტყვიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის ხელმეორედ გამოცემის საკითხი რატომღაც მიჩქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მალა. აქცენტი გადაიტანეს პეტრე ქავთარაძის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ჰონორარის ოდენობაზე, რომლის მიღებაც ჩვენი მიზანი სულაც არ იყო.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით (№2/2213 - 1958 წ. 27 ნოემბერი) და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეების კოლეგიის განჩინებით (№5259-1958 წ. 25 დეკემბერი) მოგვეკუთვნა საავტორო ჰონორარი - 61500 მანეთი, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ეჭვი შეიტანა თანხის განსაზღვრისას დამცველის კომპეტენტურობაში და გადაწყვიტა, საქმე ექსპერტიზისთვის გადაეცა, რათა ზუსტად დადგენილიყო შესრულებული შრომისთვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა.

სასამართლო გადაიდო ექსპერტიზის დასკვნამდე. ორი თვის შემდეგ გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" უფროსმა რედაქტორმა თინათინ კოპლატაძემ და მთავარმა ბუღალტერმა სოფიო ელიავამ, დიდი შრომის ფასად, მინისტრთა საბჭოს მიერ 1949 წლის 28 თებერვალს მიღებული ნიხრის მიხედვით დაადგინეს, რომ შესრულებული სამუშაოს ჰონორარი შეადგენდა არა 61500, არამედ 85500 მანეთს. ქალბატონი თინაითინი თავად გამოვიდა სასამართლოს წინაშე ბრწყინვალე სიტყვით და დაუმტკიცა მას საექსპერტო კომისიის დასკვნის სისწორე.

მაგრამ სასამართლოს ეს, ცხადია, ხელს არ აძლევდა. მან გადაწყვიტა ძალაში დაეტოვებინა თავისი პირველი გადაწყვეტილება და მასთან ერთად პირველ სასამართლოზე დადგენილი თანხაც.

საქმე ამით არ დამთავრებულა. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ვეფხვაძემ, და საქართველოს სსრ პროკურორმა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილება გააპროტესტეს და მისი გადასინჯვა მოითხოვეს. მათი მოთხოვნით სასამართლოს მიერ 1958 წელს დადგენილ თანხას მიუყენეს 1947 წლის ფულის რეფორმა (?!) და 61500 მანეთი 6150 მანეთად იქცა.

ვიმეორებ, ჩვენთვის მთავარი ჰონორარი არ ყოფილა, თუმცა კი სასამართლოს გადაწყვეტილების აბსურდულობამ ყველა გაგვაოგნა. ჩვენი მიზანი იყო, ლექსიკონის ხელახალი გამოცემით სამართლიანობა აღგვედგინა და საზოგადოებისთვის ლექსიკონის ნამდვილი რედაქტორის სახელი გაგვეცნო. ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ვინ იყო ლექსიკონის რედაქტორი. ამ ნაშრომს ბევრი მათგანი დღესაც „ქავთარაძის ლექსიკონს" უწოდებს, მაგრამ საქმეს ეს, ცხადია, ვერ შველის.

ამ რამდენიმე წლის წინათ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ მისაყვედურა, რატომ აქამდე არ მოჰკიდეთ ხელი მამათქვენის ლექსიკონის გამოცემის საქმეს, ის ხომ უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცაო. ქეთევან ლომთათიძე თავის დროზე იმ ენათმეცნიერთა შორის იყო, რომლებიც ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ და, ბუნებრივია, ზემოთ მოთხრობილი ამბავიც კარგად ახსოვს. მან მითხრა, ლექსიკონის გამოცემით არა მხოლოდ სამართლიანობას აღადგენთ, არამედ საშვილიშვილო საქმესაც გააკეთებთ: პეტრე ქავთარაძის ნაშრომი, გარდა იმისა, რომ ქართული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლია, ბევრი ლიტერატორისა თუ ენათმეცნიერის სამაგიდო წიგნიც არისო.

მოგვიანებით ქალბატონმა ქეთევანმა (ალბათ ჩემს შესაგულიანებლად) ასეთი წერილი გამომიგზავნა:

„წარსულის გახსენება

1932 წ. შეიქმნა ქართული ენციკლოპედიის რედაქცია (მას მინისტრთა საბჭოს ხაზით კურატორობას უწევდა მ. ტოროშელიძე) მე ვმუშაობდი ამ რედაქციის ე. წ. „სიტყვანის" განყოფილებაში. ენციკლოპედიის რედაქცია ტერიტორიულად მოთავსებული იყო „საჯარო ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე. იქვე ერთი მოზრდილი ოთახი გამოყოფილი ჰქონდა პ. ქავთარაძეს, რომელიც მუშაობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-რედაქციაზე.

რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-რედაქციისას წამოჭრილი რთული საკითხების განხილვის დროს ბ-ონ პეტრესთან თავს იყრიდნენ ენციკლოპედიის წამყვანი თანამშრომლები: გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ს. ყაუხჩიშვილი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, რომელთა მოსაზრებების გათვალისწინების შემდეგ ირჩევდნენ საბოლოო ვარიანტს.

ბ-ნი პეტრე ლექსიკონზე მუშაობდა დღისით და ღამით. მე შემთხვევა არ მქონია შევსწრებოდი მის ან მოსვლის, ან წასვლის მომენტს. იგი გამუდმებით იჯდა თავის მაგიდასთან და მუშაობდა. ხშირად ჩასძინებია კიდეც, მაგრამ თავს წამოყოფდა თუ არა, კალამმომარჯვებული განაგრძობდა წერას. ამიტომაც იყო, რომ მასზე ამბობდნენ, ბ-ნი პეტრე რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს, სულერთია მისი „ლექსიკონის ცენტრი" მუდამ ფხიზლობსო.

სამწუხაროდ, ბ-ონ პეტრეს ეს დიდი ღვაწლი მივიწყებულ იქნა და მის მიერ შედგენილ ლექსიკონს (1937 წ.) სხვისი სახელი დაეწერა.

აუცილებელია აღდგეს სიმართლე და ბ-ნი პ. ქავთარაძის ნაღვაწს მისი სახელი ამშვენებდეს.

ქ. ლომთათიძე".

ქალბატონი ქეთევანის ამ წერილით შეგულიანებულმა, ახლა ისევ გადავწყვიტე, ლექსიკონის ხელახალ გამოცემაზე ვიზრუნო. ვნახოთ, რა გამომივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა სირაძე

## იბერია - ხეობათა ქვეყანა

დღემდე გაურკვეველია თუ საიდან წარმოიშვა სახელწოდება „იბერია“. ამის თაობაზე მრავალი აზრი არსებობს, მაგრამ ორიოდეს გამოკლებით ყველა ვარაუდი, როგორც იტყვიან, „ყურით მოთრეულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ის ორიოდეც, თუმცა ახლოა სიმართლესთან, ამომწურავ პასუხს მაინც ვერ იძლევა.

თვითონ განსაჯეთ:

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ „...სახელი „ივერია“ ენითავე ქართულითა მიეცა რამეთუ „იი“ არს შორიყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“, რამეთუ ი მეფემან მოკლა არშაკ. მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპათა მიმართ თვისთა:

„იი ვერიე“, და გახდა ხმა ესე იყყოდიან. ყოველნი სიმხნისა მისათვის, ამის გამო იწოდა ივერია“.

ამაში სიმართლეა მხოლოდ ის, რომ სახელი „ივერია“ენითავე ქართულითა მიეცა, ხოლო დანარჩენი, რა თქმა უნდა, გულუბრყვილო ზღაპარია.

აკადემიკოს ბროსეს მიხედვით, ტერმინი „ივერია“ წარმომდგარია სომხური სიტყვისაგან „ვერ“, რაც ნიშნავს „ზე“, „ზემოთ“, რამეთუ ქართველები გეოგრაფიულად „ზემოურები“ არიან, ანუ სომხების ჩრდილოეთით ცხოვრობენ.

მოსე ჯანაშვილის აზრით, ტერმინი „იბერია“ მომდინარეობს სიტყვიდან „ბირება“ /გაღაბირება/. აქედან „იბერია“ ნიშნავს „მოკავშირე რესპუბლიკას. იგივე ჯანაშვილი სხვა ნაშრომში ამ ტერმინს საგვარეულო სახელისაგან - „ბირიან“ - წარმომდგარად მიიჩნევდა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „იბერია“ დაკავშირებულია ებრაულ სიტყვასთან „ივრეიონ“.

ნიკო მარმა ამ სახელწოდებიდან დასავლეთ საქართველოს ტომობრივი სახელები გამოიყვანა /იმერეთი, გურია, სამეგრელო/. ს. კაკაბაძე და ჰუმბოლდტი „იბერიას“ მდ. იბერუსს უკავშირებდნენ, მაგრამ სულ ერთია, „იბერია“ დაერქვა მდ იბერუსის სახელიდან თუ პირიქით, გაურკვეველი რჩება მთავარი - საიდან წარმოსდგება თვით ეს ტერმინი.

ევროპელი მკვლევარები ფიქრობენ, რომ „იბერია“ მდინარე ებროს /ძველად იბერუსი/ სახელწოდებისაგან მომდინარეობს და ეს ტერმინი წარმოიქმნა ებრაული ძირიდან „ჰაბარ“, რაც „გავლას“, „გადასვლას“ ნიშნავს.

ტერმინ „იბერიას“ უკავშირებენ, აგრეთვე, გერმანულ სიტყვას „ებერ“ - „ტახი“ /ტახის ეშვი - ნიშანი ქუდზე/, ძველ სპარსულ სიტყვას „იმერ“ - „უმშვენიერესი, უმაღლესი მოდგმა“ და სხვა.

ყურადღების ღირსია რენე ლაფონის აზრი, რომლის მიხედვითაც ტერმინი ბასკური წარმოშობისაა: იბ - „ნაპირი“, „დინარე“ + ერ /ერი/ - „ხალხი“.

ყველა ეს ვარაუდი მეტად სუსტი და ხელოვნური მოჩანს /გარდა რენე ლაფონის ვარაუდისა; ჩვენ მას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით/.

ვფიქრობ, სიმართლესთან ყველაზე ახლოსაა ს. ჯანაშიას აზრი, რომ იბერების სახელწოდების უძველესი ფორმაა „ტიბარენი“ /„თუბალ-თაბალი, ტიბარენი - იბერი“. „შრომები“ ტ. III. I-80/.

როგორც ვიცით, ტიბარენები ხალიბების მეზობლად მოსახლე ქართველი ტომი იყო. ალ ჭყონიას აზრით, ტიბარენები იგივე სასპერებია, ს. ჯანაშიას აზრით კი სასპერები - იბერ-ქართებია. ე. ი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სასპერები, ტიბარენები და იბერები ერთი და იგივე ხალხია.

იბერების სახელით ცნობილნი არიან ქართველები და პირენეის ნახევარკუნძულის ძველი მაცხოვრებლები. ესენი რომ ერთი მოდგმისანი იყვნენ, ეს დღეისათვის მეცნიერთა უმრავლესობაში ეჭვს აღარ იწვევს. ამავე მოდგმის ხალხები იყვნენ, მეცნიერთა აზრით, აპენინელი ეტრუსკები, ბალკანელი პელაზგები, აფრიკელი ლიბიელები და სხვა მრავალი წინააზიური ტომი.

აღსანიშნავია, რომ ძველად დასავლეთს: იტალიას, ესპანეთსა და დასავლეთ აფრიკას „ჰესპერიას“ უწოდებდნენ, რაც, უდავოდ, სასპერთა სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. გვიანდელი ხანის ანტიკური მწერლები სასპერებს „ჰესპერიტებად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ტაო-კლარჯეთში დღემდე არსებობს პროვინცია სპერი /ისპირი/ (შოთა ძიძიგური).

ამრიგად, უეჭველია, რომ ტიბარენთა /სასპერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებით. რას წარმოადგენს დიმიტრი ქურულის აწმყო? ჯერ ერთი „დამთხვეული გერმანელის გაშენებული ბაღი მწვანე ღრუბელივით ჩაწოლილიყო ზღვასა და ქალაქს შორის“ (ავტორი ჯერ კიდევ რომანის დასაწყისში გვაუწყებს რომ „ვიღაც დამთხვეული გერმანელი ქვიშაზე ბაღს აშენებდა“). სახლი კი, თუმცა იგივე, ერთსართულიანი, კრამიტით დახურული, ხასხასა სიმწვანეში ჩაფლული, გაუკაცურებულიყო და გამოყრუებულიყო. მსახიობთა თაყვანისმცემელი დიასახლისი და გულმოწყალე პოლიცმეისტერი კედელზე ჩამოკიდებული მივიწყების ჩარჩოებიდან გადმოსცქეროდნენ ერთადერთ მემკვიდრეს.

წარსულის ხილული სურათების გახსენება ვერაფერი სასიამოვნოა დიმიტრისათვის. მას თავისი ხმაურიანი ბავშვობა „შემზარავი სიზმარივით“ ახსოვს. საუბედუროდ, აწმყოშიც ვერ ხედავს შვებას. „შინ ყოფნა ერჩია ყველაფერს. შინ იმაზე ოცნებობდა, რასაც გარეთ ვერ აკეთებდა“, - წერს ავტორი. რეალური დროიდან და სივრციდან ამოვარდნილი დიმიტრი უმიზნო სევდაშეპყრობილი, დროის ორ განზომილებაში გადაჰყავს ავტორს. ეს არის წარსულის მოგონება და აწმყო-სიცხადე. ორი განზომილება ორ განწყობას ბადებს თავისთავად: პირველი უიმედობაა, აპათია და ულონობა, მეორე მხრივ კი ძიების იმპულსი. პირველის დრო და სივრცე შეცნობილია, მეორისა კი ჯერ მიუგნებელი, მაგრამ მაინც იმედის მომცემი.

ულონობას მოუცავს დიმიტრის მეუღლე დარიაც. ერთად-ერთი, რაც მას მეუღლისაგან განასხვავებს, ესაა წარსულის სურათებით ტკბობა. წარსული მისთვის ერთგვარ „თავშესაფრად“ ქცეულა, რათა ყველაზე ძნელ წუთებში ბავშვობაში გადასახლდეს.

საკუთარი ფუძის ხილვამ, წესით, უნდა გააღვიძოს მთვლემარე ეროვნული სული, შემოაქციოს სიკეთის ქმედებისაკენ. მაგრამ დიმიტრის სული არ აღმოჩნდა ასე ადვილად ამყოლი. მას მამისეულ სახლთან შეჩვევაც კი გაუჭირდა.

თანადროული ცხოვრების უკულმართობის გამო ხდება, რომ დარია და დიმიტრი გაურკვეველ დროსა და სივრცეში ცხოვრობენ.

„...ჯერჯერობით წარსულის ანაბარა იყვნენ დარჩენილნი. რაც რამე იცოდნენ, განეცადათ და ახსოვდათ, ძალაუნებურად წარსულთან აბრუნებდათ“.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ახერხებს დიმიტრი „შინ დაბრუნებას“. ქალიშვილის დაბადების შემდეგ, სამსახურიდან მობრუნებული დიმიტრის ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულიყო და სიხარულნარევი სიამაყით გაივლებდა გულში: „ეს ჩემი სახლია, აქ მე ვცხოვრობ ჩემს ძვირფას მეუღლესთან და ჩემს ძვირფას ქალიშვილთან ერთად“.

მაგრამ ეს არ იყო ცხოვრებასთან დაბრუნება. ამას მთელი მისი შემდგომი ყოფა გვიჩვენებს. საკუთარ ტყავში გამოხვეული დიმიტრი უკიდურესად მოწყვეტილია ქალაქის ცხოვრებას. ასევე წარსულის გახსენებით, ბავშვობის ზმანებაში გადასული პოულობს თავის თავს საბა ლაფაჩი, ბავშვობიდანვე ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი, იმპერიის შუნდირით შემოსილი უფესვო და უმომავლო კაცი. სწორედ მის სახელს უკავშირდება რომანში დასმული ქართული მწერლობისათვის მარად მტკივნეული საკითხი - ეროვნულ ძირებს მოწყვეტილი ადამიანის ბედი, უხეში ძალადობით მშობლიურ ბუდეს მოგლეჯილი კაცის ტრაგედია. საბა ლაფაჩი, ცხრა წლის ყმაწვილი, დედამ „კაი ცხოვრებისათვის“ აიყვანა რუსული სამხედრო დიდებისაკენ მიმავალ „პარახოტზე“ და თუმცა იმპერიის შუნდირმა საბას საკუთარი „მე“ დააკარგვინა, სამაგიეროდ დედამ მიიღო საოცნებო „კაი ცხოვრება“.

რომანში დიდი ექსპრესიულობითაა აღწერილი საბას შეხვედრა მშობლიურ კერასთან, „მამისეულ სახლთან“. ამ შეხვედრას დედის ცხედარი უძღვის წინ.

ნახშირის ჭვარტლით სავსე საბარგო ვაგონში დედის ცხედართან გატარებული ღამე ერთგვარ „განსაწმენდელად“ იქცა საბა ლაფაჩისათვის. საოცარი მხატვრული ძალით ამეტყველებული ხილვები წარსულში, ბავშვობაში ასახლებენ საბას. წარსულის ნანგრევებში ხეტიალით სურს მას „დაბრუნება“ მშობლიურ კერაზე, რადგან ყველაფერი ეს „დაკარგული გზის ძიება იყო მხოლოდ, ერთადერთი გზისა, რომელიც იქ მიიყვანდა, სადაც უნდა მისულიყო...“

როგორ შეიძლება იქნეს გაგებული მწერლის აზრი „დაკარგული“ ადამიანის „შინ დაბრუნებაზე? რომანში ხშირადაა მითითებული იდეა ადამიანის „ხელმეორედ დაბადების“ შესახებ. ეს იქნება „განსაწმენდელ-გამოვლილი“ ადამიანის ხელახალი მოვლინება საკუთარ დროსა და სივრცეში, „მეორედ დაბადება, ამჯერად არა დედის საშოდან, არამედ უმეცრების, სიბნელის, გადაგვარების შავი კვერცხიდან“.

წარსულში მიბრუნება აუცილებელი ხდება ქალბატონ ელენესთვისაც. თბილისელი მსახიობის ცოლი კვლავ გაივლის უკვე გავლილ გზას თბილისიდან ბათუმამდე. ეს გზა მისთვის ერთგვარი „გოლგოთაც“ არის და „განსაწმენდელიც“, რაკი მატარებლის ვაგონში, საკუთარი სურვილით უბილეთო მგზავრობით დაჯარიმებული, ერთდროულად აწმყოშიც ცოცხლობს და წარსულშიც. წარსულში „გადასახლებით“ სურს მოჩხრიკოს თავისი უნებლიე შეცდომები და, რაც მთავარია, მიზეზი ქმრის თვითმკვლელობისა. რომანის პერსონაჟთა გალერეიდან ერთადერთი თბილისელი მსახიობია, რომელიც ჭეშმარიტად აწმყოში ცხოვრობს. ცხოვრების ჟინით ბუნებისგან უხვად მომადლებული მსახიობი სცენას დახავსებულ ყოფასთან საბრძოლველ ბარიკადად აქცევს. „არც დრო მოქმედებდა მასზე, არც სივრცე“. - წერს ავტორი, თვით კი წარმართავს თავის გარშემო მყოფთა ცხოვრებასა და ბედ-იღბალს.

წარსულისაკენ სწრაფვა დამახასიათებელია დიმიტრი ქურულის ქალიშვილის - ნატოსათვისაც. უკანონო ბავშვის დაბადების მოლოდინში სულით და ხორცით გაორებული ქალიშვილი სრულ აპათიას ეძლევა: „ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთხელ კიდევ უკვე ეცხოვრა, ოდესღაც, დიდი ხნის წინათ... იმისკენ მიისწრაფოდა, იმის აღდგენას ცდილობდა, იმის, გარდასულის, გარდაცვლილის, ოდესღაც არსებულის...“ ნატოსათვის გელა იქცა ერთადერთ რგოლად, ცხოვრებასთან რომ აკავშირებდა. გელას დაკარგვით ნატო კარგავს აწმყოსაც, მომავალსაც

და გარემომცველი სივრციდან ვარდება. „თქვენ ჯერ კიდევ ხართ, მე კი აღარ“, - ეუბნება ის ოჯახის წევრებს.

რომანში მთელი სამომავლო იდეური დატვირთვა გელაზეა გადატანილი. მასში დიდი მხატვრული ოსტატობითაა ხორცშესხმული „ძე წარსულისა და მამა მომავლისა“. ის ბევრს ფიქრობს თვითმკვლელ მამაზე, ცდილობს მოიძიოს იმ მიზეზი, რამაც მიიყვანა მამამისი იმ საბედისწერო წუთამდე. მამის კვალის ძიების მთელი პროცესი, რომელიც განსაკუთრებით აწუხებს გმირის სულს, დროისა და სივრცის თავისებური ძიებაა. რომანისტისათვის ეს მხატვრული დროის ორგანიზების ერთი მთავარი ამოსავალი წერტილია. გელას დაბრუნება საკუთარ სახლში - დროთა შეხვედრაა, შეხვედრა წარსულისა და აწმყოსი. ეს რომანის მომავალი მხატვრული დროა, გელას მთელი თავგადასავლით შემზადებულ- განპირობებული.

ოთარ ჭილაძის მწერლური ოსტატობა რომანში დახატული მხატვრული სივრცის კომპაქტურობაშიც გამოვლინდა. საყურადღებოა ამ სივრცის მრავალპლანიანობა. ადგილის მონაცვლეობის ტემპი აქ ექვემდებარება განწყობილებათა და შთაბეჭდილებათა ხაზგასმულ დინამიზმს. ამგვარად ყალიბდება პერსონაჟთა ცხოვრების გზად წარმოსახული სივრცეში განფენილი დრო-მოგონება. სივრცეთა შეწყვილება-პარალელიზების ხერხი, რომელიც ასევე დინამიზმის პრინციპს ემკვიდრება, სისტემატურად მონაცვლეობს რომანში და ცხოველი სიმძაფრე შეაქვს მის სიუჟეტურ-ფაბულურ წყობაში. რომანში ბევრი მაღალი ნიჭიერებით დახატული პასაჟია, როგორც დროისეული ფაქტის განფენა კონკრეტულად მოხაზულ სივრცეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზღვის სივრცის მაღალმხატვრული ხედვა, მისი ორიგინალური ინტერპრეტაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზღვის წარმოსახვა რომანში ხდება არა მარტო მისი გამოცოცხლებით, მის ბუნებაში პერსონაჟის მთლიანი წვდომით, არამედ თვით პერსონაჟის თვისებების შეწყვილებით ამ ზღვასთან.

თბილისელი მსახიობი და ნატო ქურული დიდ სულიერ ლტოლვას იჩენენ ზღვის მიმართ. გარდა ამისა, ისინი „განსაწმენდელსაც“ უწოდებენ მას. „ახლა თუ ზღვაზე არ გავედი, მართლა დავიხრჩობიო, - ფიქრობდა მსახიობი, - ახლა კი არ ავიჩემე, მთელი დღე მინდოდა ზღვაზე გასვლა და იმიტომაც მოვედი აქაო“. „შეველ განსაწმენდელსაო“, - შესძახებს მსახიობი, როდესაც შუაღამისას გადაეშვება ზღვაში დედიშობილა.

განწმენდის სურვილს მიჰყავს ნატო ზღვასთან. „ზღვაში რომ არ შევიდე, გავგიჟდებიო... ზღვის იმედი ჰქონდა, თუ მიშველის, მხოლოდ ზღვა მიშველისო... იცოდა, ზღვა ყველაფერს მიუტევებდა“, - წერს რომანის ავტორი და გამორჩეული მხატვრული სიძლიერით აღწერს ნატო ქურულის საბოლოო მიახლებას საყვარელ ზღვასთან. მწერალს გამორჩეული სიყვარულით ჰყავს დახატული „ბედნიერებით გაუბედურებული“ ქალიშვილი. ამიტომაც სიკვდილის წინა წუთებში მხოლოდ მას მიანიჭა უმაღლესი სულიერი ბედნიერება და ისიც მხოლოდ ზღვაში; „უკვე ზღვაში იყო, ზღვას ეკუთვნოდა, საიდანაც ახალშობილივით სუფთა, და უცოდველი დაუბრუნდებოდა ქვეყანას... მიცურავდა გახარებული, გახალისებული, განახლებული, განწმენდილი“.

უკვე შევნიშნეთ, რომ უაღრესად კონკრეტიზებულია რომანის სივრცე. მართალია, იგი ორ ქალაქს მოიცავს (თბილისი, ბათუმი), მაგრამ მოქმედება ძირითადად ბათუმში ხდება. სივრცეში განფენილი ქალაქი თავისი ქუჩებით, სახლებით, ზღვისპირა ბაღით და ზღვით, თითქოს პერსონაჟთა გვერდით ცოცხლობს, სუნთქავს, განიცდის მათ თავზე დატრიალებულ ტრაგედიას. მწერალს ხაზგასმით უყვარს იმ გზის აღწერა, სადაც გმირი გაივლის უაღრესი დინამიზმით დამუხტული. მაგალითისათვის იკმარებდა გზა, რომელიც ნატომ გაიარა ქალბატონ ელენესთან სავიზიტოდ.

ცოცხლად და ხელშესახებადაა დახატული გზა, რომელიც გაიარა საბა ლაფაჩმა ნატოს სახლამდე, რათა მის ეზოში გადაეგდო უიმედო სიყვარულის სიმბოლო - ისარგაყრილი გულით დამშვენებული ნარინჯი: „მიძუნძულებდა ახლა, ქურდივით, მძინარე ქალაქის ქუჩებში... ეტყობა, ეს გზაც უნდა გაევლო... ქალაქი უკაცურს გავდა (კიდევ კარგი). საკუთარი ფეხის ხმა მისდევდა მხოლოდ. ათასში ერთხელ ზღვა ამოიხვნეშებდა დარდიანი კაცივით, მაგრამ იმას არაფერი ესმოდა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გზაც, რომელიც გელამ უნდა გაიაროს „ქოხ-განსაწმენდელიდან“ სახლამდე: „ეს გზა მხოლოდ და მხოლოდ იქ რომ მიიყვანდა, სადაც მისი ადგილი იყო, სადაც უნდა ეცხოვრა და მომკვდარიყო“.

სახლის ანუ „თავშესაფრის“ საკითხი ერთობ პრობლემატურია რომანში, ოთარ ჭილაძის აზრით სახლი - „გოდოლი“ მხოლოდ თავშესახიზნი ფარი კი არ არის, არამედ კონკრეტული სივრცეა ადამიანის შეგნებული ცხოვრებისათვის, ერთგვარი „სანგარია“ ფუჭი, უაზრო ყოფის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ მწერალი: „შეშინებული კაცი თავშესაფრისაკენ, ანუ შინისაკენ მხოლოდ იმიტომ არ გარბის, რომ იქ დაემალოს განსაცდელს, არამედ იქ რომ შეებრძოლოს... რადგან სახლი უკანასკნელი გოდოლია, უკანასკნელი მიჯნაა ყოფნა-არყოფნას შორის“.

როგორც უკვე შევნიშნეთ, რომანის სამომავლო იდეა განსხეულებულია თბილისელი მსახიობის ვაჟის - გელას პიროვნებაში. „უგზოობის ქვეყანაში დაკარგული გელა ხელახლა უნდა ეზიაროს ჭეშმარიტ დროისა და სივრცის მადლს, რომ ახალ ადამიანად დაიბადოს. მომავლიდან მას თავისი მემკვიდრე უხმობს, წარსულიდან კი მამის აჩრდილი. მშობლიური გარემო ახლად უნდა შევიდეს მის შემეცნებაში და სხვა ტალღაზე მომართოს მის განცდა, ფიქრი, შთაბეჭდილება და სანამ ის დაკარგული მშობლიური გარემოსაკენ მიმავალ გზას დაადგება, თოვლში გადასროლილ რევოლვერს ატანს თან უკვე წარსულად ქცეულ შიშს და გაუბედაობას, მტანჯველ იჭვს და მერყეობას. ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას დაადგა „ძე წარსულისა და მამა მომავლისა“. ეს არის გმირის საბოლოო დაბრუნება მშობლიურ დროსა და სივრცეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ნანა რჩეულიშვილი

## მთავარი გმირი - დრო

60-იანი წლებიდან ქართულ რომანტიკაში ჩნდება ახალი მისწრაფებანი და იმ მარადიული პრობლემების წვდომისა, რომელიც ადამიანური ყოფიერების საზრისის შემსწავლელ მიმართულებას - ეგზისტენციალიზმს მიეწერება.

ჩვენი თანამედროვე ქართული მწერლობა ძველი ტრადიციების დაცვით სულ უფრო ღრმად წვდება ადამიანური ყოფიერების რთულ სფეროებს. ამ მხრივ შესანიშნავია ოთარ ჭილაძის წარმატებული ცდები, მკითხველისათვის საინტერესო ფორმით დაეხატა ადამიანის, პიროვნების ჭიდილი ცხოვრებისეულ სირთულეებთან, აესახა მისი სულიერი კრიზისი ასევე რთულ კრიზისულ პერიოდებში, გაეშიშვლებინა აზრი ცხოვრების ორი საწყისის - კეთილის და ბოროტის ბრძოლაზე და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მისულიყო: „სიცოცხლე თავისთავად უკვე დიდი მადლია და ერთნაირად ძვირფასია ბედნიერებით გაგაუბედურებს თუ უბედურებით გაზიარებს ბედნიერებას".

ამ იდეის ცხოველმყოფელად დახატვის მიზნითაა შთაგონებული ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი" სავსე შთამბეჭდავი სახეებით, დრამატული კოლიზიებით, მძაფრი სიუჟეტური აღნაგობით, მშვენიერად გამართული მხატვრული დროითა და სივრცით. რომანის დასაწყისშივე ტრანსფორმირებული იდეა სიცოცხლის შესახებ ხორცს ისხამს კონკრეტულ ისტორიულ დროში.

„რკინის თეატრში" დრო ყველაზე ძლიერი ფენომენია. ეს „ხარბი მონსტრი" განუკითხავად ბატონობს ყველგან. სწორად მიუთითებს ლიტერატურისმცოდნე გ. გაჩეჩილაძე, რომ „როგორც პრობლემა, „რკინის თეატრის" მთავარი გმირი არის დრო". ამ დროს თავისი კონკრეტული ისტორიული ჩარჩოებიც გააჩნია: მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნა, 1905-1907 წლების რევოლუცია, ბურჟუაზიის სწრაფი აღმავლობა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, 1914 წელი - მსოფლიო მღელვარების ახალი ფურცელი. მწერალი აშკარად მიუთითებს, რომ დასრულდა ისტორიული ცხოვრების გარკვეული ეტაპი და იწყება ახალი, არანაკლებ მძაფრი ქარტეხილებით სავსე საუკუნე. მისი სიტყვებით: „ეს ის დრო იყო, როცა კიდევ ერთი საუკუნე, ღრმად მოხუცებული, სიბერისაგან გამოჩურჩუტებული, ცოდვებისაგან ზეზეურად გამომპალი, სიძველისა და უძლურობის სუნდაკრული ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. ხოლო მეორე, მომდევნო, ჯერ ისევ აკვანში იწვა და იქიდან იმუქრებოდა, იქიდან უღერებდა ქვეყანას დალოღნილსა და დადორბლილ მაჯებს"...

ამ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში სურს მწერალს, დაგვიხატოს „უსასრულო დროსა და სივრცეში მოქცეული ადამიანი", რაკი მძაფრი კატაკლიზმების ფონზე უფრო ცხადად ვლინდება სულიერ ფასეულობათა დევალვაცია. რომანის პირველი გვერდები არცთუ შორეული წარსულის ამბავს მოგვითხრობენ. კერძოდ, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის დიმიტრი ქურულის ოჯახის ყოფაზე, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში ბათუმის ცხოვრებაზე. რა ხდებოდა ათიოდე წლის წინათ ქალაქის პოლიცმეისტერის ოჯახში? „მწვანედ შეღებილ ჭიშკართან იდგა ერთი გაუთავებელი ჟრიამული... მეეტლეების გინება, ქალების კისკისი, კაცების ხორხოცი და რასაკვირველია, რევოლვერების ბათქა-ბუთქი. გრიალებდა პიანინო, ოქროსფერი შანდლებით გაწყობილი, საკურთხევეღლივით გაჩაღებული, სანთლებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდათ, ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. კარადაში ჭურჭელი წკრიალებდა". ოჯახის სათნო მანდილოსანი დღისით ღარიბთა ქოხმახებში მოწყალებას არიგებდა, საღამოს კი საოჯახო წარმოდგენებს მართავდა ან თბილისიდან მოწვეულ მსახიობთა დასს მასპინძლობდა. „ქალაქში კი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ყოველდღე მართავდა აღლუმებს... სასტუმროებში „აღთქმული ქვეყნის" დასაზვერად ჩამოსული უცხოლები ირეოდნენ... საბაჟო და პოლიცია ფეხზე იდგა, მაგრამ შავ ბაზარზე რძეს იშოვიდა კაცი. ვისაც ნავი ყავდა და ღამით შინიდან გამოსვლისა არ ეშინოდა, კონტრაბანდისტობას მისდევდა... ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ნატო გაბუნიას პირიდან ია-ვარდი სცვიოდა... ყაზბეგი ხანჯლებით ცეკვავდა... ქუჩიდან მთვრალი მეზღვაურების ღრიანცელი ისმოდა... დილით კი ყელგამოჭრილ კაცს პოულობდა პოლიცია ქუჩაში. სისხლის გუბეს მიწას წააყრიდნენ ხოლმე სასწრაფოდ. ცხოვრება კი დუღდა და გადმოდუღდა, როგორც შამპანიური ტანწერწეტა ჭიქებში".

მხატვრულად რეალიზებულ სივრცეში განფენილმა ამ მოგონებამ უფრო ხელშესახებად უნდა გამოკვეთოს დიმიტრის აწმყო. მშობლიურ კერაზე მობრუნებული, განათლებული და დაოჯახებული ახალგაზრდა ვექილის რწმენის, განწყობილებისა და მდგომარეობის შესაცნობადაა დახატული ქურულების ოჯახის წარსული და შემდეგ აწმყო მკვეთრი კონტრასტული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა/ სამკვიდრებელი მხოლოდ კავკასია-მცირე აზიით არ შემოიფარგლებოდა/ /მაგ:. იტალიაში არსებობდა ქალაქი ტიბური, ახლანდელი ტივოლი; ხოლო პირენეის ნახევარკუნძულზე დღემდე ცხოვრობს ტიბურების ძველი იბერიული ტომი/. მით უმეტეს, რომ აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, ტიბარენებში შემდეგი ჩვეულება არსებობდა: მას შემდეგ, რაც ქალები მოილოგინებდნენ, ქმრები საწოლში წვებოდნენ და ხმამაღალი კვნესით მშობიარობის იმიტაციას ახდენდნენ, ცოლები კი მათ უვლიდნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით ასეთივე წესი ჰქონიათ კორსიკის მაცხოვრებლებსაც. მსგავს ჩვეულებას აღწერს სტრაბონი ბასკებში, ხოლო პლუტარქე „თეზევსში" წერს, რომ ასე იქცეოდნენ კვიპროსელები არიადნესათვის მსხვერპლის შეწირვის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ, ჰეროდოტეს ცნობით, კოლხურ სელს ელინები სარდონულს (სარდინიულს) უწოდებდნენ. ეს (და, აგრეთვე, ისიც, რომ ჰეროდოტე კოლხებს ეგვიპტიდან მოსულებად მიიჩნევს), ალბათ, იმ ფაქტის გამოძახილია, რომ „ზღვის ხალხების" მოძრაობის მონაწილე ტომების - ტურშა /ეტრუსკები, ანუ ტუსკები/ და შარდანა /სარდინიელები/ - ნაწილი ეგვიპტელებთან დამარცხების შემდეგ დასავლეთში გადასახლდა, ნაწილი კი კავკასიაში დასახლდებოდა /საქართველოში არსებობს გვარები: ტუსკია, ტუსკაძე, სორდია, სისორდია. /ი. მაისურაძე. „ქართული გვარსახელები" თბილისი 1990/. საგულისხმოა, აგრეთვე, მსგავსება Tuski-Tovgxoi /თუშქები, ანუ თუშები/. შეადარე მუშქები და ქაშქები/.

ამ ხალხთა ე. ი. იბერიული მოდგმის /სხვადასხვა მეცნიერები ამ მოდგმას უწოდებენ „იაფეტურს" „ალაროდიულს", „მედიტერანულს" და ა. შ./ ტომების განსახლების არეალში ფუძე „იბერის" შემცველი მრავალი სახელწოდება გვხვდება. მაგ: „ჰიბერნია" - კ. ირლანდიის ძველი სახელწოდება / ჰუმბოლდტის ცნობით, ირლანდიაში იყო იბერების მიგრაცია; საერთოდ, ბრიტანეთის კ-ებზე ფუძე „იბერის" შემცველი მრავალი ტოპონიმი არსებობს/. სხვათა შორის ბასკებში არსებობს გვარი იბერნია. „ლიბერ"- მელვინეობის ძველი იტალიური ღვთაება /როგორც ვიცით, მეღვინეობა იბერიული რასის მონაპოვარია ისევე, როგორც მეტალურგია და დამწერლობა/. „ლიბერა" - „თავისუფლება" /ლათ./. ლიბურნები - ბალკანეთის მკვიდრი ტომი ადრიატიკის სანაპიროზე. ქალაქი სიბარისი იტალიაში - ასეთივე სახელწოდების ქალაქი არსებულა კოლხეთშიც. დიოდორე სიცილიელის მიხედვით, ასე ერქვა კოლხეთის დედაქალაქს /თუმცა ამის შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება, კოლხეთის დედაქალაქად ყველგან კუტაიაა ნახსენები/.

მსგავსი ჟღერადობის სახელწოდებები თითქმის მთელს მსოფლიოში მოიპოვება: ხაიბარი /საუდის არაბეთში, ქალაქი/; ხაიბერნია /რიფი ტიმორის ზღვაში, ინდოეთის ოკეანე/; ხაიბერის გასასვლელი /ავღანეთში/; ჰიბრალტარის სრუტე; ჰებრონი /ახლ. ელ-ხალილ - მუჰაფაზის ადმ. ცენტრი, იორდანია/; ჰებრიდის კუნძულები /არქიპ. ატლანტის ოკეანე/; იბრალა /თურქეთი, ტავრის ქედის ჩრდ-ით/; იბრი /არაბეთის ნ-კ, ომანი/; ელ-ხაბურა /არაბეთის ნ-კ, ომანი/; ბევრია მსგავსი სახელწოდებები იაპონიაშიც: იბური /კ. ჰონსიუ, ოლქი/; იუბარი /კ. ჰონსიუ, ქალაქი/; ხაბორო /კ.ჰონსოუ, ქალაქი/; იბარაკი /კ. ჰონსიუ, ოლქი/.

როგორც ვხედავთ, მსგავსი სახელწოდებები მრავლადაა მთელ მსოფლიოში, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ისინი ძირითადად მდინარეებთანაა დაკავშირებული. მდ. ჰებროსი /ახლ. მარიცა/ თრაკიაში; მდ. ჰიბრისტე ხალიბთა ქვეყანაში /„მოძალადე", უფონო მდინარე - ასე იხსენიებს მას ესქილე „პრომეთეში"/;მდ. ტიბრი იტალიაში; მდ.ტემბრისი /პლინიუსის მიხედვით ტემბროგიუსი, ლივიუსის - ტიმბრეტისი და თიმბრისი/ მცირე აზიაში; მდ. იბარი სუდანში; მდ. იბარი სერბიაში; მდ. იბარი კატალონიაში /ესპანეთი/. აღსანიშნავია, რომ „იბარ" ბასკურად „მდინარის დაბლობს" ნიშნავს. ესპანეთშია, აგრეთვე მდ. იბერუსი /ახლ. ებრო/; მდ. იბერი /ახლ. რიო-ტინტო/; მდ. იბერო /ნავარაში/. სირიაშია მდ. ხაბური /ევფრატის აუზი/; თურქეთში მდ. ხაბური /ტიგროსის აუზი/.

საყურადღებოა, აგრეთვე, ისიც, რომ „იბერის" მსგავს ტერმინებში თავში ხშირად დგას ასო „ტ". მაგ. ტიბარენები /ტომი მც. აზია-კავკასიაში/; ტიბურები /იბერიული ტომი პირენეის ნ-კ-ზე/; არტაბრები /იბერიული ტომი პირენეის ნ-კ-ზე/; ტებარცები /ტომი კილიკიის მთიანეთში/; ქ. ტიბური /იტალიაში, ახლ. ტივოლი/; ქ. ბად-თიბირა /შუმერში/; ქ. ტიბერი /სირიაში, ევფრატის დას-ით/; ქ. თებერდა /ყარაჩა-ჩერქეზეთში, ჩრდ. კავკასია/; ქ. თაბრისი /ახლ. თავრიზი, აზერბაიჯანში/; ტავრიდა /ახლ. ყირიმის ნ-კ, ეწოდა ტავრების ტომისაგან, რომელთა მეფეც იყო აიეტი დიოდორე სიცილიელის მიხედვით/; ტავროსის მთები /მც. აზია/; ტაბურნუსის მთები /იტალიაში/; კანტაბრიის მთები /ესპანეთში/; მდ. ტიბრი /იტალიაში/; საკუთარი სახელები ტიბერიუსი და ტიბერიანე, რომლებიც ძალზე პოპულარული იყო ძველ რომში.

ჯერ კიდევ ვარონი აღნიშნავდა, რომ მდ. ტიბრს /Tiberis/ ლათინური ეტიმოლოგია არა აქვს, /De lingua latina. V, 29/ იგი ეტრუსკული წარმომავლობის სახელია. ეტრუსკებს კი ა. პიგანიოლი ხალიბების შთამომავლებად მიიჩნევს /ხალიბები, ვერგილიუსის „გეორგიკების" I, 58-ე ტაეპის განმარტების მიხ. კ. ევბეიდან წამოსული პელაზგები არიან და სახელი ეწოდათ ევბეის სოფელ ხალიბიუმიდან/.

ცნობილი რუსი რომანისტი მ. ვ. სერგიევსკი ამბობს, რომ ეტრუსკების ენა მიეკუთვნება ხმელთაშუაზღვისპირეთის იმავე ენათა ჯგუფს, რომელსაც მიეკუთვნებიან იბერიული ესპანეთში, პელასგური საბერძნეთში და კავკასიური ენები /Введение в романское языкознание. Москва. 1952/.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღსანიშნავია, რომ მითების თანახმად მდინარე ტიბრს სახელი ეწოდა ალბას მეფე ტიბერინისაგან /Tiberinus/, რომელიც იქ დაიხრჩო /შეად. ტიბარენ-ები - Tibarenoi/. მანამდე კი მას ალბულა რქმევია. თვით სიტყვა „ალბ"-„ალპ" ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ძველი კავკასია-მცირე აზია-ხმელთაშუა ზღვის სამყაროს უძველესი მოსახლეობის ენაზე „მთიანეთს" აღნიშნავდა /ალპები; სოფ. ალპანა ცაგერის რაიონში; სოფ. ალპენო თერმოპილეს აღმოსავლეთით; ამით ხსნიან კავკასიისა და ბალკანეთის ალბანეთის სახელწოდებათა დამთხვევას. ქართ. საბჭ. ენციკლოპედია. ტ. I/.

ამხელა შესავალი იმის საჩვენებლად დამჭირდა, რომ კავშირი იტალიის მდინარე ტიბრსა და ტიბარენებსა თუ იბერებს შორის მხოლოდ სახელწოდებათა მსგავსებით არ ამოიწურება. ახლა კი გადავიდეთ ძირითადზე - ამ სახელწოდებათა წარმომავლობის ჩემეულ ახსნაზე.

მე ვეთანხმები ს. ჯანაშიას იმაში, რომ იბერების სახელწოდების უძველესი ფორმაა „ტიბარენები" და მიმაჩნია, რომ აქედან ამოსავალია ფუძე „ტიბ", რაც სვანურად „ხეობას" ნიშნავს. როგორც ვიცით, სვანურში, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ყველაზე უკეთ არის დაცული ქართველური ენების ფუძე-ენის ვითარება. სვანები პატარა მდინარეებს „ტიბრას" უწოდებენ, ხოლო ხეობიან ადგილს „ტიბერ" ჰქვია. სვანეთში არსებობს სოფელი „ტიბერი".

ამრიგად „ტიბერი" არის „ხეობიანი ადგილი". ტიბარენები" - „ტიბერელები", ანუ „ხეობიან ადგილებში მცხოვრები ხალხი". ან კიდევ „ხეობებში მცხოვრები ხალხი" - „ტიბელები", ანუ „ხეობელები" /შეად. მოხევე"/. აქედან მივიღეთ ტერმინი „ტიბერია" - „იბერია" რამაც „ხეობიან ადგილთა ერთობლიობის" - ხეობათა ქვეყნის", ანუ „ხეობეთის" მნიშვნელობა შეიძინა. „იბერიელი" კი აღნიშნავდა „ხეობათა ქვეყნის მცხოვრებს", ანუ „ხეობეთელს".

დრომ და მანძილმა ტერმინი შეკვეცა, ჩამოაშორა ასო „ტ" ისევე, როგორც ჩამოშორდა იგი ბასკურში ხეობის /ნაპირის, მდინარის/ აღმნიშვნელ სიტყვას და წინარე-ქართველური „ტიბ"-იდან დარჩა „იბ". აქ გავიხსენოთ რენე ლაფონის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც „იბერი" აიხსნება, როგორც „მდინარის პირას მცხოვრები ხალხი".

თუმცა მე არა ვთვლი, რომ ამ ტერმინით ქვეყანაში მხოლოდ „მდინარის ეროზიული მოქმედების შედეგად გამომუშავებული რელიეფის უარყოფითი ფორმების არსებობა აისახა. ჩემი აზრით, მას უფრო ღრმა შინაარსი გააჩნია, და ასახავს ქვეყნის მაშინდელ სახელმწიფო წესწყობილებას.

გავიხსენოთ, რომ ხეობა, ხევი, წარმოადგენს უძველეს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. ხევები ყოფილა როგორც დასავლეთ /ზემო იმერეთი, რაჭა, სვანეთი/, ისე მთელ აღმოსავლეთ საქართველოში /ძვ. „ქართლის სამეფოს" ტერიტორია/. სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ტერმინი „ხეობა" გულისხმობს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს".

ხევი პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოიქმნა. გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში /ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან/ საქართველოს მთელი ტერიტორია დიდ-პატარა ხევებად იყო დანაწილებული. საბოლოოდ ქართლის /იბერიის/ სამეფო ამგვარ ხეობათა შერწყმა-გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ქართლის ხეობის ჰეგემონობით.

ადრინდელი კლასობრივი და ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის პერიოდში ხევი იყო სახელმწიფოს ძირითადი სოციალ-ეკონომიკური და სტრუქტურული ელემენტი, ხოლო - „ქართლის სამეფო" - ჴევთა ქართლისათა კრებული". /ქართ. საბჭ. ენციკლოპედია. ტ. XI/.

მთაში ხევი, როგორც საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტი, დიდხანს შემორჩა /ხევი - ძვ. ჴევი წანართა", ფშავის ხევი, სვანეთის ხეობა - „შუანე ტიბ"./.

აღმ. საქართველოს მთიანეთში ხევს სათავეში ედგა ხევისბერი. სულხან-საბას განმარტებით, „ჴევის-ბერი ერთი ჴეობის უხუცესი კაცია". დასავლეთ საქართველოს მთიანეთში - სვანეთში საზოგადოების /საზოგადოება რამდენიმე სოფლის კავშირს შეადგენდა/ უხუცესი იყო „მახვში". ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით, საზოგადოებათა კავშირები შეადგენდა „ხეობას" /ხეობ/, რომელიც ფედერაციულ რესპუბლიკას მოგვაგონებდა. ხევის კრებებზე ესწრებოდნენ თითოეული საზოგადოებიდან „მახვშიები" /მამასახლისები/ და რამდენიმე დეპუტატი. განსაკუთრებულ შემთხვევებში თითო კაცი კომლიდან.

ამის მსგავს ფედერაციულ რესპუბლიკას წარმოადგენდა იბერია ფარნავაზამდე. ქვეყანას მამასახლისები განაგებდნენ /ასეთივე წყობილება შეიძლება ჰქონოდათ ესპანეთის იბერებსაც, თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ისიც შესაძლებელია, რომ ესპანეთის იბერებს სახელი კავკასიის იბერების მიხედვით დარქმეოდათ, როგორც ერთი მოდგმის ხალხს, ან უკვე ამ სახელით გადასახლებულიყვნენ აზიიდან დასავლეთში/.

ასე რომ, უფრო გამართლებულია „იბერია" ავხსნათ არა როგორც „მოკავშირე რესპუბლიკა", რასაც მოსე ჯანაშვილი გვთავაზობს, არამედ როგორც „ხეობათა კავშირი", ან კიდევ „ქართლის შეერთებული შტატები, ანუ ხეობები".

საქართველოში /და ესპანეთშიც/ რომ ხეობები ბევრია, ეს სადავო არ არის და, მგონია, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ სხვა ენებში ჩხრეკის ნაცვლად ქართველთა მოდგმის ძველი სახელის ახსნა ისევ ქართველურ ენებში უნდა ვეძიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ უზუნაშვილი

## ...ვიდრე ტროას დაპყრობა

„ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით; და თუ მას არ მიუღია აღზრდა ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს"
/პლატონი/

სწავლა-აღზრდის პრობლემა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია. მხოლოდ სწორი აღზრდის წყალობით ხდება შესაძლებელი სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება.

ერის ცხოვრებაში სწავლა-აღზრდა რომ ნამდვილად სერიოზულ და, ამავე დროს, საპასუხისმგებლო მომენტს წარმოადგენს, ამაზე მიუთითებს XVI ს-ის ცნობილი გერმანელი ჰუმანისტისა და თეოლოგის, მრავალი პედაგოგიური ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორის ფილიპე მელანქტონის სიტყვები, რომელსაც აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისათვის „გერმანიის მასწავლებელს" უწოდებდნენ. იგი წერს: „ახალგაზრდობისთვის წესიერი განათლების მიცემა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ტროას დაპყრობა.

სწავლება აღზრდა-განათლების მთავარ გზას წარმოადგენს, რომელიც ძირითადად სასწავლო დაწესებულებაში გაკვეთილზე ან ლექციაზე მოსწავლის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს. აღზრდას კი აღმზრდელი ხელმძღვანელობს და იმაზე, თუ ვინ არის აღმზრდელი, დიდადაა დამოკიდებული თუ როგორი პიროვნება ჩამოყალიბდება.

აღზრდისა და სწავლების პროცესის წარმართვა მთლიანად აღმზრდელის ხელოვნებასა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომაა, რომ პედაგოგის ფენომენს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგიკის კლასიკოსები.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა, მათი საქმისადმი დამოკიდებულება განაპირობებს სწავლებისა და აღზრდის ერთობლიობას.

სწავლების პროცესი მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს, რომ მოსწავლეებს აღუძრას ცოდნის შეძენის სურვილი. საგნის მცოდნე, კეთილი, მოსიყვარულე, სამართლიანი მასწავლებლის წყალობით მოსწავლეებს სკოლაში უნდა მიუხაროდეთ. ცოდნა, რომელიც მათ მიეწოდება, უნდა იყოს გააზრებული, ნორმირებული, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს მოზარდთა ასაკი და შესაძლებლობები, რადგან „ადამიანი, რომელსაც საფუძვლიანი განათლება აქვს მიღებული, წააგავს ხეს, რომელსაც საკუთარი ფესვები აქვს, იკვებება საკუთარი წვენით და ამიტომ, მუდამ (დღითი-დღე უფრო ძლიერ) იზრდება, მწვანდება, ყვავის და ნაყოფი მოაქვს" (ი. კომენსკი).

სწავლებისა და აღზრდის პროცესი შეგნებულ ხასიათს უნდა ატარებდეს; ი. კომენსკი წერდა: „ახალგაზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ თავში ჩავუტენოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი, არამედ იმას ნიშნავს, რომ განვუვითაროთ საგანთა გაგების უნარი, რათა სწორედ ეს უნარი გახდეს თითქოს იმ ცხოველ წყაროდ, საიდანაც ცოდნის ნაკადულები გადმოედინება".

მოზარდის აღზრდა-განვითარება და მისი პიროვნებად ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც იგი იზრდება და სადაც მისი პიროვნებად ფორმირება ხდება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც თუ რამდენად სწორად არის წარმართული აღზრდის პროცესი. ამისათვის საჭიროა მოწესრიგებული სოციალური გარემო და მაღალი ზნეობის მქონე აღმზრდელი მოწინავე მსოფლმხედველობითა და თანამედროვე შეხედულებებით.

ზნეობრივი აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. ამის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ქეთევან დედოფლის გმირული მოწამეობრივი ცხოვრება.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არ შეიძლება მშვიდად ვამტკიცოთ, რომ პიროვნების ფორმირებაში მხოლოდ გარემო ასრულებს გადამწყვეტ როლს. ამ პროცესში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება შეგნებულ, მოწესრიგებულ აღზრდას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა



სწავლებასთან კავშირში მზადაა ხელი შეუწყოს მოზარდის პიროვნებად ფორმირებას. „სწავლება მასწავლებლის მიერ მეცნიერული ცოდნის, მორალური პრინციპებისა და შრომითი ჩვევების გადაცემაა, მოსწავლეთა მხრიდან კი ამ ცოდნის, პრინციპებისა და ჩვევების შეგნებული შეთვისება აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის" (პედაგოგიკა. დ. ლორთქიფანიძე, 1956წ.)

სწავლებისა და აღზრდის ძირითადი მიზანი ყველა პერიოდში საერთო იყო - ყოველმხრივ განვითარებული, ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება.

პირველად აღზრდის ჰარმონიული განვითარების იდეას ბერძნულ სასკოლო სისტემაში ვხვდებით. თვით „Harmonia" - ბერძნული სიტყვაა და თანაზომიერებას ნიშნავს. სულხან-საბას ლექსიკონში წერია: ჰარმონია - რისამე მწყობრი შეხამება, შეთანხმება. ჰარმონიული - შეთანხმებული, შეხამებული, შეხმატკბილებული.

პირველი მკვლევარნი, რომლებიც დაინტერესდნენ აღზრდის ჰარმონიული იდეის განვითარებით, თვლიდნენ, რომ სწავლებისა და აღზრდის ძირითად მიზანს წარმოადგენს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება. ასეთები იყვნენ: დემოკრიტე, სოკრატე, შემდეგ კი ყოველივე ეს შედარებით სრულყოფილი სახით თავიანთ ფილოსოფიურ-პედაგოგიურ ნარკვევებში ჩამოაყალიბეს პლატონმა და არისტოტელემ.

საინტერესოა, რა მიაჩნდა თითოეულ მათგანს სწავლებისა და აღზრდის ამოცანად.

დემოკრიტე თვლიდა, რომ აღზრდის ძირითად მიზანს აღსაზრდელში ჰარმონიისა და ზომიერებისკენ სწრაფვის განვითარება წარმოადგენს, რაც მხოლოდ და მხოლოდ განათლებისა და აღზრდის სწორად წარმართვის წყალობით მიიღწევა.

სოკრატე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდის ეთიკური, ინტელექტუალური, ცხოვრებისეული, პრაქტიკული საკითხების სწავლებისა და შრომისმოყვარეობის აღზრდის განსაკუთრებულობას. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ განათლება აძლევს ადამიანს საშუალებას, ჩასწვდეს ბოროტებისა და სიკეთის არსს. ამავე დროს, იგი თვლიდა, რომ მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემების, ნიჭისა და შესაძლებლობების გათვალისწინების საფუძველზე უნდა მოხდეს მისი აღზრდა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. მისი აზრით, „ცოდნა სათნოების საფუძველია, ხოლო ფართო განათლების საფუძველზე შესაძლებელია საკუთარი თავის შეცნობა...". სოკრატეს „შეიცან თავი შენი..." ზნეობრივი სრულყოფის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება პლატონს, პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში პირველად პლატონის მოძღვრებაში ვხვდებით ჰარმონიულად ჩამოყალიბებული ადამიანის აღზრდის იდეის სერიოზულ თეორიულ დასაბუთებას, რაც საკმაოდ დიდი მონაპოვარი იყო პედაგოგიკური თეორიისათვის" (ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. 1986.).

„სხეულისა და სულის თანაბრად განვითარებაში" პლატონი ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების ერთობლიობას გულისხმობს.

მეტად საინტერესოა არისტოტელეს პოზიცია აღზრდის შესახებ. აღზრდის მთავარ მიზნად მას მიაჩნია განათლებული ადამიანების მომზადება, რომელნიც თავიანთი ზნეობრიობითაც გამორჩეულნი იქნებიან, ე. ი. არისტოტელე ჰარმონიულად განვითარებული ადამიანების აღზრდას ანიჭებს უპირატესობას.

როგორც ამ დიდი მოაზროვნეთა შეხედულებებიდან ჩანს, ყველა დროის სწავლულნი აღზრდის პროცესის წარმართვისას ძირითად მიზნად სრულყოფილი პიროვნების, ადამიანური ადამიანის ჩამოყალიბებას სახავდნენ.

და ჩვენც დღევანდელი აღმზრდელნი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიყოთ მშვიდად, თუ ჩვენი ყოფილი მოსწავლეებიდან მივიღებთ ადამიანს, რადგან, როგორც ცნობილი რუსი მწერალი და პედაგოგი მ. გორკი აღნიშნავდა: „ყველაზე მაღალი თანამდებობა - ადამიანად ყოფნაა, ყველაზე საუცხოო თვისება კი ადამიანობა".

ცნობილი გერმანელი საეკლესიო რეფორმატორი მარტინ ლუთერი ამბობდა: „სადაც ქალაქების, ციხეების, ძეგლებისა და არსენალების ასაგებად ერთი ოქროს ფული იხარჯება, იქ ასი ოქროს ფული უნდა დაიხარჯოს იმისთვის, რომ წესიერად აღვზარდოთ ერთი ახალგაზრდა, რომელიც როცა მომწიფდება, მრავალ ადამიანს დააყენებს პატიოსან გზაზე... კეთილი და ბრძენი ადამიანი მთელი სახელმწიფოს უძვირფასესი განძია, მას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბრწყინვალე სასახლეებს, ოქროსა და ვერცხლის გროვას".

და ბოლოს, როგორც მ. გორკი ამბობდა, „მასწავლებელი, თუ ის პატიოსანია, მუდამ უნდა იქნეს „ყურადღებიანი მოწაფე". იგი მუდმივად უნდა იღწვოდეს, რათა სრულყოს თავისი ცოდნა და შეეძლოს ასწავლოს სხვას. „იმისთვის, რომ ასწავლოს, ძალიან ბევრი უნდა ისწავლოს" (პედაგოგიკა. დ. ლორთქიფანიძე).

ჩვენი პროფესიის ხელოვნება მართლაც იმაში მდგომარეობს, რომ ვისწავლოთ რაც შეიძლება კარგად, რათა უფლება გვქონდეს, ვასწავლოთ სხვას. მთელი ჩვენი ძალისხმევა წარვმართოთ ისე, რომ აღვზარდოთ ჭეშმარიტი მამულიშვილნი და ვიყოთ ერთგული მსახურნი დიდი ილიას სიტყვებისა:

დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათებული.




# დედის დაზღვევა
# INSURANCE OF MOTHER

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY


## ახალი წიგნები










ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია **რენო თურქიას** ნამუშევართა რეპროდუქციები

